

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ს. ლეკიუვილი

ქველი ქართული კულტურის საკითხები  
.ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომები



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1987

ვეგენი ალექსის ძე ბოლხოვიტინოვი (1767—1837) ფილოლოგი, ისტორიკოსი და ლექსიკოგრაფი პირველი რუსი მეცნიერია, რომელმაც საქართველო აქცია საფუძვლიანი შესწავლის ობიექტად. მის მიერ 1802 წ. გამოცემული „საქართველოს ისტორიული სურათი“ დიდხანს წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს შესასწავლად რუსეთსა და ევროპაში.

ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი ე. ბოლხოვიტინოვის პიროვნება, მითითებულია მისი მოღვაწეობის როგორც დადებითი, ასევე ნაჟლოვანი მხარეები. ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ე. ბოლხოვიტინოვის იმ სტატიების მიმოხილვას, რომლებიც აგრეთვე ქართულ თემასთან არიან დაკავშირებულნი.

საქართველო ე. ბოლხოვიტინოვისათვის არ ყოფილა ერთდროული დაინტერესების საგანი. ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი მას გაპყობია სიცოცხლის ბოლომდე.

ნაშრომი მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს ცნობილი რუსი მეცნიერის ვეგენი ალექსის ძე ბოლხოვიტინოვის წვლილი XIX ს. რუსეთსა და ევროპაში ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლასა და პროპაგანდაში.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.  
ი. ბოგოშოლოვი.

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
შ. მეგრელიძე.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. შველიძე

## შესავალი

რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობა ორი მოძმე ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობის ორგანული და მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი სათავეს იღებს XI—XII საუკუნეებში. როგორც ძველი რუსული წყაროები გვაუწყებენ, ამ პერიოდში აღგილი ჰქონდა საქართველოდან ხატმწერებისა და მოზაიკოსების მიწვევას კიევის, ნოვგოროდისა და ვლადიმირის ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად<sup>1</sup>.

XII საუკუნის ქართველი მწერლებისათვის რუსეთი კარგად ცნობილი ქვეყანაა. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ რუსეთი მოხსენებულა ჩახრუხადის „თამარიანში“. ცნობილია, რომ ეს პერიოდი აღინიშნა ქართველი და რუსი ხელისუფლების წარმომადგენელთა დინასტიური დანათესაევით. კერძოდ, 1154 წ. კიევის მთავარმა იზისლავ მსტისლავის ძემ საქართველოდან ჩააყვანინა და ცოლად შეირთო დემეტრე მეფის (1125—1156) ქალიშვილი რუსუდანი<sup>2</sup>, ხოლო 1186 წ. თამარი ცოლად შერთეს ანდრეი ბოგოლუბსკის უმცროს ვაჟს გიორგის.

ორივე ხალხის საერთო უბედურებამ, მონღოლთა შემოსევებმა და ხანგრძლივმა ბატონობამ რუსეთსა და საქართველოში მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი სწრაფვა ურთიერთდაახლოებისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველო შედარებით ადრე განთავისუფლდა მონღოლთა უღლისაგან (XV საუკ. 40-იანი წლები), ვიდრე რუსეთი (XV საუკ. 80-იანი წლები), მაგრამ ამ მოვლენების შემდეგ ორივე სახელმწიფოში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ისტორიული პროცესები ხდება.

რუსმა ხალხმა ახლად წარმოქმნილი მოსკოვის სამთავროს გარშემო ძლიერი რუსული სამეფო შექმნა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის სახელმწიფოდ იქცა. იგი დამარცხებული ბიზანტიის ნაცვლად ქრისტიანული სამყაროს იმედი გახდა, თანამედროვენი მოსკოვს „მესამე რომს“ უწოდებდნენ.

სულ სხვა ისტორიული პროცესები ხდება საქართველოში, ვინაი-

<sup>1</sup> Патерик Киево-Печорского монастыря, под редакцией Д. И. Абрамовича, 1911, с. 8.

<sup>2</sup> გ. პაიჭაძე, მეგობრობის მატთანე. — აღმანახი „მწიგნობარი“, 1984, გვ. 150.

დან მონღოლთა მრავალგზის შემოსევებს საბედისწერო შედეგი მოჰყვა ქვეყნის გამუდმებული აოხრებით და მოსახლეობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვით. საქართველო იმდენად დასუსტდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო ძალის მოკრება. ყოველივე ამას დაერთო სამხრეთ დასავლეთით თურქთა საშიში მეზობლობა და ირანის ხელახალი გაძლიერება, რომელთაც მშვიდობიანი არსებობა არ შეეძლოთ და გამუდმებით ავიწროვებდნენ ისედაც განადგურების პირას მისულ ქვეყანას. შექმნილმა არახელსაყრელმა პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ საქართველო პოლიტიკურ დაქვეითებამდე მიიყვანა. წარსულში ძლიერი საქართველოს სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენდა (XV საუკუნის მეორე ნახევრიდან) რამდენიმე პოლიტიკური ერთეული — ქართლის, იმერეთის, კახეთის სამეფოების და სამცხე-საათაბაგოს სამთავროს სახით. ქვეყანა გარეშე თავდასხმების და შინაგანი ბრძოლების ასპარეზად იქცა.

მას შემდეგ, რაც თურქეთმა გაანადგურა ბიზანტია და ხელში ჩაიგდო კონსტანტინოპოლი (1453 წ.), საქართველო მოწყდა კულტურულ სამყაროს. დაუძღვრებული საქართველო ცდილობს კავშირი გააბას ევროპასთან, მაგრამ უშედეგოდ. რომის პაპი სიტყვიერი დაპირებების და თითო-ოროლა კათოლიკე მისიონერის საქართველოში შემოგზავნით აკმაყოფილებს ერთმორწმუნე ქვეყნის თხოვნას.

მძიმე პოლიტიკური პირობები უკარნახებენ საქართველოს მმართველ წრეებს. კარგად შეისწავლონ საერთაშორისო სიტუაცია და ეძიონ რეალური გამოსავალი ტრაგიკული მდგომარეობიდან.

გონიერი ქართველი პოლიტიკოსებისათვის იმთავითვე ნათელი შეიქმნა, რომ ხსნა შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთთან დაახლოებით, რადგანაც იგი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც წინ მიდიოდა და ნათელი მომავალი ესახებოდა. ეს აზრი ჩვენი წინაპრების ფართო პოლიტიკური პორიზონტის მაჩვენებელია. ამის ნათელი დადასტურებაა 1483 წ. კახთა მეფის ალექსანდრე I მიერ ოფიციალური ელჩობის გაგზავნა რუსეთის მთავრობის იოანე III კარზე<sup>3</sup>.

ამრიგად, XV საუკუნიდან ქართველთა შეგნებაში რუსეთი სასურველი მეგობარია. როგორც ჩვენამდე მიღწეული დოკუმენტებით დასტურდება, არამარტო საქართველოში იცოდნენ თუ რას წარმოადგენდა რუსთა ქვეყანა, არამედ რუსეთშიაც საკმაოდ ჰქონდათ ცნობები საქართველოს შესახებ. ამის დამადასტურებელ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს „თქმულება დინარა დედოფლის შესახებ“, რომელიც პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია საქართველოს შესახებ, ალბათ XV საუკუნის დასასრულს და XVI საუკუნის დამდეგს დაწერილი.

3 ნ. ასათიანი, ლ. ალექსიძე, პირველი ქართველი ელჩობა მოსკოვში 1483 წ. გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ., 6 ოქტომბერი, № 205.



ამ შესანიშნავი თქმულების სიუჟეტს საფუძვლად უდევს ქართულ მატრიანებში დაკული ცნობები და ხალხური თქმულებანი სპარსელ აგრესორებზე თამარ მეფის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ, ხოლო დინარა დედოფალში თამარ მეფის პიროვნება იგულისხმება.

თამარა — დინარას სახელის რუსეთში პოპულარობის უდავო გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის საქართველოში მყოფი რუსთა ელჩები სპეციალურად მოინახულებდნენ ხოლმე „დინარას საფლავს“ გელათში, რაზეც ისინი საგანგებოდ აღნიშნავდნენ მთავრობის სახელზე შედგენილ რელაქიებში<sup>4</sup>.

ამ მხრივ არანაკლებ ინტერესის შემცველია ძველი რუსული ლიტერატურის მეორე, ასევე საყურადღებო ძეგლი „თქმულება ბაბილონის სამეფოს შესახებ“, რომელშიც გამოსკვივის იდეა რუსეთის, საქართველოსა და საბერძნეთის თანასწორობისა. სამ გმირს — რუს ლავრს, ბერძენ გუგრიას და ქართველ იაკობს დაეკისრათ მისია — ბაბილონში მოეპოვებინათ სამეფო ხელისუფლების ნიშნები, რაც მათ დიდი თავგანწირვის შედეგად წარმატებით განახორციელეს. აღსანიშნავია ერთი დეტალიც. მათ ბაბილონის გარშემოვლებულ კედლის კიბეზე ნახეს წარწერები ბერძნულ, ქართულ და რუსულ ენებზე. რაც მათ უკარნახებდა განსაცდელიდან თავის დახსნის საშუალებას.

საქართველოს სათანადო ადგილს უთმობენ ამავე პერიოდის საისტორიო და სამიმოსვლო თხზულებათა რუსი ავტორები, რომლებიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ქართული კულტურის კერებზე საბერძნეთსა და პალესტინაში. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია ცნობები, რომლებიც შემოგვინახა კიეველმა ილუმენმა დანიელმა აღმოსავლეთში თავის 1106—1108 წლებში მოგზაურობისას, რომელშიც მან დაწვრილებით აღწერა იერუსალიმის ივერთა მონასტერი, ხოლო უფრო მოგვიანებით 1393—95 წწ. ქართველთა ამავე სავანეზე საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა ეგნატე სმოლიანინმა<sup>5</sup>.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, ცხადია, შემთხვევითი არ იყო ქართული თემატიკის აღმოცენება რუსულ ზეპირსიტყვიერებაში. რუსულმა ფოლკლორმა შემოგვინახა XVII საუკუნის ორი საყურადღებო ზღაპარი: „საკვირველი და დიდებული გმირი სამპსონ ლუკიანოვიჩისა და მეფის ასულის სუდისლავის შესახებ“ და „ზღაპარი სილა ხელმწიფის შვილისა და ივაშკა — თეთრხალათიანზე“.

პირველი ზღაპრის მიხედვით, საქართველო ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც გამკრიახი, მამაცი მეფეები მართავენ: აქ არიან

4 Полневктов М. А. Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1615—1640, Тбилиси, 1937, с. 40, 45, 305.

5 Сахаров И. Сказание Русского народа, т. II, кн. 5. СПб., 1849, с. 105.

საარაკო სიმშენიერის და ჯაბუჯა გულისდამატყვევებელი ასულები. მისკენ მოისწრაფიან შორეული ქვეყნების რაინდები. მეორე ზღაპრის მთავარი პერსონაჟი „იმერეთის ხელმწიფე საარაკო გმირი სილია“, რომელიც განთქმული იყო როგორც მამაცი, ძლიერი და დაუმარცხებელი მეომარი. მან მთელი სამყარო მოვლო და მეომრებს გზავნიდა ყველაზე მაღალ რჩინის მთაზე, რომ იქიდან დაენახათ დედაქალაქის ქაოსი და სხე<sup>6</sup>.

ოუ XI—XII საუკუნეებში კიევის რუსეთში ქართველ მხატვარ-ხელოსნებს იწვევდნენ ეკლესია-მონასტრების მოსახატავად, მოძღვენო საუკუნეებში, კერძოდ, 1589—1638 წლებში ქართველ ხელისუფალთა საგანგებო მოწვევით აქ ჩამოდიან რუსი სპეციალისტები მტერთაგან მრავალგზის შემოსევების შედეგად დარბეული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად. მათი ნამუშევრის კვალი დღემდის შემორჩა ალავერდის ცნობილ ხუროთმოძღვრულ ეკლესიას<sup>7</sup>.

ანალოგიურად, პოლიტიკური ურთიერთობის გაცხოველებამ რუსეთ-საქართველოს შორის XVII—XVIII საუკუნეებში სათანადო ასახვა პოეზა ქართულ ლიტერატურაშიც. ამისი ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის თითქმის ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებაში მეტ-ნაკლებად გამოჟღავნდა რუსეთის ორიენტაცია.

ქართველ პოეტთაგან, ვინც პირველი შეეხო რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს, იყო ფეშანგი, რომელიც თავის ისტორიულ ეპოსში „შაჰნავაზიანი“ (1664—1665 წწ.) მოსკოვში ხანგრძლივად მცხოვრებ ერეკლე I რუსეთიდან წამოსვლას დიდ პოლიტიკურ შეცდომად უთვლის, რაც ნათლად ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

რევეზულად მოვსდი, რა მსჯილა, ვინ მიმყარა ენანი  
რუსთა ხელმწიფეს ვიახელ, მას ჰქონდა ჩემი სმენანი ..<sup>8</sup>

რუსულმა თემამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გამოჩენილი პოეტის არჩილ II ბაგრატიონის (1647—1713 წწ.) შემოქმედებაშიც.

ორი ათეული წლის მანძილზე რუსეთში ცხოვრების პერიოდში მას მკიდრო კონტაქტი ჰქონდა სამეფო ხელისუფლებასთან, მათ შორის პეტრე დიდთან. ამ მოვლენამ იგი ღრმად დაარწმუნა რუსეთის მმართველი წრეების საქართველოს ბედ-იბღლით დაინტერესებაში. ეს ფაქტი პირველყოვლის გამოჟღავნდა მის შემოქმედებაში პეტრე I, როგორც ჰკვიანი პოლიტიკოსის და ბრძენი მეფის გამოყვანით:

6 Макаров. Сказки грузинские, «Телескоп», 1834, № 21, с. 128—131.

7 Поляневковтв М. А. Новые данные о московских художниках XVI—XVII вв. в Грузии. Тбилиси, 1941, с. 15.

8 Б. შახათაძე, მეგობრობის ფურცლები, თბ, 1983, გვ. 19.

თვით პეტრე ცარი, ენახე რაც არი,  
დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი:  
სიყრმესა შინა გახელ შინა,  
მაღალი მდამალთ ხელთა მპყრობელი...

როგორც ცნობილია, არჩილ ბაგრატიონი რუსულ ენას იმდენად იყო დაუფლებული, რომ შესწევდა უნარი ამ ენაზე შეექმნა თხზულებანი<sup>9</sup>.

ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკოსს დავით გურამიშვილს (1705—1792 წწ.) სხვა დამსახურებასთან ერთად უცილობლად ეკუთვნის პირველობა ქართულ ლიტერატურაში უბრალო რუსი ადამიანის სახის წარმოსახვის საქმეშიც. კერძოდ, თავის პოემაში „დავითიანი“, იქ, სადაც მოგვითხრობს თავის ტანჯვა-წამებით აღსავსე თავგადასაცვალს, ლექთა მიერ მის დატყვევებას და ამ ტყვეობიდან გაქცევის ამბავს, სიყვარულით იგონებს რუსი გლეხის ჰუმანურ დამოკიდებულებას მისდამი:

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მომიარაო,  
როცა რომ მყუანდა, წიელიდა მეტს მამაჩემი არაო,  
შეებრალდი გულზედ მიმიქვა, მკონცა და ცრემლი ღვარაო.

დ. გურამიშვილი არ იშურებს ფერებს სიმპათიით წარმოუდგინოს შკითხველს პეტრე დიდი, როგორც განსაცდელში მყოფი ქართველი ხალხის და მისი ხელისუფალის ვახტანგ VI ქომაგი. იგი ქება-დიდებით ახსენებს რუსული იარაღის სიძლიერეს, რუსეთის არმიის წესრიგსა და დისციპლინას და სხვ. დ. გურამიშვილი ამასთანავე წარმოგვიდგება როგორც რუსული ზეპირსიტყვიერების ზედმიწევნით მკოდნედ, რაც არაერთგზის არის დადასტურებული ცალკეული რუსული ლექსის საზომების მიხედვით, საკუთარი ორიგინალური ლექსების შექმნაში და სხვ. ასეთებად იგი ასახელებს: „ნე დამ პოკოიუ, პოიდუ სტობოიუ“, „ჩტო ზა პრიჩინა, ვსეგდა კრუჩინა“, „ახ, კაკ სკუჩნო“<sup>10</sup> და სხვა.

როგორც ცნობილია, დ. გურამიშვილს თავის ერთგულება რუსეთისადმი გამოხატული აქვს არა მარტო მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ რუს მებრძოლებთან ერთად საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლებშიც.

პოეტ ისევ ტლამაძეს საისტორიო ეპოსში „კათოლიკოზ-ბაქარიანი“ (1727 წ.) რუსეთი მიჩნეული აქვს ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევს ქართველებს ამოაყრევინოს მტრის ჯავრი. ერთ-

<sup>9</sup> ნ. მახათაძე, მეგობრობის ფურცლები, თბ., 1983, გვ. 25.

<sup>10</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1968, გვ. 659.

ერთ პერსონაჟს, ცნობილ ისტორიულ პირს შანშე ერისთავს იგი ათქმევინებს:

იქეთ რუსეთი ახლოა სიმაგრე მე მაქვს მთისაო,  
ხელშეიფის იმედითა გვაქვს, გვიშველოს ეგებისაო<sup>11</sup>.

თავის ისტორიულ პოემაში „ვახტანგისანი“ (1727 წ.) პოეტი ო. ფავლენიშვილი, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს ვახტანგ VI რუსეთში გადასახლების ამბებს, განსაკუთრებული სიმპათიით ახსენებს რუსეთის გაპგებელთ, ვახტანგ VI და მისი ამაღლისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის და სხვ.

თუ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაში ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები აღმოსავლეთის ქვეყნებში ეძებდნენ მყუდრო პირობებს კულტურული კერების მშენებლობისათვის, XVIII საუკუნეში ამ მხრივ ფრიად მიმზიდველი აღმოჩნდა რუსეთი და მისი დედაქალაქი მოსკოვი.

არჩილ II და ვახტანგ VI რუსეთში ცხოვრების პერიოდში შექმნეს მრავალი თვალსაჩინო პოეტური ნაწარმოები. კერძოდ, არჩილ ბაგრატიონმა თავისი მხატვრული მემკვიდრეობა აქ გაამდიდრა ისეთი ნაწარმოებებით, როგორებიცაა: „ლექსნი ასნი ორმუხლნი: პირველი“, „ლექსნი ასეულნი: მეორე“, „ლექსნი ასდაათნი: მესამე“, „იამბიკო ლექსები — იცის ბრძენმა“, „ანბანთქება ახალი შემოღებული“, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ და სხვ. აქვე თარგმნა არჩილმა „ალექსანდრიანი“, „ხრონოგრაფი“ და „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“<sup>12</sup>.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო მოსკოვისა და ასტრახანის პერიოდი ვახტანგ ბაგრატიონისათვის. აქ მან დაწერა ლექსები: „კაეშანი“, „სატრფიალონი“, „მაჯამა“, გალექსა „ამირნასირიანი“, „სიბრძნე მალაღობელნი“ და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩილ II და ვახტანგ VI ერთად რუსეთში მიდიოდნენ ქართული კულტურის სხვა მოღვაწენიც, რომლებიც მოსკოვში დამკვიდრდნენ. როგორც ცნობილია, ვახტანგ ბაგრატიონის ამაღაში შედიოდა 1200 ქალი და კაცი. მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები, არამედ მწერლები, მეცნიერები, რომელთაც რუსეთში შექმნილი მყუდრო პირობების საფუძველზე გააჩაღეს ფართო კულტურული მოღვაწეობა. ამ საქმიანობის ნიადაგზე მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურის ის-

11 ნ. შახათაძე, ზეგობრობის ფურცლები, თბ., 1983, გვ. 21.

12 ლ. შენაბდღე, ძმთა ძმითა ხარ ძლიერი, ვახ. „სამშობლო“, 1983, მარტი. № 6, გვ. 4.

ტორიაში კარგად ცნობილი ე. წ. „ქართული ემიგრანტული ლიტერატურული სკოლა“. მასში გაერთიანდნენ თვალსაჩინო მწერლები: დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, ნიკოლოზ, დიმიტრი და ზოსიმე ორბელიანები, გაბრიელ გელოვანი და სხვანი.

სწორედ აქ გაიფურჩქნა დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის ვახუშტის მეცნიერული ნიჭი. მოსკოვსა და პეტერბურგში ვახუშტიმ მკიდრო კონტაქტები დაამყარა რუსი და დასავლეთევროპელი მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. მან აქ სამართლიანად დაიმკვიდრა ევროპული მასშტაბის მეცნიერის სახელი.

მოსკოვის ქართულმა კოლონიამ არსებითი კვალი დააჩნია არამარტო ქართული კულტურის განვითარებას, არამედ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული დაახლოების დიდწინაშენელოვან საქმესაც.

არჩილ II და მისი ვაჟიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონის (1674—1711 წ.), რუსეთის არტილერიის პირველი ფელდცენზმაისტერის თავდაუზოგავი შრომის წყალობით ქართველი ხალხის ისტორიაში განხორციელდა უდიდესი კულტურული ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, მოსკოვის სინოდის სტამბასთან დაარსდა ქართული წიგნის საბეჭდავი. 1705 წელს სინათლე იხილა ამ სტამბის პირველმა პროდუქციამ, არჩილ II მიერ მომზადებულმა „დავითნმა“, რომელიც საერთოდ რიგით მეოთხე ნაბეჭდი წიგნი იყო ქართულ საგამომცემლო საქმის ისტორიაში.

შეუძლებელია გადავფასოთ მნიშვნელობა მოსკოვის ქართული სტამბისა, რომელიც განსაკუთრებით პროდუქტიული გახდა ეახტანგ VI, მისი ვაჟიშვილის ბაქარის და იოსებ სამეხელის მეცადინეობით. 1709—1744 წლების მანძილზე მათ შეძლეს 11 დასახელების დიდტანიანი წიგნის გამოცემა, რომელთაგან 4 რუსულიდან იყო თარგმნილი<sup>13</sup>. ამ პროდუქციას ისინი ამზადებდნენ საქართველოში გამოსაგზავნად, რასაც შეძლებისდაგვარად ახერხებდნენ კიდევც.

1744 წელს თვრამეტი წლით შეწყდა მოსკოვის სტამბის ფუნქციონირება. იგი აღდგენილ იქნა ამავე ქალაქში 1762 წ. ათანასე ამილახვრის შემწეობით. ამ სტამბამ წინამორბედ გამოცემებს შესძინა 10 დასახელების წიგნი<sup>14</sup>.

მოსკოვის ქართული კოლონიის წევრები არა მარტო აგრძელებენ სამშობლოში დაწყებულ ლიტერატურულ-მეცნიერულ საქმიანობას,

13 იხ. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, 1941, თბ. გვ. 35—48. რუსულიდან თარგმნილ იქნა: ბასილიოს მაკედონელი, ტესტამენტი, 1739 წ., თეოფანე პროკოპოვიჩი, პირველ სასწავლო ყრმათა, 1739 წ., სტეფანე რაქორსკი, კლდე სარწმუნოებისა, 1737—1744 წწ., ლოცვა, 1737—1744 წწ.

14 იხ. ქართული წიგნი ბიბლიოგრაფია, 1941, თბ., გვ. 51—74.

არამელ დიდი ინტერესით ეცნობიან რუსულ მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას. თარგმნიან მათ ქართულ ენაზე, რათა იგი ხელმისაწვდომი გაეხადათ მშობლიური ხალხისათვის. და მართლაც, არ დარჩენილა საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარული მეცნიერების ლიტერატურისა თუ ხელოვნების არცერთი დარგი, რომელთა მიღწევების ათვისებისათვის არ გადაედგათ ნაბიჯი. რალაც სამი ათეული წლის მანძილზე შეიქმნა სოლიდური ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, ფიზიკა-მათემატიკის, მედიცინის, იურისპრუდენციის, დიდაქტიკისა და სხვა დარგებიდან. მათივე მეშვეობით ასეთივე ნაყოფიერი აღმოჩნდა რუსული ლირიკის, რომანისტიკის, საისტორიო მწერლობის და დრამატურგიის თარგმნილი პროდუქციაც<sup>15</sup>.

აღსანიშნავია, რომ ქართველ სწავლულთათვის XVIII ს. რუსული მწერლობიდან განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა მ. ლომონოსოვის. გ. დერჟავინის, ა. სუმაროკოვის და ნ. კარამზინის შემოქმედება.

დერჟავინის მარტო ერთი ლექსი „ღმერთი“ თარგმნილი აქვს 10-ზე მეტ მწერალს: გიორგი ავალიშვილს, პეტრე ლარაძეს. იოანე ბაზლიძეს და სხვებს. ხერასკოვის შემოქმედებიდან ქართულად გადმოღებულ იქნა სამი რომანი: „ნუმა პომფილია“, „კადმი და ღარმონია“ და „პოლიდო ძე კადმისა და ღარმონია“ (მთარგმნელი გ. ავალიშვილი) და სხვ.

ძველი რუსული მწერლობიდან და ფილოსოფიიდან განსაკუთრებით დაინტერესება გამოიწვიეს: სიმონ პოლოცკიმ, რომლის „ტესტამენტი“ თარგმნა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონმა, პეტრე მოვილამ, მისი „კატეხიზმი“<sup>16</sup> გადმოიღო არჩილ II, სტეფანე იავორსკიმ; მისი „კლდე სარწმუნოებისა“ ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა, ხოლო თეოფანე პროკოპოვიჩის „რეგლამენტის“ თარგმანი სრულყოფილად შეასრულა გაიოზ რექტორმა (1746—1821 წწ.) 1782 წ. და სხვ.

რუსული დრამატურგიის ჯეროვანმა გაცნობამ საფუძველი დაუდო XVII ს. მეორე ნახევრის ქართული მწერლობისათვის სრულიად ახალი დარგის — დრამატურგიის აღმოცენებას. არც ისაა ინტერესმოკლებული, რომ ცოდნასმოწყურებული ქართული საზოგადოებრიობა რუსული თარგმანების მეშვეობით ეცნობა დასავლეთ ევროპის მეცნიერებისა და ლიტერატურის მიღწევებს. სწორედ ამ გზით გახდა მახლობელი ქართველი მკითხველისათვის ვოლტერის, რუსოს, მილტონის, თომას მურის და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები.

ქართულ-რუსული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ისტორიის აღმავლობის აღნიშნული ხანა (XVIII საუკუნე) იმითაცაა საინტერესო, რომ იგი არ ყოფილა ცალმხრივი. მართლაც, ამავე საუკუნე-

<sup>15</sup> ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1960, გვ. 296. |

ნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით საფუძველი ეყრება ქართული-დან რუსულად თარგმნის საქმესაც. ეს მოვლენა მით უფრო საინტერესოა, რომ ესა თუ ის ქართული ნაწარმოებები არამარტო ითარგმნებოდა. არამედ იბეჭდებოდა კიდევ რუსულ ენაზე. თუმც ურთიერთობის ეს მხარე არათანაბარი ძალისაა, რადგანაც ხევდრითი წილი ქართულიდან რუსულად თარგმნისა ბევრად უფრო მოკრძალებულია, მაგრამ იგი ორი მოძმე ხალხის კულტურული ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია და იმსახურებს სათანადო ყურადღებას.

ამ მოვლენის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ გვექნება საუბარი, რის გამოც მასზე აქ მეტს აღარ შევჩერდებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარმა უდიდესმა გარდატეხამ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ კიდევ უფრო გააღრმავა კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის. საქართველომ თავი დააღწია „ფეოდალიზმის ყველაზე ბარბაროსულ სტადიაში მყოფ თურქეთის და ირანის“<sup>16</sup> გარემოცვას და დაადგა ევროპული განვითარების გზას.

ამ ისტორიული მოვლენის შედეგად ქართველი ხალხი არამარტო გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას. არამედ შეძლო წასულიყო წინ, პროგრესისაკენ რუსეთთან ერთად. წარსულის ეპიზოდური ურთიერთობის ნაცვლად, ამჟერად უკვე საფუძველი ეყრება მკვიდრო კონტაქტებს ორი ქვეყნის ხალხთა თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორის არამარტო საქართველოში, არამედ რუსეთის ცენტრალურ ქალაქებშიც.

მდიდარი ქართული კულტურა ეზიარა მოწინავე რუსულ კულტურას, ახლოს გაეცნო მის მიღწევებს, შემოქმედებითად გადმოიტანა იგი ეროვნულ ნიადაგზე, ხოლო საქართველოს ისტორიული წარსული, მისი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სული, ბუნების განუმეორებელი სილამაზე. მრავალი რუსი მწერლისა და მეცნიერებისათვის იქცა შთაგონების წყაროდ.

ამ ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ევგენი ალექსის-ძე ბოლხოვიტინოვმა (ერობაში ექვთიმე). რომელმაც პირველმა აქცია საქართველო საგანგებო შესწავლის ობიექტად რუსეთში.

ე. ბოლხოვიტინოვის, თავისი დროის ცნობილი ისტორიკოსის, არქეოგრაფის, ფილოლოგისა და ბიბლიოგრაფის რთული და მრავალფეროვანი ცხოვრება-მოღვაწეობა მთლიანობაში ჩვენ დროში სპეციალური შესწავლის საგნად ჩერ თითქმის არავის არ გაუხდია. ის სოლიდური სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შექმნილია მის შესახებ რევოლუციამდე. დღემდე მარქსისტული თვალთახედვით არაა განხი-

ლული და შეფასებული. გამონაკლისს შეადგენს რუსული სიძველეების, ლექსიკოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული ცალკეული შრომები (ნ. ზღობნოვი, ი. კაუფმანი და სხვ.), რომლებშიც მეტწილად არის შეფასებული ე. ბოლხოვიტინოვის წვლილი ამ დარგების ჩასახვა-განვითარების საქმეში.

ჩვენი მიზანია რეკოლუციამდელ და საბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, აგრეთვე სხვადასხვა საარქივო მასალების გამომზეურებით წარმოვაჩინოთ ის საპატიო როლი, რომელიც მიუძღვის ე. ბოლხოვიტინოვს XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთისა და ნაწილობრივ დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში საქართველოსადმი ინტერესის გაღვივების საქმეში, ასევე მისი დამსახურება ქართული კულტურის და ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლის საქმეში.



## თავი პირველი

ივანე (ივანოვი) ალექსის ძე ბოლხოვიტინოვი  
(1767—1837 წწ.)

### ცხოვრების გზა

ე. ა. ბოლხოვიტინოვი დაიბადა 1767 წ. 18 დეკემბერს ქ. ვორონეჟში, ღარიბი სასულიერო პირის ოჯახში. 1778 წ იგი შეიყვანეს ვორონეჟის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1785 წ. ამავე წელს ე. ბოლხოვიტინოვი, როგორც წარჩინებული მოსწავლე, სახელმწიფო ხარჯზე გააგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად, იმ პირობით, რომ იგი დამთავრების შემდეგ პედაგოგად მშობლიურ სასწავლებელს დაუბრუნდებოდა.

მოსკოვის ე. წ. სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში იგი წარმატებით ეუფლება ფილოსოფიას, საფუძვლიანად სწავლობს ბერძნულ, ლათინურ და ფრანგულ ენებს. ე. ბოლხოვიტინოვს არ აკმაყოფილებს აკადემიის მეცნიერული დონე და აქ გამეფებული სქოლასტიკური სწავლება, რომელთა გამო პარალელურად ისმენს ლექციებს მოსკოვის უნივერსიტეტში. იგი განსაკუთრებული ინტერესით ეწაფება ლექციებს, რომლებსაც კითხულობდნენ იმ დროისათვის თვალსაჩინო მეცნიერები: იოჰან ბადენი — ზოგადი ზნეობითი ფილოსოფია, ჟან ჟაკ ბოდუენი — ფრანგული მჭევრმეტყველება, იოჰან როსტი — ცდისეული ფიზიკა და იოჰან გეიმე — გერმანული ენა. ე. ბოლხოვიტინოვის ეს დიდი სიმპათიები მათდამი ნათლად გამოსკვივის ჯერ კიდევ 1805—1806 წლებში მოსკოვის უურნალ „დროუგ პროსვესჩენიე“-ს ფურცლებზე მის მიერ გამოქვეყნებულ „ახალი ცდა რუსული მწერლობის ისტორიულ ლექსიკონში“ მათი ბიოგრაფიების შეტანით, რაც კიდევ უფრო გააღრმავა ორტომიან „რუს საერო მწერალთა ლექსიკონში“ მათდამი მიძღვნილ სტატიებში<sup>1</sup>.

მოსკოვის უნივერსიტეტში ე. ბოლხოვიტინოვი მალე გარს იკრებს სტუდენტთა ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ შემდგომში ცნო-

<sup>1</sup> Словарь русских светских писателей, М., 1845, с. 2.

ბილი მთარგმნელები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ვ. მ. პროტოპოვი, თ. ფ. როზანოვი, გ. ნეეზოროვი და სხვ.<sup>2</sup>

მოსკოვში ე. ბოლხოვიტინოვის სწავლის პერიოდი აღსანიშნავია ნიკოლოზ ივანეს-ძე ნოვიკოვის (1744—1818 წ.) სახელგანთქმულ სამეცნიერო წრეში მისი შესვლით, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდის ლიტერატურული მიზნები, კვლევა-ძიებითი მისწრაფებები. საერთოდ უნივერსიტეტის კედლებში გატარებულმა წლებმა დიდი კვალი დააჩნია ბუნებით მომადლებული ნიკოსა და შრომისმოყვარე ე. ბოლხოვიტინოვის მსოფლმხედველობის და ინტერესების ჩამოყალიბებაში.

ე. ბოლხოვიტინოვმა ათი წელი დაჰყო მოსკოვში და სწორედ აქ დაიწყო მან თავისი თარგმანების და ორიგინალური შრომების გამოქვეყნება. აკადემიის კედლებში იგი შეუდგა თარგმანს ფრანგული ენიდან. კერძოდ. 1787 წელს მან მოსკოვში გამოსცა „პარნასის ისტორია“, ეკენსაიდის „ნეტარება აზროვნების უნარისაგან“ და ფენელონის „ძველ ფილოსოფოსთა ცხოვრების მოკლე დახასიათება“. ამ არჩევანით ე. ბოლხოვიტინოვმა ნათლად გამოხატა თავისი ლიტერატურული სიმპათიები.

მომდევნო 1788 წ. იგი მოსკოვში აქვეყნებს პირველ ორიგინალურ ნაშრომს „ახალი ლათინური ანბანი“.

ე. ბოლხოვიტინოვმა მოსკოვის სასულიერო აკადემია დაამთავრა 1788 წ. და პირობისამებრ იგი დაუბრუნდა მშობლიურ სასწავლებელს ქ. ვორონეჟში. 1789 წ. იანვრიდან იგი დაინიშნა რიტორიკისა და ფრანგული ენის მასწავლებლად, ხოლო 20 აგვისტოდან ვიცე პრეფექტად. 1790 წლიდან იგი ამასთანავე ასწავლის ფილოსოფიასაც. 5 წლის განმავლობაში რექტორის არყოფნის გამო 1789—94 წლებში იგი ფაქტიურად ასრულებდა სასულიერო სემინარიის რექტორის მოვალეობას.

აქ მან ინტენსიურად მოჰკიდა ხელი სტუდენტთა დახელოვნებას. მისი ხელმძღვანელობით დაიწერა ბევრი საყურადღებო ნაშრომი. კლასიკური ენებიდან თარგმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი თხზულება.

აღსანიშნავია, რომ სემინარიაში იგი არ ისაზღვრებოდა მხოლოდ ლექციების კითხვით. მოკლე დროში ე. ბოლხოვიტინოვმა სახელი მოიხვეჭა როგორც თვალსაჩინო მკვლევარმა. მაგრამ არც სემინარიაში არსებული ატმოსფერო აღმოჩნდა მისთვის მისაღები და სულ მალე სემინარიის ფარგლებს გარეთ — „სახალხო სასწავლებლის“ პედაგოგთაგან აყალიბებებს წრეს, რომლის წევრები, სხვადასხვა მიდრეკილებისა და მსოფლმხედველობის პირები: ს. ვ. იუშკოვი, ა. პ. ზინოვიევი, ვ. მაკედონეცი და სხვები თავიანთ შეკრებებზე მსჯელობდნენ

<sup>2</sup> Кожемякин А. В., Евгений Болховитинов (1767—1837), «Очерки литературной жизни Воронежского края». 1976, с. 23.

რუსული ლიტერატურის საკითხებზე, მუსიკაზე, თეატრზე, სოცი-  
ოლოგიურ პრობლემებზე და სხვ. ვორონეის სახალხო სასწავლებელ-  
თან არსებულმა ამ წრემ, რომელიც არცთუ იშვიათად მისი ხელმძღვა-  
ნელის ბინაზე იკრიბებოდა, სამართლიანად მიიღო „ე. ბოლხოვიტი-  
ნოვის წრის“ სახელი.<sup>3</sup>

1792 წ. იგი თარგმნის ხელისუფლების მიერ ათეალისწინებული  
ინგლისელი პოეტის ალექსანდრე პოპის (1688 — 1744 წწ.) „Опыт чело-  
веческой природы“ და „Различные мнения“, რომელთაგან პირველი,  
ცენზურის წყალობით, გამოქვეყნდა 14 წლის დაგვიანებით (1806 წ.).

ე. ბოლხოვიტინოვის წრემ, რომელმაც იარსება 8 წელი (1792—  
1800 წწ.), მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ვორონეის კულტურულ  
ცხოვრებას.<sup>4</sup>

სახელდობრ, მისმა წევრებმა დააარსეს სტამბა, სადაც 1798 წ. და-  
იბეჭდა პირველი წიგნი ამ ქალაქში: „ვორონეის გუბერნიის სტამბის  
პირველი ცდა“. სტამბამ, რომლის სულის ჩამდგმელი ე. ბოლხოვიტი-  
ნოვი იყო, იარსება 7—8 წელი და გამოსცა 30 დასახელების წიგნი.  
1793 წ. ე. ბოლხოვიტინოვი ქორწინდება ლიპეცკელ ანა როსტორგო-  
ვაზე. შექმნილმა მყუდრო პირობებმა მას საშუალება მისცა უფრო  
ნაყოფიერად გაეგრძელებინა პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობა.  
მაგრამ 1799 წ. მის ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ — ერთი წლის  
მანძილზე შეუღლისა და 3 შვილის დაკარგვამ და მეგობრების დაეი-  
ნებულმა რჩევამ უბიძგა მას სამოღვაწეო ასპარეზად აერჩია სასუ-  
ლიერო კარიერა.

ამ მოულოდნელი არჩევანით გულდაწყვეტილმა სტუდენტებმა  
1800 წ. 25 იანვარს გულთბილი გამოსათხოვარი საღამო მოუწყვეს სა-  
ყვარელ პედაგოგს და შემდეგი სტრიქონები უძღვნეს:

Сей муж был добр и чист душою  
Он правосудие хранил,  
Был славен мудростью своею  
Он сердцем истину любил...<sup>5</sup>

1800 წ. დამდევს ე. ბოლხოვიტინოვი უახლოესი მეგობრის, ცნო-  
ბილი ისტორიკოსის ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის (1738—1815) სარეკომენ-  
დაციო წერილით აღკურვილი წარსდგა პეტერბურგის მიტროპოლიტ  
ამბროსის (პოდოპედოვი) წინაშე. 1800 წ. მარტის პირველ ნახევარში  
იგი დანიშნეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკა-

<sup>3</sup> Кожмякин А. В. Евгений Болховитинов (1767—1837), «Очерки  
литературной жизни Воронежского края», 1976, с. 29.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 20.

<sup>5</sup> Шмурло Е. Ф. Митр. Евгений как ученый, СПб., 1888, с. 100.

დემიის პრეფექტად, აგრეთვე ფილოსოფიისა და უმაღლესი მკერამეტ-  
ყველების მასწავლებლად. პარალელურად იგი ინიშნება ჯერ ზელენე-  
ციის მონასტრის არქიმანდრიტად, ხოლო 1802 წ. წმ. სერგის უდაბნოს  
(პეტერბურგის მახლობლად) არქიმანდრიტად. ტრადიციისამებრ, იგი  
იცილის ერისკაცობის სახელს ექვთიმეს და ირქმევს ევგენის.

ე. ბოლხოვიტინოვი მოკლე დროში ზედიზედ იღებს რამდენიმე  
შალალ ხარისხს, რაც გზას უხსნის სასულიერო იერარქიის გზაზე. კერ-  
ძოდ, 1804 წლის იანვრიდან ინიშნება ნოვგოროდის ეპისკოპოსად,  
1808 წ. იგი ვოლოგდაში გადაჰყავთ ამავე ხარისხში, ხოლო 1813  
წლიდან კალუგის ეპარქიის წინამძღვარია.

1816 წლიდან ე. ბოლხოვიტინოვი ფსკოვშია, ხოლო 1822 წლიდან  
გარდაცვალებამდე კიევის მიტროპოლიტია. ამიტომაც სპეციალურ  
ლიტერატურაში იხსენიება როგორც ევგენი — კიევის მიტროპოლიტი.

უთუოდ ხაზი უნდა გაესვას ე. ბოლხოვიტინოვის მოღვაწეობის  
ერთ ფრიად დამახასიათებელ თავისებურებას: ყველგან, სადაც კი გა-  
დაჰყავთ იგი საპუშაოდ, გულმოდგინედ ეძიებდა, აგროვებდა და სწავ-  
ლობდა ძველ რუსულ ხელნაწერებს, რუსეთის თითოეულ უძველეს  
მხარეს უძღვნიდა საგანგებო ისტორიულ სამხარეთმცოდნეო ნაშრომს,  
რომელთა უმრავლესობას მათში გამოქვეყნებული უმდიდრესი ფაქ-  
ტობრივი მასალის გამო დღესაც არ დაუქარგავთ მნიშვნელობა.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ნუსხას, პირველწყაროებზე და-  
ფუძნებულ ცალკე წიგნებად გამოცემულ იმ ნაშრომებისას, რომლებიც  
ე. ბოლხოვიტინოვმა მიუძღვნა ზემოთ ხსენებული ქალაქებისა და მხა-  
რეების ისტორიულ წარსულს:

1. ვორონეჟის გუბერნიის ისტორიული, გეოგრაფიული და ეკო-  
ნომიკური აღწერა. 1800 წ. ვორონეჟი.

2. სამი ისტორიული საუბარი დიდი ნოვგოროდის სიძველეებზე.  
1808 წ. მოსკოვი.

3. ვოლოგდისა და ზირიანის სიძველეების შესახებ. 1818 წ. სპბ.

4. ფსკოვის მღვიმეთა მონასტრის აღწერა. 1821 წ. დერპტი.

5. უძველესი სლავურ-რუსული სათავადოს ქალაქ იზბოსკის  
მატიანე. 1825 წ. სპბ.

6. ფსკოვის სამთავროს ისტორია. 1831 წ. კიევი.

7. კიევი აღმოჩენილი სიძველეების შესახებ. 1824 წ. კიევი.

8. კიევის მღვიმეთა ლავრის აღწერილობა. 1826 წ. 1831 წ. კიევი.

9. კიევის სოფიის ტაძრის აღწერილობა, 1827 წ.<sup>7</sup>

ჩვენ ამ სიაში არ შეგვაქვს ე. ბოლხოვიტინოვის მიერ პერიოდულ

<sup>6</sup> Славяноведение в дореволюционной России (Библиографический словарь). М., 1979, с. 81—82.

<sup>7</sup> აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვის ეს წიგნი თავის პირად ბიბ-  
ლიოთეკაში დაცული ჰქონდა ა. ს. გრიბოედოვის.

პრესაში (ეურნალები „დრუგ პროსვესჩენია“, „სევერნი ვესტნიკი“ და სხვ.) გამოქვეყნებული საყურადღებო ნაშრომები, რომლებიც ავტორს აგრეთვე მიძღვნილი აქვს რუსეთის უძველესი ქალაქებისა და სიძველეებისადმი.

ნოვგოროდიდან მოკიდებული, მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი დაუღალავად აწარმოებდა რუსული სულიერი თუ მატერიალური კულტურის ძეგლების გამოძიებებს და მათს მეცნიერულ დამუშავებას. ეს ის ხანაა (ე. ი. XIX საუკუნის პირველი მეოთხედი), როდესაც რუსულ ეკლესია-მონასტრებში დაცული ისტორიულ-ლიტერატურული მასალები გამოვლენას, დაცვას და მეცნიერულ შესწავლას ელოდა. და, მართლაც, ბევრი პირველხარისხოვანი ისტორიულ-ლიტერატურული წყარო მხოლოდ და მხოლოდ ე. ბოლხოვიტინოვის წყალობით გადარჩა განადგურებას.

ე. ბოლხოვიტინოვი, როგორც ნიჭიერი მკვლევარი, თანდათანობით ცნობილი ხდება სამეცნიერო საზოგადოებისათვის სწორედ ნოვგოროდის მოღვაწეობის პერიოდიდან. და, მართლაც, 1805 წლიდან მოყოლებული მას უკვე ხშირად ირჩევენ თავის საპატიო და ნამდვილ წევრად რუსეთის სხვადასხვა ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულებები თუ საზოგადოებები.

სახელდობრ, ოცდაათი წლის მანძილზე (1805—1834 წწ) ე. ბოლხოვიტინოვი არჩეული იყო რუსეთის 3 აკადემიის, რვა უნივერსიტეტისა და 10 სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო საზოგადოების წამდვილ ან საპატიო წევრად.

კერძოდ, იგი არჩეული იყო რუსეთის აკადემიის ნამდვილ (1806 წ.), საპედიცინო-ჭირურგიულ (1808 წ.) და მეცნიერებათა აკადემიების (1826 წ.) საპატიო წევრად. აგრეთვე მოსკოვის (1805 წ.), ხარკოვის (1817 წ.), ყაზანის (1817 წ.), ვილენის (1826 წ.), დერპტის (1827 წ.), პეტერბურგის (1829 წ.) და კიევის (1834 წ.) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად ან საპატიო წევრად<sup>8</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის სამეცნიერო მოღვაწეობის დიდ აღიარებად უნდა იქნეს მიჩნეული მისი არჩევა შემდეგი სამეცნიერო საზოგადოებისა ნამდვილ ან საპატიო წევრად: „პეტერბურგის ზეპირსიტყვიერებისა და ხელოვნების მეცნიერების მოყვარულთა“ (1810 წ.), „პეტერბურგის რუსული სიტყვიერების“ (1811 წ.), „მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ისტორიის და სიძველეთა“ (1811 წ.), „მოსკოვის ზეპირსიტყვიერების საზოგადოების“ (1812 წ.), „ყაზანის უნივერსიტეტთან არსებული სამამულო ზეპირსიტყვიერების“ (1814 წ.), „მოსკოვის სამედიცინო და ფიზიკათ მეცნიერებათა“ (1815 წ.), „პეტერბურგის რუსული ზეპირსიტყვიერების მოყვარულ“ (1818 წ.), „შინაგან საქმე-

<sup>8</sup> Словарь русских светских писателей. М., 1845.

თა საპინისტროს სტატისტიკური საზოგადოების“ (1835 წ.), აგრეთვე „კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვარული საზოგადოების“ (1834 წ.) საპატიო თუ ნამდვილ წევრად<sup>9</sup>.

ყველა ამ საზოგადოების მეცნიერულ მუშაობაში ე. ბოლხოვიტინოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა და მათ გამოცემაში პერიოდულად ბეჭდავდა თავის გამოკვლევებს.

დასასრულს ყურადღებას გავამახვილებთ ე. ბოლხოვიტინოვის ბიოგრაფიის კიდევ ერთ, ფრიად საგულისხმო გარემოებაზე, მის ქველმოქმედებაზე, კერძოდ, 1802—04 წ. იგი აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგის ე. წ. „დამშეულთა დამხმარე კომიტეტის“ საქმიანობაში, პირველი დიდი სამამულო ომის წლებში მან დიდი თანხა შესწირა სამშობლოს დაცვის საქმეს<sup>10</sup>, ხოლო 1834—36 წწ. მანვე 7 ათასი მანეთი გაიღო კიევის იმ სტუდენტთა წახალისებისათვის, რომლებიც დაწერდნენ გამოკვლევებს ძველი რუსეთის წარსულიდან<sup>11</sup>, ე. ბოლხოვიტინოვის სახელთანაა დაკავშირებული კიევში საკუთარი სახსრებით პირველი არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება, რის შედეგად 1834 წ. გამოვიჩინდა ფასდაუდებელი ისტორიული ძეგლის — ღვთისმშობლის, ე. წ. მეთაღდწილოვანი ეკლესიის (996 წ.) საძირკვლის აღმოჩენა და ცნობილი სამხედრო-საინჟინრო ნაგებობის „ოქროს კარის“ ტერიტორიის გათხრა და მის გასამაგრებელ სამუშაოთა ჩატარება<sup>12</sup>.

რუსული მეცნიერების განვითარების საქმეში ზემოთ აღნიშნული ყველა დამსახურების გამო, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1837 წლის დამდეგს გამოჩენილ პოეტ ვ. უუკოვსკისთან ერთად ე. ბოლხოვიტინოვი დააჯილდოვა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით. მაგრამ მისი გარდაცვალების გამო აკადემიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ნაცვლად მედლისა სხდომათა დარბაზში მოწყობილ გამოჩენილ მეცნიერთა გალერეაში მოეთავსებინა მისი ფერწერული სურათი<sup>13</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვი გარდაიცვალა 1837 წ. 27 თებერვალს ქ. კიევში, დაიკრძალა იქვე ცნობილი წმ. სოფიის ტაძრის ტერიტორიაზე.

ე. ბოლხოვიტინოვის სამეცნიერო ინტერესთა ფართო დიაპაზონი და ჩვენი საღისერტაციო თემის ამოცანები, თუნდაც, ზოგადად მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ყველა დარგის მიმოხილვის საშუალებას

<sup>9</sup> Словарь русских светских писателей, М., 1845, с. 5.

<sup>10</sup> Русский архив, 1872, № 10, столб 1862-ой.

<sup>11</sup> Сборник статей, читанных в отд. русского языка и словесности, СПб., 1868, с. 39.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>13</sup> Сборник статей, читанных в отд. русского языка и словесности, СПб., 1868, с. 210.

არ გვაძლევს, ამიტომ, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობიდან შეეცე-  
ბით მხოლოდ ორ საკითხს:

1) ე. ბოლხოვიტინოვი — ძველი რუსული წერილობითი ძეგლების  
შემკრები და გამომცემელი.

2) ე. ბოლხოვიტინოვი — ბიბლიოგრაფი.

დასასრულს შევეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ  
ე. ბოლხოვიტინოვის მსოფლმხედველობრივი მრწამსი.

ი. ბოლხოვიტინოვი — ძველი რუსული წერილობითი ძეგლების  
შემკრები და გამომცემელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ე. ბოლხოვიტინოვის საბეჭდილო ას-  
პარეზზე გამოსვლის პერიოდი ემთხვევა ხანას, როდესაც რუსეთის ეკ-  
ლესია-მონასტრებთან და კერძო კოლექციებში დაკული უამრავი ძვე-  
ლი რუსული წერილობითი ძეგლი ელოდა თავის მკვლევარს და ნამ-  
დვილ დამფასებელს. და მართლაც, ამ დარგში თავისი ნაყოფიერი  
საქმიანობით ე. ბოლხოვიტინოვმა თავიდანვე მიიქცია თანამედროვეთა  
ყურადღება. ბევრ მაგალითს რომ არ მივმართოთ, მოვიტანთ ერთ შემ-  
დეგ შეფასებას: „და, აი, იყო ადამიანი, წერდა პროფესორი პოგოდინი  
ე. ბოლხოვიტინოვის შესახებ, რომელსაც არ შეეძლო სადმე გაეტა-  
რებინა თუნდაც ერთი დღე ისე, რომ მისი შრომა არ დაგვირგინე-  
ბულიყო ისტორიის სასარგებლოდ. სადაც არ უნდა დამკვიდრებული-  
ყო იგი, მაშინვე იწყებდა ძებნას, შეგროვებას, აღწერას. ვორონეჟი,  
ხოვგოროდი, ფსკოვი, ვოლოგდა და კიევი მან დასაჩუქრა თავისი  
დაუღალავი შრომის ნაყოფით. იგი იყო ერთ-ერთი უდიდესი შემგრო-  
ვებელი მათ შორის, რომლებიც ოდესმე არსებობდნენ“<sup>14</sup>.

ნოვგოროდმა თავისი არაჩვეულებრივი მღვდარი სიძველეებით  
ე. ბოლხოვიტინოვზე თავიდანვე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდი-  
ნა. აქვე კპოვა ფართო ნიადაგი თავის შესაძლებლობის გასაშლელად,  
თითქმის პირველსავე დღეებიდანვე შეუდგა სოფლის ცნობილი ტაძრის  
საცავში არსებულ ხელნაწერთა მოძებნასა და წესრიგში მოყვანას, რი-  
თაც არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი გადაარჩინა დაღუპვას და  
განადგურებას. ამაზე ნათლად მეტყველებს პროფ. სრეზნევისკის მიერ  
აღწერილი ერთი ეპიზოდი ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრებიდან, რომე-  
ლიც მრავალთა შორის საუკეთესო ფაქტია მისი ღვაწლის დასახასია-  
თებლად. შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქ. ნოვგოროდში, ე. ბოლხოვი-  
ტინოვის ჩასვლის პირველ დღეს (1804 წ.), კერძოდ, როდესაც იგი  
უახლოვდებოდა თავის მომავალ ადგილსამყოფელს წმ. იურის (გიორ-  
გის) ცნობილ მონასტერს, მას შეუმჩნევია გზაზე მიმავალი, დატვირ-

<sup>14</sup> «Исторический», 1842, № 8, с. 255—256.

თული ურემი ბერის თანხლებით. გამოსაუბრებისას, ბერს უპასუხია, რომ ტვირთი წარმოადგენს ნაგვის გროვას, რომელიც შეუფეროვებიათ მონასტრის დასუფთავებისას და მიჰქონდა მდინარეში გადასაყრელად. სათანადო ალლომ ე. ბოლხოვიტინოვს უკარნახა შეემოწმებინა „ნაგავი“. მისთვის მაშინვე ნათელი შეიქმნა, რომ იგი წარმოადგენდა ძვირფასი ძველი რუსული ხელნაწერი წიგნებისა და ცალკეული დაფანტული უნიკალური ფურცლების გროვას, რომელთა შორის აღმოჩნდა XI ს. პერგამენტებიც: „დავითნის“, „წმ. კონდრატესა“ და „წმ. თეკლეს ცხოვრებათა“ ხელნაწერები. შემდგომში ამ უნიკალურმა წერილობითმა ძეგლებმა სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად დაიმკვიდრა „ევეგენისეული“ ნუსხის სახელი<sup>15</sup>.

მის მიერ ნოვეგოროდში გამოვლენილ და გამოცემულ უძვირფასეს ძეგლებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პერგამენტზე შესრულებული უძველესი რუსული იურიდიული დოკუმენტი: „ნოვეგოროდის დიდი მთავრის მსტისლავ ვლადიმერის ძისა და მისი ვაჟის ვსევოლოდ მსტისლავის ძის მიერ ნოვეგოროდის წმ. გიორგის (იურის) მონასტრისადმი ნაბოძები სიგელი“ (1130 წ.), რომელიც წარმოადგენს აღნიშნული მთავრის ცოლის მხრიდან მზითვად მიღებული მამულების წმ. გიორგის (ე. ი. აურის) მონასტრისადმი შეწირულობას და მათს უფლება-მოვალეობაზე ამ მამულების მიმართ<sup>16</sup>.

ისტორიულ საბუთთა წაიკთხვა და დამუშავება, ბუნებრივია, მკვლევართაგან მოითხოვდა დიდ გამჭრიახობას და უნარს, რაც საკმაოდ აღმოაჩნდა ე. ბოლხოვიტინოვს. ეს თვისება განსაკუთრებით გამოვლინდა ისეთი შრომატევადი რთული საქმის შესრულებაში, როგორცაა ძეგლის გაშიფვრა, დათარიღება, ისტორიულ პირთა ვინაობის დადგენა და სხვა.

„ე. ბოლხოვიტინოვი აანალიზებდა ასოთა მოხაზულობას, ვკითხულობთ წიგნში „სლავთმცოდნეობა რევოლუციამდელ რუსეთში“. მასალას ხელნაწერისას, განიხილავდა სტრიქონზედა ნიშნებს, მათ შორის მახვილის ნიშნებს, წერდა იუსზე<sup>17</sup>. როგორც ძველხელნაწერ ასოზე და მეტყველების ბგერაზე. რითაც მან წინ გაუსწრო თავისი დროის მეცნიერებს“<sup>18</sup>.

<sup>15</sup> Сводный каталог славяно-русских рукописных книг, хранящихся в фондохранилищах СССР (XI—XIII вв.). М., 1984, с. 61—62, 71—72.

<sup>16</sup> Славяноведение в дореволюционной России (Библиографический словарь). М., 1979, с. 81—82.

<sup>17</sup> АЖ — კირილიცას ანბანის 35-ე და 37-ე ასოები, რომლებიც გამოსახავდნენ ძველ სლავურ ცხვირისმიერ თანხმოვან ბგერებს: (ѣ—(ѣ), џ (џ)), ეს ასოები რუსულ ანბანიდან ამოღებულ იქნა პეტრე I რეფორმების საფუძველზე (ს. ლ.).

<sup>18</sup> Славяноведение в дореволюционной России (Библиографический словарь). М., 1979, с. 81—82.



ნოვგოროდის სოფიის ტაძრის ძველ ხელნაწერებს შორის, — წერდა იგი 1807 წ. აკად. ნარტოვს, — მივაკვლიე XII საუკუნის ერთ რუს მწერალს, რომლის თხზულებასაც ეწოდება: „მიმოსვლა რუსეთ-თა ქვეყნის იღუმენის დანიელისა“. ეს აღმოჩენა, ჩემი აზრით, ძვირფასი უნდა იყოს რუსული მწერლობისათვის<sup>19</sup>. აქ იგულისხმება დღემდე შემორჩენილი რუსული პოლიტიკური ლიტერატურის ყველაზე ადრინდელი ნაწარმოები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ე. ბოლხოვიტინოვის პუბლიკაციის წყალობით ჩვენამდე მოაღწია კიდევ ერთმა შესანიშნავმა წყარომ, 1615 და 1623 წლების ნოვგოროდის აღწერილობამ, რომლის დედნები ხანძრის შედეგად განადგურდა 1812 წელს. დოკუმენტები მან დაურთო თავის ცნობილ ნაშრომს: „ეკონოიეის გუბერნიის ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური აღწერა“ 1800 წ.

საყოველთაოდ ცნობილია ე. ბოლხოვიტინოვის მკვიდრო კავშირი ნ. პ. რუმინაევის (1754—1826 წწ) ცნობილ სამეცნიერო წრესთან, რომელსაც ამშვენებდნენ სახელები თავისი დროის ისეთი თვალსაჩინო მეცნიერებისა, როგორებიც იყვნენ ა. ხ. ვოსტოკოვი, ვ. ანასტასევიჩი, კ. ფ. კალაიდოვიჩი, ა. მ. სტროევი და სხვანი.

ამ ფაქტზე მართებულად მითითებულა 1980 წ. გამოცემული „X—XVIII ს. რუსული ლიტერატურის ისტორიის“ სახელმძღვანელოში: „ნ. პ. რუმინაევის თანამშრომელთა შორის უნდა დავასახელოთ გ. რ. დერჟავინის მეგობარი მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი, რომელიც რუსეთის რომელ ძველ ქალაქებშიც არ უნდა დაენიშნათ, იგი აგროვებდა და სწავლობდა ხელნაწერებს“<sup>20</sup>...

ნ. რუმინაევემა, რომელსაც სიძველეების შეგროვების იდეა 1804 წ. ე. ბოლხოვიტინოვმა მიაწოდა, გამოავლინა უდიდესი ორგანიზატორული უნარი წრის ხელმძღვანელისა და მისი მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეში. წრე შედგებოდა 53 წევრისაგან, რომელთა შორის 7 პროფესორი და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი იყო, 4 აკადემიის წევრი, 26 ჩინოვნიკი, 6 სასულიერო დარგის მოღვაწე. 12 უმუშაოდ წრის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობდა<sup>21</sup>.

საზოგადოებამ იმთავითვე მიზნად დაისახა შეეგროვებინა. ღაეცვა და შეესწავლა ისტორიის, ლიტერატურის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ნიმუშები, გაეხსნა მუზეუმები, რომელიც თავს მოუყრიდა მოპოვებულ მასალას, რაც პირნათლად განახორციელეს ამ სახელგანთქმული წრის წევრებმა, მათ შორის ე. ბოლხოვიტინოვმა. წრის წევრები პერიოდულად აწყობდნენ ექსპედიციებს ძველ რუსულ ქალაქებში,

<sup>19</sup> Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений как ученый, СПб, 1888, с. 102.

<sup>20</sup> История русской литературы X—XVII веков, М., 1980, с. 18.

<sup>21</sup> Козлов В. П. Колумбы российских древностей, М., 1931, с. 40.

აწარმოებდნენ იქ მდებარე ეკლესია-მონასტრებში დაცული ხელნაწერების გამოვლენას. მათ აღწერას და გაპოცემას.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩატარებული ნაყოფიერი შრომით ე. ბოლხოვიტინოვმა თვალსაჩინო სამსახური გაუწია ისტორიის და ლიტერატურის დამხმარე დისციპლინების წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, სლავიანოლოგიის აღმოცენების საქმეს რუსეთში. აღნიშნული საშვილიშვილო ღონისძიებების განხორციელებას, რა თქმა უნდა, ე. ბოლხოვიტინოვს დიდად უადვილებდა სხვადასხვა მხარეთა მწყემსთმთავრობა.

## ე. ბოლხოვიტინოვი — ბიბლიოგრაფი

როგორც ცნობილია, ე. ბოლხოვიტინოვის მეცნიერულ მემკვიდრეობაში ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ამ ნაშრომებმა იმთავითვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. რადგანაც ისინი აშკარად მიუთითებდნენ ე. ბოლხოვიტინოვის შრომისმოყვარეობასა და განსწავლულობაზე, რაც მთავარია, ემყარებოდნენ ავტორის მიერ მოძიებულ მდიდარ პირველწყაროებს. ამ საქმიანობას იგი ეწეოდა მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, რითაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ამ დარგის განვითარებას რუსეთში. „ე. ბოლხოვიტინოვმა, — წერს თანამედროვე საბჭოთა მეცნიერი ვ. კუსკოვი, — გასწია კოლოსალური მუშაობა ბიბლიოგრაფიული საქმიანობების შესაქმნელად“<sup>22</sup>, და ნათქვამის საილუსტრაციოდ ჩამოთვლილი აქვს ყველა მისი ძირითადი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი.

თავდაპირველად ე. ბოლხოვიტინოვმა დაამუშავა და მოსკოვერ ქურნალ „დრუგ პროსვეშჩენიეს“ 1805—1806 წწ. ფურცლებზე გამოაქვეყნა რუსული, საერო და სასულიერო ლიტერატურის, აგრეთვე კულტურის წარმომადგენლის 300-მდე ბიოგრაფია. ნაშრომი შეწყდა ასო „კ“-ზე (კირილიოვი) ქურნალის დახურვის გამო.

როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ნაშრომში წარმოდგენილი არიან:

1. რუსი მწერლები, რომლებიც წერდნენ არა მხოლოდ რუსულად, არამედ სხვა ენებზე.

2. უცხოელები, რომლებიც იმყოფებოდნენ რუსეთის სამსახურში და წერდნენ რუსეთის შესახებ (ა. შლეცერი, ი. გიულდენშტედტი; ფ. მილერი და სხვ.).

3. რუსი მთარგმნელები, რომლებიც თარგმნიდნენ როგორც ევროპული, ასევე აღმოსავლური ენებიდან<sup>23</sup>.

<sup>22</sup> Кусков В. В. История древнерусской литературы, М., 1982, с. 16.

<sup>23</sup> Друг просвещения. М., 1805, № 12, с. 10—11.

ე. ბოლხოვიტინოვი გვევლინება ღირსეულ გამგრძელებლად იმ ტრადიციებისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ნ. ნოვიკოვმა თავის ცნობაში: „რუსეთის მწერალთა ისტორიული ლექსიკონით“, რაზედაც შემდეგ ე. ბოლხოვიტინოვმა საგანგებოდ აღნიშნა კიდევ თავის წინასიტყვაობაში.

ეს ნაშრომი იყო სერიოზული განაცხადი სამეცნიერო სარბიელზე. რის გამოც 1805 წ. იგი აირჩიეს მოსკოვის უნივერსიტეტის წევრად.

გაუთვალისწინებელი მრავალი წინააღმდეგობის გამო, რომელსაც ე. ბოლხოვიტინოვი წააწყდა მუშაობის პროცესში, იგი იძულებული გახდა შეეცვალა გადაწყვეტილება და შემდგომში სასულიერო და საერო მწერლობა გამოეყო ერთმანეთისაგან და 1818 წ. პეტერბურგში ორ წიგნად გამოცა: „ისტორიული ლექსიკონი რუსეთში მოღვაწე ბერძნულ-რუსული ეკლესიის სასულიერო წოდების მწერლობისა“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ლექსიკონის გამოსაცემად მომზადება და შემდგომ თვალის გადაეწევა მინდობილი ჰქონდა თავისი დროის ცნობილ მეცნიერს ვ. ანასტასევიჩს, მოლოდინის საწინააღმდეგოდ გამოვიდა სერიოზული ხარვეზებით (უხეში კორექტორული და აზრობრივი შეცდომების გამო). შემდგომ ე. ბოლხოვიტინოვი მიზანშეწონილად თვლის მის ხელახლა გამოცემას, რომლითაც არამარტო დაძლეულ იქნა წინა გამოცემის ნაკლოვანებები, არამედ გადაამუშავა და უფრო განავრცო იგი, 202 ავტორის ნაცვლად ბეჭდავს 268 ბიოგრაფიას. 1827 წ. პეტერბურგში გამოცემულ ამ ორტომეულს სარჩევის გარდა თან ერთვის კვალიფიციურად შესრულებული ანბანური და ქრონოლოგიური საძიებელი.

ნიშანდობლივია ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს ამ გამოცემისადმი რუსეთსა და უცხოეთში. კერძოდ, აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა მას „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“ (1828 წ. № 3), ხოლო 1827 წ. ლეიფციგში გამოვიდა მისი გერმანული თარგმანი<sup>24</sup>. არც ის ფაქტია ინტერესმოკლებული, რომ ზიგივე ნაშრომი იმავე ლეიფციგში (გდრ) გამოიცა 1971 წ.

მაინც რამ განაპირობა ეს განსაკუთრებული ინტერესი ამ ნაშრომისადმი? ამ კითხვას საკვებით მართებულ და დაპაჩწმუნებულ ახსნას აძლევს აკადემიკოსი ბიჩკოვი: „ლექსიკონმა მოახდინა უდიდესი გავლენა როგორც ლიტერატურაზე. ასევე საზოგადოებრივ განათლებაზე, შეიტანა მიმოქცევაში მნიშვნელოვანი რაოდენობა ახალი ცნობებისა, რომელთა შეგროვება ხანგრძლივი რუღუნებითა და ძიებებით იყო შესაძლებელი. ზოგიერთი თავები ევგენის შრომისა წარმოადგენ-

<sup>24</sup> Кауфман Н. М. Русские биографические и библиографические справ., М., 1955, с. 290.

და თავისი დროის მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას, ასე მაგალითად, ბიოგრაფიული ძიებანი ჩვენი პირველი მესტამბის იოანე ფეოდოროვის შესახებ, დაწვრილებითი თავგადასავალი სამამულო წიგნთსაბეჭდვისა, ბიოგრაფია სლავთა პირველგანმანათლებლის მეთოდებს, ცნობები საბჭების ჯარგმნისა სლავურ ენაზე და სხვა“.

ეურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ ფურცლებზე მოთაესებული რეკენზიის ავტორი სხვა ღირსებებთან ერთად საგანგებოდ გამოყოფს ატატიებს მემატთანე ნესტორზე, თეოფანე პროკოპოვიჩზე და სხვ.

პარალელურად ე. ბოლხოვიტინოვი მუშაობს საერო ლიტერატურის ლექსიკონზე და 1821 წ. ეურნალ „სინ ოტენესტვა“-ს ფურცლებზე ბეჭდავს ამ დარგის 60-მდე წარმომადგენლის ბიოგრაფიას და მათი შემოქმედების მოკლე მიმოხილვას.

კიევის საეპარქიო და სამეცნიერო მუშაობით ფრიად დატვირთული ე. ბოლხოვიტინოვი 1835 წ. ნებას რთავს ი. სნეგირევის საკუთარ შეზღუდულებისამებრ გამოსცეს მისი საერო მწერლობის ლექსიკონი. 1838 წ. ფართო საშსჯავროზე გამოდის ი. სნეგირევისეული გამოცემის პირველი წიგნი („ა“ და „ბ“ ასოების გათვალისწინებით). ე. ბოლხოვიტინოვის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ გამოსულ ამ ნაშრომს სულ მალე მოყვა მკაცრი კრიტიკული გამოხმაურება. კრიტიკის საფუძველს იძლეოდა ის გარემოება, რომ ავტორის ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ გამომცემელმა მასში შეიტანა ერთი ნაწილი ცოცხალი ავტორებისა და არა ყველა ვინც ამ პატივს იმსახურებდა.

1844 წელს პროფ. პოგოდინმა სთხოვა ი. სნეგირევის დაეთმო მისთვის ე. ბოლხოვიტინოვის საერო ლექსიკონის გამოცემის საქმე. პროფესორმა მ. პოგოდინმა კარგად გაართვა თავი ნაკისრ ვალდებულებას და 1845 წ. უცვლელად გამოსცა პეტერბურგში ორ წიგნად. ნაშრომი კრიტიკის მიერ შეფასებულ იქნა დადებითად. გარდა საყოველთაოდ ცნობილ მწერლებსა, ლექსიკონში შეტანილ იქნენ ისეთი ავტორებიც, რომლებიც იმ ხანად ჯერ კიდევ ნაკლებად იყვნენ ცნობილი, რითაც ე. ბოლხოვიტინოვმა გაამდიდრა და ახალ საფეხურზე აიყვანა რუსული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის საქმე.

ლექსიკონის უდაო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მასში ფართო ადგილი დაეთმო პირველ რუს განმანათლებლებს მ. ვ. ლომონოსოვს და მისი სკოლის შესანიშნავ წარმომადგენლებს, ცნობილ მწერლებსა და მოაზროვნეებს: ნ. ნოვიკოვს, ი. პ. კოზელსკის, რ. ვ. დენსიკის, დ. ი. ფონვიზინს, დეკაბრისტების საყვარელ მწერალს ი. ბ. კნიაჟინს, გ. რ. დერჟავინს და სხვა.

მართო ის ფაქტი რად ღირს რომ მან თავის ლექსიკონში ფართო ადგილი დაუთმო ორი დიდი დეკაბრისტი ძმის ნიკიტა და ალექსანდრე მურავიოვების მამის მიხეილ ნიკიტას ძე მურავიოვის ბიოგრაფიას და

რაც მთავარია, არ მოერიდა მოეთავსებინა სტატია დეკაბრისტი პოეტის ძვედორე ნიკოლოზის ძე გლინკას შესახებ! როგორც ლექსიკონის პროფილი თხოულობდა მასში პირველი ადგილი აქვს დაბმობილი რუსული საერო ლიტერატურის (პოეზია, პროზა, დრამატურგია, ჟურნალისტიკა) წარმომადგენლებს. მაგრამ სალექსიკონო ერთეულების შინაარსის გაცნობისას ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, რომ იგი სრულიადაც არ არის დარგობრივი დანიშნულების ნაშრომი. კერძოდ, იგი მნიშვნელოვნად სცილდება მწერლობის საკითხებს და ატარებს ენციკლოპედიურ ხასიათს, რადგანაც მკითხველს მრავლად აწვდის ინფორმაციას რუსული კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებზე, მათ ღვაწლზე სამშობლოს წინაშე.

ნაწრონის წინაშე მდგარი ფართო ამოცანების გამო მასში მოხვდნენ მედიკოსები: მ. ი. ბაზილევჩი, ფ. ი. ბარსუკოვ-მოისეევი, ნ. კ. კარპინსკი, მ. მ. ტერეხოვსკი. მუსიკოსებიდან — მ. ს. ბერეზოვსკი, დ. ბორტნიანსკი, დ. კაშინი, ი. ვ. ხოლაშკინი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან — მათემატიკოსები მ. ე. გოლოვინი, ლ. ფ. მაგნიცკი, ფიზიკოსი — პ. ი. სტრანოვი, გეოგრაფები ე. ფ. ზიბლოვსკი, ი. კ. კირილიოვი, ე. ნუსინ პუშკინი, ფ. ა. პოლუნინი. ისტორიკოსები — ნ. ნ. ბანტიშკაშენსკი, ა. ა. ბარსოვი, ი. ნ. ბოლტინი, ი. ი. გოლიკოვი, ცნობილი არქიტექტორი ვ. ი. ბაქანოვი და მრავალი სხვა. სულ ნაშრომში შეტანილია 457 პიროვნების ბიოგრაფია, მათ შორის I ტომში 238, ხოლო მეორეში — 219.

თავისი ლექსიკონების შექმნისას ე. ბოლხოვიტინოვი მიზნად ისახავდა გაეღვივებინა ინტერესი რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების მიღწევებისადმი, ნათლად ეჩვენებინა მშობლიური მწერლობის მხატვრული სიმდიდრე და განვლილი საინტერესო ისტორიული გზა „იგორის ლაშქრობიდან“ მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით.

თავის ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში ე. ბოლხოვიტინოვი უხვად იყენებს ძველ ხელნაწერებს და ნაბეჭდ ლიტერატურას, რაშიც ხელს უწყობდა სლავური, ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენების ცოდნა. იგი სამართლიანად წერდა უახლოეს მეგობარს, ცნობილ ბიბლიოგრაფ ვ. სოპიკოვს: „გირჩევთ გასინჯოთ ჩემი „ახალი ცდა რუსული მწერლობის ისტორიულ ლექსიკონისა“. აქ შეხვდებით აგრეთვე ძველ და ახალ ავტორებს, ორიათას წიგნს წლებისა და გამოცემების ადგილების მინიშნებით“<sup>25</sup>.

ჩამოთვლის რა ამათუიმ მწერლის ბეჭდურ ნაწარმოებებს, საჭი-

როდ თვლის იქვე დაასახელოს ავტორთა გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც.

აღნიშნულ ღირსებათა გამო მისი ლექსიკონები გამოსვლისთანავე გადაიქცა რუსული ლიტერატურის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოდ არა მარტო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, არამედ პროფესორ-მასწავლებლებისათვის, რაც დადასტურებულია არაერთგზის.

როგორც აკად. მ. სუხომლინოვი შენიშნავდა: მისი შრომების წყალობით რუსული ლიტერატურის ისტორიამ, როგორც მეცნიერებამ მიიღო მკვიდრი დასაყრდენი, მის ლექსიკონების გამოჩენით დაიწყო ჩვენს უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის სისტემატიური კითხვა.

მან მოგვცა მეცნიერული გამოკვლევებისა და ლიტერატურული კრიტიკის თავისი დროისათვის შესანიშნავი ნიმუშები და მასთან ერთად წარმოგვიდგინა მთლიანი სურათი მთელი რუსული მწერლობისა. თავი მოუყარა ჩვენი ლიტერატურის განვითარების უამრავ მონაცემებს<sup>26</sup>.

ფრიად საგულისხმოა მოგონებები ე. ბოლხოვიტინოვზე, რომელთა ავტორებიც მოწიწებით იხსენებენ მის შესაძლებლობების ფართო დიაპაზონსა და უნარს ხელი მოემართა სხვისთვის.

აი, რას წერდა კიევის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი პროფესორი ა. მაქსიმოვიჩი (1804—1873 წწ): „მე მქონდა ბედნიერება მესარგებლა დიდად პატივცემულ ევგენის რჩევა-დარიგებებით და დავრწმუნებულყავი მის სიყვარულში ცოდნის გავრცელების საქმეში. რომელი წერილობითი ძეგლიც არ უნდა დამჭირებოდა ლექციისათვის, მე მის მხრიდან დაუყოვნებლივ ვპოულობდი დახმარებას“<sup>27</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის საერო ლექსიკონის ობიექტური შეფასება შეუძლებელია თუ არ გავითვალისწინებთ იმ საკმაოდ გაბედულ ნაბიჯს. რაც გამოიხატა მის მიერ ი. კნიაენინის (1742—1791 წწ.), როგორც მწერლის პოპულარიზაციის საქმეში XIX საუკუნის დამდეგს.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ამ ცნობილი რუსი დრამატურგის ვრცელი ბიოგრაფიის და შემოქმედების მიმოხილვის სხვადასხვა დროს სამ გზის (1802, 1805 და 1845 წლებში) გამოქვეყნება.

ე. ბოლხოვიტინოვს, თავის დროის ცნობილ მწიგნობარს, შეუძლებელია არ სცოდნოდა რაოდენ იყო დევნილი ხელისუფლების მიერ

<sup>26</sup> Сухомлинов М. И. История Российской академии, т. VII, с. 262.

<sup>27</sup> Русский архив, 1872, № 12.

ი. კნიაენინი. მისი მეამბოხე. ტირანიის წინააღმდეგ დაწერილი ანტი-ეკატერინისტული და ანტიმონარქისტული ტრალედიების „ოლგასა“ და „ნოვგოროდელი ვადიმის“ გამო. აქვე დაუჭერებელია ე. ბოლხოვიტინოვს არ სციოდნოდა ის რადიკალური ღონისძიებები, რომლებიც მიღებულ იქნა „ვადიმის“ მიმართ. როგორც ცნობილია, სენატის საგანგებო განკარგულებით 1791 წ. პიესის მთელი ტირაჟი კონფისკებული იყო და საჯაროდ განადგურებული. ხოლო იმათ მიმართ, ვინც შექმნილ ცადებს არ ჩააბარებდა პოლიციას, გამოცხადებულ იქნა სასტიკი მუქარა.

უფრო მეტიც, თავისი სტატიის საკოქმანო ადგილების თვითნებური ცვლილებების შეტანის ცდისათვის, იგი სასტიკად გაუნაწყენდა უფრონალ „დრუგ პროსვესჩენიას“ რედაქტორ ზვოხტოვს. „შივილე ჩემი თქვენგან დასახიჩრებული სტატია კნიაენინზე, — სწერდა იგი რედაქტორს 1804 წ. 24 მაისს, არა, ძვირფასო გრაფო, სტატია შემდეგომში თქვენ აღარ დაგიბრუნდებათ და იგი დარჩება ჩემ პორტფელში...“<sup>28</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვმა სტატიის დაბეჭდვის ნებართვა მას შემდეგ გასცა, რაც გარანტირებული შეიქმნა ტექსტის უცვლელად გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ შემცირება უნდა შეხებოდა „ვადიმის“ შესახებ მოცემულ დახასიათებას. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ თავის ვრცელ სტატიაში კნიაენინის ამ პირველ ბიოგრაფს მის მიმართ არ დასცდენია არც ერთი ძვირი სიტყვა.

როგორც ცნობილია, „ვადიმი“ და მისი ავტორი ათეულ წლების განმავლობაში იყო თავისებური სიმბოლო ოპოზიციურ, თავისუფალ მოაზროვნეთათვის. მათ განსაკუთრებული საპატიო ადგილი ჰქონდათ დათმობილი პოეტი დეკაბრისტების (ყ. რილევი) შემოქმედებაში. ვადიმის როგორც თავისუფლებისმოყვარე პატრიოტის სახეს მიმართავდნენ ახალგაზრდა პეტსკინი და კაბუკი ლერმონტოვი. აქვე გვინდა გავიხსენოთ, რომ ამ ნაწარმოების სრული სახით გამოქვეყნება რუსეთში შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1914 წ.

ე. ბოლხოვიტინოვის ლექსიკონების პოპულარობის მაჩვენებელია ისიც, რომ სულ მალე მას გამოუჩნდნენ მიმბაძველები და მისი საქმის გამგრძელებლები. სახელდობრ, ფილარეტ გუმილიემა თავისი დიდტანიანი ლექსიკონი „რუსული სასულიერო ლიტერატურის მიმოხილვა“ (1863 წ) შექმნა ე. ბოლხოვიტინოვის მიბაძვით, ხოლო უფრო მოგვიანებით მისივე ლექსიკონებმა მისცეს ბიძგი ს. ვენგერიოვს შეედგინა

---

<sup>28</sup> Сборник статей, читанных в отд. русского языка и словесности, СПб., 1868, с. 102.

თავისი ცხოვრებით 4 ტომეული „რუსული მწერლობის ნაკლები ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი“<sup>29</sup>.

არანაკლები ინტერესის შემსწავლია ის ფაქტი, რომ ე. ბოლხოვიტინოვის „რუსულ სასულიერო ლექსიკონს“ გამოსჩენია თავისი უშუალო გამგრძელებელი. კერძოდ, ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში დაცულია წმ. სამების ეკლესიის წინამძღვრის მაქსიმ დიევის „გაგრძელება და განსრულება რუსულ-ბერძნული მწერლობის ლექსიკონისა“, რომელიც წარმოადგენს 225 გვერდისაგან შემდგარ ფართო ფორმატიან ხელნაწერს. მასში ავტორს შეტანილი აქვს სტატიები 200-მდე ავტორზე (ასობი „ა“ და „კ“-ს ჩათვლით). წინასიტყვაობაში შემდგენელი მოწიწებით ახსენებს ე. ბოლხოვიტინოვის ღვაწლს ლექსიკონების შედგენის საქმეში და გამოსთქვამს სურვილს განაგრძოს მისი წამოწყება<sup>30</sup>.

## ე. ბოლხოვიტინოვი — პიროვნება

ე. ბოლხოვიტინოვზე, როგორც მეცნიერზე არა თუ XIX საუკუნის, არამედ ჩვენ თანამედროვე მკვლევართა შორისაც არ არსებობს აზრთა პრინციპული განსხვავებულობა, რაც ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მოღვაწეობის მანძილზე ე. ბოლხოვიტინოვმა გამოავლინა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა რუსული კულტურის ისტორიის მანამდე უცნობი მრავალი უნიკალური მასალა. მის მიერ შექმნილ მეცნიერულ პროდუქციას, რომელიც დაჟვარებულია უამრავ პირველწყაროზე, ბევრს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ინტერესი. 2. ამასთან ერთად ე. ბოლხოვიტინოვის მეცნიერულ მეშვეობას გააჩნია არსებითი ნაკლოვანებანი, რაც გამოიხატება პირველწყაროებისადმი მის უკრიტიკო დამოკიდებულებაში, მის ნაშრომებს აკლია ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზი (რომელთა გამო ზოგიერთი მისი თანამედროვე ავტორს „ისტორიის სტატისტიკოსსაც“ კი უწოდებდა) და სხვ.

სულ სხვა სურათი გვაქვს ე. ბოლხოვიტინოვის, როგორც პიროვნების შეფასებაში. ე. ბოლხოვიტინოვის შესახებ არსებული ლიტერატურაში დღემდე ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობს ორი სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება. ერთნი მასში ხედავენ ოდიოზურ პირს და ყოველივე მოძველებულის, რეაქციულის აპოლოგეტსა

<sup>29</sup> З доб но в И. В. История русской библиографии до начала XX века. М., 1955.

<sup>30</sup> Приложение и дополнение исторического словаря о бывших в России писателях духовного чина. Ф. 79, № 3.



და ორთოდოქს თეოლოგს, ხოლო მეორენი მის მეცნიერულ მემკვიდრეობასა და მოღვაწეობაში ამჩნევენ დეიზმს, რაციონალიზმს, სკეპტიციზმს და ასე განსაჯეთ ათეიზმსაც კი. ნათქვამის საილუსტრაციოდ დამიმოწმებთ ორივე ამ თვალსაზრისის მატარებელ რამდენიმე ავტორს.

„ე. ბოლხოვიტინოვის აზროვნება, წერს პროფესორი ზღობნოვი, სავსებით შეესატყვისებოდა მის სამღვდლო ხარისხს და აგრეთვე რუმინანცევის წრის რეაქციულ გუნებაგანწყობილებას. რაც შეეხება მის იდეოლოგიურ მიმართულებას მასზე შეიძლება ვიმსჯელოთ ოთხდაც რადიშიჩევის „მოგზაურობის“ დახასიათებით“...<sup>31</sup>. რის შემდეგ მას მოაქვს შემდეგი ნაწყვეტი რადიშიჩევის შესახებ ე. ბოლხოვიტინოვის ლექსიკონიდან: „ეს წიგნი (იგულისხმება „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“ ს. ლ.) მრავალი უმსგავსობისა და აღმაშფოთებელი ადგილის გამო კონფისკებული და განადგურებული იქნა, ხოლო ავტორი გადაასახლეს ყაზანში“.

შემდგომ პროფ. ზღობნოვი განაგრძობს: „ე. ბოლხოვიტინოვი ამახინჯებს ცნობილ ფაქტებს. ჯერ ერთი, რადიშიჩევის გადასახლების ადგილად ასახელებს ყაზანს, როცა იგი სინამდვილეში გადასახლებული იყო ილიმსკში. მეორეც ე. ბოლხოვიტინოვი სდუმს რადიშიჩევის თვითმკვლელობაზე“.

სრულიად ზედმეტად ვთვლით გამოვეყიდოთ ნ. რუმინანცევის ცნობილი სამეცნიერო წრის შესახებ ზემოთ მოცემულ უმართებულო შეფასებას, ხოლო რაც შეეხება ე. ბოლხოვიტინოვის მსოფლმხედველობის განსაზღვრისას მის „რუსული საერო მწერლობის ლექსიკონში“ ა. რადიშიჩევის შესახებ მოცემულ შეფასებიდან გამოსვლა, მიგვაჩნია დაუსაბუთებლად და ცალმხრივად.

ჯერ ერთი გაუგებარია, ე. ბოლხოვიტინოვის მსოფლმხედველობრივი მრწამსის გასარკვევად რატომ უნდა იქნეს მიჩნეული მხოლოდ რადიშიჩევის ბიოგრაფია და არა იმავე ლექსიკონში მოთავსებული ცნობილი რუსი განმანათლებლების მ. ვ. ლომონოსოვის, ნ. ი. ნოვიკოვის, ი. ბ. კოზელსკის, ს. ე. დესნიცკის, დ. ი. ფონეიზინის. განსაკუთრებით კი დეკაბრისტების საყვარელი მწერლის, ანტიმონარქისტის ი. ბ. კნიჟნინის ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცელი, სმირად პირველი და ზოგჯერ გაბედული მიმოხილვა?

აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ვთვლით მოვახდინოთ მცირე ისტორიული ექსკურსი, გავიხსენოთ, თუ რა ინფორმაციები იქნა გავრცელებული ოფიციალური ხელისუფლების მიერ ა. რადიშიჩევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სახელდობრ, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ გავრცელება აზრისა მწერლის თვითმკვლელობაზე, ხელისუფლებას არ უთაკი-

<sup>31</sup> Здобнов Н. В. История русской библиографии до начала XX в. М., 1955, с. 198.

ლია ურცხვად დაემახინჯებინა სინამდვილე. კერძოდ, ა. რადიშჩევის სამსახურებრივ „ახალ კანონთა შემადგენელი კომისიის“ ჟურნალში აღუნიშნავთ: „გუბერნიის მდივნის ნიკოლოზ რადიშჩევის ჩვენებით, მისი მშობელი მამა. ამავე კომისიის წევრი ა. ნ. რადიშჩევი იმყოფებოდა ავად და გარდაიცვალა 12 სექტემბერს. „უფრო მეტიც, იმავე ძვილს „მტკიცებით“, თითქოს „კოლეგიის მრჩეველი და კავალერი ა. ნ. რადიშჩევი გარდაიცვალა უფლის ნებით“. ხოლო პეტერბურგის ამაღლების ეკლესიის მეტრიკულ დავთარში ჩაუწერიათ: „კოლეგიის მრჩეველი ა. რადიშჩევი, ორმოცდაათი წლის გარდაიცვალა ქრეჩიჟა“<sup>32</sup>

ესელი მისახვედრი არ არის რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ალექსანდრე I-ს ხელისუფლება ა. რადიშჩევის თვითმკვლევლობასა და მისი პოლიტიკური საბაბის მიჩქმალვას. ამ მხრივ სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია საბჭოთა მეცნიერის ი. ლოტმანის შემდეგი მოსაზრება აქ ფაქტთან დაკავშირებით: „რადიშჩევის გარდაცვალების შესახებ გამოხმაურებათა რაოდენობრივი სიმცირე არ შეიძლება შევაფასოთ, როგორც დასტური თანამედროვეთა გულგრილობისა ამ მოვლენისადმი. ვინაიდან თვით დუმილი იყო ტენდენციური, რადგანაც იგი შეესაბამებოდა მთავრობის ხაზს, საამისოდ შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი მაგალატები... ნათქვამის საილუსტრაციოდ ავტორი ასახელებს სწორედ ე. ბოლხოვიტინოვის სტატიას ა. რადიშჩევზე „რუსი საერო მწერლობის ლექსიკონიდან“ და დასძენს: „ამ დროიდან დაიწყო შეთქმულებრივი დუმილი რადიშჩევის სახელის ირგვლივ“<sup>33</sup>.

მიემართოთ სხვა ფაქტებსაც. როგორც ცნობილია, ალ. ბესტუჟევა თავის „ძველი და ახალი რუსული მწერლობის მიმოხილვაში“ (1823 წ.) ვერ გაბედა დაესახელებინა ა. რადიშჩევი, რითაც მან ა. პუშკინის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა. „როგორ შეიძლება, წერდა იგი ა. ბესტუჟევს, რუსული მწერლობის მიმოხილვაში რადიშჩევიც დავიწყება? მაშ, ვინლა უნდა გვახსოვდეს? ასეთი დუმილი მიუტევებელია“<sup>34</sup>. მაგრამ სამწუხაროდ, შექმნილ ატმოსფეროში არსებული ზღურბლის გადალახვა ვერც დიდმა პოეტმა შეძლო. „სოვრემენნიკისათვის“ 1836 წ. რადიშჩევის შესახებ დაწერილ სტატიაში მან „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“ „უნიჟო“, „აღმამფოთებელ სატირად“ მოიხსენა, ხოლო მის გამოქვეყნებას „დანაშაული“ უწოდა. რაც შეეხება ა. რადიშჩევის თვითმკვლევლობას, ეს ფაქტი მას ახსნილი აქვს შიშითა და ადრე თვითმკვლევლობით გარდაცვლილი მისი ყრმო-

<sup>32</sup> Лотман Ю. М. Исторические сведения Пушкина о Радищеве. Пушкин и его время. Л., 1962, с. 53.

<sup>33</sup> იქვე გვ. 54.

<sup>34</sup> Пушкин А. С. Соч. изд. восьмое, т. V, М., 1882, с. 344—353.

ბის მეგობრის (ფ. უშაკოვი) მიბაძვით<sup>35</sup>. ა. პუშკინის ცდა — ამ გზით ყადაღა მოეხსნა სახელოვანი მწერლის სახელის აკრძალვისათვის, უნაყოფო აღმოჩნდა. ცენზურის ფხიზელი თვალი არ წამოეგო ამ ფანდს და სტატია დაუბეჭდავი დარჩა. გაუგებარია, რატომ ვერ გაითვალისწინეს ეს გარემოება ე. ბოლხოვიტინოვის ჩვენმა თანამედროვე კრიტიკოსებმა? საქმის არსში უფრო ღრმად ჩახედვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ განხილულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იმდენად რადიშჩევის პიროვნებისადმი ე. ბოლხოვიტინოვის უპატივეცემლობასთან, რამდენადაც ხელისუფლების პოზიციისადმი იძულებით ანგარიშის გაწევის ფაქტთან. ყოველივე ეს ნათელი გახდა მას შემდეგ, როცა ჩვენ საშუალება მოგვეცა უკრაინის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში (ქ. კიევი) დაცულ, ე. ბოლხოვიტინოვის პირად ფონდში მიგვეკვლია ფონდშემქმნელის მიერ რადიშჩევის „მოგზაურობის“ მოკლე კონსპექტი, რომლისთვისაც დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება. კონსპექტი წარმოადგენს „მოგზაურობის“ ამათუიმ თავებისა და მასში აღწერილი ცალკეული მოვლენების ირგვლივ ე. ბოლხოვიტინოვის მიერ მოცემულ კვალიფიკაციებს. კერძოდ, წიგნის სათაურის, გამოცემის წელისა და ნაშრომის მოცულობის აღნიშვნის შემდეგ მიწერილი აქვს: „მთავარია არაადამიანობა რუსი ჩინოვნიკებისა და გლეხთა მონური მდგომარეობა“. შემდეგ ე. ბოლხოვიტინოვს 289—290 გვერდების აღნიშნული ციფრების გვერდით მიუწერია: „წიგნების პოლიციური ცენზურა“, ხოლო ჩანიშნულ 306 გვერდზე მარჯვნივ მიუწერია: „მცირე მოთხრობა სასულიერო პირთა და ინკვიზიციის მიერ ცენზურის დევნის თაობაზე“. კონსპექტი მთავრდება „მოგზაურობის“ 21-ე თავიდან ამოწერილი ერთი სტროფით:

Вольность

Ода

О! дар небес благословенный,

Источник всех великих дел;

О! вольность, дар бесценный!

Позволь, чтоб раб тебя воспел<sup>36</sup>.

ა. რადიშჩევის „მოგზაურობის“ შესახებ ე. ბოლხოვიტინოვისეულმა ამ ჩანაწერებმა კიდევ უფრო განამტკიცა ძველდგარი ა. კოევიძაიკინის მოსაზრება ე. ბოლხოვიტინოვის, როგორც ქ. ვორონეჟში დიდი რუსი მწერლის ცნობილი წიგნის პირველი ჩამტანის შესახებ<sup>37</sup>.

<sup>35</sup> Пушкин А. С. Соч., изд. восьмое, т. V, М., 1882, с. 162.

<sup>36</sup> Гос. библиотека АН УССР, Опись Петрова, ед. хр 18, № 727, л 130.

<sup>37</sup> Кожемякин А. В. Евгений Боловитинов (1767—1837). «Очерки литературной жизни Воронежского края», 1976, с. 29.

მეორე საბჭოთა მეცნიერს ი. კაუფმანს, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ე. ბოლხოვიტინოვის დამსახურებას რუსული მეცნიერების წინაშე, მისი მსოფლმხედველობის შინაარსის გახსნისათვის მოტიანილი აქვს შემდეგი არგუმენტები:

„1825 წ. 14 დეკემბერს იგი (ე. ი. ევგენი ბოლხოვიტინოვი — ს. ლ.) სამღვდლოების სხვა მაღალწარჩინებულ წარმომადგენლებთან ერთად სენატის მოედანზე დადიოდა საზეიმო პროცესიაში, რათა დაეშოშმინებინა აჯანყებულები“<sup>38</sup>.

კაუფმანის ამ მტკიცებით, შთაბეჭდილება იქმნება თითქოს სასულიერო პირთა ეს ჯგუფი წარმოდგენდა საკუთარი ინიციატივით შემდგარ, სენატის მოედანზე საზეიმო ცერემონიალის მონაწილეთა დელეგაციას და არა მათი სიცოცხლისათვის ფრიად სარისკო, იძულებით ნაბიჯს, რაც ყოველ წუთს შეიძლებოდა კატასტროფულად დამთავრებულიყო თითოეული მათგანისათვის. როგორც ცნობილია, შეიარაღებულმა შეტაკებამ სენატის მოედანზე შეიწირა 1271 სხვადასხვა რანგის ადამიანის სიცოცხლე.

დეკაბრისტული მოძრაობის თვალსაჩინო მკვლევარის მ. ნეჩკინას ფუნდამენტური გამოკვლევით, სინამდვილეში ე. ბოლხოვიტინოვი შედიოდა ნიკოლოზ I განკარგულებით, სახელდახელოდ, იძულებით შედგენილ სასულიერო პირთა დელეგაციაში, პეტერბურგის მიტროპოლიტ სერაფიმეს მეთაურობით. მისივე მტკიცებით „ამ საქმისათვის ასაკითა და ხარისხით სრულიად შეუფერებელი ორი მიტროპოლიტი“ სენატის მოედნისაკენ კინწისკვრით გაურგვია გენერალ სტრეკალოვს. აჯანყებულთა მიერ გაწვილებული „სირბილით გამოქცეული მოხუცები ნიკოლოზისვე ბრძანებით (იგი ამ მოვლენებს გაფაციცებით აღევენებდა თვალყურს ზამთრის სასახლიდან) ხელახლა, იძულებით დაუბრუნებია გაეცხლებულ გენერალ სტრეკალოვს, დელეგაციამ თავს უშველა იმხანად მშენებარე ისააკის ტაძრის ხარაჩოებს შორის მიმალვით“<sup>39</sup>.

ჩვენ საგანგებოდ არ შევჩერდებით პროფესორების ზღობნოვისა და ნ. კაუფმანის მიერ 30 წლის წინ გამოთქმულ ტენდენციურ მოსაზრებებზე, რომ დღეს მათ აზრს აქა-იქ სხვებიც არ იზიარებდნენ. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის პროფესორი გ. მიქაძეც, რომელიც იმოწმებს და სავსებით უკერს მხარს ზემოთ აღნიშნულ ავტორთა შეხედულებებს, უფრო შორსაც კი მიდის და ე. ბოლხოვიტინოვს წარმოგიდგენს ისეთ ოლიოზურ პიროვნებად, რომელსაც არ შეეძლო კეთილი როლი შე-

<sup>38</sup> Э добнов Н. В. История русской библиографии до начала XX в. М., 1955, с. 203.

<sup>39</sup> Нечкина М. В. Движение декабристов, М., т. 2, 1955, с. 301—302.

ესრულებინა ქართული კულტურის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში. „საყურადღებო სწორედ ისაა, — წერდა იგი, — რომ დეკაბრისტების სიკვდილით დასჯის ყველაზე სასტიკ ფორმას, ხელფეხისა და თავის ნაწილ-ნაწილ მოკვეთას ხელი მოაწერა სინოდის წარმომადგენელმა სამმა წევრმა, მათ შორის მიტროპოლიტმა ევგენიმ.

ასეთი პიროვნების გამოცხადება პირველ რუხ რუსთველოლოგად, ქართული კულტურის გულშემატივრად, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულიც არისო<sup>40</sup>. (სინამდვილეში განაჩენის ამ პროექტს ხელს აწერდა 62 და არა სამი პიროვნება).

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ე. ბოლხოვიტინოვი ვეძებოთ ლიბერალი ან ხელისუფლებით უკმაყოფილო პირი, რადგანაც იგი პირველყოელისა საეკლესიო მოღვაწე იყო და სწორედ ამ დარგის პოზიციიდან აფასებდა მოვლენებს. განა პარადოქსალური არ იქნებოდა, რომ უმადლეს სასულიერო იერარქიის წარმომადგენელი წმ. სინოდის წევრი, მიტროპოლიტი ანტიმონარქისტი ან ქრისტიანული ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო?

ზოგადად გავეცნოთ იმ ავტორთა აზრს, რომლებიც ე. ბოლხოვიტინოვის მსოფმხედველობაში ამჩნევენ მისი რანგის და ხარისხისათვის შეუსაბამო შეხედულებების ელემენტებს.

„ახალგაზრდობაში, წერს საბჭოთა მკვლევარი ვ. პ. კოზლოვი, იგი იყო ფრანგული განმანათლებლობის პროპაგანდისტი. მან ერთ-ერთმა პირველმა დაწერა ნ. ნოვიკოვის და ა. რადიშჩევის ბიოგრაფიები. ე. ბოლხოვიტინოვი იყო წინააღმდეგობრივი შეხედულებებისა, ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, იგი იხრებოდა ათეიზმისაკენ და ბერის მოსასხამის ქვეშ ეფარებოდა ბუნება რაციონალისტისა და სკეპტიკოსისა“...<sup>41</sup> და მართლაც, ამ თავისებურებებზე დაყენებით მიუთითებდნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში...

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე პროფ. ტიხონრაჟოვი ე. ბოლხოვიტინოვს რაციონალისტს, ხოლო აკად. ჯორში სკეპტიკოსს უწოდებდა. პ. ნ. მილიუკოვი კი წერდა: „ევგენი აღიზარდა იმ თაობაში, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ აკრიტიკებდა მონტესკიეს. ვოლტერისა და ბეილის ცალკეულ შეხედულებებს, ქვეცნობიერად მაინც სანარდობდა ევროპული რაციონალიზმით“<sup>42</sup>.

ჩვენი აზრით, ამგვარი სხვადასხვაობის საფუძველს იძლეოდა თვით ე. ბოლხოვიტინოვის ფრიად რთული, სამეცნიერო და საზოგადოებ-

40 გ. შიქაძე, ორი პუბლიკაციის გამო. „ურნალისტიკის საკითხება“, 1991, თბ., გვ. 524—525.

41 Козлов В. П. Колумбы российских древностей. М., 1985, с. 34.

42 Миллюков П. Н. Главное течение русской исторической мысли. М., 1897.

რევი მოღვაწეობა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ორ, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციას. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია მისი დამოკიდებულება ვოლტერისადმი. ანტივოლტერიანელი ე. ბოლხოვიტინოვი უყოყმანოდ ითავსებს ვოლტერის ნიჭის დამფასებელი ადამიანის თვისებებს. ნიმუშად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ე. ბოლხოვიტინოვი 1788 წ. მოსკოვში ბეჭდავს ფრანგულიდან საკუთრივ თარგმნილ მხურვალე ვოლტერიანელის, უცნობი ავტორის ალეგორიულ წიგნს „პარანასის ისტორიას“, რომელშიც მიწასთან არის გასწორებული ვოლტერის დაუძინებელი მტერი, იეზუიტი ჟურნალისტი ფრენონი. როგორც ცნობილია, იგი ფრანგი ენციკლოპედისტების მიმართ ზიზლით ამბობდა: „ესენი არიან მგლებზე უფრო საშიშინი, გახვეული ცხვრის ქურქში“<sup>43</sup>.

ნაშრომში ფრენონი სხვა პარანასის მოტრფიალე უნიჭო ლექსმჩხაპნელთან ერთად გამოყვანილია, როგორც ცხოველი, რომელიც ყოველივე სიკეთეს გაცოფებული უღრენს.

შეუძლებელია ე. ბოლხოვიტინოვს ვერ გაეგო ნაწარმოების დედა-არსი, მით უმეტეს, რომ ნაშრომში ვოლტერი მოხსენებულია მრავალგზის.

• ცოტა მოგვიანებით 1792 წ. ე. ბოლხოვიტინოვი ვორონეჟის სემინარიის ბიბლიოთეკისათვის მოსკოვში იძენს ფრანგი ენციკლოპედისტების 123 ტომს, აგრეთვე ვოლტერის თხზულებათა 70 და ბეილის ლექსიკონის 68 ტომს<sup>44</sup>.

1793 წ. ე. ბოლხოვიტინოვი ბეჭდავს ვორონეჟის სასულიერო სემინარიის სტუდენტთა მიერ მისი რეკომენდაციით თარგმნილ აბატ ნონტის ანტივოლტერიანულ წიგნს „ვოლტერის ცდომილებანი“, რომლის წინასიტყვაობაში ე. ბოლხოვიტინოვს, სხვათა შორის, შემდგენაირად ჰყავს დახასიათებული დიდი ფრანგი განმანათლებელი: „ჩვენი საყვარელი სამშობლო ბოლო დრომდე დაცული იყო ვოლტერის ყველაზე მავნე შხამისაგან, ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში ვერ ვამჩნევდით მის ყველაზე აღმაშფოთებელ მანკიერ წიგნებს, და თუ ამ მხრივ რამდენადმე დაცული იყო ჩვენი წიგნების თარგმნი, იმავ დროს ფარული გზით ყველგან იღვრებოდა მთელი მისი სახადი“<sup>45</sup>.

1806 წ. ე. ბოლხოვიტინოვი მოსკოვში აქვეყნებს მის მიერ ჯერ კიდევ 1792 წ. ფრანგულიდან თარგმნილ, მაგრამ ცენზურის მიერ და-

<sup>43</sup> Артаманов С. Д. История зарубежной литературы XVII—XVIII вв. М., 1978, с. 420.

<sup>44</sup> Шмурло Е. Ф. Мысл. Евгений, как ученый. СПб., 1888, с. 350.

<sup>45</sup> Артаманов С. Д. История зарубежной литературы XVII—XVIII вв. М., 1978, с. 410.

ტყვევებულ ცნობილი ინგლისელი პოეტის ალექსანდრე პოპს (1688—1744) ფილოსოფიურ „პოემას დაკვირვება ადამიანის შესახებ“, მიძღვნილს ბოროტების საწყისისადმი. როგორც ცნობილია, ევროპაში ა. პოპის წინააღმდეგ გაჩაღებული კომპანიის დროს მის დასაცავად ხმა აღიმალა ვოლტერმა. ეს წიგნი რუსულად თარგმნა და გამოსცა პროფ. პოპოვსკიმ 1757 წ. მოსკოვში. მაგრამ სასულიერო ცენზურის მიერ იგი უხვად იყო დამახინჯებული. ე. ბოლხოვიტინოვმა არა თუ აღნიშნა ცენზურის მიერ დამახინჯებული „ვოლნოდუმშიკური“ ადგილები, არამედ წინასიტყვაობაში თავის მოსაზრებების განსამტკიცებლად მოიშველია ვოლტერის ავტორიტეტი.

ე. ბოლხოვიტინოვი არ შეუშინდა არც იმას, რომ ა. პოპის ინგლისურიდან ფრანგულად მთარგმნელი იყო მხურვალე ვოლტერიანელი პ. პოლბახი.

ე. ბოლხოვიტინოვის არათანმიმდევრულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულ ახსნას აძლევს პროფ. ე. შმურლო.

„სკოლა, გარემო, — წერს იგი, — ყველაზე უფრო მეტად აზროვნება, თავისი ბუნებით ცივი, აუღელვებელი, დიალექტიკურ გამჭრიახობას მოკლებული, არასოდეს არ აძლევდა უფლებას ევგენის უყოყმანოდ აღფრთოვანებულყო ვოლტერით. მაგრამ, ფხიზელი განსჯის უნარი, ეპოქის ლიტერატურული მაჩისცემა ასევე არ აძლევდა ნებას გადასულიყო ვოლტერის ფანატიკურად მოძულეთა ბანაკში.

ეს მოლიერისეული ეკლექტიზმი მახლობელი იყო ევგენის ნატურისათვის. იგი იმოწმებდა ვოლტერის „ლისაბონის დაღუპვასაც“ და ამავე დროს მზად იყო ეთარგმნა ნონტის წიგნი. (იგულისხმება ამ უკანასკნელის გახმაურებული ანტივოლტერიანული წიგნი. ს. ლ.)<sup>47</sup>.

ამ ობიექტურ დასკვნას ჩვენის მხრივ დავუმატეთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვი ასევე არათანმიმდევრული იყო ეკატერინე II შეფასებაშიც. ბეჭდურ პროდუქციაში იგი ხოტბას ასხამდა მის განათლებულობას და სულგრძელობას, ხოლო ახლობლებთან პირად მიმოწერაში იგი სრულიად საღად და ობიექტურად აფასებდა ეკატერინე II ცრუ ლიბერალიზმს.

„... ეკატერინე თავის წერილში უღიმოდა ვოლტერს, დიდროს და დალამბერს. — წერს იგი ვ. ანასტასევიჩს 1821 წელს, ხოლო როდესაც ბომარშემ 1789 წელს ვოლტერის თხზულებების კრებულში გამოაქვეყნა მისი წერილები, პეტერბურგისა და მოსკოვის ცენზურას მან

46 Тихонравов Н. С. Соч., т. III, СПб., 1898, с. 56, 290.

47 Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений, как ученый, СПб., 1888, с. 132.

გაუგზავნა საიდუმლო ბრძანება — არაფერი ეთარგმნათ და არ გადმოებეჭდათ რუსულ ენაზე ბომარშესეული გამოცემიდან. და როგორ ნო-ექცა იგი რადიშჩევს, იაკობინისტური წიგნის გამოცემის გამო, აგრეთვე კნიაგინია დაშკოვას ვადიმის დაბეჭდვის გამო?«<sup>48</sup>.

მეფის მთავრობის მიერ ფრიად დაფასებული, წმ: სინოდის წევრი, ე. ბოლხოვიტინოვი, რომელიც თავისი პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობით ვალში არ დარჩენილა ეკლესიის წინაშე, არა მარტო ქება-დიდებას იმსახურებდა ხელისუფლებისაგან, არამედ სერიოზულ უძმყოფილებასაც კი გამოსთქვამდნენ ხოლმე მის მიმართ.

ნიშანდობლივია სინოდის ობერ-პროკურორის ა. ნ. გოლიცინის შემდეგი დახასიათება, რომელიც მას გამოთქმული აქვს ნოვგოროდის ეპისკოპოსის ფოტისადმი 1822 წელს გაგზავნილ წერილში:

„მე მსურს. — წერს იგი, — გკითხვით თქვენ ევგენი კიეველი მიტროპოლიტის შესახებ. გულახდილად გეტყვით — მე მასში ვხედავ ერთგვარ გულციობას საკუთარ სამწყსოსადმი. ამას ვამბობ მინდობილი: მრევლის სულთა გადარჩენისათვის.

ყველა საერო მეცნიერს იგი ძალიან უყვარს. აქ (ე. ი. პეტერბურგში. ს. ლ.) ყოველ ჩამოსვლისას იგი უკლებლივ მათ შორისაა, რომელთაგან ზოგიერთი ვოლნოდუმშიკიცი კი არის. ჩემთან საუბარში იგი გენერალურად შენიღბული იყო...“<sup>49</sup>.

ეკლესიის მესვეურთა მხრივ ბოლხოვიტინოვისადმი პრეტენზიებს ადასტურებს რუსული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი პროფ. უნდოლსკიცი, რომელსაც თავისი მტკიცების დასტურად მოტანილი აქვს შემდეგი კონკრეტული შემთხვევა: ცენტრალური საეკლესიო ხელისუფლების მართვა-გამგებლობის გაუმჯობესებისათვის 1824 წლის ბოლოს ე. ბოლხოვიტინოვი საგანგებოდ გაუწვევიათ ქ. პეტერბურგში. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ა. ს. შიშკოვს ე. ბოლხოვიტინოვისათვის მიუწერია: „ჩვენ გველის ერთობლივი, ფრიად მძიმე სამუშაო და ბრძოლები. მაგრამ ღმერთია შემწე“<sup>50</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის გაწვევის გამო თავის აღფრთოვანება ვერ დაუფარავს ვერც ზემოხსენებულ ეპისკოპოს ფოტის: „მოფრინდი ჩვენ-

<sup>48</sup> აქ ავტორს მხედველობაში აქვს ის დიდი რისხვა, რომელიც თავს დაატყდა ე. რ. დაშკოვას (1743—1810 წწ.) 1794 წ. ი. კნიაგინის ანტიმონარქისტული პიესის „ვადიმის“ გამოცემის გამო. ე. დაშკოვა 1783 წლიდან იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. იგი აღიარებულია როგორც თავისი ღრთის ფრიად განათლებული და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე პირი.

<sup>49</sup> Чистович С., Руководящие деятели духовного просвещения. СПб., 1894.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 351.



თან, წერს იგი ე. ბოლხოვიტინოვს, გიხმობს ნათელი უფლისა, გიხმობს და გელის ეკლესია<sup>51</sup>. „ფოტისა და შიშკოვის იმედები ევგენიზე, — განაგრძობს უნდოლსკი, — გამართლდა მხოლოდ ნაწილობრივ, უმნიშვნელო ოდენობით, რადგანაც ევგენი წინანდებურად მეცნიერული ინტერესებით უფრო იყო დაინტერესებული, ვინემ საეკლესიო-პოლიტიკური პროექტებით“<sup>52</sup>.

რუსული ეკლესიის ისტორიის მეორე მკვლევარი პროფ. მალი-შევსკი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დასძენდა: „საოცარია, რომ ეს ცნობილი მეცნიერ-იერარქი, წვერი უამრავი სამეცნიერო საზოგადოებისა, აღიარებული მისი თანამედროვე თითქმის ყველა საერო მეცნიერების მიერ, ვერ ჰპოვებდა სრულ აღიარებას სასულიერო დარგის მეცნიერთა მხრივ. იმ დროს, როდესაც თითქმის არ იყო რუსეთში საინჟინერო საზოგადოება, რომელსაც იგი არ აერჩია თავის წევრად, არც ერთ სასულიერო აკადემიას არ უცენია ე. ბოლხოვიტინოვი თავის კონფერენციის წევრად. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი არ იყო ღვთისმეტყველების დოქტორი...“<sup>53</sup>.

გავვიძინელება დავასახელოთ სხვა მაგალითი მე-19 ს. რუსეთში მიტროპოლიტის რანგში მყოფი პირისადმი სასულიერო ხელისუფლების მხრივ ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულებისა.

შევეცდებით გავერკვეთ თუ რა საფუძველი გააჩნდა ოფიციალურ ხელისუფლებას ე. ბოლხოვიტინოვის მიმართ ამგვარ უნდობლობას? საკითხის ნათელსაყოფად შეგვიძლია კიდევ რამდენიმე მაგალითის მოტანა მისი ეპისტოლარული შემკვიდრებიდან. ე. ბოლხოვიტინოვის განსაკუთრებული გულწრფელობა გამოსჭვივის ე. ანასტასევიჩისადმი (1775—1845 წწ.) გაგზავნილ წერილებში, რომლებითაც იგი რჩევა-დარიგებას არ აკლებს თავისი ანტიბატონყმური განწყობილებით ცნობილ და ხელისუფლების მიერ შერისხულ მეგობარს, სანიშნოდ გავეცნოთ 1821 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილს: „...Вы не только запасаете к употреблению и справкам: но не употребляя, кладете все только, по вашим словам, в ненасытные ваши шкафы, в которых иное может повредить и вам, и друзьям вашим, есть ли останется после вас, или есть ли и при нас вздумают освидетельствовать... Мне сказывали, что в то же время уже грозились и на вас, да и теперь гроза не утихла по мнению

51 Чистович С., Руководящие деятели духовного просвещения. СПб., 1894.

52 იქვე, გვ. 355.

53 М а л ы ш е в с к и й. Деятельность Евгения в звании Председателя конференции Киевской духовной Академии, Труды Киевск. дух. Академии, 1867, № 12, с. 579—582.

ო ვольнодумстве и даже по сношениям якобы с Польшею»<sup>54</sup>.

ამყარაა, რომ ე. ბოლხოვიტინოვს გაგებული აქვს საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრებოდა მის მეგობარს მთავრობის მხრივ, რის გამო იგი იქვე წინადადებდა აძლევს ანასტასევიჩს: „გროვა მთელი თქვენი შპარგალებისა სასწრაფოდ მიეცათ ვულკანს“. იგი აცნობს თავის დამოკიდებულებას საკუთარი საქოჰმანო ნაწერების შესახებ: „მე არაფერს ამდაგვარს არ ვიტოვებ“. უფრო მეტიც: იქვე ე. ბოლხოვიტინოვი უმხელს ანასტასევიჩს თავის ქცევის ეტიკეტს: „უკეთურება და მიტქმა-მოტქმა ჩემი თანამოძმეებისა მაიძულებს გავერიყო და საზოგადოებაში არასოდეს არ ვიყო გულახდილი“<sup>55</sup>.

აქვე გვინდა შევხედოთ ე. ბოლხოვიტინოვის პიროვნების კიდევ ერთ თავისებურებაზე, რომელიც შემჩნეული ჰქონდათ მის აღრინდელ მკვლევარებს. პროფ. შმურლოს საფუძვლიანი მტკიცებით, ე. ბოლხოვიტინოვი არ ჰგავდა სარწმუნოებას ბრმად აყოლილ თეოლოგს, რომლისათვის უცხო იყო რელიგიური ფანატიზმი და ასკეტიზმი, პირიქით. მისი შეხედულებები ზოგჯერ არ ეგუებოდა ორთოდოქსალურ ქრისტიანობას. მაგალითად, იგი არ იზიარებდა მიწისძვრის, ვულკანების, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენების ახსნას ზებუნებრივი ძალებით. უფრო მეტიც, უარყოფდა რა იოანე დამასკელის კოსმოსურ შეხედულებებს, დასძენდა: „ეკლესიის მამები ფიზიკის დარგში ჩვენთვის არ არიან მასწავლებლნიო“<sup>56</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ბიოგრაფიის უთუოდ ნათელ ფურცლებად უნდა ჩაითვალოს კარგად ცნობილი მისი მჭიდრო და საქმიანი მეგობრობა გ. რ. დერჟავინთან. მათ დაახლოებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ე. ბოლხოვიტინოვის ნოვგოროდში გამწესებამ. 1804 წლიდან იგი ზაფხულს ატარებდა ხუტინის მონასტერში, რომლის მახლობლად მდებარეობდა გ. დერჟავინის საყვარელი სოფელი ზვონკი, სადაც დიდმა პოეტმა პენსიაზე გასვლის შემდგომ (1803 წლიდან) ცხოვრების მეტი ნაწილი გაატარა.

ე. ბოლხოვიტინოვს პირველსავე შეხვედრაზე გ. დერჟავინზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. შემდგომში მათ შეხვედრებს ადგილი ჰქონდა როგორც ხუტინში ასევე ზვონკში. 1807 წ. გ. დერჟავინმა მას მიუძღვნა უმესანიშნავესი ლექსი: „ევეგენის ცხოვრება ზვონკში“, რომელშიც ავტორი ზედმიწევნით გამოხატავდა რეალურ სინამდვი-

---

<sup>54</sup> Письма митрополита Евгения к Анастасевичу. Древняя и новая Россия, 1881, № 1, с. 289.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 295.

<sup>56</sup> Ш м у р л о Е. Ф. Митрополит Евгений как ученый, СПб., 1888, с. 379.

ლეს. ბუნების სიმშვენიერეს, მის გარშემო გამეფებულ სიმყუდრო-  
ვეს, მოყვასთაღმი სიყვარულს.

ე. ბოლხოვიტინოვი თანდათანობით ხდება პოეტის ავტორიტეტუ-  
ლი მრჩეველი. იგი პერიოდულად აწვდიდა გ. დერჟავინს წერილობით  
მასალებს პოეზიაზე, პოეზიის მფარველი მეცენატების შესახებ. ე. ბოლ-  
ხოვიტინოვმა მას მისცა რჩევა — დაეწერა პოემა ნოვგოროდის შესა-  
ხებ. გ. დერჟავინმა მიიღო მისი წინადადება და შექმნა ბალადა «Из-  
городский волх Злогор».

აღნიშნულ გარემოებათა გამო ე. ბოლხოვიტინოვი ხშირად იყო  
გამორჩენილი პოეტის შემოქმედებითი ნიმუშების მექანნიკე, რის გა-  
მოც, არც თუ იშვიათად, ჰქონდა პრინციპული კამათი დერჟავინთან,  
მის ნაწარმოებთა ხასიათზე, ლექსთწყობაზე, შინაარსზე და სხვ. ბევრის  
მთქმელია ე. ბოლხოვიტინოვის საქმიანი დახმარება დერჟავინისადმი  
ლირიკული პოეზიის შესახებ მისი გახმაურებული ნაშრომის მომ-  
ზადებაში<sup>57</sup>.

თავის მხრივ არც დერჟავინი დარჩენილა ვალში მეგობრის წი-  
ნაშე. იგი ხშირად იყო ე. ბოლხოვიტინოვის მრჩეველი და დახმარე.  
ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ე. ბოლხოვიტინოვის კლასიკური ნაშრო-  
მის დიდ მთავარ მსტილავ ვლადიმერის ძისა და მისი ვაჟის ვსევო-  
ლოდ მსტილავის ძის მიერ ნოვგოროდის წმ. გიორგის „იურის მონასტ-  
რისადმი ნაბოძები სიგელის“ გამოსაცემად მომზადების საქმეში.

შემდგომ წლებში დერჟავინმა მას კიდევ უძღვნა ერთი ლექსი სა-  
ხელწოდებით „ეჟო“ (1811 წ.). გარკვეული ინტერესის შემცველია  
1807—1809 წლებში მათ შორის არსებული საქმიანი მიმოწერა. სამწუ-  
ხაროდ შემდგომში წლების მიმოწერას ჩვენამდე არ მოუღწევია.

სწორედ მათ შორის არსებულმა მჭიდრო შემოქმედებითმა მეგობ-  
რობამ არგუნა წილად ე. ბოლხოვიტინოვს ყოფილიყო გ. დერჟავინის  
ბიოგრაფიის პირველი გამომცემელი. იგი პირველად გამოქვეყნდა ჟურ-  
ნალ „დრუგ პაროსვესჩენიეში“ (1806 წ.), ხოლო შემდგომ „რუსულ  
საერო მწერლობის ლექსიკონში“ (1845 წ.).

ე. ბოლხოვიტინოვს მემუარები არ დაუწერია, მაგრამ დარჩა უმ-  
დიდრესი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. რომელთა წყალობით საშუა-  
ლება გვაქვს წარმოდგენა ვიქონიით არამარტო მის მეცნიერულ ინტე-  
რესებზე, ლიტერატურულ გემოვნებაზე, აგრეთვე არსებული ყოფი-  
სადმი მის პოზიციასზე და სხვ.

ე. ბოლხოვიტინოვს თავისი შეხედულებები გამოთქმული აქვს  
100-მდე კორესპოდენტთან მიმოწერაში. მის ადრესატებს შეადგენდნენ  
ვ. კარამზინი, პ. კეპენი, ა. შევრენი, ვ. ანასტასეიჩი, გ. დერჟავინი,

<sup>57</sup> Грот Я. К. Переписка Евгения с Державиным. Сборник статей,  
читанных в отделении русского языка и словесности. СПб., 1868, с. 76.

ა. ოლენინი და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მისი წერილები ვორონეჟელი მეგობრის ვ. მაკედონეცისა და ვ. ანასტასევიჩისადმი.

ე. ბოლხოვიტინოვის ამ წერილებში მოცემული მოსაზრებებისა და შეხედულებების გაცნობის შემდგომ მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსი გვესახება შემდეგნაირად. იგი, როგორც ნ. ნოვიკოვის განმანათლებლური წრიდან გამოსული პირი, მომხრეა ცხოვრების გარდაქმნის, მაგრამ არა ბრძოლითა და მსხვერპლით, არამედ მშვიდობიანა, განათლების გზით. მას, როგორც ეკლესიის მსახურს, რა თქმა უნდა საზოგადოების წინსვლა ვერ წარმოედგინა ქრისტიანული რელიგიის გარეშე, ამიტომ იგი ყოველთვის სასტიკად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც რელიგიაში სიცრუისა და ჩაგვრის საშუალებას ხედავდა. თუმც იგი არ მალავს გულისწყრომას სამღვდელოების სიხარბეზე, მკრებელობად მიაჩნია ეკლესიის გამგებლობაში დიდი მამულების არსებობა.

საჯარო გამოსვლებსა თუ ოფიციალურ წრეებში იგი იქცეოდა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო სასულიერო დარგის წარმომადგენელი, ხოლო ვიწრო წრესა და ახლო მეგობრებთან მიმოწერაში იგი არ ღალატობს ჭეშმარიტებას და ამა თუ იმ პიროვნების ან მოვლენის შეფასებისას ხშირად გამოთქვამს თავისი დროისათვის გაბედულ აზრებს. როგორც პ. სახაროვი გადმოგვცემს: „ე. ბოლხოვიტინოვი თანახმა იყო ბატონყმობის გადავარდნისა. შეიძლება ამით თავადაზნაურობა დაზარალდეს, მაგრამ მსხვერპლის გარეშე არ არსებობს არც ცდუნება და არც ცხოვნება“<sup>58</sup>.

დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევართაგან მოითხოვდა ისტორიზმის დაცვას: „ისტორიული დამსახურება, — წერდა იგი ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ გოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით თუ რა მოგვეცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“<sup>59</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვი არც ნიჰილისტური დამცირებისა და არც პათეტურ განდიდებას არ იმსახურებს. რუსული კულტურის ისტორიაში მას თავისი ადგილი გააჩნია და ეს საკმაო საფუძველია მისი მეცნიერული მემკვიდრეობის, მათ შორის რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის დარგში შეტანილი წვლილის ჭეროვნად შესწავლისათვის.

<sup>58</sup> Э добнов И. В. История русской библиографии до начала XX в. М., 1955, с. 201.

<sup>59</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 217.

## თავი მეორე.

### „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“

ქარგა ხანია დადგენილია, რომ ე. ბოლხოვიტინოვი არის ავტორი ასზე მეტი ნაშრომისა რუსული ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე. მათ შორისაა უნიკალური, პირველწყაროებზე დაფუძნებული კაპიტალური ნაშრომები, რომელთაც დღემდე არ დაუქარგავთ თავიანთი მნიშვნელობა<sup>1</sup>. მასვე ეკუთვნის ლიტერატურული ნაწარმოებებისა და გამოკვლევების თარგმანები ბერძნული, ლათინური და ფრანგული ენებიდან. ცხადია, ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროს არსებითად განეკუთვნებიან ის ნაშრომები, რომლებიც მეტნაკლებად ეხებიან საქართველოს კულტურულ-ისტორიულ წარსულს. რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს 1802 წ. პეტერბურგში ანონიმურად გამოცემული წიგნი: „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკურ, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“.

რა ხასიათისაა ნაშრომი და რით იმსახურებს იგი თანამედროვეთა ყურადღებას? პირველყოვლისა, გავეცნოთ წიგნის სარჩევს, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ რა საკითხები შეადგენდნენ ე. ბოლხოვიტინოვის ინტერესების სფეროს. ნაშრომი შეიცავს 104 გვერდს და შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. ქართული ხალხის სიძველეებისა და მათ ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. გვ. 1—45.
2. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და ქართული ეკლესიის მდგომარეობა. გვ. 46—59.
3. მღვდელთმსახურება, საეკლესიო წიგნები და სტამბები საქართველოში. გვ. 60—64.
4. ქართული ენისა და მწიგნობრობის შესახებ. გვ. 65—71.

<sup>1</sup> Славяноведение в дореволюционной России. М., 1979, с. 82.

5. სწავლა-განათლების მდგომარეობა საქართველოში, სკოლები და კლასიკური წიგნები. გვ. 71—78.

6. ქართული მატრიანებისა და ხალხში გავრცელებული წიგნების შესახებ. გვ. 79—83.

7. ქართული მწერლობისა და მუსიკის შესახებ. გვ. 83—96.

ნაშრომს ბოლოში დართული აქვს: „ჩანაწერი წიგნში მოხსენიებული საქართველოს ჩრდილო-კავკასიელ მეზობელი ხალხების შესახებ“, გვ. 97—100. წიგნს დამატების სახით თან ერთვის ქართლის, კახეთის და იმერეთის ბაგრატიონთა გენეალოგიური ცხრილები 1424 წლიდან 1800 წლამდე.

როგორც სათაურებიდან ჩანს, წიგნის შვიდი თავიდან მხოლოდ პირველი განეკუთვნება ისტორიას, ხოლო დანარჩენი ექვსი კულტურის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილი.

შესავალში ავტორი წერს საქართველოს შესწავლის აუცილებლობაზე და წიგნის გამოქვეყნების მიზანზე, რათა თანამემამულეთათვის გაეცნო ახლად შემოერთებული ქვეყანა. იქვე აღნიშნავს, რომ ეცდება აიცილოს ის შეცდომები, რომლებიც გააჩნიათ საქართველოს შესახებ ფრანგი ავტორების შარდენის, ტავერნიეს, ტურნეფორის და ლა-მორტრეს ნაშრომებს. ამის საწინდრად მიაჩნია ის გარემოება. რომ მას წიგნი შედგენილი აქვს: „ორიგინალური წყაროებიდან, მეტწილად მიწოდებული ამჟამად პეტერბურგში მყოფი ქართველი დესპანებისა და დეპუტატებისაგან“.

საქართველოს ისტორიული სურათის ღირსება-ნაკლოვანებათა უკუე გაახრებლის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ თითოეული თავის შინაარსი. იგი ამავე დროს ხელს შეგვიწყობს ავხსნათ ის საგანგებო ინტერესი, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს ეს წიგნი.

#### ქართველი ხალხის სიძველეებისა და მათ კვყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ

ამ თავში ავტორმა თავი მოუყარა საკმაო საინტერესო ისტორიულ ცნობას საქართველოზე ქართულ, ბერძნულ, რომაულ და რუსულ ენებზე. უბედურად დროიდან რუსეთთან შეერთებამდე. მათზე დაყრდნობით ავტორი ზოგად ხაზებში თანმიმდევრულად მიანიშნებს ანტიკური კოლხეთისა და იბერიის სამეფოების ამა თუ იმ პერიოდის პოლიტიკურ სურათს, წერს საქართველოში მეფობის შემოდების წინააღმდეგ ე. წ. მამასახლისობის ხანისა და პირველი მეფის ფარნაოზის ვინაობაზე, მის ღვაწლზე თავის ქვეყნის წინაშე. ე. ბოლხოვიტინოვი არ ივიწყებს ლეგენდას არგონავტებზე, ანტიკურ ავტორთა მოშველიებით ცდილობს ახსნას ეთნიკური ტერმინების „იბერიის“ და „კოლხიდის“ წარმოშობა, მოტანილი აქვს ქართულ მატრიანებში შემონახული. ცნობილი ლე-

გენდა პატრიარქ ნოესგან ქართველთა წინაპრების წარმოშობის შესახებ.

შემდგომ ავტორი იძლევა მცირე ცნობებს პირველი ქრისტიანი მეფის მირიანისა და ვახტანგ გორგასალის შესახებ. არ ავიწყდება აცნობის მკითხველს, რომ ეს უკანასკნელი წარმატებით იბრძოდა სპარსელთა და ინდოელთა წინააღმდეგ.

ე. ბოლხოვიტინოვისათვის აგრეთვე ცნობილია გადმოცემა ბასკებისა და ქართველების ნათესაობაზე, რის შესახებაც იგი წერს: „ამ ხალხის ერთი ნაწილი, ევროპაზე გავლით, დასახლდა ესპანეთში, ვიდრე ჯერ რომაელები მოვიდნენ იქ... ამიტომ თვით ესპანეთს ძველად ივერია ეწოდებოდა“. ე. ბოლხოვიტინოვს ცხადია, არ ჰქონია პრეტენზია დაეწერა საქართველოს სრულყოფილი ისტორია, ამიტომ ნაშრომში ადგილი აქვს მთელი საუკუნეებისა და ცალკეულ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის გამოტოვებას. კერძოდ, ნაშრომში არაფერი არაა ნათქვამი თუ რა ხდებოდა VIII—IX საუკუნეების საქართველოში. სამაგიეროდ ერთობ მდიდარ ფერებში წარმოგვიდგენს XII საუკუნის საქართველოს ისტორიის არაერთ საყურადღებო მოვლენას. სახელდობრ, სათანადო ადგილს უთმობს დავით IV (აღმაშენებლის), გიორგი III და თამარის დამსახურებას საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაწინაურების საქმეში.

ავტორი ცხოველ ინტერესს იჩენს თამარის მოღვაწეობაზე. საგანგებოდ ჩერდება თამარის საქმროდ გიორგი ანდრიას ძე ბოგოლიუბსკის ჩამოყვანაზე და მის მოღვაწეობაზე საქართველოში. ფაქტიურად ე. ბოლხოვიტინოვმა პირველმა მიაწოდა რუს მკითხველს ცნობები გიორგი უფლისწულის საქართველოში ცხოვრების პერიოდზე.

შემდგომ მაჩვენებია, ადრე საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა თუ როგორ დააკნინა მონღოლთა ურდოების ექსპანსიამ. უთითებს ამ პერიოდის საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენლების რუსუდანის, დავით ულუსა და დავით ნარინის ხვედრს, მათ ცდებს თავი დაეღწიათ განსაცდელისაგან. ავტორი ზედაპირულად ახასიათებს ყველა ქართველი მეფის, მათი თანამედროვე სპარსელი და თურქი გამგებლის მოღვაწეობას და შეძლებისდაგვარად თავისას უზღავს თითოეულს.

ე. ბოლხოვიტინოვი აცნობს მკითხველს ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა გადმოცემას ქართველთა საბრძოლო თვისებებზე: „სიმამაცეს ამ ხალხის წინაპრებისას, — ამბობს იგი, — ხშირად აღნიშნავენ ძველი მწერლები. ვირგილიუსი, პორაციუსი, ლუკანი თავიანთ სიმღერებში. წერენ მათზე, როგორც მეომარ, მტრისათვის მრისხანე ხალხზე“<sup>2</sup>. შემდ-

<sup>2</sup> Историческое изображение Грузии. СПб., 1802, с. 4.

გომ მას აღნიშნული აქვს: „საუკუნეების მანძილზე ისინი აწარმოებდნენ გამუდმებულ ომებს ხან სპარსელებთან, ხან ბერძნებთან, ხან რომაელებთან და ბოლოს არაბებთან და თათრებთან, რომელთაც მათ არაერთხელ წაართვეს იერუსალიმი...<sup>3</sup>. შემდგომ ავტორი დასძენს: „ძველმა ივერებმა შესძლეს თავიანთი სამფლობელო განევრცოთ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, თურქთა ქალაქ არზრუმიდან სპარსთა თავრიზამდე. მდინარე დონის სათავეებამდე“<sup>4</sup>.

ზოგად მიმოიხილვისას ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ირანსა და თურქეთზე, რომლებიც გამუდმებით ესხმოდნენ საქართველოს, აღრმავებდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს. თუ როგორ იტაცებდნენ ისინი საუკეთესო პროვინციებს და თავიანთ პოლიტიკურ გავლენის ქვეშ აქცევდნენ მათ. ავტორი არც იმის აღნიშვნას იგიწყებს თუ როგორ გამოდიოდნენ ირანისა და თურქეთის მომხრეებად ჩრდილო კავკასიის მთიანეთის, უმთავრესად კი დაღესტნის ფეოდალები და როგორ გაიზადეს მათ საქართველო სათარეშო ასპარეზად.

ნაშრომის ამ თავის ფრიად საყურადღებო თავისებურებაა ისიც, რომ მე-16 საუკუნის ბოლოდან მე-19 საუკუნის დამლევამდე საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას იგი მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით ე. ბოლხოვიტინოვმა აქ თავი მოუყარა ბევრ მანამდე ნაკლებად ცნობილ ან სრულიად უცნობ ფაქტებს დიპლომატიურ კავშირზე ორი ქვეყნის მმართველ წრეებს შორის 1587, 1602, 1605, 1663, 1783 წლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავტორს მართლაც თვალსაჩინო შრომა გაუწევია, გამოიზეურებული აქვს მოსკოვის და პეტერბურგის სიძველთსაცავებში დაცული რამდენიმე პირველწყარო.

ავტორი თავთავის ადგილას უთითებს ვინაობას და წვლილს ქართველი და რუსი მეფეებისა, აგრეთვე მათი ელჩებისას, რომელნიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ ორი ქვეყნის დაახლოების საქმეში. ესენი არიან ქართველი მეფეები: ალექსანდრე II, თეიმურაზ I, არჩილ II. ვახტანგ VI, თეიმურაზ II და განსაკუთრებით ერეკლე II, რუსეთის მმართველი წრეებიდან ივანე თევდორეს-ძე, ბორის გოდუნოვი, პეტრე პირველი, ეკატერინე II და სხვა.

ავტორი საგანგებოდ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას იმ მხიმი შედეგებზე, რომელიც დროდადრო მოჰქონდა ხოლმე საქართველოსათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველებას ირანისა და თურქეთის მხრივ. საილუსტრაციოდ მოაქვს ტრაგიკული

<sup>3</sup> Историческое изображение Грузии, с. 5.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 5.



ფურცელი საქართველოს ისტორიიდან: კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ, შაჰ-აბას I დავალებით, მამის კახთა მეფე ალექსანდრეს და ძმის დავითის მკვლელობა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხზე მოტანილი მასალების საფუძველზე მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ წარუმატებლობას და მსხვერპლს ქართველ პოლიტიკოსთა შორის არ გამოუწვევია გულგატეხილობა და რომ საქართველოს მმართველ წრეებს არასდროს არ უღალატიათ არჩეული გეზისათვის — რუსეთთან დაახლოებისათვის.

პირველი თავის ამ ნაწილში ე. ბოლხოვიტინოვს მოცემული აქვს რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობის საინტერესო ფაქტი: ქართველი ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე რუსეთიდან საქართველოში მხატვარ-რესტავრატორების ჩამოსვლა (1625 წ.) საქართველოზე სისტემატური თავდასხმების შედეგად დარბეული ეკლესიამონასტრების აღსადგენად და მოსახატავად.

ნაშრომის ამ თავში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაამობილი თეიმურაზ I ცდება რუსეთთან მტკიცე კავშირის დამყარებისათვის. აღწერილია მისი ტრაგიკული თავგადასავალი, ხოლო რუსთა ხელისუფლების მხრივ დაუხმარებლობას ხსნის პოლონეთთან ომის წარმოების ფაქტით. აქვე მოტანილია თეიმურაზ I მიერ მიხეილ თევდორეს ძისადმი გაგზავნილი სიგელის ფრაგმენტი, რომელშიც აღწერილია სპარსთაგან შევიწროებული საქართველოს სავალალო მდგომარეობა.

შემდგომ მკითხველი ეცნობა რუსი მოგზაურის ალექსი სუხანოვის საქართველოში ჩამოსვლას (1653 წ.) და მის ცნობას ქართლის მეფის როსტომის სურვილზე შესულიყო რუსთა მფარველობაში.

ე. ბოლხოვიტინოვი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს არჩილ II და ვახტანგ VI ღვაწლს რუსეთთან საქართველოს მჭიდრო კავშირის დამყარების საქმეში, მათ დასახლებას რუსეთში და სხვ.

„საქართველოს ისტორიული სურათის“ ავტორი განსაკუთრებულნი სიმპატიით წერს ერეკლე II პიროვნებაზე, მის ღვაწლზე სამშობლოს წინაშე და იმ საერთაშორისო ავტორიტეტზე, რომელიც მან მოიპოვა განსაკუთრებული მეომრული თვისებებითა და პოლიტიკური გამჭკრიანობით. როგორც მოსალოდნელი იყო, შემდგომ საუბარია რუსეთსა და საქართველოს მმართველ წრეებს შორის 1783 წ. გეორგიევსკში დადებულ მეგობრულ ტრაქტატზე. ირანისა და ოსების მხრივ ამ მოვლენის მიმართ დაკავებულ პოზიციებზე. თხრობა მთავრდება ალექსანდრე I-ის 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით და ამ მოვლენის შედეგად საქართველოში გატარებულ ადმინისტრაციულ ცვლილებებზე საუბრით.

დასასრულ, ე. ბოლხოვიტინოვი იმედს გამოსთქვამს, რომ: «Подробнеешого Исторического, Топографического и Характе-

რეალისტური აღწერის მიხედვით ეს ნოვოპრიობრენნიის ქვეყანა ჩვენს მოსახლეობას უფრო მეტად უნდა აინტერესებდეს, ვიდრე მისი მხარეთმცოდნეობითა და ისტორიული მემკვიდრეობით. ამიტომ უნდა ვთხოვოთ მათ, რომ დაეხმარებოდნენ ჩვენს მუშაობაში, რათა შეგვეძინა შესაძლებლობა შევხვედეთ მათ და შევხვედეთ მათ.

### ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და ქართული ეკლესიის მემკვიდრეობა

ეს თავი იწყება ვრცელი ფრაგმენტით IV საუკუნის ისტორიკოსის რუფინუსის გადმოცემიდან საქართველოში „ტყვე ქალის ნონას“ მიერ ქრისტიანობის გავრცელებაზე. მის მიერ 314 წელს საქართველოს მეფის (მირიანის) და მისი მეუღლის ახალ სარწმუნოებაზე მოქცევის შესახებ. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ რუფინუსის ეს ცნობები გამოყენებული აქვთ ისტორიკოსებს სოზომენს, სოკრატს და ფეოდორიტს. იქვე ზოგადად ახასიათებს საქართველოს ძველ დედაქალაქს მცხეთას, მის ადგილმდებარეობას, ლაპარაკობს კათედრალურ სვეტიცხოვლის ეკლესიაზე, მის მნიშვნელობაზე საქართველოს სარწმუნოებრივ ცხოვრებაში.

საგანგებოდ გვინდა შევხვიდეთ ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ათონის ივერთა მონასტრის (X ს.) დაარსებასთან დაკავშირებით მოტანილ ცნობებზე. რომლებიც ძირითადად ზუსტად გადმოსცემენ საშუალო საუკუნეების გამოჩენილი ქართველი სწავლულების თორნიკე ერისთავის, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების ღვაწლს ათონზე ქართული კულტურის უდიდესი კერის დაფუძნების საქმეში.

თორნიკე ერისთავის ვინაობის დახასიათებისას ე. ბოლხოვიტინოვს დამოწმებული აქვს ბერძნული წყაროდან აღებული ცნობა, მისი წინამძღოლობით ქართველთა მეომართაგან საბერძნეთისათვის უაღრესად კრიტიკულ მომენტში გაწეულ დახმარებაზე, სახელდობრ, 980 წელს ბარდა სკლიაროსის მიერ მოწყობილ აჯანყების ჩაქრობის საქმეში თორნიკე ერისთავის არსებითი ხასიათის წვლილზე.

იქვე მითითებულია, რომ ეს ქართული საგანე დაწერილებით აქვს აღწერილი XVIII საუკუნის რუს მოგზაურს გრიგოროვიჩს და ურჩევს მკითხველს გაეცნოს მას. ე. ბოლხოვიტინოვი ამასთანავე აცნობებს მკითხველს, რომ ქართველებს ჰყავთ ეროვნული გმირები, რომელთაგან იგი ასახელებს ქეთევან დედოფალს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, შალვა და ელიზბარ ერისთავებს და სხვ.

სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით ავტორს დამოწმებული აქვს ქართველი უფლისწული ბაკური (IV ს.), ბერძენი ისტორიკოსი სოკრატი (VI ს.), იტალიელი კათოლიკე მისიონერი ავიტაბილე (1631 წ.).

წიგნის ამ თავში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას. ავტორი უთითებს არჩილ II ღვაწლს ბიბლიის ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში, საგანგებოდ ჩერდება ვახტანგ VI დამსახურებაზე თბილისში სტამბის დაარსების საქმეში, ჩამოთვლის მის მიერ დაბეჭდილ წიგნებს და აღნიშნავს. რომ „მალე სპარსთა თავდასხმის შედეგად საქართველოში დაინგრა სტამბები. ხოლო ნაბეჭდი ეგზემპლარები სულ მცირეოდენიდა გადაურჩა მოსპობას“.

ე. ბოლხოვიტინოვი მიმოიხილავს ბაქარ ვახტანგის ძის და იოსებ სამებელის მიერ ს. ვსესვიატსკოეში სტამბის დაარსებას და 1743 წ. „ბიბლიის“ გამოცემის ამბავს, 1752 წ. მოსკოვის ჯვარის ამალღების ეკლესიაში ამ სტამბის გადმოტანის ფაქტს და სხვ. მკითხველს აცნობს 1770 წლამდე აქ გამოქვეყნებული წიგნების სახელწოდებებს.

ავტორმა იცის, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებთან დაკუთვლია სხვადასხვა ენებიდან. თარგმნილი მრავალი ხელნაწერი წიგნი. სანიმუშოდ იგი ასახელებს იოანე ოქროპირის, ფეოფილაქტე ბულგარელის, ვასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და კირილე ალექსანდრიელის თხზულებებს.

#### ქართული ენისა და მწიგნობრობის შესახებ

წიგნის ეს თავი იწყება საუბრით ქართული ენის წარმოშობაზე და წერს, თითქოს იგი წარმოშობილიყოს ექვსი სხვადასხვა ენის: სომხურის, ასირიულის, ხაზარულის, ებრაულისა და ბერძნულის შერწყმის საფუძველზე.

ქართული ენა, წერს იგი, იყოფა ძველ საეკლესიო და თანამედროვე საერო სახეობებად. მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავების საილუსტრაციოდ მოაქვს „მამაო ჩვენოს“ ქართული ტექსტის ორივე ვარიანტი (რუსული ასოებით).

ე. ბოლხოვიტინოვს მიაჩნია, რომ ქართულ ენას გააჩნია უაღრესი სინატიფე, სიმდიდრე და მოქნილობა. სანიმუშოდ იმოწმებს მოზრდილ ფრამენტს ქართველი მეფის მიერ პეტრე პირველისადმი გაგზავნილი სიგელიდან, რომელშიც ხოტბა აქვს შესხმული რუსთა მეფის პიროვნებას, როგორც ჩვენ გავარკვიეთ, სიგელი ეკუთვნის კახთა მეფე კონსტანტინე II, დოკუმენტი შედგენილია 1720 წ.<sup>5</sup>

<sup>5</sup> Броссе М. И. Переписка на иностранных языках грузинских царей. СПб., 1861, с. 127.

ქართული ენის თავისებურებებით მოხიბლული ავტორი მთელ გვერდს უთმობს ქართულ ზმას, რომელსაც იგი უწოდებს საოცარს და იძლევა მის საკმაოდ კვალიფიციურ დახასიათებას: «...Она состоит, в том, чтобы из составления нескольких сказанных слов слиянием слогов намекнуть о каком-нибудь лице или вещи подобно-звучностью имени той вещи, так чтобы все те выговоренные слова можно было прилично разуть о ней. Из сего выходят весьма часто остроумные намеки в добрую и худую сторону, а иногда весьма нескладные идеи. В том и другом случае забавляет сие собеседников и сопровождается смехом. Первое достоинство сей игры в том, чтобы говорить такие шутки непринужденно и скоро»<sup>6</sup>.

ბუნებრივია, ქართული კულტურით ფრიალ დაინტერესებული ევგენი მიტროპოლიტი გვერდს ვერ აუვლიდა ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს — „როდის არის იგი შექმნილი, აღნიშნავს იგი, სარწმუნო ცნობა არ არსებობს, თუმც ზოგიერთი მემატრიანე ამას მიაწერს პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის ხანას“. მან იცის, რომ ქართული ანბანი იყოფა ორ: ხუცურ და საერო სახეობად. მათ შორის ხუცურს, მისი აზრით ბევრი საერთო აქვს სომხურთან, მაგრამ აქვე უარყოფს ამ მოსაზრებას და დასძენს: „არსებითად ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ ის აახლოვებთ, რომ ისინი სწორხაზოვანნი არიან მსგავსად რუსულისა“. მხედრულ ანბანს იგი უძებნის მსგავსებას სპარსულთან და თურქულთან. რა თქმა უნდა, ყველა ეს პარალელები მეტისმეტად გულუბრყვილოა და შეიძლება აიხსნას ე. ბოლხოვიტინოვის მხრივ ქართული ენის არ ცოდნით.

სწავლა-განათლების მდგომარეობა საქართველოში, მათი სკოლები  
და კლასიკური წიგნები

ქართველებს, ვკითხულობთ ამ თავის დასაწყისში, ყოველთვის გააჩნდათ სურვილი და უნარი დაუფლებოდნენ მეცნიერებას, როცა კი ჰქონდათ თავიანუფლება და საამისო შემთხვევა“. დასტურად ნათქვამისა იგი იშველებს დავით აღმაშენებლის მიერ 1089—1130 წლებში მეცნიერების დაუფლებისათვის ათონის მთაზე ყოველწლიურად 12 ბავშვის გაგზავნის ფაქტს.

ე. ბოლხოვიტინოვი ხოტბას ასხამს თამარ მეფის დიდ დამსახურებას ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩამოთვლის მის დროს

<sup>6</sup> «Историческое изображение Грузии», с. 69.

შექმნილ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ლიტერატურულ ნაწარმოებებს და მათ ავტორებს: შ. რუსთაველს, ჩახრუხაძეს, სარგის თმოგველს. იგი სინანულით წერს, რომ ჩინგის-ხანის შემოსევამ დიდი ხნით შეაფერხა საქართველოში განათლების განვითარება. ამ მოვლენას, აგრძელებს იგი, თან დაერთო სპარსთა შემოსევების განახლება. რომელთაც არანაკლებ ზიანი მიაყენეს ქართველ ხალხს.

ავტორი არ ძუნწობს ქება-დიდება უძღვნას ერეკლე II და ანტონ კათალიკოსს ქვეყნის კულტურული დაწინაურებისათვის გაწეულ უმნიშვნელოვანეს დამსახურებისათვის. იგი განსაკუთრებით მოწიწებას იჩენს ანტონ I მიმართ და იძლევა საკმაოდ ვრცელ ბიოგრაფიას. იგი საგანგებოდ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, მის მიერ რუსული ენიდან ქართულად სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანის საქმეში ჩატარებულ შრომაზე.

ავტორი სპეციალურად გამოყოფს მის დამსახურებას ქართული გრამატიკის ხელასლა შექმნის საქმეში. ერეკლე II როგორც ანტონ ბაგრატიონის მფარველსა და ხელშემწყობს „მეცენატს“ უწოდებს, ხოლო ამ უკანასკნელს იგი თავისი დროის „პოლინს“ ადარებს.

დასასრულ, წიგნი მკითხველს სთავაზობს ზოგად ცნობებს სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკურ, სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობაზე, იმოწმებს მოზრდილ ნაწყვეტს მისი ლექსიკონის წინასიტყვაობიდან.

#### ქართული მატერიალიზმისა და ხალხში გავრცელებული სხვა წიგნების, შენახვა

ე. ნოლბოვიტინოვის აზრით, ხანგრძლივი რბევა-აწიოკების მიუხედავად, საქართველოში არასოდეს არ ჩამკვდარა ლიტერატურული საქმიანობა. ამის დასტურად მას მიაჩნია სავი ვრცელი საისტორიო მატერიალის (რომელთა სახელწოდებებს იგი არ უთითებს) შემონახვა და მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერების არსებობა. შემდეგ იგი საგანგებოდ ეხება ვახუშტი ბატონიშვილის ღვაწლს სამშობლოს ისტორიის შედგენის საქმეში და დავით ბაგრატიონის მიერ 1800 წ. თბილისში „საქართველოს მოკლე ისტორიის“ გამოქვეყნების ამბავს.

როგორც წინა თავებში, აქაც ავტორი სათანადო ადგილს უთმობს ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობას ქართული ლიტერატურის გაქვიანების საქმეში, იძლევა „წყობილსიტყვაობის“ მოკლე დახასიათებას, ჩამოთვლის მის მიერ ბერძნულიდან და რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ზოგიერთ ნაწარმოებს, უთითებს თბილისში მდიდარი პირადი ბიბლიოთეკის დაარსების ფაქტს. ავტორი არ ივიწყებს, არც

გაიოზ რექტორის ლეაწლს მშობლიური მწერლობის განვითარების საქმეში და ასახელებს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც თარგმნა მან რუსულიდან: „სასულიერო რეგლამენტს“, მიტროპოლიტ პლატონის „ღვთისმეტყველებას“, მარმონტელის „ველიზარიანს“, „ჩინეთის სიბრძნეს“.

ე. ბოლხოვიტინოვი საგანგებოდ ეხება რა უცხო ენებიდან ქართულად თარგმნის დიდ ტრადიციებს, ჩამოთვლის სპარსული ენიდან თარგმნილ ნაწარმოებებს: „ომიანიანს“, „ნარიშანიანს“, „ლეილ-მეჩუნანიანს“, „იოსებ ზელიხანიანს“ და „ბარამიანს“.

დასასრულ, რუსი მეცნიერი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს „თამარის ეპოქაში შექმნილ ორ საერო ნაწარმოებზე, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანზე“ და სარგის თმოგველის „ვისრამიანზე“. აღნიშნავს, რომ ამ ორ ნაწარმოებს საქართველოში დღემდე განსაკუთრებული მოწიწებით და პატივისცემით ეკიდებიან, „მათი სტილის განუმეორებლობისა და სილამაზის გამო“.

#### ქართული მწერლობისა და მუსიკის შესახებ

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ამ ნაწილში გაცილებით მეტია ავტორისეული დასკვნები და მოსაზრებები, ვინემ სხვა თავებში, ამიტომ იგი ჩვენი აზრით იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და განხილვას.

ე. ბოლხოვიტინოვს შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, რაზეც იგი მიუთითებს არაერთგზის. სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში აკად. კ. კეკელიძეს, როდესაც იგი წერს: „თავისი დროისათვის საყურადღებო მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა მოგვცა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ე. ბოლხოვიტინოვმა. მიმოხილვა მოკლეა არც თუ ყოველთვის ზუსტი, მაგრამ საინტერესოა, რომ ავტორმა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა მოახერხა იმ დროს რუსეთში მყოფ ქართველთაგან შეეკრიბა ის, რაც მან გადმოგვცა“<sup>7</sup>.

იმის დასამტკიცებლად თუ რატომაც ქართული მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანი, ე. ბოლხოვიტინოვი საინტერესო პარალელს ავლებს საქართველოსა და საბერძნეთის ბუნებას შორის. ავტორი აქ უხვად ენაწყლიანობს და გამოაქვს საინტერესო დასკვნები. ქართული კულტურისადმი მხოლოდ დიდი სიმპატიებით გამსკვალულ პირს შეეძლო დაეწერა შემდეგი სტრიქონები: „თუ მართალია, რომ დიდებული და მგრძობიარე საგნები ბუნებისა პირველყოფლისა ალაგზნებენ და წარმოშობენ ლექსთხზვის უნარს, მაშ სად უფრო შეიძლება გაჩენილიყო პოეზიის გენიოსი, თუ არა ამ თავის ბუნებით მომხიბვლელ ქვეყანა“.

<sup>7</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 56.

ნაში, რომელიც ყველაზე მეტად წააგავს პოეტთა მიერ გაღმერთებულ ძველ ბერძნულ თესალიას“<sup>8</sup>. შემდგომ იგი უპირისპირებს საქართველოს ბუნების სილამაზეს საბერძნეთისას და მათგან პირველს ანიჭებს უცილობელ უპირატესობას.

„თესალიაში მხოლოდ ერთი ოლიმპია, აგრძელებს რუსი სწავლული, ხოლო საქართველოში უამრავი თვალუწვდენელი ოლიმპიები აახლოებენ დედამიწას ზეცასთან, იქ მხოლოდ ერთი პირვის ქედია ღირსი მუზათა სამყოფლად, აქ კი ათასი პირვის მთებია, ბევრად უფრო მომხიბვლელი ვინემ თესალიისა“<sup>9</sup>...

ე. ბოლხოვიტინოვი საზს უსვამს რა ქართული ლიტერატურის უძველეს და მდიდარ ტრადიციებს, განსაკუთრებით გამოჰყოფს და ხოტბას ასხაზს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და ჩახრუხაძის „თამარიანს“. „მიუხედავად საუკუნეების მანძილზე მათი ქვეყნის უამრავი ჩაგვრა-გაჩანაგებისა და დარბევისა, აღნიშნავს იგი, რომლის დროსაც მრავალი ძველი განადგურდა, ეს პოემები დღემდე მთლიანად არის შემორჩენილი და ვერ შესძლეს ქართველთა შეგნებიდან მათი ამოძირკვა“.

„ვეფხისტყაოსანის“ მაღალ ღირსებებში ღრმად დარწმუნებული ე. ბოლხოვიტინოვი მის მნიშვნელობას ეროვნული ჩარჩოებით არ შემოფარგლავს და ცდილობს მოუძებნოს პარალელები სხვა ხალხთა ლიტერატურაში: „მოქმედების სცენები, აღნიშნავს ავტორი, მსგავსია არიოსტოს პოემის „როლანდისა“, ხოლო სილამაზე და ორიგინალობა სურათებისა, იდეების ბუნებრივობა და მგრძობელობა ოსიანისებურია“<sup>10</sup>.

არ ავიწყდება აცნობოს მკითხველს, რომ „ეს პოემა ვაჰტანგ VI დროს დაიბეჭდა თბილისში. მაგრამ ჩქარა ისე განადგურდა, რომ ერთობ იშვიათად შეიძლება შეხვდეთ ნაბეჭდ ეგზემპლარს“<sup>11</sup>.

ყოველივე ამით ე. ბოლხოვიტინოვი პირველი მეცნიერია, რომელმაც ბეჭდურად გააცნო რუსეთს, ხოლო შემდგომ ევროპას — რუსთაველი და მისი უკვდავი პოემის სახელი. მასვე ეკუთვნის პირველი ცდა რუსულ ენაზე პირველი სტროფის („რომელმან შექმნა სამყარო“...) ბჭარედული — თარგმანი და მოცემული აქვს მისი გრაფიკული სქემა:

Кто сотворил твердь силою своею крепкою,  
И осуществовав свыше душу, создал с небесъ дуновением,  
Дал человекам и землю неизчислимо оразнообразенную,  
От того суть цари и его суть образ.



<sup>8</sup> Историческое изображение Грузии, с. 89.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>10</sup> იხ. იქვე, გვ. 86.

<sup>11</sup> იხ. იქვე, გვ. 86—87.

„ამ წიგნმა, წერს პროფ. გ. იმედაშვილი, დიდი როლი შეასრულა რუსთაველის ირგვლივ შეხედულებების შემუშავებაში, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მიმართულება მისცა რუსულ ლიტერატურაში რუსთაველის გატანის საქმეს“<sup>12</sup>.

ჩახრუხაძის „თამარიანით“ აღფრთოვანებული ე. ბოლხოვიტინოვი მის შესახებ ამბობს: „რიტმული და ჰარმონიული ელერადობა რითმებისა ქმნის სმენისათვის სასიამოვნო სიმფონიას“. ცალკე გამოყოფს რა ჩახრუხაძის როლს ქართული ლექსის განვითარების საქმეში, საილუსტრაციოდ მოაქვს ერთი სტროფი ამ პოეშიდან: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი“... და იქვე მოაქვს მისი რუსული ბჭკარედული თარგმანი და სხვ.

ე. ბოლხოვიტინოვი, როგორც ძველი ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებული პირი, არა მარტო მისი პროპაგანდისტია, არამედ თავისი წვლილი შეაქვს მის ცალკეულ საკითხთა შესწავლის საქმეში. კერძოდ, აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართული ვერსიფიკაციის კვლევის დარგში. განიხილავს რა ქართული კლასიკური ლექსთწყობის სპეციფიურობას, იძლევა მისი ძირითადი სახეების კლასიფიკაციას, ჰყოფს მას ცხრა სალექსო ზოზად (შაირი, ჩახრუხაული, რული, ძაგნაკორული, წყობილი, ფისტიკაური, ლექსი, ტაეპი და იამბიკო) იძლევა მათ გრაფიკულ სქემებს და სხვა.

ე. ბოლხოვიტინოვმა პირველმა იხმარა „ცეზურა“ ქართული მეტრების მიმართ, მოგვცა ქართული ლექსის, რითმის, მეტრიკისა და სხვა სალექსო ელემენტების მოკლე დახასიათება.

„საქართველოს ისტორიული სურათის“ ავტორს, ქართული ლექსის თითოეული სახეობის განხილვისას, სათანადო ადგილას მოტანილი აქვს ნიმუშები „ვეფხისტყაოსნიდან“, „თამარიანიდან“, ბესიკის „სევდის ბალიდან“, ანტონ I-ის „წყობილისიტყვაობიდან“ (რუსული ტრანსკრიფციით და შესაბამისი ბჭკარედული თარგმანით).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული ლექსის რაობაზე აქ მოტანილი საილუსტრაციო მაგალითები იმდენად მოხერხებული აღმოჩნდა, რომ მათ დიდხანს ვერ აუარეს გვერდი ქართული ვერსიფიკაციის საკითხების მკვლევარებმა.

ქართული ლექსთწყობის შესახებ ევგენი მიტროპოლიტის მოსაზრებების ვრცელი და ამომწურავი შეფასება მოცემული აქვს პროფ. ა. გაწერელიას, რომელიც დაწვრილებით უთითებს, როგორც მის ნაკლოვანებებს, ასევე ღირსებებს. ა. გაწერელია ერთობ მაღალ შეფასებას აძლევს იმ დადებითს, რომელიც გააჩნია ქართული ვერსიფიკაციის შესახებ რუსი მეცნიერის შეხედულებებს:

<sup>12</sup> გ. იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა 1712—1956 წწ., თბ., 1957, გვ. 5.



„ქართული მეტრიკის საკითხებს; აღნიშნავს ეს გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მკვლევარი, პირველად შეეხო ე. ბოლხოვიტინოვი... ეს ნარკვევი დიდხანს ითვლებოდა ავტორიტეტულ წყაროდ იმათთვის, ვინც ქართული ვერსიფიკაციის საკითხებით იყო დაინტერესებული“. მისივე მტკიცებით „გასული საუკუნის 80-იან წლებამდე არც ერთ სხვა ავტორს არ უთქვამს პრინციპულად ახალი რამ ამ ხაზით, პირიქით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ბოლხოვიტინოვთან შედარებით, შემდგომ ავტორები უფრო პრიმიტიულ და მცდარ შეხედულებებს გამოსთქვამდნენ“, დასძენს პატივცემული პროფესორი<sup>13</sup>.

„პროსოდია ქართული პოეზიისა მთლიანად ტონურია, ამტკიცებს ე. ბოლხოვიტინოვი, მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა რაც განპირობებულია ქართული ენის მდიდარი მრავალმარცვლოვანი სიტყვებით და მახვილის მრავალგვარობით. მათში ყველაზე უფრო გამოიყენება პირიბო-დაქტილური მეტრი“<sup>14</sup>...; რაც შეეხება რუსი მეცნიერის მიერ მოცემულ მოსაზრების ნაკლოვანებებს, პროფ. ა. გაწერელიას ამ საკითხებზე ნათქვამი აქვს: „ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ჩამოთვლილი საზომები, რასაკვირველია, არ ამოწურავენ ქართული კლასიკური პოეზიის მეტრს, არ არის სწორი ბევრი მათგანის გრაფიკული სქემაც, მაგრამ თვით საზომების დაქტილური ბუნება კარგად აქვს შენიშნული, რაც ავტორის სუფთა სმენას მოწმობს, არ არის მართალი თითქოს ბერძნული და ლათინური პროსოდია ტონური იყოს. ე. ბოლხოვიტინოვს მეტი არც მოეთხოვებოდა“<sup>15</sup>.

რაც შეეხება ქართული ლექსის მეტრის ამა თუ იმ სისტემისადმი კუთვნილების საკითხს, იგი დღემდე საკამათოა, ამიტომ ბუნებრივია მეტისმეტი იქნებოდა ე. ბოლხოვიტინოვისათვის მოგვეთხოვა ამ მოვლენის ამომწურავი შეფასება.

აწეოთ „საქართველოს ისტორიული სურათის“ ამ ფრიად საგულისხმო თავის ზოგადი ხასიათი. ციტატების ხშირი გამოყენება ჩვენს მიერ განპირობებულია იმით, რომ გვსურდა სრული წარმოდგენა შეგვექმნა მათი შინაარსის ყველა ნიუანსზე.

როგორც ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის სარჩევთან დავინახეთ. წიგნს ბოლოში დართული აქვს: „ჩანაწერი წიგნში მოხსენიებული, საქართველოს მეზობელი ხალხების შესახებ“. მასში მოცემულია მინიმალური ცნობები ყუმიხებზე, ლეკებზე, ყაბარდოელებზე და ყუბანელთათრებზე, „ჩანაწერში“ სქემატურად არის წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობები, ფაქტები რუსეთთან ამ ხალხების ისტორიული ურთიერთობის შესახებ, ჩაემულობაზე და სხვ.

13 ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1959, თბ., გვ. 50.

14 Историческое изображение Грузии. СПб., 1802, с. 88.

15 ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 50.

ვინაიდან ამ დამატებაში წამოჭრილი საკითხები სცილდება ჩვენს ინტერესთა სფეროს მათზე საგანგებოდ ყურადღების შეჩერება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

ვაჭამებთ რა ზემოთქმულს, ჩვენი დასკვნა ასეთია: ე. ბოლხოვიტინოვი ნაყოფიერ პროპაგანდას უწევს ქართული კულტურაა მიღწევებს, ზოგად ხაზებში მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ენის საკითხებს. მას სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს სახელები ქართველი ავტორებისა, რომლებიც უცნობი იყვნენ არაქართული მკითხველისათვის: ჩახრუხაძე, საბა ორბელიანი, ს. თაოგველი, ანტონ ბაგრატიონი და სხვ.

„საქართველოს ისტორიული სურათი“ ის წიგნია, რომელშიც არამარტო პირველადაა მოხსენიებული რუსულ ენაზე რუსთაველის სახელი, არამედ მისი პოემა აღიარებულია დიდმნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებად. ე. ბოლხოვიტინოვის სახელს უკავშირდება პირველი რუსთველოლოგიური ლიტერატურის გამოჩენა არაქართულ ენაზე, აგრეთვე პირველი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტის თარგმანისა.

საანალიზო წიგნში მოცემულია საყურადღებო ძირითადი ბიბლიოგრაფიული ნუსხა ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორებისა, რომლებმაც ძვირფასი ცნობები შემოგვინახეს ძველი კოლხეთის და იბერიის შესახებ. ეს ავტორები არიან: ვარონი, ვირგილიუსი, სტრაბონი, ლუკანი, რუფინუსი, სოზომენი, სოკრატი და სხვ.

ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი პირველი ნაბეჭდი წიგნია, რომელშიც თავისი დროისათვის საფუძვლიანად არის კვალიფიცირებული ქართული ლექსის რაობა, იგი სათავეს უდებს ქართული პოეტიკის შესახებ ბეჭდურ პროდუქციას.

ნაშრომმა ფართო მკითხველს მიანიშნა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან ურთიერთობაზე, საამისოდ წარმოადგინა მრავალი კონკრეტული მაგალითი. განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ადგილები, რომლებიც წერილობით წყაროების საფუძვლადგულო შეგროვების და პირველი პუბლიკაციების მაგალითებს წარმოადგენენ. ასეთებად მიგვაჩნია თეიმურაზ I ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილი და კახთა მეფის კონსტანტინე II მიმართვა პეტრე პირველისადმი და სხვ.

„საქართველოს ისტორიული სურათის“ უდაო ღირსებად უნდა ჩაითვალოს მასში იბერიის მეფის გურგენის (VII ს.) პატრიოტული მოღვაწეობის თაობაზე ცნობების გამოქვეყნება. ვინაიდან ქართულ წყაროებს ამ პიროვნების შესახებ ცნობები არ შემოუნახავს და მომდინარეობს ბიზანტიელ ისტორიკოს პროკოფი კესარიელისაგან<sup>16</sup>.

<sup>16</sup> Историческое изображение Грузии. СПб., 1802, с. 12.

როგორც მოსალოდნელი იყო XIX ს. გარიყრაეზე გამოცემული წიგნი დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან. სახელდობრ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ლეგენდა ქართული ენის ექვსი სხვადასხვა ენის შერწყმის საფუძველზე წარმოშობის თაობაზე. უაღრესად გულუბრყვილოა ე. ბოლხოვიტინოვის პარალელები მხედრულ ანბანსა და ჯურქულ და რუნულ დამწერლობებს შორის, რაც იმდროინდელი ისტორიული აზროვნების შეზღუდვებით უნდა იქნას ახსნილი<sup>17</sup>.

მას ერთ პიროვნებად მიაჩნია ბატონიშვილი კონსტანტინე და კახთა მეფე კონსტანტინე II, რომელთაც მთელი ერთი საუკუნე აცილებს ერთმანეთს. ეხება რა პირველი მათგანის მუხანათურ საქციელს, შაჰ-აბაზ I დავალებით მამისა და ძმის მკვლელობის (1605) ფაქტს, შემდეგ მას მექანიკურად მიაწერს კონსტანტინე II მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ჩადენილ საქციელს (ლეკთა შემოყვანა თბილისში 1723)<sup>18</sup>.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ — ე. ბოლხოვიტინოვი უყოყმანოდ იყენებდა ყველაფერს, რასაც მას კორეაპონდენტები აწვდიდნენ, თუ კრიტიკულად უდგებოდა მათგან მიღებულ სათანადო მასალას. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რაღღენიმე მაგალითს.

1803 წლის 8 მაისის თარიღით, ვ. მაკედონეცისადმი გაგზავნილი პირადი წერილის ბოლოს იგი დასძენდა: „ამასთან ერთად წერილს ვურთავ ჩანაწერს ალავერდელ ეპისკოპოსზე. იგი გამოგზავნილია არქივიდან კამენსკის მიერ, მაგრამ მისი გამოქვეყნება წიგნში არ იქნებოდა სასურველი“<sup>19</sup>.

საქმე ეხებოდა საანალიზო წიგნისათვის ნ. ბანტოშ-კაპიქისკის მიერ ნიწოდებულ დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს 1639—1640 წლებში საქართველოში ნამყოფი რუსი დიპლომატების — თავად ეოლკონსკის, დიაკ იველევის და იპატელ არქიმანდრიტის იოსების მიერ შედგენილ ვრცელ ანგარიშში მოცემულ ერთ ცნობას. მათს რელაციაში ელჩებს მუქი ფერებით ჰყავთ დახასიათებული ალავერდელი ეპისკოპოსის ზებედეც პიროვნება და მისი საღვთისმსახურებო საქმიანობა.

გავეცნოთ მეორე ფაქტს. „წერილი საქართველოზე მე შევაპყირე, ვინაიდან მისი ამ სახით მკითხველისათვის წარდგენა უზერხული იქნება“. — სწერს ე. ბოლხოვიტინოვი ჟურნ. „დრუგ პროსვესჩენიეა“ რედაქტორს დ. ხვოსტოვს<sup>20</sup>. „წერილში საუბარია ამ ჟურნალში № № ინიციალებით დასაბუქდად გამიზნულ სტატიაზე: წერილი საქართველოდან“.

დასახელებულ ჟურნალში 1805 წელს გამოქვეყნებული ამ სტატიისა და ე. ბოლხოვიტინოვის პირად ფონდში შემონახული თავდაპირ-

17 Историческое изображение Грузии. СПб., 1802, с. 65.

18 იხ. იქვე, გვ. 25.

19 Русский архив, 1870, с. 799.

20 Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений как ученый. СПб., 1888, с. 348.

ველი ვარიანტის ურთიერთშედარება ნათელს ხდის რეცენზენტის წინდახედულობის საფუძვლიანობას. ვინაიდან ობიექტურად დანახულ მოვლენებთან ერთად კორესპონდენციაში ვხვდებით ქართველი ხალხის ზოგიერთი ზნე-ჩვეულებების უმართებულო დახასიათებას, რომელთა გამო ე. ბოლხოვიტინოვს მისი შემცირების გარეშე გამოქვეყნება არ მიუჩნევია მიზანშეწონილად.

„საქართველოს ისტორიულ სურათში“, იქ, სადაც საუბარია იტალიელ მისიონერ ავიტაბილეს რელაციაზე (გვ. 58), ვკითხულობთ შემდეგს: „1631 წელს ავიტაბილე აცნობებს რა ურბანოს VII თავისი ელჩობის მიზნებს, ამასთანავე. აღწერს საქართველოს სარწმუნოებრივ მდგომარეობას, ზნე-ჩვეულებებს და მმართველობას, მაგრამ ეს ცნობები მეტწილად მიკერძობებულია“. სახელდობრ, ავიტაბილეს ტენდენციურად აქვს წარმოდგენილი ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი<sup>21</sup> და სხვ. უთუოდ, ამ მიზეზთა გამო, ე. ბოლხოვიტინოვს მისი ცნობები თავის ნაშრომში არ გამოუყენებია.

როგორც მრავალგზის არის აღნიშნული, „საქართველოს ისტორიული სურათი“ გამოკეპულია ანონიმურად, ავტორის ვინაობის ყოველგვარი მინიშნების გარეშე. საანალიზო წიგნით დაინტერესებული ზოგიერთი მკვლევარი ამ გარემოებაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას.

თანამედროვე მკვლევარი მ. გორგიძე ვარაუდობს, რომ ავტორმა თავისი ვინაობა არ დაასახელა იმის გამო, რომ წიგნი კოლექტიური ნაშრომი იყო და ე. ბოლხოვიტინოვს „თავი არ მიაჩნდა ერთპიროვნულ ავტორად“<sup>22</sup>. ხოლო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. შარაძე ამ ფაქტს ხსნის: „ე. ბოლხოვიტინოვის თავმდაბლობით და მოკრძალებულობით“<sup>23</sup>.

სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. გ. მიქაძეს, რომელიც, გამოდის რა წიგნის საგამომცემო გზიფიდან: „ალექსანდრე ხეველის აკადემია“, დარწმუნებულია, რომ ნაშრომი დაიწერა ოფიციალური ხელისუფლების დაკვეთით. უფრო მეტად: „ე. ბოლხოვიტინოვს კარგად ჰქონდა შეგნებული, — წერს პატ. გ. მიქაძე, — რომ სასწრაფოდ და ენის უცოდინარობისაგან დაწერილი წიგნი დაზღვეული არ იქნებოდა შეცდომებისაგან. სწორედ ამიტომ

<sup>21</sup> Орлова Н. К. Грузия и литература Западной Европы XVII—XVIII веков. Тбилиси, 1965, с. 184.

<sup>22</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში (რუს. ენ.) 1976, გვ. 118—119.

<sup>23</sup> გ. შარაძე, ე. ბოლხოვიტინოვი — პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ. 1978, გვ. 42.

არ გაუმელავნა მან მკითხველს თავისი ვინაობა — გაუფრთხილდა სა-  
კუთარ კარიერას და სახელის შელახვას“<sup>24</sup>.

ვისაც ე. ბოლხოვიტინოვის მეცნიერული მოღვაწეობა საგანგე-  
ბოდ უკვლევია (ე. შმურლო, ნ. ტიხონრაგოვი, პ. მილიუკოვი) შემჩ-  
ნეული აქვს, რაოდენ მეცნიერული თავმდაბლობა და უპრეტენზიობა  
ახასიათებდა სწავლულ იერარქს საკუთარი ღვაწლისადმი: „გიგზავნიო  
ჩემს წიგნს, — ნოვგოროდელბისათვის — სწერს იგი ამავე ვ. მაკე-  
დონეცს, რომელიც დაწერილია სახუმაროდ, ბალღებთან საუბრე-  
ბისას“<sup>25</sup>.

ხაზგასმულია, რომ აქ ლაპარაკია აგრეთვე ხელმოწერლად გა-  
მოცემულ მის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომზე „სამი ისტორიული სა-  
უბარი ძველ ნოვგოროდზე“ (1808).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ე. მიტროპოლიტის ასზე მეტი ნაშ-  
რომიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ხელმოწერილი და ისიც ინი-  
ცილებით<sup>26</sup>, ხოლო დანარჩენი გამოცემულია ყოველგვარ ხელმო-  
წერის გარეშე. მათ შორის ისეთებიცაა, რომლებიც გამოქვეყნებულია  
ორჯერ და მეტჯერ და დღემდე არ დაუქარგავს მეცნიერული ღირებუ-  
ლება. დავასახელებთ მხოლოდ ორ მათგანს:

1. Словарь исторический о бывших в России писателях ду-  
ховного чина греко-российской церкви, т. 1—2, СПб., 1818, 1827.

2. Словарь русских светских писателей соотечественников  
и чужестранцев, писавших в России, т. 1—2, М., 1845.

ე. ბოლხოვიტინოვის, როგორც მისი დროის თვალსაჩინო ლექსი-  
კოგრაფის, დიდი აღიარებაა „სასულიერო მწერლობის ლექსიკონის“  
(1827 წ.) ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გერმანიის დემოკრატი-  
ულ რესპუბლიკაში (ლიპციგი) 1971 წელს ხელახალი გამოცემა.

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, დამატებით გავეცნოთ კიდევ რამ-  
დენიმე ფაქტს. 1800 წელს ე. ბოლხოვიტინოვმა კატეგორიულად უარი  
უთხრა მეგობრებს, რომლებიც ურჩევდნენ მისი სოლიდური ნაშრომი:  
„ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური აღწერა ვორონეჟის  
გუბერნიისა“ მიერთშია იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის. სა-  
მაგიეროდ. ეს მისია არ უთავილია ვორონეჟის გუბერნატორ ა. სონ-  
ცოვს, რომელიც ამ საქციელისათვის უხვად იქნა დაჯილდოებული „მო-  
წყალე ხელმწიფისაგან“<sup>27</sup>.

1800—1807 წლებში შვიდ წიგნად გამოიცა „რუსეთის იერარქიის

24 გ. შიკაძე, ორი პუბლიკაციის გამო, ჟურნალისტიკის საკითხები, თბ., 1981,  
33. 518—519.

25 Русский архив, 1870, с. 811.

26 Масанов И. Ф. Словарь псевдонимов. М., 1960, т. IV, с. 176.

27 Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений как ученый. СПб., 1888, с. 257.

ისტორია“, რომლის შედგენაში ე. ბოლხოვიტინოვს ძირითადი მონაწილეობა მიუძღვოდა. მაგრამ, დღემდე ეს წიგნები ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში მოხსენიებულია მხოლოდ ეპისკოპოს ამბროსი ორნატსკის ავტორობით და არსად არის აღნიშნული თანაავტორის ვინაობა. ისიც კარგადაა ცნობილი. რაოდენ კატეგორიულად მოითხოვდა იგი გ. რ. დერჟავინისაგან არსად არ ყოფილიყო აღნიშნული მისი მონაწილეობა დიდი პოეტის ცნობილი ფილოლოგიური ნაშრომის „განსჯა ლირიკული პოეზიის“ მომზადებაში<sup>28</sup>.

არანაკლებ პრინციპულად მოითხოვდა ე. ბოლხოვიტინოვი პროფ. სნეგირევისაგან, რომელსაც მისგან მინდობილი ჰქონდა „რუსული საერო ლექსიკონის“ გამოცემა, არ მიეთითებინა ავტორის ვინაობა.

განხილული საკითხის საბოლოო გარკვევისათვის არანაკლებ მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ე. ბოლხოვიტინოვმა თავისი „საერო ლექსიკონში“ მოთავსებული საკუთარი შრომების ნუსხა მხოლოდ 52 ნაშრომის დასახელებით შემოსაზღვრა და არ ჩათვალა საჭიროდ გაკვრით მაინც მიენიშნებინა 30-ზე მეტი სხვა გამოკვლევისათვის<sup>29</sup>.

ყოველივე ნათქვამის შემდგომ სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ: „საქართველოს ისტორიული სურათის“ ხელმოუწერლად გამოცემა უნდა აიხსნას მხოლოდ ერთი მიზეზით: ე. ბოლხოვიტინოვის თავმდაბლობით და მის მიერ შემუშავებული საკუთარი მეცნიერული ეთიკით და არა სხვა რაიმე გარემოებებით.

---

<sup>28</sup> Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений как ученый. СПб, 1888, с. 375.

<sup>29</sup> Словарь Русских светских писателей. М., 1845, с. 5—15.

## თავი მესამე

### საქართველო ძველ რუსულ ბეჭდურ წყაროებში (XVII—XVIII სს.)

რათა უკეთ გავერკვეთ, რა შესძინა საანალიზო წიგნმა ოუსეთის საქართველოზე არსებულ წარმოდგენას, მოგვიხდება ზოგადად მიმოვიხილოთ ის ბეჭდური ლიტერატურა, რომელიც არსებობდა მანამდე ჩვენი ქვეყნის შესახებ რუსულ ენაზე.

ეს გარემოება თავის მხრივ ხელს შეგვიწყობს თვალი გავადევნოთ — რამდენად ისარგებლა ე. ბოლხოვიტინოვმა მის წინამორბედთა ნაღვაწით.

საქართველოს თემამ რუსულ საგამომცემლო საქმეში საფუძვლანად მოიკიდა ფეხი XVIII ს-ს. 80-იან წლებში, მაგრამ როგორც რუსული წიგნის ისტორიის გაცნობით დგინდება, ჭერ კიდევ 1559 წელს დაბეჭდილია ვინმე სტეფანე მთაწმინდელის ფრიად „საყურადღებო წიგნი“ სამოთხე წარმოსახული“... (შევსებული და გამოცემული რუსეთის პატრიარქის ნიკონის მიერ), რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს დათმობილი აქვს მნიშვნელოვანი ადგილი.

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. ათონის წმ. მთის შესახებ. 2. ათონის ივერთა სავანესა და პორტაიტისას ხატის (ასე უწოდებდნენ იქ დაცულ ე. წ. კარის ღვთისმშობლის ხატს — ს. ლ.) შესახებ. 3. ვალდაის ტბის (ნოვგოროდის ოლქი — ს. ლ.) ივერთა მონასტრის შესახებ. 4. ქება პორტაიტისას ღვთისმშობლის ხატისა. 5. წმ. იაკობ ბოროვიჩელის ნაშთთა გადმოსვენება ივერთა მონასტერში<sup>1</sup>.

წიგნის მოცულობა შეადგენს 217 გვერდს, (ზომა 17×12 სმ.). თითოეული თავი იწყება კარგად გაფორმებული, წითელ ფერში შესრულებული ორნამენტითა და საზედაო ასოებით. წიგნი დაწერილია ძველ სლავურ ენაზე. მასში ვრცლადაა საუბარი იმის შესახებ თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი ქალკედონის ნახევარკუნძულზე (საბერძნეთი)

<sup>1</sup> Рай мысленный, в нем же различные цветы, Преподобным Стефаном Святогорцем собраны. (В. С. Сопиков. О пять российской библиографии. СПб., 1813, т. I, с. 58).

სამონასტრო მშენებლობას; სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქართველთა პირველ დასახლებას ათონზე, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების მწიგნობრულ მოღვაწეობას, ათანასე წინამძღვართან მათს დამოწაფებას. ავტორის სიტყვით „ექვთიმემ ზედმიწევნით შეისწავლა ფილოსოფია და ბერძნულიდან ივერთა ენაზე თარგმნა ყველა წიგნი და იქცა მეორე ოქროპირად“.

ავტორი აღწერს „დიდი თორნიკეს“ ათონზე მოსვლას და იმ მოვლენებს, რომლებიც უკავშირდებიან მის შემდგომ მოღვაწეობას. სახელდობრ, თუ რა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ბარდა სკლიაროსის აღზევებამ ქვრივი დედოფალი, რომელმაც თორნიკეს სთხოვა, ეწინააღმდეგა ბერძენთა ჯარისათვის, ეხსნა საბერძნეთი განსაცდელისაგან. შემდგომ მოკლედ მოთხრობილია თორნიკე ერისთავის დიდ გამარჯვებაზე სკლიაროსთან და მის მიერ სახელგანთქმულ ივერთა სავანის დაარსებაზე.

„სამოთხე წარმოსახული“ ყველაზე აღრინდელი ნაბეჭდი წიგნია რუსეთში, რომელშიც ძველი საქართველოს კულტურის წარსულის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. სათქმელია ისიც, რომ აქ საქმე გვაქვს ცნობილ ქართველ ისტორიულ პირთა — იოანე და ექვთიმე მთაწმინდელებისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობის ბეჭდურად ყველაზე აღრე მოხსენიების ფაქტთან<sup>2</sup>.

რუსეთთან საქართველოს გაერთიანების საკითხის მომწიფებამ XVIII ს. მეორე ნახევარში შექმნა აუცილებლობა ამ ქვეყნების მმართველ წრეებში კიდევ უფრო უკეთ ურთიერთგაცნობა-შესწავლისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის გაზეთებს „მოსკოვსკიე ვედომოსტს“ და „პეტერბურგსკიე ვედმოსტს“. ხოლო ჟურნალებიდან — ნ. ნოვიკოვის „დრევენაია როსიისკაია ვივლიოფიკას“. თუ ეს გაზეთები ძირითადად ყურადღებას უთმობდნენ თანამედროვე საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას, სამაგიეროდ ნ. ნოვიკოვის ჟურნალი აქვეყნებდა XVII საუკუნის საქართველოში დიპლომატიური მისიით ნამყოფი რუსი ელჩების მიერ შედგენილ ვრცელ ანგარიშებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის შესახებ.

რა თქმა უნდა, ყველა ეს მასალა მისი შინაარსით და მოცულობით არაა თანაბარი მნიშვნელობის. 1762—1766 წლების „მოსკოვის უწყებებისა“ და „პეტერბურგის უწყებების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული სხვადასხვა სახის კორესპოდენციებიდან და ინფორმაციებიდან აღსანიშნავია ცნობები საქართველოს საშინაო და

<sup>2</sup> Рай мысленный, о св. горе Афонсте и в ней Иверском монастыри, и о монастыри Иверском Святоезерском в России великой, и о св. Иакове Боровиксм. Печатана в монастыре Иверском лета 7167, окт. 28.



საგარეო მდგომარეობაზე. განსაკუთრებით ერეკლე II მამაცურ ბრძოლებზე თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. დავიმოწმებთ „მოსკოვსკი ვედომოსტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სხვადასხვა შინაარსის მქონე ორ მათგანს: 1. „უშიშარი და წინდახედული სარდლის შესახებ ლივონიიდან ჩამოსული ჯარის უფროსმა ილაპარაკა, რომ იგი იყო სმირნში, ქართველთა მეფემ ერეკლე მეორე ალექსანდრე მაკედონელმა, კიდევ ახლად გაიმარჯვა თურქებზე“ (1766 წლის 24 ოქტომბერი № 85). 2. „ყვავილის აცრა, რომელიც ჩინეთში უძველესი დროიდანაა მთიელ ჩერქეზებსა და საქართველოში მე-15 საუკუნიდან არის გავრცელებული, კონსტანტინეპოლში კი 1678 წლიდან, ინგლისში 1721 წლიდან, ხოლო აქედან იგი გავრცელდა მთელს გერმანიასა და საფრანგეთში“ (1769. 25. VII. № 59) და სხვა<sup>3</sup>.

საქართველოს შესახებ უცხოეთიდან მიღებული კორესპონდენციების პარალელურად, მრავლად ვხვდებით ცნობებს რუსეთში ძუბოვრებ ქართველთა საქმიანობის შესახებ. ფრიად საყურადღებოა ის ინფორმაციები, რომლებიც უკავშირდებიან ქართულ ჰუსართა პოლკის მამაცურ ბრძოლებს რუსეთის არმიის რიგებში რუსეთ-პრუსიის შვიდწლიანი ომის (1756—1763 წ) პერიოდში. ამ ინფორმაციების სახით საქმე გვაქვს სანდო წყაროსთან, ვინაიდან ეს მასალები გამოგზავნილია უშუალოდ ფრონტებიდან და ავსებენ ჩვენს წარმოდგენას რუსეთ-საქართველოს საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვან წარსულზე.

„დრევნაია როსიისკაია ვივლიოფიკას“ პუბლიკაციებიდან საყურადღებოა XVII საუკუნის საქართველოში დიპლომატიური მისიით ნამყოფი რუსი ელჩების მიერ შედგენილი ვრცელი ანგარიშება, აგრეთვე ინფორმაციები რუსეთში დიპლომატიური მისიით ჩასულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართ დამხედურთაგან გამოჩენილი ყურადღების შესახებ და სხვა. სახელდობრ, 1788—1791 წლების ნომრებში აქ დაიბეჭდა 5 მნიშვნელოვანი მასალა:

1. „მუხლობრივი აღწერა ნიკიფორე ნიკოლოზის ძე ტოლოჩანოვის ელჩობისა იმერეთში (1650 წ)“.

დოკუმენტი შეიცავს რუსი ელჩების ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იველევის ოფიციალურ ანგარიშს 1650—1652 წლებში. იმერეთში ყოფნასთან დაკავშირებით იგი წარმოადგენს იმერეთის აღწერას. მასში შეტანილია უნიკალური ცნობები მოსახლეობის, სოფლის მეურნეობის, ციხე-ქალაქების შესახებ და, რაც უფრო საყურადღებოა მასში მოცემულია სურათი აღნიშნული პერიოდის იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და სხვა<sup>4</sup>.

<sup>3</sup> ი. ლორთქიფანიძე მოსკოვისა და პეტერბურგის „უწყებათა“ 1762—1767 წლების ცნობები ქართველებისა და საქართველოს შესახებ. საქართველოს მუზეუმის ნომრებ, 1940, ტ. X, გვ. 167—175.

<sup>4</sup> Древнероссийская вивлиофика, 1788, т. V, с. 135—251.

2. „ჩანაწერი ქართველი მეფის თეიმურაზის მოსკოვში 1658 წელს ჩამოსვლის თაობაზე“.

წარმოადგენს საზეიმო შესვენდრის დეტალურ აღწერას, რომელიც მოუწყვეს თეიმურაზ I ასტრახანიდან მოსკოვამდე, მოიცავს მისასალმებელ სიტყვებს, მათ შორის ალექსი მიხეილის ძე რომანოვისას.

განსაკუთრებით საინტერესოა თეიმურაზ I დიდი მოწიწებითა და პატივით მიღება, კარგით მისი შემოსვლა მოსკოვში, საპატიო ყარაულის შემადგენლობა და სხვა<sup>5</sup>.

3. „ჩანაწერი ქართველი უფლისწულის ნიკოლოზის დავითის ძის გაცილების თაობაზე, დაიწერა 1660 წელს“.

შეიცავს ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონის (იგივე ერეკლე I) 1660 წელს მოსკოვიდან საქართველოში საზეიმო გაცილების აღწერას, საგანგებო გამოსათხოვარ წვეულებაზე დამსწრეთა ვინაობას, გამომშვიდობების ცერემონიას და სხვა<sup>6</sup>.

4. ჩანაწერი მეფე არჩილის 1683 წელს მფარველობაში მიღების თაობაზე.

ჩანაწერში დასახელებული არიან არჩილ II ოჯახის წევრები და თანმხლები პირები, შემხვედრთა ვინაობა, ჩამოთვლილია საჩუქრები, მითითებულია თუ სად მიუჩინეს ბინა ადგილსამყოფლად<sup>7</sup>.

5. „დასახელება იმ ქართველი მეფეებისა, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის ხელმწიფეებთან, მეფეებთან და დიდ მთავრებთან“.

ჩანაწერში საუბარია 1587 წელს კახთა მეფე დავითის, მიხეილ თევდორეს ძის მიერ მფარველობაში მიღებაზე, აგრეთვე ალექსი მიხეილის ძის მეფობისას იმერთა მეფის ალექსანდრე რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარებაზე. პუბლიკაციაში შესული ქართველ მეფე-მთავრების ჰიგელები, გაზავნილი რუსთა მეფეთადმი და სხვა<sup>8</sup>.

საქართველოსთან დაკავშირებით საკითხებმა თავი იჩინა XVIII ს. 40-იანი წლების საიმპერატორო აკადემიის მიერ გამოცემულ კრებულებაშიც. მათი ავტორები არაან გ. შობერი, პ. პალასი და სხვები, რომლებიც ძირითადად კავკასიის გეოგრაფიითა და ბუნებრივი რესურსებით იყვნენ დაინტერესებულნი, ხოლო ჩვენთვის საინტერესო საკითხები აქ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებენ, ამიტომ მათს ნაშრომებზე საგანგებოდ აღარ გვაქმავილებთ ყურადღებას<sup>9</sup>.

ამ პერიოდში გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურიდან ყუ-

<sup>5</sup> Древнероссийская вив.пн.офияка, ტ. VIII, გვ. 109—115.

<sup>6</sup> იქვე, 1790. т. XIV, с. 40—64.

<sup>7</sup> იქვე, ტ. XV გვ. 306—326.

<sup>8</sup> იქვე, ტ. XVI გვ. 217—221.

<sup>9</sup> Халтадзе Ш. Грузия в зеркале Русской науки XVIII в., газ. «Вечерний Тбилиси», 1982, 15.VII. № 115.

რადღებას იქცევს ოთხი ნაშრომი, რომლებშიც საქართველოს ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი. ერთი მათგანი ეკუთვნის ი. პერბერგს: „აღწერა კასპიის ზღვის პირას მდებარე ქვეყნებისა“..., რომლის ერთ-ერთ თავს ეწოდება „კახეთი“ (გამოქვეყნდა 1760 წ.).

ამ თავში მოცემულია XVIII ს. ოციანი წლების კახეთის მოკლე ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა. აქვე ვხვდებით ცნობებს სოფლის მეურნეობაზე; სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, მოსახლეობის მებრძოლ ბუნებაზე 1723 წელს თურქთა მიერ თბილისის აღებაზე. აქვე ლაპარაკია ვახტანგ VI მოღვაწეობაზე და სხვ<sup>10</sup>.

ქართული კულტურის საკითხებმა სათანადო ასახვა ჰპოვა არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ იგი კარგად არის გამოხატული რუსულ სამიმოსვლო თხზულებებშიც, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვასილ გრიგოროვიჩ-ბარსკის (1701—1747) ვრცელი „მოგზაურობა“, 1788, სპბ. იგი შედგება 1723—1747 წლებში ავტორის მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებისა. მასში ფრიად საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ აღწერას იერუსალიმისა და ათონის ქართველთა მონასტრებისას და მათ შესახებ არსებულ გადმოცემებს და ა. შ.

მესამე ნაშრომს წარმოადგენს ცნობილ ისტორიკოს ვასილ ნიკიტას ძე ტატიშჩევის (1686—1750): „რუსეთის ისტორიული გეოგრაფიული პოლიტიკური და სამოქალაქო ლექსიკონი“. გამოიცა 1793 წელს სამ წიგნად პეტერბურგში.

ლექსიკონში სათანადო ადგილასაა მოთავსებული სტატიები შემდეგ საკითხებზე: „აფხაზეთი“, „დაღიანები“, „იბერია“, „კახეთი“, „საქართველო“, „ქართლი“. მოლოდინისამებრ, მართებულ ცნობებთან და ინტერპრეტაციებთან ერთად. თუმცა მათში უზუსტობებისა და შეცდომების გამო, ბევრი რამ მიუღებელია, მაგრამ მთლიანობაში მასალა ხელს უწყობდა რუსეთში საქართველოზე მეცნიერული აზრის შექმნაების საქმეს.

ლექსიკონში საყურადღებოა ორი შენიშვნა: „ცნობები მომარაღა და უფლისწულმა ბაქარ ვახტანგის ძემ“ და „რუსეთის დიდ მთავრებს მსტისლავ დიდს, ვსევოლოდ III და იზიასლავ II ცოლად ჰყავდათ ქართველ მეფეთა ასულები“<sup>11</sup>. დინასტიური დანათესაების დასახელებული სამი ფაქტიდან ისტორიულად ცნობილია მხოლოდ მესამე მაგალითი ხოლო ორი დღემდე უცნობია ისტორიოგრაფიისათვის. ვ. ტატიშჩევის ეს მტკიცება იმსახურებს ყურადღებას; ხომ არ შეესაბამებოდა ისინი სინამდვილეს?

<sup>10</sup> Гербер И. Описание стран, лежащих при Каспийском море... «Сборник Руссiйской исторiи», 4-ая книга. СПб., 1760.

<sup>11</sup> Татищев В. Н. Лексикон Руссiйской исторической, СПб., 1793, т. I, с. 7—8, т. II, с. 93—94, т. III, с. 66, 67, 175, 188.

დასასრულს კიდევ ერთი ნაშრომის შესახებ, რომელიც ეკუთვნის სტეფანე დანიელის ძე ბურნაშოვს (1743—1824); „საქართველოს მიმოხილვა ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“. 1793 წ. ქ. კურსკი<sup>12</sup>. ავტორი — რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1733—1787 წლების რუსეთის სამეფოს წარმომადგენელი ერეკლე II კარზე, ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა XVIII ს. 80-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის და დღემდე არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა.

საქართველოსთან დაკავშირებით საკითხები უხვად არის მოცემული ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნილ შემდეგ ნაწარმოებებში:

1. „ისტორია სპარსეთის შაჰის თახმასპ ყული-ხანისა, ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი ასესორ სტეფანე რეშეტნიკოვის მიერ“, სპბ., 1762. მასში შეტანილია რამდენიმე საყურადღებო ცნობა და დახასიათება ქართველი ხალხის, საქართველოს ბუნებისა. ავტორი განსაკუთრებული აღფრთოვანებით წერს ქართველთა შემორტულ თვისებებზე: „რომლითაც ისინი განთქმული არიან მთელ აზიაში“. ქართველებს უწოდებს „ულამაზეს ხალხს მთელს მსოფლიოში“, მოცემულია თბილისის მოკლე, მაგრამ საკმაოდ ზუსტი დახასიათება<sup>13</sup>.

2. ს. ლუზინიანი. „ისტორია ალი-ბეის აჯანყებისა ოტომანური პორტის წინააღმდეგ“<sup>14</sup>. 1789 წელს დაიბეჭდა მოსკოვში. წიგნში საკმაო ცნობებია მოცემული ეგვიპტის მამლუქთა ზედაფენის წარმომადგენლების — ალი-ბეის, ისმაილ-ბეის, ჰადილ-ბეის, ჰასან-ბეის, მორტ-ბეის, აქიფ-ბეის, უსუფ-ბეის, ზულკიფარ-ბეისა და სხვათა შესახებ. ავტორი, რომელიც კარგა ჯანს ცხოვრობდა ეგვიპტის გაძგებელ ალი-ბეის კარზე, საგანგებოდ აღნიშნავს ყველა ზემოთ დასახელებულ პირთა ქართულ წარმოშობაზე, უთითებს იმ დადებით ნიშან-თვისებებზე, რითაც ხასიათდებოდნენ ისინი.

3. დე-ლაპორტი. „მსოფლიო მოგზაური“<sup>15</sup>. სპბ., 1799. შედგება ორი თავისაგან: „საქართველო და იმერეთი“ (90—122) და „სამეგრელო ანუ ძველი კოლხიდა“ (123—147). ნაშრომი ძირითადად წარმომადგენს XVIII ს. 70-იანი წლების საქართველოს სურათს. თუმც მასთან ასლავს საქართველოს ისტორიის ერთგვარი მიმოხილვა უძველესი

<sup>12</sup> Бурнашев С. Д. Картина Грузии или описание политическое состояние царств Карталинского и Кахетинского, Курск, 1793.

<sup>13</sup> История персидского шаха Тахмас Кули-Хана с французского на русском языке переведенная Стефаном Решетниковым. СПб., 1762.

<sup>14</sup> Лузинян С. История о возмущении Али-Бея против османской порты. М., 1789.

<sup>15</sup> Лаббат де ла Порт. Всемирный путешественник или познание старого и нового света. СПб., 1779.

დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ნაშრომი შედგება შემდეგი ქვე-  
თაეებისაგან: ქალაქები, საზღვრები, შემოსავალი, ზნე-ჩვეულებები,  
ეკლესია, მოსახლეობის რაოდენობა, ქართველი ქალები, დედაქალაქი  
და სხვ.

როგორც აკად. ს. ჭანაშიამ გამოარკვია, ეს ნაშრომი არ არის დე-  
ლაპორტის ორიგინალური ნაშრომი; იგი წარმოადგენს ერეკლეს კარ-  
ზე რუსეთის ელჩის იაზიკოვის იმხანად გამოუქვეყნებელ სამეფო კარი-  
სადმი წარმოდგენილი მოხსენების ოდნავ გადაშუშავებულ თარგმანს,  
რაც გამოიხატება მასალის ახლებურად დალაგებაში, მცირე ოდენობის  
ახალი ცნობების დამატებით<sup>16</sup>.

ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს საკითხი იმის შესახებ, თუ  
რა ნაწარმოებები იყო თარგმნილი ქართული ენიდან რუსულად XIX ს.  
დამდეგისათვის.

1. „რუსულ-ქართული ანბანი“ 1737 წ. სპბ<sup>17</sup>. გამომცემელი ქრის-  
ტეფორე გურამიშვილი, დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემი-  
ის სტამბაში, 40 გვ. იგი წარმოადგენს დიდ ბიბლიოგრაფიულ  
იშვიათობის მქონე წიგნს, შემორჩენილია ერთადერთი ცალი და დაცუ-  
ლია ლენინგრადში, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. ანბანი  
წარმოადგენდა სახელმძღვანელოს რუსულით დაინტერესებულ ქართ-  
ველთათვის და რუსებისათვის ქართული ენის შესასწავლად.

2. „ბარამ გულანდამიანი“ 1773. მოსკოვი<sup>18</sup>.

წარმოადგენს სპარსული პროზაული წყაროს ქართულ თარგმანს  
(XVIII ს. პირველი ნახევარი). რუსული თარგმანი შესრულებულია  
ქაროულ საქმეებში მოსკოვის უნივერსიტეტის ინფორმატორის სიმონ  
ეგნატაშვილის მიერ. ეს ფაქტი საინტერესოა როგორც ქართულ-რუ-  
სული, ასევე რუსულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა  
თვალსაზრისითაც. ნაწარმოებებში მკაფიოდ არის გამოხატული კლასი-  
ციკური სარაინდო რომანის ძირითადი ნიშნები.

3. ა. ამილახვარი. გეორგიანული ისტორია ანუ მოთხრობა ახალგა-  
ზრდა ამილახვარზე<sup>19</sup>. გამოცემულია სპბ 1779 წელს, თარგმანი შესრუ-  
ლებულია იმავე ს. ეგნატაშვილის მიერ. ალექსანდრე ამილახვარი (1750-  
1802 წ.), პოლიტიკური მოღვაწე, დრამატურგი, ლეგიტიმისტური საქმი-

16 ს. ჭანაშია. დე-ლაპორტის ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1937, ნაკვ. III, გვ. 217—218.

17 იხ. ქ. შარაშიძე. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, თბ., 1957, გვ. 17—18.

18 Похождение новомодной красавицы Гуландани и храброго принца Барамы. М., 1773.

19 История георгианская о юноше князе Амилхварове. СПб., 1779.

ანობის გამო მაქასთან ერთად რეპრესირებული იყო ერეკლე II-ის ბრძანებით. თბილისის საპყრობილიდან გაქცევის შემდეგ (1788 წ.) გადავიდა რუსეთში, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. ნაწარმოები ავტოზიოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ისტორიას უკველესი დროიდან XVIII ს-მდე. ერეკლე II-სადმი უკიდურესი ტენდენციურობის მიუხედავად, წარმოადგენს XVIII ს. საქართველოს ისტორიის საყურადღებო წყაროს.

უტყუარ ისტორიულ ცნობებთან ერთად მასში ვხვდებით ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხების არამეცნიერულ ინტერპრეტაციას. სამწუხაროდ, ე. ბოლხოვიტინოვს მისი ეს მცდარი აზრი მექანიკურად აქვს გადმოტანილი თავის „საქართველოს ისტორიულ სურათში“ (იხ. გვ. 65).

4. დავით ჩოლოყაშვილი, „ივერიის მუზათა საბრძოლო სიმღერები“, სპბ. 1791 წ.<sup>20</sup> დ. ჩოლოყაშვილი პოეტი-დრამატურგი, თარგმნიდა როგორც რუსულიდან ქართულად, ასევე ქართულიდან რუსულად. თარგმნილი აქვს მ. ლომონოსოვის ოდა „ღმერთი“, ე. რასინის „ეფიგენია“ (რუსულიდან). ნაწარმოები გამოცემულია ბროშურის სახით და წარმოადგენს პოეტური ნაწარმოების პროზაულ თარგმანს. ნაწარმოების ქართული დედანი ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ლექსი სახობო უანრისაა და მიძღვნილია რუსეთის ჯარების უძლეველობისადმი. ავტორი ქება-დიდებათ იხსენიებს სუფოროვისა და გ. პოტიომკინის ღვაწლს თურქთა დამარცხების საქმეში. თხზულების ერთადერთი ეგზემპლარი შემონახულია მოსკოვის ისტორიული ბიბლიოთეკის იშვიათი წიგნების ფონდში.

5. (ვარლამ ერისთავი, არქიმანდრიტი) მოკლე ქართული გრამატიკა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. ს. პეტერბურგი. 1802<sup>21</sup>.

მოტანილი ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რაოდენ მცირე ბეჭდური ლიტერატურა არსებობდა XIX ს. დამდეგისათვის საქართველოს შესახებ რუსულ ენაზე. არც იმის გარკვევა შეადგენს სიძნელეს, რამდენად წინ გადადგმული ნაბიჯია საანალიზო წიგნის გამოცემის ფაქტი, რუსეთში საქართველოსადმი მზარდი ინტერესის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. სახელდობრ, თუ წინამორბედ ბეჭდურ ლიტერატურაში საქართველოს ისტორიისა თუ კულტურის მხოლოდ ესა თუ ის მხარე იყო ასახული, „საქართველოს ისტორიული სურათის“ გამოსვლის შემდეგ დაინტერესებულ მკითხველს შეეძლო ხელთ ჰქონოდა დამაკმაყოფილებ-

<sup>20</sup> Чолокаев Д. Песни Иверских муз. На успехи победоносного Российского оружия. СПб., 1791.

<sup>21</sup> Эрнстави В. Краткая грузинская грамматика. СПб., 1802.

ლი ინფორმაცია ახლადშემოერთებული ქვეყნის შესახებ უძველესი დროიდან 1802 წლამდე.

და ბოლოს, იმის შესახებ იცნობდა თუ არა ე. ბოლხოვიტინოვი დასახელებულ ლიტერატურას და გამოიყენა თუ არა მან ისინი თავის „საქართველოს ისტორიული სურათის“ შედგენისას. ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს რუსი მოგზაურის ვასილ გრიგოროვიჩ-ბარსკის „მოგზაურობა აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში 1723—1747 წწ“. სარგებლობის ფაქტი, ვინაიდან ე. ბოლხოვიტინოვს იგი დამოწმებული აქვს ორგზის, როგორც ავტორიტეტული წყარო ათონის ივერთა მონასტრის თაობაზე<sup>22</sup>. დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს არც იმის დადგენა, რაოდენ კარგად იცნობდა იგი ალ. ამილახვრის „გეორგიანულ ისტორიას“, ამის ნათელი დადასტურებაა ამ წიგნიდან ცალკეული ადგილების „საქართველოს ისტორიულ სურათში“ უცვლელად გადმოტანის ფაქტი, რაზეც ზემოთ ჩვენ გაცვრით გვქონდა საუბარი. ეს პირველყოვლისა ეხება ლეგენდას ქართული ენის წარმოშობაზე<sup>23</sup>, აგრეთვე ცნობებს კახთა მეფის კონსტანტინე II მოღვაწეობაზე და სხვა.

აქვე საგანგებოდ გვინდა მოვიხსენიოთ მოგზაურ არსენ სუხანოვის (1600—1668 წწ.), იმხანად ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი „პროსკინტარიები“, რომელსაც ე. ბოლხოვიტინოვი იმოწმებს არაერთგზის. ამ ნაშრომიდან მას გამოიყენებული აქვს ცნობები ქართლის მეფის როსტომთან დაკავშირებით და მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ<sup>24</sup>. „პროსკინტარიების“ ხელნაწერი ინახებოდა პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის აკადემიის ბიბლიოთეკაში.

რაც შეეხება ვარლამ ერისთავის „მოკლე ქართული გრამატიკას“ (1802 წ. სპბ), გარდა იმისა, რომ იგი საგანგებოდ არის მოხსენიებული „საქართველოს ისტორიულ სურათში“<sup>25</sup>, მასზე ე. ბოლხოვიტინოვს ვრცლად აქვს საუბარი ვასილ მაკედონეცისადმი გაგზავნილ თავის წერილებში, რაზეც სპეციალურად გვექნება მსჯელობა წინამდებარე ნაშრომის მეექვსე თავში. საკითხს იმის შესახებ იცნობდა თუ არა რუსი ავტორი ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ნუსხაში მოცემულ სხვა ნაშრომებს, „საქართველოს ისტორიული სურათი“ არ იძლევა კატეგორიული მტკიცებების რაიმე საფუძველს, თუმც გამორიცხული არ არის მათთვის ე. ბოლხოვიტინოვის მიერ შეგნებულად გვერდის ავლა ნაშრომის ფორმატის შეზღუდულობის გამო. აქვე შეუძლებელია არ

<sup>22</sup> «Историческое изображение Грузии», с. 15.

<sup>23</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 47.

<sup>24</sup> Историческое изображение Грузии, СПб., 1802, с. 30.

<sup>25</sup> იქვე, 76.

გავიხსენოთ ალექსანდრე ნეველის აკადემიაში მუშაობის პერიოდში ე. ბოლხოვიტინოვის უაღრესად დატვირთულობა, რაც მას საშუალებას არ აძლევდა სასწავლებლიდან ხანგრძლივად გასვლის საშუალებას. ვფიქრობთ, თავის წიგნზე მუშაობის პერიოდში ე. ბოლხოვიტინოვი ძირითადად სარგებლობდა სასულიერო აკადემიის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნადი და ხელნაწერი ფონდით, აგრეთვე ადრინდელი საკუთარი ჩანაწერებითა და პირადი ბიბლიოთეკით, ქართული და რუსი კონსულტანტების რჩევა-დარიგებით.



## თავი მეთხუთხედი

„საქართველოს ისტორიული სურათი“ — საქართველოს  
შესწავლის თვალსაჩინო წყარო XIX ს. რუსეთსა და  
ევროპაში,

რომაელები ამბობდნენ: „წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო“. მართლაც, ამ მცირეფორმიან წიგნსაც ბედმა თავისი ხვედრი არგუნა. ნაშრომმა გამოსვლისთანავე დაინტერესება ჰპოვა არა მარტო რუსეთში, არამედ გერმანიასა და საფრანგეთში, რითაც დიდი როლი შეასრულა ამ ქვეყნებში საქართველოსადმი ინტერესის გაღვიძების საქმეში.

თუმც, ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი რუსულ კრიტიკაში სპეციალურად არ შეფასდა, მაგრამ იგი დიდხანს წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად წყაროს საქართველოს შესწავლის საქმეში. წიგნის ავტორს სიცოცხლეშივე გამოუჩნდნენ დამფასებლები და გასული საუკუნის მანძილზე რუსულ ენაზე გამოცემული მრავალი სტატია თუ წიგნი საქართველოზე მეტნაკლებად დავალებულია „საქართველოს ისტორიული სურათისაგან“.

1805 წ. ი. ლანგენმა პეტერბურგში გამოსცა წიგნი: „აღწერა კავკასიისა საქართველოს მოკლე ისტორიული და სტატისტიკური მიმოხილვით“. იგი წარმოადგენს ორი წლით ადრე ამავე ქალაქში ფრანგულად გამოცემული ზასის იგივე სახელწოდების წიგნის თარგმანს. ნაშრომი ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ მასში საქართველოს კულტურულ-ისტორიული წარსული ძირითადად წარმოდგენილია ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის მიხედვით<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ე. ბოლხოვიტინოვი იყო გ. დერჟავინის ავტორიტეტული მრჩეველი რუსული ვერსიფიკაციის კვლევის საქმეში. მან, როგორც რუსული კლასიკური ლექსის აღიარებულმა მკვლევარმა, მართლაც ბევრი სასარგებლო რჩევა მიაწოდა გ. დერჟავინს. კარგა ხანია დადგინდა გ. დერჟავინის ქართული ლექსის რაობით დაინტერესებისა და ამ საქმეში ე. ბოლხოვიტინოვის დახმარების ფაქტი. მას,

<sup>1</sup> Ланген Я. Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии, СПб., 1806.

როგორც კომპეტენტურ პირს, ქართული კულტურის საკითხებში შემდეგი ინფორმაცია მიუწოდებია გამოჩენილი პოეტისათვის:

«Грузинская форма некоторых стихов отличается от всех вышеписанных частыми рифмами, ибо у них бывают не только такие стихи, которые в каждой строке на конце имеют рифму, но и такие, в которых помещаются в каждой строке по четыре рифмы,

Тамар цкиარი, шесацкиари, хма нариари пирмццари  
Мзе мццари, сачцари, цкали мцკარი момძцари

Бывают и двадцати сложные, с четырьмя и с двумя сряду рифмами»<sup>2</sup>.

„საქართველოს ისტორიული სურათის“ დიდი აღიარების ნათელ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს გ. დ. დერეჯინის მიერ ე. ბოლხოვიტინოვის რუსეთის აკადემიის წევრად წარდგენის მოტივად საქართველოს შესახებ მისი ნაშრომის დასახელების ფაქტი. დიდი პოეტის ეს რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად (1805 წ.)<sup>3</sup>.

საანალიზო წიგნის გავლენით, ქართული კლასიკური ხანის ლიტერატურას საგანგებო ყურადღება დაუთმო პროფ. ი. ორლოვმა 1818 წ. გამოცემულ თავის ნაშრომში: „რიურიკთა სახლის რუს ხელმწიფეთა სულისკვეთება, რუსთა ქეშპარიტი სურათი“... „საქართველოს, — წერს იგი, — ჰყავდა შემოქმედებითი გონების პოეტები: „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“ შექმნილი ქართულ ენაზე დიდი თამარის მეფობის ხანაში, იმდენად შესანიშნავი პოემებია, რომ უფრო ამალღებული დღემდის ქართველთაგან არავის დაუწერია და ისინი რჩებიან მარად სანიმუშოდ ისევე, როგორც პომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. უპირატესობა ამ ქართული პოემებისა მომდინარეობს იქიდან, რომ მათი ავტორები მისდევდნენ მხოლოდ საკუთარს და მონურად არ ბძაძედნენ უცხო მგონებს, რითაც ამართლებდნენ ძველ სიბრძნეს: „პოეტები იბადებიან, ხოლო ორატორები ყალიბდებიან“<sup>4</sup>.

ჩვენთვის საინტერესო წიგნის აშკარა გავლენით არის დაწერილი პუშკინის ახლო მეგობრის, პოეტ ა. შიშკოვის საყურადღებო რომანი საქართველოზე „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წ“. მასში ავტორს ე. ბოლხოვიტინოვს ნაშრომიდან პირდაპირ გადმოაქვს არამარტო ცალ-

<sup>2</sup> რ. დ. ო. ლ. ნ. ა. ძ. ე. გ. დერეჯინი და ქართული მწერლობა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზ. მეც. განყ-ბის მოამბე, 1961, № 1, გვ. 213—217.

<sup>3</sup> Сухомлинов М. И. История Российской Академии, вып. VII, СПб., 1874, с. 269.

<sup>4</sup> Лехишвили С. С. Первооткрыватели Руставели, газ. «Заря Востока», 25 VI-1965, № 148.

კეული მოსაზრებები საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ მოვლენებზე, არამედ ცნობები პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა დამსახურებაზე მშობლიური ქვეყნის წინაშე (თამარ მეფეზე, რუსთაველზე, ჩახრუხაძეზე და სხვ.)<sup>5</sup>. ხოლო პროფ. პ. ბუტკოვი თავის სტატიაში „იმერეთის მეფის არჩილის ანდერძი“ (1824 წ.), იქ, სადაც ეხება არჩილისა და მისი ვაჟის ალექსანდრეს ბიოგრაფიას, აგრეთვე ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმოშობას რამდენიმეჯერ უთითებს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნზე<sup>6</sup>.

ამავე ავტორს „საქართველოს ისტორიული სურათი“ დამოწმებული აქვს მეორე ნაშრომშიც: „რუსი მთავრების ქართველ და ოს მთავრებთან ქორწინების შესახებ“<sup>7</sup>. რომელშიც საანალიზო წიგნიდან ნასარგებლები აქვს თამარისა და გიორგი ბოგოლიუბსკის ქორწინების ფაქტთან დაკავშირებული ცნობები. მომდევნო წლებში იგივე წიგნი გამოყენებული აქვთ ჟურნ. „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების „მოსაზრებანი საქართველოს ისტორიული და სტატისტიკური მიმართებით“ და „კავკასიის ქვეყნების ენათა შესახებ“<sup>8</sup> ავტორებს. მათ შორის. პირველი სტატიის ავტორს ნ. პელტს გადმოწერილი აქვს ცნობები ჩახრუხაძეზე. რუსთაველსა და ი. პეტრაწზე, ხოლო მეორეს ვინმე „ა. ფ.“ ფაქტები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობის წარსულზე და ერეკლე II მოღვაწეობაზე.

ოდნავ მოგვიანებით, პ. დუბროვსკიმ (1812—1882 წ.) შემდგომში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა. 1833 წ. ჟურნალ „ტელესკოპში“ დაბეჭდა პოლონურიდან თარგმნილი კ. რდულტოვსკის სტატია შ. რუსთაველზე, რომელიც. ძირითადად, დაფუძნებულია დიდი ქართველი პოეტის შესახებ ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომში მოცემული ცნობებსა და მოსაზრებებზე<sup>9</sup>.

ავტორი წიგნისა: „სახელმძღვანელო კავკასიის მხარეთა ქვეყნების შემეცნებისათვის“ ნ. სელუზნოვი ქებით ახსენებს ე. ბოლხოვიტი-

---

<sup>5</sup> Шадурн В. Друг Пушкина А. А. Шишков и его роман о Грузии, Тбилиси, 1951, с. 318—324.

<sup>6</sup> Бутков П. История о духовном завещании имеретинского царя Арчила. «Северный архив», 1824, XII № 23—24, с. 211, 213, 215.

<sup>7</sup> Бутков П. О браках князей русских с грузинскими с ясынями в XII веке. Северный архив, 1825, № 4, с. 333.

<sup>8</sup> Вестник Европы, 1826, № 17, с. 52—68, 111—113.

<sup>9</sup> Дубровский П. Грузинский поэт Ш. Руставели. Журнал «Телескоп». 1833, № 5, с. 61—70.

ნოეს იმის გამო, რომ მან თავის ნაშრომში საგანგებო ადგილი დაუთმო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს<sup>10</sup>.

ინტერესმოკლებული არც ის შეფასებაა, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტისადმი მოცემული აქვს 1848 წ. თბილისის გაზეთს „კავკაზს“. „სწავლულმა მიტროპოლიტმა ევგენიმ, წერს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილი სტატიის ავტორი გ. ტოკარსკი, — რომელმაც თავი ისახელა მრავალი მეცნიერული ნაშრომით, სხვათა შორის დაგვიტოვა ფრიად მნიშვნელოვანი თხზულება“...<sup>11</sup>

ჩვენს საანალიზო წიგნს, თავისი დროის გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობის ნაშრომს, ვერც სხვა ავტორებმა აუარეს გვერდი. თბილისელი პედაგოგი ა. მარსოვი თავის „საქართველოს მოკლე ისტორიაში“ (1840 წ.) და ა. გოლოვინი „საქართველოს ისტორიულ მიმოხილვაში“ (1864 წ.) მრავალგზის იმოწმებენ ე. ბოლხოვიტინოვს.

1885 წ. გამოცემულ ნაშრომში „შ. რუსთაველი ქართველი სახალხო პოეტი“ თბილისელმა მკვლევარმა ე. სტალინსკიმ, იქ, სადაც განიხილავს პოემის ენის თავისებურებებს და ქართული ლექსის ვერსიფიკაციის საკითხებს, მთლიანად ევგენი მიტროპოლიტის მოსაზრებებით ესაუბრება მკითხველს<sup>12</sup>.

დასასრულს. ინტერესმოკლებული არ არის, გავიხსენოთ ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრება-მოღვაწეობის მკვლევარის ა. ნ. ივანოვსკის (1823—1873 წწ.) განზრახვა, გასული საუკუნის 70-იან წლებში ხელახლა გამოეცა „საქართველოს ისტორიული სურათი“, რასაც იგი ასაბუთებდა „ნაშრომის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაქცევით“. ეს განზრახვა ა. ივანოვსკის განუხორციელებელი დარჩა გარდაცვალების გამო<sup>13</sup>.

წამოჭრილ საკითხთა სრულყოფილად გააზრება შეუძლებელია, თუ არ გავიხსენებთ პროფ. ე. შმურლოს კვალიფიციურ ნაშრომს: „ევგენი მიტროპოლიტი როგორც მეცნიერი“, რომელშიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი ე. ბოლხოვიტინოვის მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი (1785—1804 წწ.). უამრავ საყურადღებო მოვლენებთან ერთად, ე. შმურლომ თავის ამ დიდტანიან გამოკვლევაში სათანადო ადგილი დაუთმო „საქართველოს ისტორიული სურათის“ შედგენის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს. მან პირველმა მიაკვლია და ზო-

<sup>10</sup> Селезнев М. Руководство к познанию Кавказа. СПб., 1847; т. I, с. 133.

<sup>11</sup> «Кавказ», 1848, 29. VI, № 25.

<sup>12</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წწ. თბ., 1957, გვ. 130—131.

<sup>13</sup> Ивановский А. Д. Евгеньевский сборник. 1871, СПб., с. 95.

გად ხაზებში მიმოიხილა ე. ბოლხოვიტინოვის პირადი ფონდის საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილი. ფართო საზოგადოებას გააცნო „საქართველოს ისტორიული სურათის“ წვლილი რუსეთსა და ევროპაში საქართველოზე წარმოდგენის შემუშავების საქმეში და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ნათელი კვალი, რომელიც მან დააჩნია საფრანგეთში გერმანიასა და პოლონეთში საქართველოთი და მის კულტურით დაინტერესების საქმეს. პირველ ყოვლისა, მან ხმა აჟღერებინა ზოგიერთ იმ მეცნიერს, ვისაც მანამდე არაფერი დაუწერია ჩვენი ქვეყნის შესახებ, უბიძგა მათ, ეთქვათ თუკი რამ გააჩნდათ წიგნისაუვის დასამატებელი. მეორე მხრივ, აღუძრა ინტერესი იმათ, ვისაც შესაძლოა არასოდეს არ ემუშავათ ქართველმცოდნეობაში (მაგ. აკად. მ. ბროსე) და სხვ.

უცხო ენებიდან წიგნი 1803 წ. ითარგმნა გერმანულად ჯა გამოცა 1804 წ. ლაიპციგში. თარგმანი შეუსრულებია ფილოსოფიის დოქტორს ფრ. შმიდტს. წიგნის გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებას ნათლად გამოხატავს შთარგმნელის შემდეგი წინასიტყვაობა:

„ვინც მეტნაკლებად იცნობს ისტორიას, არ სჭირდება ჩემი ახსნა იმის შესახებ, რომ საქართველო წარმოადგენს განსაკუთრებულ ქვეყანას. მიუხედავად ამისა, დღემდე არ მოგვეპოვებოდა ამ ქვეყნის მთლიანი და უტყუარი ცნობები, არ იყო ცნობილი ქვეყნის ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა, აგრეთვე არ გვქონდა მონაცემები მათი მმართველობის შესახებ, ზუსტი ცნობები ქვეყნის სარწმუნოებაზე, საეკლესიო კანონმდებლობაზე, ენაზე, ლიტერატურაზე და მეცნიერებაზე. ყველაფერი რაც კი საქართველოს შესახებ იყო ცნობილი, დაწერილია მოგზაურების ან იმ პირთა მიერ, რომლებსაც არაეითარი სურვილი და აგრეთვე შესაძლებლობაც არ ჰქონდათ, ესარგებლათ ორიგინალური წყაროებით. მათგან განსხვავებით წიგნის ავტორმა საფუძვლიანად შეისწავლა ქვეყნის მატრიანეები, დოკუმენტები და დიპლომატიური წერილები. ამ მასალების გამოყენებით, ავტორმა მოგვცა დღევანდელი საქართველოს ისტორიული სურათი. ეს ნაშრომი შექმნილია ალექსანდრე ნეველის მონასტერში მყოფ არქიეპისკოპოსის ევგენიუსის მიერ და გამოქვეყნებულია 1802 წელს სანკტ-პეტერბურგში.

მე სიამოვნებით ვთარგმნე ეს შესანიშნავი წიგნი, რომელმაც ბევრი შესძინა ლიტერატურასა და მეცნიერებას და თარგმნის საშუალებით იგი კიდევ უფრო პოპულარული გახდება. ვინაიდან ნაშრომში ყველაფერი მნიშვნელოვანია და საინტერესო, ამიტომ თარგმანი ზუსტი და მთლიანია“<sup>14</sup>.

<sup>14</sup> Georgien oder historisches gemälde von Crusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht. Riga und Leipzig, 1804, გვ. 1—5.

ე. ბოლშოვიტინოვის წიგნის ის ადგილი, სადაც მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი რუსული ტრანსკრიპციით და რუსული თარგმანით, ფ. შმიდტს თავის გამოცემაში ქართული ტექსტი მოცემული აქვს გერმანული ტრანსკრიპციით და შესატყვისი თარგმანით. ეს ფაქტი არის „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტის თარგმნის პირველი ცდა უცხო ენაზე.

ამ პუბლიკაციის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს თარგმანის ცალკეულ გვერდებზე უხვად მოცემული კომენტარები და შენიშვნები ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა თუ ქართველი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ. აღნიშნულ თავისებულებათა გამო, გერმანული თარგმანი მნიშვნელოვნად ავსებს მკითხველის წარმოდგენას საქართველოს შესახებ.

ფრიად საინტერესოა ის რეცენზიები, რომლებიც გამოქვეყნდა ე. ბოლშოვიტინოვის ნაშრომზე გერმანულ და ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალებში. პირველი ასეთი ვრცელი საყურადღებო რეცენზია 1803 წ. გამოაქვეყნა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ლუდვიგ შლეცერმა (1753—1809 წწ.) ქ. გენტიუნგენის უნივერსიტეტის შრომებში<sup>15</sup>.

ავტორი წიგნს დედანში იყო გაცნობილი, რაშიც მას ხელს უწყობდა რუსული ენის ზედმიწევნით ცოდნა. ლ. შლეცერი „საქართველოს ისტორიული სურათის“ ავტორს უქებს მუყაითობას და გარჯილობას, ხოლო ნაშრომის გამოქვეყნება მიაჩნია მნიშვნელოვან მოვლენად.

რეცენზენტი თანმიმდევრულად გადმოსცემს სარეცენზიო ნაშრომის თითოეული თავის მოკლე შინაარსს, იქვე იძლევა შენიშვნებსა და სურვილებს. „წიგნი ბევრს მოიგებდაო, — წერს იგი, — მის ავტორს რომ მოეცა ცნობები საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრებზე, აგრეთვე დედაქალაქ თბილისზე“<sup>16</sup>. ლ. შლეცერი, როგორც ისტორიკოსი, აქცენტს იღებს ისტორიულ მოვლენებზე, ხოლო კულტურულ წარსულს იგი ნაკლებად აქცევს ყურადღებას, ხაზგასმით უთითებს საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლებზე დამოუკიდებლობისათვის, პოპულარიზაციას უწევს ქართველ მეფეთა ღვაწლს ქვეყნის წინაშე.

ავტორი განსაკუთრებით სიმპათიით ახსენებს ერეკლე II, აღნიშნავს მის დამსახურებას ირანის სამეფო კარის წინაშე, „ნადირ შაჰის სამსაპურში მყოფმა იბერიელმა მხედრებმა, — წერს იგი, — კვლავ დაუბრუნეს ირანს დიდების სახელი. სწორედ მათ მიუძღვით დიდი წვლილი შაჰის გამარჯვებაში. შაჰის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებ-

<sup>15</sup> Göttingenische gelehrte Anzeigen, № 42. Stück der 12. März, 1803. 33. 415.

<sup>16</sup> იქვე: 33. 420.

ლომბა: ერეკლე. ზოგიერთ მკითხველს ალბათ ეხსოვება შვიდწლიან ომთან დაკავშირებით, რა ხმები გავრცელდა ახალგაზრდა ერეკლეზე, რომელიც ლამაზ ასულთა ქვეყნიდან იყო<sup>17</sup>.

რეცენზიის ავტორი მკითხველის ყურადღებას აჩერებს იტალიელ მისიონერთა მოღვაწეობაზე საქართველოში. „მათი დიდი დამსახურებაა, — ამბობს იგი, — რომ ვეროა გაეცნო ქართულ ლიტერატურას“. ლ. შლეცერის რეცენზიის წყალობით გერმანელი მკითხველისათვის ცნობილი გახდა 1629 და 1643 წლებში ქ. რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნების სახელწოდებები და მათი გამომცემლების ვინაობა.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის ანოტირების პარალელურად, ლ. შლეცერი უთითებს იმ უცხოურ ლიტერატურას საქართველოზე, რომელიც „საქართველოს ისტორიული სურათის“ მომზადებისას არ ყოფილა გათვალისწინებული.

პირველ ასეთ წყაროდ მას მიაჩნია პოლანდიელი აღმოსავლეთმცოდნის, ამსტერდამის გუბერნატორის ნიკოლოზ ვიტზენის (1640—XVIII ს. დასაწყისი) წიგნი: „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ თათრეთი ანუ სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიის შემოკლებული ნაკვეთი“. ლ. შლეცერი სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ სარეცენზიო ნაშრომში გათვალისწინებული არ არის ვიტზენისეული ცნობები XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საეფო-სამთავროების შესაძლებლობებზე, რა რაოდენობის მეომრების გამოყვანა შეეძლოთ თითოეულს საჭიროების შემთხვევაში. რეცენზიის სხვადასხვა თავებში იგი ჩამოთვლის კიდევ რამდენიმე ავტორს, რომლებსაც მისი აზრით, საყურადღებო ცნობები აქვთ შემონახული საქართველოზე. ასეთებად მას მიაჩნია — მისიონერი პიეტრო დელა ვალე, იაკობ რეინეგსი, აბატი დე პეტრიტი, ბურში, ფ. მიულერი და სხვ. უთითებს თითოეულის ნაშრომის სათაურებს, გამოქვეყნების ადგილს და თარიღს.

დასასრულ, ლ. შლეცერი გამოთქვამს სურვილს: „ალექსანდრე ნეველის აკადემია კარგს იზამს, თუ შეეცდება და დროთა განმავლობაში შეაყვანებს საჭირო ცნობებით იმ ხარვეზებს, რომლებიც გააჩნია ნაშრომს ამ უცნობი ქვეყნის შესახებ, რათა მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა უკეთ გაეცნოს საქართველოს“<sup>18</sup>.

„საქართველოს ისტორიული სურათი“ უხვად აქვს გამოყენებული მეორე ცნობილ გერმანელ მეცნიერს ი. ადელუნგს თავის ნაშრომ-

<sup>17</sup> იხ. Göttingenische gelehrte Anzeigen. № 42, Stück den 12. März 1803, 33. 412.

<sup>18</sup> იხ. იქვე, 33. 424.

ში „მითრიდატი“ (1806 წ.). ავტორს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნიდან გადმოტანილი აქვს ცნობები ქართული ენის, სასულიერო ლიტერატურის, წიგნის ბეჭდვის რაობაზე, წერს სულხან საბა ორბელიანზე და სხვ.<sup>19</sup>

ვ. მაკედონეცისადმი 1803 წ. გაგზავნილ წერილში ე. ბოლხოვიტინოვს სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „ამბობენ, რომ ჩემი წიგნი უთარგმნიათ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე“. „საქართველოს ისტორიული სურათის“ გერმანულად გამოცემის თაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. საკითხავია — რამდენად შეეფერება სინამდვილეს საანალიზო წიგნის ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თარგმნის ფაქტი. რომელსაც არაერთგზის შეხებიან სხვადასხვა მკვლევარები. მაგალითად, აკად. მ. ბროსეს ერთ-ერთ თავის ადრინდელ ნაშრომში დასაშვებად მიაჩნია ასეთი წიგნის არსებობა<sup>20</sup>, პროფ. ი. მეგრელიძეს გამორიცხულად მიაჩნია მხოლოდ ინგლისური თარგმანის არსებობა, ხოლო რაც შეეხება ფრანგულს, ამ საკითხზე ნათქვამი აქვს შემდეგი: „ასეთი თარგმანი უნდა არსებულებოდა, შეიძლება აღარ გამოქვეყნდა“<sup>21</sup>.

ამ სადავო საკითხს, ჩვენი მხრივ, საფუძველი გვაქვს დავძინოთ: ვინაიდან ვარაუდს ინგლისური თარგმანის თაობაზე არ გააჩნია არავითარი, ცოტა თუ ბევრად ხელჩასაჭიდი არგუმენტი, იგი უნდა ჩაითვალოს რაღაც გაუგებრობაზე წარმოშობილ ვერსიად. ხოლო რაც შეეხება მეორე მტკიცებას — ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ფრანგულად გამოცემის თაობაზე, ჩვენი აზრით იგი უთუოდ განაპირობა 1803 წ. პეტერბურგში ვინმე ზასის მიერ: *Description du Caucase avec le précis historique et statistique de la Géorgie*, S. P. 1804. გამოცემის ფაქტმა, რადგანაც მასში საქართველოს ისტორია, კულტურა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსული მთლიანად შედგენილია „საქართველოს ისტორიული სურათის“ მიხედვით. ჩანს, ევგენი მიტროპოლიტს გაგონილი ჰქონდა ზასის მიერ ამ წიგნის გამოცემის სამზადისი და ისიც, რომ მას წყაროდ ჰქონდა აღებული მისი „საქართველოს ისტორიული სურათი“. ამ გარემოებამ მას საფუძველი მისცა, ზასის ნაშრომი მიეჩნია საქუთარი წიგნის ფრანგულ ენაზე თარგმნის ფაქტად, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს<sup>22</sup>.

1810 წელს ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი მალტ-ბრენი ჰაჩიზ-

<sup>19</sup> Орловская Н. К. Грузия и литература Западной Европы XVII—XVIII вв., Тбилиси, 1965, с. 77.

<sup>20</sup> ვ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 8.

<sup>21</sup> ი. მეგრელიძე, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი ქართული კულტურის შესახებ „შინაე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 4, გვ. 72.

<sup>22</sup> ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის შესახებ იხ. ჩვენი წინამდებარე ნაშრომი, გვ. 69.



ში აქვეყნებს მეტად კვალიფიციურ რეცენზიას, მიძღვნილს „საქართველოს ისტორიული სურათისადმი“<sup>23</sup>. იგი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსანს“, მოჰყავს პირველი სტროფის ორი ტაეპი ფრანგული ტრანსკრიპციით, უთითებს პოემის დიდ ღირსებებზე და იქვე დასძენს: „ქართველები მსოფლიოში ლექსის ყველაზე კარგი ოსტატები არიან“. იგი საყვედურობს ე. ბოლხოვიტინოვს, რატომ ვერ შენიშნა ალიტერაცია „ვეფხისტყაოსანში“<sup>24</sup>.

შლეცერის მსგავსად, მალტ-ბრუნეც თავის რეცენზიაში ასახელებს რამდენიმე დასავლეთევროპელ ავტორს, რომლებსაც საქართველოზე საყურადღებო ცნობები აქვთ შემონახული. მათ შორის იგი მიუთითებს კონსტანტინე პორფიროგენეტს და მის ნაშრომს ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმოშობის შესახებ, ავსტრიელ ფ. ალტერს და მის წიგნს „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (1798 წ.)<sup>25</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნით შთაგონებული რეცენზენტები კებადიდებას ასხამს ქართული ენის სიმდიდრეს, საილუსტრაციოდ მოაქვს რამდენიმე მაგალითი და ბოლოს იგი წერს: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი ერი თავისი კულტურით ღირსეულ ადგილს დაიჭერს მსოფლიო ისტორიაში“<sup>26</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნით აგრეთვე დიდად არის დავალებული 1827 წ. ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოქვეყნებული კ. რდულტოვსკის ნაშრომი: „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“<sup>27</sup>. ეს გავლენა განსაკუთრებით ითქმის შრომის იმ ნაწილზე, სადაც საუბარია ქართულ ენასა და მწერლობაზე, აგრეთვე რუსთაველის ეპოქაზე. იგივე წყარო არის გამოყენებული კ. რდულტოვსკის მიერ, როდესაც ახასიათებს „ვეფხისტყაოსანს“ და იძლევა პოემის საზომთა გრაფიკულ სქემას.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეს სტატია 1833 წელს, რუსულად გამოქვეყნებული აქვს პ. დუბროვსკის ჟურნალ „ტელესკოპში“.

კ. რდულტოვსკის სტატიის თავის დროისათვის კვალიფიციურობაზე მეტყველებს ისიც, რომ 1937 წ. გამოქვეყნდა ქართულ ენაზეც<sup>28</sup>.

როგორც უკვე გამორკვეულია, ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ფრანგ მეცნიერს პროფ. სენ-მარტენს.

<sup>23</sup> „Annales des voyages“ (1810, t. XII, pp. 73—100).

<sup>24</sup> იხ. იქვე, გვ. 78.

<sup>25</sup> იქვე გვ. 80.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>27</sup> ლ. მენაბდე. რუსთაველი პოლონეთში, საიუბილეო კრებული ა. ბარაშიძის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბ., 1974, გვ. 167.

<sup>28</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1937, № 12.

მოუსმინოთ თვით ე. ბოლხოვიტინოვს: „დიდი სიამოვნება მივიღე სენ-მარტენის კითხვისას, წერს იგი ნ. რუმინაიანს, — რადგან იგი ბევრს უთითებს ჩემი წიგნიდან საქართველოზე“<sup>29</sup>. მართლაც, 1819 წ. გამოცემულ თავის ნაშრომში სენ-მარტენს „საქართველოს ისტორიული სურათიდან“ დამოწმებული აქვს ფაქტი თამარისა და გიორგი ბოგოლიუბსკის ქორწინებაზე<sup>30</sup>.

იმ უცხოელ მკვლევართა შორის, რომელთაც საანალიზო წიგნით უხვად აქვთ ნასარგებლები, საგანგებოდ უნდა დავასახელოთ აკად. მ. ბროსე, რომელიც „საქართველოს ისტორიულ სურათს“ იმოწმებს თავის ექვს ნაშრომში<sup>31</sup>.

„ეს შრომა. — წერდა იგი, ახლა იშვიათია და ჩემი აზრით, ღირსია დაცვის როგორც თავის დარგში კლასიკური ნაწარმოების“<sup>32</sup>, უფრო მეტიც, ამ წიგნით შექმნილ შთაბეჭდილებებს აღუძრავს მისთვის სურვილი, შეესწავლა საქართველო, ქართული ენა<sup>33</sup>.

რუს საბჭოთა მკვლევართაგან ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს საქართველოზე საფუძვლიანად იყვნენ გაცნობილი პროფ. ნ. ბერკოვი<sup>34</sup>, მ. აზადოვსკი<sup>35</sup> და ა. ოლონეცი<sup>36</sup>, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მას რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეში.

რადღუნ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, დღესაც ვხვდებით საანალიზო წიგნით უცხოეთში სარგებლობის ცალკეულ შემთხვევებს. მაგალითად, „საქართველოს ისტორიულ სურათში“ არსებული ცნობებით ერეკლე II მოღვაწეობაზე გამოყენებული აქვს თანამედროვე ირა-

---

<sup>29</sup> Русский архив, 1870, с. 800.

<sup>30</sup> Saint-Martin. „Memoires historiques et géographiques sur l'Arménie“, Paris, 1819, vol. II, p. 247, 249.

<sup>31</sup> Шмурло Е. Ф. Библиографический список литературных трудов Киевского митрополита Евгения Болховитнинова, 1888, с. 52.

<sup>32</sup> Шмурло Е. Ф. Евгений Митрополит Киевский как ученый, 1888, СПб., с. 348.

<sup>33</sup> ექვ, გვ. 350.

<sup>34</sup> Берков П. Н. Ш. Руставели в русской литературе. Деятели русской культуры о Ш. Руставели, Тбилиси, 1966, с. 251—309.

<sup>35</sup> Журн. «Звезда», № 5, 1938, с. 228—231.

<sup>36</sup> Олонецкий А. Из истории дружбы. Тбилиси, 1954, с. 74—76.

ნელ მეცნიერ მეპდი როუშან ზამირს 1974 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს ისტორიის ერთი მხარე“<sup>37</sup>.

საბოლოოდ, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ: ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი გვევლინება ბიძგის მიმცემად ოდესღაც კარგად ცნობილი, მაგრამ ისტორიული ბედ-უკუღმართობით ევროპელ მეცნიერთათვის თითქმის დავიწყებული ქვეყნის — საქართველოს კვლევა-ძიების ობიექტად გადაქცევის საქმეში. სათქმელად ისიც იკმარებდა, რომ რუსთაველის სახელმა სწორედ „საქართველოს ისტორიული სურათის“ მეშვეობით შეაღწია ევროპის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში.

---

<sup>37</sup> უცხოელი ავტორები საქართველოს შესახებ. ისტორია. „მეცნიერება“, 1957, 111, გვ. 33—54.

## თავი მესამე

### „საქართველოს ისტორიული სურათი“ და ქართველი მკვლევრები

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალით დგინდება, გასული საუკუნის მანძილზე ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი არაერთი ქართველი მკვლევარის ინტერესის საგანი გამხდარა. მას, როგორც ავტორიტეტულ წიგნს. უყოყმანოდ იმოწმებდნენ, გარჯილობას უქებდნენ მის ავტორს, არცთუ იშვიათად ედავებოდნენ კიდევ. აღსანიშნავია, რომ ეს დაინტერესება პირველ ყოვლისა, დასტურდება ქართული კულტურისადმი ნაშრომში მოცემული იმ მოსაზრებებით, რომლებიც ეხებიან რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“, ქართულ ლექსთწყობას, ქართული სტამბის ისტორიას. ანტონ I სამეცნიერო მოღვაწეობას, ქართული ზმის რაობას და სხვა.

ქართველ მკვლევართაგან „საქართველოს ისტორიული სურათით“ სარგებლობის ყველაზე ადრინდელი მაგალითია 1826 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე ანონიმურად გამოცემული „საქართველოს იერარქიის ისტორიის“ ავტორის (დონის მონასტრის არქიმანდრიტი — ალექსი პეტრიაშვილი) მიერ ამ წიგნით სარგებლობის ფაქტი. კერძოდ, ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი მას დასახელებული აქვს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და ანტონ I მოღვაწეობის მიმოხილვასთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

მომდევნო წელს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს ვეფხისტყაოსნის შესახებ რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომის დასაწყისში დამოწმებული აქვს ვრცელი ამონაწერი „საქართველოს ისტორიული სურათიდან“ შ. რუსთაველზე და მის პოემაზე<sup>2</sup>.

ნ. ჩუბინაშვილის ეს სტატია, რომელიც აღიარებულია მისი დროის კვალიფიციურ რუსთველოლოგიურ ნაშრომად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრად სცილდება ე. ბოლხოვიტინოვის ცალკეულ მოსაზრე-

<sup>1</sup> Петриашвили А. История грузинской иерархии, М., 1826, с. 6—8.

<sup>2</sup> Шадурн В. С. Что знала о Руставели Россия пушкинского времени? „შოთა რუსთაველი“. საიუბილეო კრებული. თბ., 1966, გვ. 415—434.

ბებს, მისმა ავტორმა „საქართველოს ისტორიული სურათი“ დაიმოწმა როგორც კომპეტენტური წყარო<sup>3</sup>.

საანალიზო წიგნს ერთგვარი გავლენა მოუხდენია ს. დოდაშვილის ლიტერატურულ შეხედულებებზე. სახელდობრ, ნაშრომში: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ (1832 წ.) იგი უცვლელად იმეორებს „საქართველოს ისტორიულ სურათში“ ჩახრუნხადის შესახებ მოცემულ დებულებებს<sup>4</sup>.

ქართულ ლექსთწყობაზე ე. ბოლხოვიტინოვის მოსაზრებათა მიმართ თავისი პოზიცია გააჩნია თეიმურაზ ბატონიშვილს (1832): „გეკითხათ, — წერს იგი აკად. მ. ბროსეს, — ესეცა არქიმანდრიტისა ევგენიოსის მცირესა აღწერილსა წიგნსა შინა მოხსენიებულ პოემისათვის ქართულისა: გვართა ანუ ზომათათვის ლექსთასა. მე ეგრე ვგონებ, არ ზედმიწევნით გამოძიებულ იყოს, ვინაითგან უფალმან ევგენიოზ თვით არ უწყოდა ქართული ენა და ოსტატიცა მისი, რომელიცა ქართულისა ენისა პოემისა თვისებისა იყო მოძღვარი, მასწავლებელი და მაჩვენებელი როპელთამე კანონთა მისა. მე ვგონებ და იკვნეულ ვარ, რომელ არ იყო იგი ზედმიწევნით მეცნიერ ქართულისა ენისა და წერილთა შინა გამოცდილი და ამისათვის ევგენიოზმან ვერა ეგრეთ გულისხმა პყო და აჩვენა წესი, ვითარცა არს გვარი საზომისა ქართულთასტიქთა“<sup>5</sup>.

ვფიქრობთ, გასაკვირი არაფერია, თუ თ. ბაგრატიონს, როგორც ქართული ლექსის რაობის მცოდნე პირს, არ აკმაყოფილებდა სამი ათეული წლით ადრე გამოცემული ნაშრომი და ამიტომაც მას საჭიროდ მიაჩნია ქართული კულტურით უადრესად დაინტერესებული მ. ბროსეს საქმის კურსში ჩაყენება. თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ სწავლული ბატონიშვილი არ უთითებს სახელდობრ, რაში გამოიხატებოდა ე. ბოლხოვიტინოვისა და მისი ქართველი „მოძღვრის“ მოსაზრებათა მცდარობა. როგორც პროფ. ა. გაწერელიამ დაადგინა, ქართულ ვერსიფიკაციაზე ე. ბოლხოვიტინოვისეული შეხედულებებით უხვად სარგებლობდნენ პროფ. დ. ჩუბინაშვილი (1850) და პ. იოსელიანი (1860) ქართული ლექსთწყობის საკითხებისადმი მიძღვნილ თავიანთ ნაშრომებში<sup>6</sup>.

როგორც საარქივო მონაცემებიდან ჩანს, ყოფილა ცდა ჩვენი საანალიზო წიგნის ქართულ ენაზე თარგმნისა. უცნობია მთარგმნელიც

<sup>3</sup> ე. შადური. Что знала о Руставели Россия пушкинского времени? კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შ. რუსთაველს“, თბ., 1966, გვ. 415—435.

<sup>4</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1952, გვ. 59.

<sup>5</sup> გ. იმედაშვილი. თ. ბაგრატიონის შრომა ვერსიფიკაციის საკითხებზე, „ლიტერატურული ძიებანი“, 1948, ტ. 4, გვ. 253.

<sup>6</sup> იხ. ა. გაწერელიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 65.

და თარგმანის შესრულების თარიღიც<sup>7</sup>. ქალაქის ჭვირნიშანის მიხედვით იგი შესრულებული უნდა იყოს 1825 წლის შემდგომ, ვინაიდან ძასზე გამოსახულ რუსეთის სამეფო გვირგვინზე იკითხება „ნიკოლოზ I“.

თარგმანი არასრულია და მოიცავს მხოლოდ პირველ თავს. მთარგმნელის სტილისა და ხელწერის მიხედვით იგი გადმოქართულებული უნდა იყო XIX ს. 30—40 წლებში.

ფრიად კოპეტენტურ მეცხიერს პროფ ა. ცაგარელს თავის ხაძრომში „ქართული საგარამატიკო ლიტერატურა“ (1879 წ.) უცვლელად მოაქვს ე. ბოლხოვიტინოვის ცნობები არჩილ II მიერ „ბიბლიის“ ტექსტის გამოსაცემად მუშაობაზე და ვახტანგ VI სასტამბო საქმიანობაზე<sup>8</sup>. ნ. მთვარელიშვილს სტატიაში: „ანტონ კათალიკოზი“ რამდენიმე გზის აქვს დამოწმებული საანალიზო წიგნში ამ პიროვნების შესახებ მოთავსებული ბიოგრაფიული ცნობები<sup>9</sup>.

ჩვენი კვლევის ობიექტისადმი ქართველ მკვლევართა ფართო და ინტერესების თვალსაჩინო მაგალითია რუსულ ენაზე გამოცემული ბ. ბებურიშვილის „ქართული ხალხური ზღაპრები და გასართობები“, რომელშიც ავტორს „საქართველოს ისტორიული სურათიდან“ ციტირებული აქვს მთელი რიგი ფაქტები ქართველი ხალხის ლიტერატურული და კულტურული წარსულიდან<sup>10</sup>. 1889 წ. გაზეთი „ივერია“ (№ 25) „ახალი და სასიამოვნო ამბის“ სახით აუწყებდა მკითხველებს: „ბატონმა ბებურ ბებურიშვილმა შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს: „საქართველოს ისტორიული სურათი“ დაბეჭდილი პეტერბურგში 1802 წ. გამეგობა საზოგადოებისა მადლობას უფიქნის მას შემოწირულობისათვის“.

შემდგომ წელს, ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ქართული ლექსთწყობისადმი მიძღვნილი სტატიის ავტორს კ. დოდაშვილს დაწვრილებით აქვს განხილული ე. ბოლხოვიტინოვის აზრი ანალოგიურ თემაზე: „მართალი უნდა სთქვას კაცმა, — წერს კ. დოდაშვილი, — და დიდს გონების გამჭრიახობას, საგნის ღრმად ცოდხას იჩენს პატივცემული ავტორი (ე. ი. ბოლხოვიტინოვი — ს. ლ.). მისში დაკვირვებამ და იშვიათმა სმენამ, სწორედ გითხრათ, დიდი სარგებლობა მოგვიტანა ჩვენ“<sup>11</sup>.

7 გ. მიქაძე. შენიშვნები ზოგიერთი პოეტურის შრომის შესახებ. ვახ. „ახალგაზრდა სტალინი“, 1956, № 9.

8 ა. ცაგარელი, ქართული საგარამატიკო ლიტერატურა (რუსულ ენაზე), სპბ., 1879, გვ. 102.

9 ჟურნ. „ივერია“, 1879, № 9.

10 Б е б у р (Б е б у р и ш в и л и). Грузинские народные сказки и игры. Тбилиси, 1887, с. 1—7.

11 ვახ. „ივერია“, 1890, № 210.

მოულოდნელობას წარმოადგენს ის დიდი ყურადღება, რომელიც გამოემყვანა 1802 წ. გამოცემული წიგნისადმი XX საუკუნეში. პროფ. ა. ხახანაშვილი თავის „ქართული სიტყვიერების ნარკვევების“ მესამე წიგნში, იმოწმებს რა მიტროპოლიტ ევგენის შეხედულებას ქართულ ლექსთწყობაზე, სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოტანილი მისი აზრი და გრაფიკული სქემები, ხოლო ბესიკის შემოქმედების მიმოხილვისას დამოწმებული აქვს „სევედის ბალის“ იმავე რუსი ავტორისეული თარგმანი<sup>12</sup>.

ცნობილმა მსახიობმა და დრამატურგმა კოტე ყიფიანმა 1912 წ. ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს მიუძღვნა სტატია: „ძველი წიგნიდან ქართველთა შესახებ“. „საქართველოს ისტორიულ სურათს“ იგი უწოდებს: „ძვირფას და თითქმის ერთადერთ წიგნს XIX საუკუნემდელ საქართველოს ზნე-ჩვეულების შესახებ“. კ. ყიფიანი განსაკუთრებით ამაჯვილებს ყურადღებას ქართული ზმის ე. ბოლხოვიტინოვისეულ დახასიათებაზე<sup>13</sup>.

აღბათ კომენტარს არ საჭიროებს ისტორიკოს ბ. ესაძის მიერ თავის ცნობილ „საქართველოს მატრიანეში“ (1913 წ.) „საქართველოს ისტორიული სურათის“ მეორე თავის: „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და ქართული ეკლესიის მდგომარეობა“ უცვლელად გადმობეჭდვის ფაქტი<sup>14</sup>.

შემთხვევითი არც ისაა, რომ დავით კარიჭაშვილს თავის: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია XVII—XVIII საუკუნეებში“ (1927 წ.) მოსკოვის ქართული სტამბის და მისი პროდუქციის მიმოხილვისას სარწმუნოდ აქვს მიჩნეული ე. ბოლხოვიტინოვის აზრი აღნიშნულ საკითხებზე.

ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა მიდგომითა და შეხებით განიხილა, დაიმოწმა და შეაფასა მრავალმა ქართველმა საბჭოთა მეცნიერმა, რომელთაგან საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ იმათზე, ვისაც საკუთრივ „საქართველოს ისტორიული სურათისადმი“ აქვთ მიძღვნილი ნაშრომები, ხოლო მანამდე გავეცნოთ რამდენიმე სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის გამონათქვამს ჩვენი კვლევის ობიექტისადმი. „რუსეთის განათლებულ წრეებში საქმიან ინტერესს და თანაგრძნობას პოუვებდა ქართველი ხალხის იდეალები“, წერდა ისტორიკოსი პროფ. ვ. დონდუა. ქართველი ხალხის წარსულს, კულტურულ მემკვიდრეობას სათანადოდ აფასებდნენ. ამ მხრივ მწერლობაში სანიმუშოდ რჩება კიევის მიტროპოლიტის,

12 ა. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ნარკვევი (რუს. ენაზე. ნაკ. III, 1903, მოსკოვი) გვ. 224.

13 გაზ. „კავკაზი“, 1912, 6 დეკემბერი, № 276.

14 Эсадзе Б. Летопись Грузии. Тифлис, 1913, с. 71—87.

ევგ. ბოლხოვიტინოვის შესანიშნავი შრომა „საქართველოს ისტორიული სურათი“<sup>15</sup>, ე. ბოლხოვიტინოვის ესოდენ პოპულარული წიგნი, უთითებს ლიტერატურათმცოდნე პროფ. ვ. შადური, წარმოადგენდა თავისი დროისათვის ერთადერთ, შეიძლება ითქვას, ენციკლოპედიურ ნაშრომს საქართველოზე“<sup>16</sup>. „ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი, აღნიშნავს პროფ. გ. მიქაძე, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე. ს. დოდაშვილის. პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, ალ. ხახანაშვილის და სხვათა ნაშრომები ქართულ ევრისფიკაციაზე ე. ბოლხოვიტინოვის უშუალო გავლენას განიცდის“<sup>17</sup>. დაბოლოს მოუსმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფ. ს. ცაიშვილს: „იმ პერიოდის ევროპის სხვადასხვა ენებზე არსებული ქართული ლიტერატურის მიმოხილვები მეტწილად ემყარებიან ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს, ხოლო ნიმუშად აქედან იმოწმებენ მასში მოცემულ თარგმანს რუსთაველის პოემიდან“<sup>18</sup> და სხვ.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ამ ავტორებს „საქართველოს ისტორიული სურათი“ ისე აქვთ აღქმული. თითქოს მასში ყველაფერი ზუსტია და დასაბუთებული. არამედ პირი ნაკლოვანი მხარეები მათ მიაჩნიათ როგორც XIX ს. დამდეგის ისტორიული აზროვნების თავისებური ნაყოფი.

ჩვენი კვლევის ობიექტისადმი ინტერესის განახლებაში ერთგვარი იმპულსის მიმცემი აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილე (1937 წ), როდესაც დღის წესრიგში დადგა რუსთველოლოგიური ლიტერატურის გამოწვლვით შესწავლა-შეჯერება.

ამ მიმართებით პირველობა უნდა მიეკუთვნოს მკვლევარ თამარ მაქავარიანის ნარკვევს: „ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ“, მასში ავტორი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს „საქართველოს ისტორიულ სურათში“ წარმოდგენილ იმ ცნობებს, რომლებიც განეკუთვნებიან რუსთაველსა და მის პოემას, იძლევა ე. ბოლხოვიტინოვისა და მისი კონსულტანტის ვარლამ ერისთავის ბიოგრაფიებს. სათანადო ადგილს უთმობს გასული საუკუნის ზოგიერთი რუსი ავტორის (ე. შმურლო, ნ. სევერნი და სხვ.) შეხედულებებს ე. ბოლხოვიტინოვზე და მის ნაშრომებზე. დაბოლოს, „საქართველოს ისტორიული სურათით“

15 ე. დონდუა. ლირესანიშნავი თარიღი, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1956, № 10, გვ. 9.

16 Шадурн В. Что знала о Руставели Россия пушкинского времени? კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შ. რუსთაველს“, თბ. 1966, გვ. 420.

17 გ. მიქაძე ე. ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, 1974, თბ., გვ. 8.

18 Ш. Руставели. Витязь в тигровой шкуре. на русском яз... Цаяшвили С. С. Великий поэт и гуманист. Предисловие. Тбилиси, 1984, с. 31.



მოხიბლულ ავტორს ნათქვამი აქვს: „წიგნში გასაოცარი სისწორით არის გადმოცემული საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა“<sup>19</sup> და სხვა.

ამავე საკითხს საინტერესო ნაშრომით გამოეხმაურა პროფ. ი. მეგრელიძე. სტატიასი „ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი ქართული კულტურის შესახებ“, მას ვრცლად აქვს განხილული რუსი ავტორის დასახურება ქართული კულტურის რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში პროპაგანდის საქმეში. ავტორი ამასთანავე იძლევა კრიტიკულ მიმოხილვას ქართველ მკვლევართა ნაშრომებისას, რომლებიც ეხებიან „საქართველოს ისტორიულ სურათს“ და მის ავტორს.

ავტორი სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს ე. ბოლხოვიტინოვის პირად ფონდში ჩვენს მიერ მიკვლეულ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის უცნობ თარგმანს: „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის თარგმნა ე. ბოლხოვიტინოვის მიერ საყურადღებო ფაქტია. სტროფის არჩევანი საინტერესოა რუსთაველზე ქართველი ინფორმატორის შეხედულების გასათვალისწინებლად“<sup>20</sup>.

ი. მეგრელიძისათვის კარგადაა ცნობილი ზოგიერთი იმ ავტორის აზრი, რომლებიც ფიქრობენ თითქოს ე. ბოლხოვიტინოვს თავისი წიგნი შედგენილი აქვს მხოლოდ კორესპონდენტთა მიერ მზამზარეულად მიწოდებული ცნობების მიხედვით, რის გამოც იგი წერს: „ისეთი ინფორმატორები, როგორც ე. ბოლხოვიტინოვს ჰყავდა, აღიარებული ავტორის თანავტორები არიან, მაგრამ წიგნი მაინც მას ეკუთვნის. ვისი ხელითაც ის დაიწერა“<sup>21</sup>.

ი. მეგრელიძის სტატიას დართული აქვს შენიშვნები, რომლებიც დაინტერესებულ პირს ეხმარებიან წამოჭრილ საკითხთა ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის გაცნობის საქმეში.

მესამე საყურადღებო ნაშრომს, მიძღვნილს ჩვენი კვლევის ობიექტისადმი, წარმოადგენს ფილოლოგიურ მეც. დოქტორის გ. შარაძის წიგნი: „ე. ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთაველოლოგი“. რომელსაც ბოლოში დართული აქვს ფოტოტიპურად დაბეჭდილი „საქართველოს ისტორიული სურათი“.

ავტორი თავის გამოკვლევაში სათანადო ადგილს უთმობს ე. ბოლხოვიტინოვის ბიოგრაფიას და მისი ძირითადი შრომების მიმოხილვას. გ. შარაძეს ეჭვი შეაქვს პროფ. ე. შმურლოდან მომდინარე იმ ტრადიციულ შეხედულებაში, რომლის მიხედვითაც ე. ბოლხოვიტინოვის კონ-

19 კ. შარაძის სახ. საქართველოს სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937, გვ. 212—200.

20 „მაცნე“, საქ. სსრ. მეც. აკადემიის ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, თბ., გვ. 71—84.

21 ი. ბ. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

სულტანტოა შორის ე. ერისთავთან ერთად იხსენიებიან ქართველი ბატონიშვილები იოანე, მიხეილი და ბაგრატ ბატონიშვილები. აქ იგი ცდილობს, გაარკვიოს — ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს „საქართველოს ისტორიული სურათის“ წინასიტყვაობაში მოხსენიებულ „ქართველ ელჩებსა და დიპლომატებს შორის“. სათანადო წყაროების მოშველიებით გ. შარაძე ადგენს ვრცელ სიას იმ ქართველი მოღვაწეებისა, რომლებიც XIX ს. დამდეგს დიპლომატიური მისიით იმყოფებოდნენ პეტერბურგში. სათანადო არგუმენტების მოტანით გამოირიცხავს რა ქართველი ბატონიშვილების ღვაწლს, უპირატესობას ანიჭებს ოთხ პიროვნებას: გიორგი ავალიშვილს, გიორგი თუმანიშვილს, გაბრიელ რატიშვილს და ნიკოლოზ ონიკაშვილს<sup>22</sup>. გ. შარაძე ამასთანავე ცდილობს, დაადგინოს რა უნდა იგულისხმებოდეს ე. ბოლხოვიტინოვის ცნობაში: „ეს პოემა (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“ ს. ლ.) მეფე ვახტანგის დროს დაიბეჭდა თბილისში, მაგრამ მალე ისე განადგურდა, რომ დღეს იშვიათად შეიძლება შევხვდეთ მის ნაბეჭდ ეგზემპლარს“. იმაზე დაყრდნობით, რომ ცნობაში ლაპარაკია პოემის გამოქვეყნებიდან (1712 წ) უახლოეს ხანებში მომხდარ ფაქტზე, იგი ასკვნის, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ის დიდი ტრაგედია, რომელიც დაატყდა თბილისს 1723 წ. თურქთა მხრივ. ამ მტკიცებით იგი სამართლიანად უარყოფს პ. იოსელიანიდან მომდინარე მცდარ მოსაზრებას, თითქოს ე. ბოლხოვიტინოვი „ვეფხისტყაოსნის“ მდევნელად აქ გულისხმობდეს კათალიკოზ ანტონ I, თავისი დროის ფრიად განათლებულ პიროვნებას.

გ. შარაძე დაწვრილებით იხილავს რა „საქართველოს ისტორიულ სურათში“ მოცემულ თითოეულ ცნობას რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ე. ბოლხოვიტინოვი არის რუსთაველოლოგიის ფუძემდებელი XIX საუკუნეში“. ცხადია, ამ საკითხზე შეიძლება სხვა აზრიც არსებობდეს, მაგრამ ერთი რამ უდაოა, ე. ბოლხოვიტინოვამდე არაქართულ ენაზე არაფერი არ დაბეჭდილა რუსთაველზე და რომ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, არცერთი ავტორის ნაშრომს არ შეხვედრია წილად ისეთი გამოყენება. როგორც ხვდა „საქართველოს ისტორიულ სურათს“.

ხაზგასასმელია ისიც, რომ გ. შარაძის მსგავსი მოსაზრება მოგვიანებით გამოთქმული აქვს პროფ. ლ. მენაბდეს თავის ნაშრომში: „რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში“, „არსებითად, ამბობს იგი, ე. ბოლხოვიტინოვმა დაუდო სათავე რუსულ რუსთაველოლოგიას. მან გაუკვლია გზა რუსთაველს რუსეთის სამეცნიერო-ლიტერატურულ საზო-

22 გ. შარაძე, ე. ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთაველოლოგი, 1979, თბ., გვ. 34.

გადობრიობაში, მანვე გააცნო ევროპას რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“<sup>23</sup>.

გამოცემის უდაო ნაკლად უნდა ჩაითვალოს 180-ზე მეტი წლის წინ გამოქვეყნებული ნაშრომის სათანადო კრიტიკული შენიშვნებისა და განმარტების გარეშე დაბეჭდვა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართველი ხალხისა და ანბანის წარმოშობის შესახებ დღეისათვის უაღრესად მოძველებული ცნობის კომენტარების გარეშე დატოვებაზე.

გ. შარაძეს ვერც იმაში დავეთანხმებით თითქოს ე. ბოლხოვიტინოვს „საქართველოს ისტორიული სურათი“ მიძღვნილი აქვს იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის<sup>24</sup>. გაუგებარია რა საფუძველი ჰქონდა ავტორს ამგვარი მტკიცებისათვის. ნაშრომის მეორე თავში ჩვენ უკვე საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით რაოდენ კატეგორიული უარი განუცხადა ბოლხოვიტინოვმა მათ, ვინც ურჩევდა თავისი „ვორონეჟის გუბერნიის ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიური აღწერა“ მიეძღვნა იმპერატორ პავლე I-ისათვის.

განხილულ საკითხზე ჩვენ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ გვაქვს ოთხი სტატია, რომლებშიც გამოთქმული მოსაზრებები და ვარაუდები უცვლელად შესულია წინამდებარე ნაშრომში. ამ გარემოებათა გამო მათზე ყურადღების გამახვილება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

---

23 იხ. „მწიგნობარი“, 1984, თბ., გვ. 130.

24 გ. შარაძე, ე. ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთაველოცი. 1979, თბ., გვ. 19.

როგორ მომზადდა „საქართველოს ისტორიული სურათი“  
და ვინ იყვნენ ე. ბოლხოვიტინოვის კორმისკონდენტები?

უდაოდ დიდი ინტერესის შემცველია საკითხი იმის შესახებ, თუ რა წყაროები ჰქონდა ხელთ ანუ რა ლიტერატურით სარგებლობდა ე. ბოლხოვიტინოვი, როდესაც ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებზე წერდა. თავის წიგნის შესავალში მას ნათქვამი აქვს: „ცნობები ამოღებულია ორიგინალური წყაროებიდან, რომლებიც მეტწილად მომაწოდეს ამჟამად პეტერბურგში მყოფმა ქართველმა დესპანებმა და დეპუტატებმა“-ო ე. ი. აშკარაა, ე. ბოლხოვიტინოვს ახლო ნაცნობობა ჰქონია რუსეთში მცხოვრებ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებთან.

მართლაც, საიდან შეეძლო ქართული ენის არმცოდნე პირს ასე კარგად გასცნობოდა ქართულ საისტორიო და სალიტერატურო წყაროებს, თუ არა მათი მეშვეობით? ვის იცნობდა ე. ბოლხოვიტინოვი და ვინ იყვნენ მისი მრჩეველები საქართველოს შესახებ მასალების შეგროვების დროს.

ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ „მრჩეველთა“ ვინაობის გასარკვევად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის პირად წერილებს უახლოესი სეგობრის, ვორონეჟელი პედაგოგის ვასილ მაკედონეცისადმი. ამ წერილების რაოდენობა 100-მდეა, რომელთაგან 10 წერილში ლაპარაკია სწორედ წიგნზე მუშაობისა და ქართველ ნაცნობებთან ურთიერთობის საკითხებზე. წერილების დიდი ნაწილი მნიშვნელოვანი შემოკლებით გამოქვეყნდა ეურნალ „რუსსკი არხივში“ 1870 წ.

ამ მხრივ საინტერესოა 1802 წ. 13 მაისის თარიღით გაგზავნილი შემდეგი წერილი:

ზოგჯერ ვატარებ საღამოებს ქართველ უსამღვდელოეს ვარლამთან და იცით ამ საღამოებზე მასთან თავშექცევით რა გამოვიდა? ის მიყვებოდა და მიყვებოდა საქართველოზე, ზოლო მე ვუსმენდი და გონებაში ვიბეჭდავდი. შემდეგ შევეუდექი წერას, ვხედავ, დამიგროვდა მთელი ჩანაწერების წიგნი საქართველოზე. წავუყითხე უფალ ვარლამს, ის კი განცვიფრებული შეუდგა შევსებას, სწორებას და აქ მყოფ ქართველი თავადებთან რჩევა-გასწორებას. ვთხოვე დახმარება ბანტიშ-კა-

მენსკისაც. მან ყველაფერი მნიშვნელოვანი თავის კერიდან გაცნობა და აი, წიგნი. ვაჩვენე მიტროპოლიტს. უკვე მოწონებული და ნებადართულია დასაბეჭდად. ორი თაბახი უკვე დაბეჭდილია...“<sup>1</sup>.

ვინ არიან ვარლამი, ბანტიშ-კამენსკი და „ქართული თავადები“, რომლებიც ამ წერილში არიან მოხსენიებულნი? პირველყოვლისა რამდენადმე ვრცლად გავეცნოთ ვარლამის ბიოგრაფიას.

ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან ქართული კულტურის არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე გამოსულა. მათ შორის აღსანიშნავია XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწე და მწიგნობარი ვარლამ დავითის ძე ერისთავი.

ქსნის ერისთავთა საოჯახო მწიგნობრულ გარემოს ნათლად ასახავს ის ფაქტი, რომ ვ. ერისთავის პაპიდა ელენესათვის 1712 წელს მზითვად გაუტანებიათ ხელნაწერი წიგნები: „ვეფხისტყაოსანი“, „სირინოზიანი“, „ჟამნი“, „სახარება“, „პატარა ჟამნი“, „ყველა წმინდის სავედრებელი“, „წმინდა მარინას ცხოვრება“ და სხვა<sup>2</sup>.

ვ. ერისთავი დაიბადა 1762 წელს. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ თბილისის სემინარია დაამთავრა და მისი დამაარსებლის — ანტონ კათალიკოსის საყვარელი მოწაფე გახდა. იოანე ბატონიშვილი ვ. ერისთავს ასე ახასიათებს: „საფილოსოფოსო სწავლასა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე. ამან ისწავლა სხვადასხვათა საფილოსოფოსო სწავლება. მანვე ისწავლა რუსული ენა კეთილად და ქმნა საუფლო სხვათა დღესასწაულთა ქადაგების წიგნი, საამო სასმენი და კარგად დათხზული“<sup>3</sup>.

ანტონ I მიერ აღზრდილი თვალსაჩინო მოღვაწეების — გაიოზ და დავით რექტორების, იოანე გედევანიშვილის, ამბროსი ნეკრესელის კვერდით სპეციალურ ლიტერატურაში ყოველთვის იხსენიება ვარლამ ერისთავიც, მის შესახებ ცნობები საკმაოდ მოიპოვება XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საარქივო მასალებსა და ბეჭდურ ლიტერატურაში.

ანტონ I გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-ს ვ. ერისთავის კათალიკოსად დანიშვნა განუზრახავს, მაგრამ გიორგი უფლისწულის დაჟინებული მოთხოვნით ამ თანამდებობაზე თეიმურაზ ბატონიშვილი (აქედგომში ანტონ II) დაუნიშნავს, ხოლო ვარლამ ერისთავი ახტალის მონასტრის ეპისკოპოსად გაუმწესებია.

მთელი შემდგომი მოღვაწეობა ვ. ერისთავს მოუხდა საეკლესიო სარჩიელზე, სადაც მაღალი თანამდებობები ეკავა, მაგრამ იგი არც სა-

1 Русский архив, 1870, с. 814—815.

2 საქართველოს სიმეფიქრი, III, 1910, გვ. 493.

3 ი. ბატონიშვილი, ცალმასობა II, გვ. 191.

ერო კულტურულ ცხოვრებას ჩამოსცილებია და თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია მის განვითარებას.

მის განათლებაზე მეტყველებს ცნობილი გრამატიკოსის — იოანე ქართველიშვილის გადმოცემა: „ვისწავლე აღსნით ვარლამისაგან წიგნი: ღრამატიკა, რიტორიკა, კატილორია, ლოლიკა და მეტაფისიკა და გარდავეწერე წიგნი ესენი თვინიერ კატილორისა“<sup>4</sup>.

1794 წელს ვ. ერისთავმა სინოდისაგან ნებართვა მიიღო წასულიყო მოსკოვში რუსული ენის შესასწავლად.

ვარლამ ერისთავი დაახლოებული ყოფილა საქართველოს სამეფო კართან. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბატონიშვილებთან, რაც კარგად ჩანს მათი მიმოწერიდან. 1799 წელს 18 ნოემბრით დათარიღებულ წერილში იგი დავით ბატონიშვილს სწერდა: „... თქვენი წიგნი მებოძა და როგორც მმართველს ისე ვიხარე თქვენის მშვიდობის ამბის სმენისათვის...“

აქაური ამბავი ეს არის: ევროპაში დიდი ბრძოლაა. სუაროვს შვეიცარიაში საშინელს მთაში უღალსა და უვალს ადგილებში, რომის იმპერატორის ღენერალთ ცხენები დაუგვიანეს და ოთხი დღე იქ მოუხდა დგომა. იმ დღეებში საშინელი ქუხილი და ელვა, მძაფრი წვიმა თურმე იყო და იმ დროს ფრანკუსნი განეწყვენენ და დიდის სიძხნით და ძლიერებით იმ საშინელის ადგილიდამ გამოვიდა სუაროვი. მოკლედ მოგახსენებ, სუაროვი ასე სწერს ხელმწიფეს, ახლა რომ მოვიგონებთ იმ დღეს, ჩვენი სული შეძრწუნდება ხოლმეო... ამისათვის ხელმწიფემ სუაროვს ღენერალისიმუსობა უბოძა... კნიაზ პეტრე ბაგრატიონიც დიახ კარგად გაისარჯა და კიდევ დასჭრეს. ბუნაპარტემ ჯარი მისირში დააგდო და თვითონ ფრანციაში მივიდა.

სხვებზე გვედარები, მოწყალეო ხელმწიფეო, არ დამივიწყო თქვენის უგანათლებულესის მონა ერთგული, არქიერი ვარლამ“<sup>5</sup>.

1801 წლის დამდეგს პეტერბურგის მიტროპოლიტმა ამბროსიმ ვ. ერისთავი მიიწვია მრჩეველად. ხოლო მარტის დამდეგს, მისივე წარდგინებით, იმპერატორმა პავლემ იგი წმინდა სინოდის წევრად აირჩია და ბინად მიუჩინეს ალექსანდრე ნეველის ცნობილი ლავრა; პეტერბურგში იგი დაუახლოვდა ქართული კოლონიის წარმომადგენლებს. მათ შორის ბატონიშვილებს. მათ სიახლოვეზე მეტყველებს ვ. ერისთავისადმი მირიან ბატონიშვილის მიერ მიძღვნილი იამბიკო:

ვარლამთან მიწერილი მირიანისაგან.

ყოვლად სამღვდლოვ, მღვდელ-მთავარო ქრისტესო!  
ძმავ, მეგობარო და ჩემდა სულის მწყემსო,  
გილოცავ ხარისხსა უღარესს უღარესო,

4 ი. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. მეშუარები, 1952, გვ. 70.

5 ვ. ერისთავის ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1978, გვ. 134.

აწ საღმრთო მადლით, შეეკრის გახსნის მანქანა,  
გვერდი მაჩვენებელი, ერთხელა განამაწესოა..  
ყოველ სამღვდელთა სიტყუა ჩემი მცირიან,  
გვედრს წერილი თქვენი გრძობა ხშირიან,  
არ მაქლოთ, რომლის გზასა თუალნი მხირიან.  
რადგან სეთა ჩვენთ ხილუა დაუძვირიან,  
მით მხიარულ მყოთ, მარად მჭირი მრ.იანნი..

ვ. ერისთავი ძირითადად რუსეთში მოღვაწეობდა. იქ საფუძვლიანად შეისწავლა რუსული ენა, საერო და სასულიერო ლიტერატურა. მაგრამ სამშობლოდან ხანგრძლივმა მოშორებამ ხელი ვერ შეუშალა თავისი ქვეყნის კულტურული კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. პირიქით, მან რუსეთში ხელი მიჰყო ფართო საგამომცემლო საქმიანობას, მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო მოსკოვში ქართული სტამბის დაარსებასა და წიგნების გამოცემას.

მოსკოვში ქართული სტამბა მწყობრში ჩადგა არა უგვიანეს 1803 წლისა. ვარლამმა აქ ხელსაყრელი სამუშაო პირობები შეუქმნა ავბედობით საქართველოდან რუსეთში გადახვეწილ ცნობილ მესტაჰზე გიორგი პაიჭაძეს.

ვ. ერისთავის თაოსნობით მოსკოვის სტამბაში დაიბეჭდა ორი დიდტანიანი სასულიერო ხასიათის თხზულება: ანტონ I-ის „სადღესასწაულო“ (1805—1808 წწ.) ვ. ერისთავის წინასიტყვაობით, და ვარლამის შედგენილი „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისძმობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“ (1821 წ. რუსულ და 1825 წ. ქართულ ენებზე).

„სადღესასწაულოს“ წინასიტყვაობაში ნათლად ჩანს. ვ. ერისთავის უდიდესი მოწიწება მისი მასწავლებლის, ანტონ პირველისადმი.

„ვინაითგან უწმინდესმან კათალიკოსმან საქართველოსმან ანტონი, მეფის იესეს ძემან, მრავალითა შრომითა, ღწითა და გულის-მოღვინებითა, ისწრაფა განჰშვენება ენათა საქართველოსათა, და მრავალნი წიგნნი ფრიად სახმარ-სასარგებლონი თვით-ჰქმნნა, და მრავალნივე წიგნნი საფილოსოფოსანი საღვთის-მეტყველონი და საეკლესიონი სხვათაგან ენათა, ქართულსა ენასა, ზედა გადმოღებულ ჰყო, ფრიადითა კეთილ-შეწყობილებითა, და ვინაითგან ესეცა წიგნი სადღესასწაულო მისითა შრომითა იყო განმართული და შეწყობილი ქართულსა ენასა ზედა, ამისათვის მეცა ვერლარა კადნიერ ვიქმენ შეხებად და შეცვალებად რაისამე და ვითარცა მის მიერ იყენეს განმართულ...“<sup>7</sup>.

ამ წიგნის გამოცემის და საერთოდ, მოსკოვში ქართული სტამბის დაარსების საქმეში ვარლამის ღვაწლზე მეტყველებს „სადღესასწაუ-

6 კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ს. ხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S, ფ. 1512, № 154.

7 ქართული წიგნი, 1941, გვ. 85.

ლოს“ გამოცემის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის დიმიტრი ბაგრატიონის ლექსის ფრაგმენტი:

„ღუთის შეწვენითა, ზესთა ზენითა  
მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული,  
ქსნის ერისთვისა, დავითის-ძისა,  
ვარლამის ღვაწლით არს გამართული“...<sup>8</sup>.

მოსკოვში ვარლამ ერისთავის სასტამბო და მთარგმნელობით მოღვაწეობაზე მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა „კავკასიის არქეოგრაფიული აქტების“ II ტომში გამოქვეყნებული საქართველოს მთავარმართებლის პ. ციციანოვის ხელმოწერილი ორი დოკუმენტი. პირველი დათარიღებულია 1804 წლის 25 აპრილით. პ. ციციანოვი სთხოვს სინოდის ობერ-პროკურორს ა. გოლიცინს ნება დართოს ვ. ერისთავს, რომ გამოსცეს რუსულიდან მის მიერ თარგმნილი რამდენიმე დასახელების სასულიერო ხასიათის თხზულება, თითოეული 200 ეგზემპლარის რაოდენობით. პ. ციციანოვი, ამასთანავე, სთხოვს უზრუნველყოს მთელი ტირაჟის ქ. მოზდოკამდე ჩატანა. აქვე იგი ახასიათებს ვარლამს, როგორც ქართული და რუსული ენების კარგ მცოდნეს და ისეთ პიროვნებას, რომელმაც „სიამოვნებით იკისრა ამ საშვილიშვილო ღონისძიების განხორციელება“.

1805 წლის 23 თებერვლით დათარიღებული მეორე დოკუმენტით პ. ციციანოვი საქართველოს „აღმასრულებელ ექსპედიციასა“ და კათალიკოს ანტონ II ავალებს ვ. ერისთავის მიერ გამოცემული და თბილისში ჩამოტანილი წიგნების დანიშნულებისამებრ განაწილებას, კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია:

«По скудости здешних церквей и недостатку наимужнейших обрядах по всей империи в церквях, находящихся относительно церемоний просил я Святейшаго Правительствующаго Синода Обер-Прокурора о снабжении края ими, вследствие чего и полученные 200 экземпляров оных, переложенных на грузинский язык и помешающих в себе следующие обряды, а именно:

1) форму, как поминать на эктениях и во время выхода Высочайшей Фамилии, а также и на многолетии;

2) Молитвие, совершаемое марта 12 и сентября 15;

3) Благодарное молитвие;

4) Табель высокаторжественным дням викториальным;

5) Реестр I для совершения поминаний блаженной памяти \* Боже почивших императоров и императриц, царей и цариц и всего высочайшего их происхождения, с показанием месяца и

<sup>8</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 86.



числа 6) Ресстр 2, просто без показания месяца и числа для поминания их же на всеобщих панихидах — препроводил к здешнему католику Антонию с тем, чтобы разослав оные по всем церквям, приказал священникам выполнить предписанные в оных обряды непременно, о наблюдении всем комендантам и кап. — исправникам»<sup>9</sup>.

რა წიგნებზეა ლაპარაკი ამ საბუთში და მოაღწიეს თუ არა მათ დღემდე? არსებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ აქ იგულისხმება:

1. „ფორმა, ე. ი. სახე თუ ვითარ ჯერი არს მოხსენიება ხელმწიფეთა (1799—1801 წწ.), 79 გვერდი (21×19), ნუსხა ხუცური“.

2. „ფორმა პირველთა ზედა ექტენიათა, მწუხრად, ცისკრად და ლიტურგიათა ზედა (1801), 15 გვ. (17×17), ნუსხა ხუცური“<sup>10</sup>.

ორივე წიგნი, პ. ციციანოვის წერილის მიხედვით, გამიზნული ყოფილა ეკლესიის მსახურთა სახელმძღვანელოდ. მეფეთა კურთხევისა ანა თუ იმ მნიშვნელოვანი საეკლესიო დღესასწაულის აღნიშვნის, რუსეთის გარდაცვლილ ხელმწიფეთა, დედოფალთა და სხვა წარჩინებულთა სულის მოსახსენიებელი ცერემონიალის ჩასატარებლად. ეს წიგნები ამჟამად ბიბლიოგრაფიული იმვითობაა და შემორჩენილია მხოლოდ თითო ეგზემპლარი (ე. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ და რუსულ დასათაურებებს შორის სხვაობა საფუძველს არ იძლევა ექვი შევიტანოთ მათს იგივეობაში. პ. ციციანოვის წერილში ეს წიგნები მოყვანილია რუსული დასათაურებით. ხოლო ვ. ერისთავს ქართულ გამოცემაში კორექტივი შეუტანია. კერძოდ, პირველი წიგნი დაყოფილი აქვს II, ხოლო მეორე — 2 ქვესათაურად, რომლებშიც ექვსი რუსული სახელწოდებიდან ხუთი ჩართული აქვს მეორე წიგნში. ზოგიერთი თავი საკუთარი შეხედულებისამებრ დაუყვია ქვესათაურებად.

ამიტომ ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში ამ წიგნების გამოცემის თარიღად 1799 და 1801 წლების ნაცვლად უნდა დადგინდეს 1804 წელი. და რაც მთავარია, ორივე წიგნის მთარგმნელ-გამომცემლად უნდა ჩაითვალოს ვარლამ ერისთავი. ბუნებრივია, ეს წიგნები ვარლამს დაბეჭდილი უნდა ჰქონდეს ქ. მოსკოვში, საკუთარ სტამბაში. ამ მოსაზრებამდე მივიყვანა წიგნების მოკლე დროში დასტამბვის ფაქტმა: სახელდობრ, 1804 წლის აპრილში თბილისიდან პეტერბურგში იგზავნება თხოვნა წიგნების დაბეჭდვის ნებართვაზე, ხოლო 1805 წლის თებერ-

<sup>9</sup> Акты, II, с. 271.

<sup>10</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 82.

ვლის ბოლოს მთელი ტირაჟი, თითოეული 200 ეგზ. ოდენობით, უკვე ჩამოტანილი იყო საქართველოში.

მოსკოვის სტამბაში ვარლამის სიციოცხლეში, გარდა აღნიშნული წიგნებისა, კიდევ დაიბეჭდა 24 დასახელების ქართული წიგნი (მათ შორის რვა საერო ხასიათის თხზულება), რომელთა შორის მხოლოდ ორს — „სადღესასწაულოს“ და „განმარტება სახარებისას“ ახლავს მითითება ვარლამის ავტორობასა და გამოცემაში მონაწილეობაზე. სხვაგან იგი თავისთავს არსად იხსენიებს. ეს კი უთუოდ მისი მოკრძალებით აიხსნება; საკუთარ სტამბაში ქართული წიგნის დაბეჭდვა მწიგნობარ-დამაარსებლის მონაწილეობის გარეშე დაუჭერებელია.

ამ ვარაუდის ნათელი დადასტურებაა ქ. მოსკოვში მუდმივ საცხოვრებლად ვარლამ ერისთავის გამწესების პერიოდში (1825—1830 წწ.) გამოცემული წიგნების ოდენობის ზრდა. კერძოდ, მის სიციოცხლეში დაბეჭდილი 26 დასახელების წიგნიდან აღნიშნულ პერიოდში (ე. ი. ხუთი წლის მანძილზე) გამოიცა 14. მათ შორის რვა საერო ხასიათისა. ე. ი. წიგნების გამოცემის ერთგვარი აღმავლობა ემთხვევა ვ. ერისთავის მოსკოვში ცხოვრების მეორე პერიოდს, რაც შემთხვევითი არაა.

ჩვენს ამ მოსაზრებას განაპტიკებებს გ. საძაგლიშვილის (კირიონი II) სიტყვები: «Варлаам много потрудился... печатание грузинских богослужбных книг и при нем и благодаря его личному старанию и энергии произвонилась в больших, чем раньше размах»<sup>11</sup>.

1808 წლის მეორე ნახევრიდან ვ. ერისთავი რამდენიმე წლით გადმოჰყავთ თბილისში.

სამშობლოში დაბრუნებული ვარლამი ცდილობს თბილისში სტამბის დაარსებას. 1809 წლის დამდეგს იგი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კურაკინს უგზავნის მიმართვას და სთხოვს საკუთარი სტამბის მოწყობილობის თბილისში გადმოტანის ნებართვას. ამ საქმის განხორციელებისათვის მას აუცილებელ პირობად მიაჩნდა მოსკოვში მოღვაწე ცნობილი მესტამბის გ. პაიჭაძის თბილისში გადმოყვანა და მისთვის ხელფასის გადაიდება<sup>12</sup>.

მაგრამ ამ წამოწყების ცხოვრებაში გატარებისათვის არც კურაკინს და არც უწმინდეს სინოდს თავი არ შეუწყუხებიათ. ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციებში მრავალგზის მიმოწერას შედეგი არ გამოუღია. ამით იმედგაცრუებულმა ვ. ერისთავმა საკუთარი სტამბა საჩუქრად გადასცა მოსკოვის სინოდალურ სტამბას, რაც მისი უსახსრო-

<sup>11</sup> Епископ Киршон. Краткий очерк истории грузинской церкви, Тифлис, 1901, с. 221.

<sup>12</sup> Ватейшвили Д. Л. Русская общественная мысль и печать на Кавказе, М., 1973, с. 77.

ბით უნდა აიხსნას. ამას მოწმობს 1808 წლის 3 იანვრის თარიღით პეტერბურგიდან ვარლამ ერისთავის ძმის, მირმანოვისადმი გლახა ჭილაშვილის გაგზავნილი წერილი: მივმართე პირად ვალის გასანაღვდებლად ვარლამს, ... მაგრამ დიდი ხარჯი მოსვლია. სტამბის საქმეში ბრძანდება და ამჟამად ფული არ ქონდა<sup>13</sup>.

ვარლამმა დაინტერესებულ თანამემამულეებთან ერთად მოახერხა თბილისში სტამბის დაარსება, სადაც 1815 წელს დაიბეჭდა ი. ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“.

ვარლამ ერისთავის სასტამბო მოღვაწეობის შესწავლისას ანვარიშგასაწვევია თეიმურაზ ბატონიშვილის 1837 წლით დათარიღებული წერილი მ. ბროსესადმი: „ვარლამ ექსარხოის საქართველოსა რომ იყო აქა (ე. ი. პეტერბურგში — ს. ლ.), იმან გააქეთებინა მატრიცები, ასონიც გამოადნობინეს და ის უცხო ხელი იყო მსხვილი. იმის ფორმები მონახონ, ე. ი. მატრიცი და საცა გაზეთს ბეჭდავენ, ვასილის ოსტროვში, მეცხრეს ლინიაზე. იმ სახლში სარაიაში ჰქონდა შენახული ჩამოსხმული ქართული ასოები, ხუტური, საკვირველი უცხოა, იმის ფორმებიც შონახვინე“<sup>14</sup>.

ჩვენთვის უცნობია რა შედეგი მოჰყვა თეიმურაზის ამ დავალებას, შეძლო თუ არა მ. ბროსემ მისი შესრულება და გამოყენება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ აქ ლაპარაკია სხვა შრიფტზე და არა იმაზე. რომელიც ვ. ერისთავმა მოსკოვის ქართული სტამბისათვის ჩამოასხმევინა. ვ. ერისთავის სტამბას მოსკოვში 1865 წლამდე ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. თუმცა იურიდიული უფლება სტამბაზე ვ. ერისთავმა დაკარგა იმ დღიდან (1810 წ.), როდესაც იგი თავისი სურვილისამებრ გადასცა წმ. სინოდის სტამბას.

ამიტომ ჩვენი ვარაუდით, საქმე გვაქვს ვ. ერისთავის მიერ ჩამოსხმულ სხვა შრიფტთან, რომლის შესახებ ჭერჭერობით არაფერია ცნობილი.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ქართველი ინტელიგენციის წინაშე დღის წესრიგში დააყენა მოწინავე რუსული კულტურის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვა და ქართული კულტურისა და ისტორიის მოღვაწეთა პროპაგანდა რუსეთში. ამ საქმეშიც ვარლამს თავისი წვლილი შეუტანია. კერძოდ, 1802 წელს პეტერბურგში საკუთარი სახსრებით რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია „მოკლე ქართული გრამატიკა“. ეს წიგნი რიგით მესამე ბეჭდური ნაშრომია ამ დარგში. ფრანკისკო მარია მაჭიოს (1643) და გაიოზ რექტორის (1798) გამოცემათა შემდეგ. ხოლო რუსულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი სახელმძღვანელოა. აღ-

13 მ. ბერძენიშვილი. მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, 1980, გვ. 236.

14 ს. ყუბანეიშვილი, თ. ბაგრატიონის წერილები მ. ბროსესადმი, გვ. 30.

სანიშნავია, რომ ქართულ გრამატიკას თან ერთვის ავტორის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც იგი მკითხველს აცნობს გამოცემის მიზანს — დაეხმაროს დაინტერესებულ რუს მკითხველს ახლადშემოერთებული ხალხის ენის შესწავლაში.

გრამატიკის გამოცემის პირობების და ტირაჟის გათვალისწინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ე. ბოლხოვიტინოვის 1802 წლის 15 ივნისს გაგზავნილ წერილს ვ. მაკედონეცისადმი, სადაც ვკითხულობთ: «Посылаю к Вам экземпляр моей Грузии. Прилагаю при этом еще и русинскую грамматику, сочиненную преосвященным Варлаамом... авось и вы по-грузински выучитесь, а если не выучитесь, то отдадите в семинарскую библиотеку. Ее напечатано только двести экземпляров за счет автора, и в продаже нет»...<sup>15</sup>

მშობლიური კულტურის წინაშე ვარლამ ერისთავის დამსახურების შესწავლისათვის ანგარიშგასაწევეია ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ქართული ორატორული ხელოვნების წინაშე. გავიხსენოთ ი. ბატონიშვილისეული შეფასება: „საფილოსოფოსო სწავლისა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე“. ხოლო ნ. კანდელაკი მას სასულიერო მკვერმეტყველების იმ საპატიო საკრებულოს აკუთვნებს, რომელსაც ამშვენებს სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათალიკოსის, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის, ბესარიონ ორბელიანის და სხვ. სახელები<sup>16</sup>.

კ. კეკელიძეს ვ. ერისთავი სამქადაგებლო დარგის უკანასკნელი პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწედ მიაჩნია. იგი ვ. ერისთავს ორიგინალური ჰომილეტიკის ცნობილ და ნიჭიერ წარმოქმადგენელს უწოდებს<sup>17</sup>.

დღეს ჩვენთვის ხელმისაწვდომია ვ. ერისთავის ხუთი ნაბეჭდი თხზულება. მათ შორის სამი სასულიერო და ორი საერო ხასიათის: 1. „სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე თქმული წმინდისა პასეკისა მწუხრის ზედა“. 2. „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“. 3. „სიტყვა თქმული ოქტომბრის 29, 1787 წელს საკათალიკოზო საყდარსა ზედა აღსვლასა და ნიშნების მირთმევასა ანტონ ირაკლი მეფის ძისასა“, 4. „ირაკლის მიმართ მეფისა სრულიად საქართველოსი დღესა უფლისა ჩვენისა იესოს შობისა წელსა 1794“, 5. „სიტყვა პავლე ციციშვილისადმი“<sup>18</sup>.

ვ. ერისთავის მქადაგებლობითი უნარის დადასტურებაა მისი

<sup>15</sup> Русский архив, 1870, с. 814—815.

<sup>16</sup> ნ. კანდელაკი ქართული კლასიკური მკვერმეტყველება, 1961, გვ. 116.

<sup>17</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 557.

<sup>18</sup> დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, 1846, გვ. 200.

„განმარტება სახარებისას“ ორგზის გამოცემა რუსულ ენაზე პეტერბურგში (1821 და 1824 წწ.), რომლის თარგმანი შესრულებულია პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის გერასიმე პავსკის მიერ. პომილეტიკური ნიჭის აღიარებად უნდა ჩაითვალოს რუსეთის აკადემიის პრეზიდენტის ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვის შემდეგი სამადლობელი წერილი ვარლამისადმი: *Ваше высокопреосвященство, милостивый государь! Я имел честь получить присланную от Вашего высокопреосвященства ко мне и в Российскую Академию сочинения Вашего, книгу, под названием толкование Евангелия с правоучительными беседами, приняв дар сей с величайшим удовольствием, я как от себя собственно, так и от лица всей Академии приношу вашему высокопреосвященству покорнейшую благодарность. Академия сохранит оный, а я польщусь почерпнуть душевную пользу от заключающихся в оном благочестивых изъяснений.*

С истинным почитанием и преданности, прося Вашего архипастырского благославления, имею честь Вашего высокопреосвященства покорнейший слуга». 1821 г.<sup>19</sup>

ვ. ერისთავის მწიგნობრული საქმიანობის შესწავლისათვის უნდა გავითვალისწინოთ ორი წერილობითი ცნობა. პირველი ეკუთვნის ე. ბოლხოვიტინოვს, რომელიც თავის წიგნში: „Историческое изображение Грузии“ აღნიშნავს: „Варлам перевел историю государей и великих генералов Г. Шифиним“. როგორც ცნობილია, ამ წიგნში აღწერილი ანტიკური ხანის რომაელი, ათენელი და მიდიელი გამორჩენილი სარდლების: პომპეუსის, დონიციუსის, მარციუსის, კორიოლანისის და სხვ. ცხოვრება-მოღვაწეობა, მთარგმნელს იგი უთუოდ ერეკლე მეორის ან სამეფო ოჯახის წევრთა საჭიროებისათვის უნდა შეესრულებინა.

დადგენილია, რომ ვარლამს ეს შრომა რუსულიდან უთარგმნია. იგი XVIII საუკუნის რუსეთში ორჯერ გამოიცა — 1765 და 1792 წლებში (ფრანგულიდან თარგმნა იაკობ კოხელსკიმ).

აღ. გულისაშვილი სტატიაში: „მიტროპოლიტი ვარლამი, პირველი ექსარხოსი საქართველოსი“, დღემდე ცნობილი თხზულებების გარდა მას მიაწერს ორ საყურადღებო უცნობ ნაშრომს. იგი წერს: „ვარლამმა დაგვიტოვა შემდეგი თხზულებანი... გეოგრაფიული ატლასი და სახელმძღვანელო არითმეტიკისა“<sup>20</sup>. სამწუხაროდ, ეს წიგნები დღემდე მიკვლეული არ არის.

ვარლამ ერისთავი პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული.

<sup>19</sup> Шишков А. Л. Записки, мнения и переписка, 1821, с. 405.

<sup>20</sup> „მწყემსი“, 1884, № 11, გვ. 12.

ხელთა გვაქვს სხვადასხვა დროს დაწერილი ორი ლექსი. პირველი, ან-  
ტონ კათალიკოსის ეპიტაფია:

„ქართველთ ერთ ექმნა მეორედ ოქროპირად,  
პაველ მქუხარედ, უმეყარ განაპირად,  
გრიგორად მღალად, მემოძთა განშაპირად,  
აქვნდა რა იყო, ქრისტეს-გან დანაპირად  
დაუტევა სამწყსო, ღუჯისადმი შენაპირად“...

მეორე, ვ. ერისთავის საპასუხო იამბიკო მირიან ბატონიშვილისად-  
მი ანტიკონის ლექსია და იკითხება „გალოც ძჰაი მირიან“.

„განათლებულ ხარ განზენაებულ  
პაღვზენ სული, მალალს უმსხვერპლე გული,  
ლოცვა ჰყევ სრული, მარხულობა ზედპრთული,  
ორითვე მკული, ესთა განაშვენებულ  
ერემლ ხმირ ფრქვეული, იქმენ ზიარებული.

ქემან ღირსმან ხორცი თვისი საუფლო,  
მოგესს შენ წაღად სხეულის მთლად დაცვისა  
აგრეთვე სისხლი, მისი ჩუენთვის დათხეული,  
იყავნ სულისა, ბრალთა აღმხოც და დამწვეული,  
მჩაობლნი მპრჩობლითავე, მფარველ ყოვლთ, ვნებითაგან

იყავ მინდობილ, და მოსავ მხოლოდ მისი,  
რომელს ყოველ, ძალუქს კაცთაგან უძლო,  
იგი არს მხილავ, შენის ჰაზრის ყეთილის,  
აღმასრულებელ მკულისასა ზრუნვასა,  
ნებითა თვითვე, წარმმართველი საქმეთა“21.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1808 წელს უწმინდესი სინოდის  
ვარლამს თბილისში აგზავნის, რათა სისტემატურად მიაწოდოს ცნო-  
ბები საქართველოს ეკლესიის შემოსავალ-გასავალზე, საეკლესიო  
სტრუქტურაზე, მის გავლენაზე მოსახლეობაში და სხვ. პარალელურად  
სინოდს განზრახული ჰქონდა მისი ანტონ II ადგილზე დანიშვნა, რაც  
განხორციელდა 1811 წლის ივლისში. ანტონ II რუსეთში გაიწვიეს,  
ხოლო მცხეთისა და ქართლის ეგზარქოსად (არა კათალიკოსად) და-  
ამტიციეს ვ. ერისთავი, ამ დროიდან ფაქტიურად მოიშალა საქართვე-  
ლოს ეკლესიის დამოუკიდებლობა.

1812 წლამდე აღმოსავლეთ საქართველო დაყოფილი იყო ცამეტ  
ეპარქიად, ვარლამის მიერ ჩატარებული რეფორმის საფუძველზე  
ქართლ-კახეთში შეიქმნა ორი ეპარქია: მცხეთა-ქართლისა და კახეთ-  
ალავერდისა, რომელსაც თვითონ განაგებდა. 1814 წლის ივნისიდან

21 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფ. 1512, № 155.

იგი ამასთანავე დაინიშნა იმერეთის ეგზარქოსადაც. ამ სამწყსოებს ვ. ერისთავი განაგებდა 1817 წლამდე, ვიდრე იგი სინოდმა არ გაიწვია რუსეთში. იმის გამო რომ ვარლამის მოღვაწეობის პერიოდში გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი რუსეთის წმინდა სინოდს დაექვემდებარა, თანამემამულენი მას ხშირად ძვირად იხსენიებენ. მაგრამ როგორც მოვლენათა შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, ვარლამს არ შეეძლო ხელისუფლების ამ განზრახვის თავიდან აცილება, რამდენადაც მეფის რუსეთი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ არ დაუშვებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას.

ვ. ერისთავი მზრუნველობას არ აკლებდა მახლობელთა სწავლავანათლების საქმესაც. 1825 წელს მისი თხოვნით მოსკოვში სასწავლებლად გაგზავნეს მისი ძმისშვილი — ესტატე და უფროსი ძმის შვილიშვილი — ვიორგი (შემდგომში ცნობილი დრამატურგი). ვარლამმა ისინი კერძო პანსიონში მიაბარა, მაგრამ ესტატეს ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ისინი სამშობლოში დაებრუნებინა.

ვ. ერისთავი გარდაიცვალა 1830 წელს ქ. მოსკოვში. დაკრძალულია დანიელის მონასტერში, რომელსაც იგი განაგებდა სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება უთუოდ წარმოაჩენს ახალ დოკუმენტებს ამ საინტერესო პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

როგორც დავინახეთ, ე. ბოლხოვიტინოვი ვ. მაკედონეცისადმი 1802 წ. 13 მაისის თარიღით გაგზავნილ წერილში, გარდა ვ. ერისთავისა თავის კორესპონდენტებს შორის ასახელებს ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის და „ქართველ თავადებს“. ვინ იყო ნ. ბანტიშ-კამენსკი და შეეძლო თუ არა მას ამ მისიის შესრულება?

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბანტიშ-კამენსკი (1738—1814 წწ.) რუსეთის აკადემიის წევრი, 1762 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის არქივში (მოსკოვი) სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 1800 წლიდან არქივის მმართველად. მან დიდი როლი შეასრულა, ნაპოლეონის მიერ 1812 წ. მოსკოვის გადაწვისას, არქივის უვნებლად გადარჩენის საქმეში. ნ. ბანტიშ-კამენსკი არის ავტორი მრავალი საყურადღებო ნაშრომისა ევროპისა და აზიის ქვეყნებთან რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, მათ შორის პოლონეთთან ურთიერთობაზე გამოცემული ნაშრომი შეიცავს ხუთ ტომს და სხვ.

ნ. ბანტიშ-კამენსკის ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აკავში-

რებდა ე. ბოლხოვიტინოვთან, რომელიც მისი რეკომენდაციით იქნა დანიშნული პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის აკადემიაში<sup>22</sup>.

რამდენადაც ადვილად დგინდება ე. ბოლხოვიტინოვის მთავარი კორესპონდენტის ვარლამისა და ნ. ბანტიშ-კამენსკის ვინაობა, იმდენად უფრო ძნელი გასარკვევია თუ ვინ არიან ის „ქართველი თავადები“, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ შეგროვებული ცნობების განსრულება-დახვეწაში.

„ქართველი თავადების“ თუ „დესპანების“ ვინაობისადმი ინტერესს იჩენდა თითქმის ყველა მკვლევარი ვინც კი „საქართველოს ისტორიული სურათის“ მეტნაკლებად შეხებიან. თუმცა გამოწვევით ბოლო დრომდე არავის არ უცდია ამ საკითხის გამოკვლევა.

ვიდრე ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, გავეცნოთ საკითხის ისტორიას. პირველი ვინც ამ ფაქტს შეეხო, ეს იყო ვინმე ნიკოლოზ სევერნი. ე. ბოლხოვიტინოვის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთ-ერთი პირველი გამომცემელი, რომელსაც ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული ე. ბოლხოვიტინოვის კერძო წერილის კომენტარებისას ნათქვამი აქვს: „სხვათა შორის, იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდნენ ქართველი უფლისწულები: ბაგრატი, იოანე და მიხეილი“<sup>23</sup>.

მოგვიანებით პროფ. ე. შმურლოს ამ საკითხზე კატეგორიულად აქვს ნათქვამი: „რაც შეეხება „ქართველ თავადებს“, ისინი იყვნენ ბაგრატი, იოანე და მიხეილი, რომლებიც იმხანად რუსეთის მთავრობისაგან პენსიას ელოდნენ“<sup>24</sup>. თავის ამ მოსაზრებას იგი აფუძნებს, ერთის მხრივ, ნ. სევერნის აღნიშნულ შენიშვნაზე და მეორეს მხრივ, წმ. სინოდის ობერ-პროკურორ ა. ა. იაკოვლევის მიერ ვ. ერისთავის შესახებ მოცემულ შემდეგ დახასიათებას: „ქართველი არქიეპისკოპოსი ვარლამი. წერს იგი, რომელიც ჩამომხდარია ნოველის მონასტერში მიტროპოლიტის ხარჯზე, წარმოადგენს მღუმარე პირს, რომელიც მიტროპოლიტმა დასვა წევრად და დაატარებს თან, სინოდში ჩემი ყოფნის მთელ მანძილზე. არც ერთხელ არ დაუძრავს ხმა საქმესთან დაკავშირებით... იგი ყოველთვის ბრმად აწერს ხელს, რასაც ბრძანებს მიტროპოლიტი“<sup>25</sup>.

ვ. ერისთავის ამგვარი დახასიათების უკრიტიკოდ მიღებამ პროფ. ე. შმურლოს საფუძველი მისცა გამოერიცხა მისი აქტიური მონაწილეობა „საქართველოს ისტორიულ სურათში“ და უკარნახა ე. ბოლხოვიტინოვის ძირითადი კონსულტანტები ეძებნა XIX საუკუნის პე-

22 Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений как ученый. СПб., 1888, IXXI, с. 90—91.

23 Русский архив, 1870, с. 790.

24 ი. ე. შმურლო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 341.

25 Памятники новой русской истории, III, с. 102.



ტერბურგში მცხოვრებ სხვა ქართველთა შორის. ასეთ ავტორიტეტ-  
ბად, როგორც დავინახეთ, მან მიიჩნია ქართველი ბატონიშვილები.

ე. შმურლოს ამ მოსაზრებას შემდგომ ერთხმად იმეორებდნენ და  
ამჯერად ხშირად იმოწმებენ თანამედროვე მკვლევარები საქართველოს-  
თან ე. ბოლხოვიტინოვის დამოკიდებულების განხილვისას. თუმცა შემ-  
დგომში, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც არ გაიზიარეს ეს მტკიცე-  
ბა და ე. ბოლხოვიტინოვის ძირითად კონსულტანტად კვლავ ვ. ერის-  
თავი მიიჩნიეს, ასეთ ავტორს განეკუთვნება პროფ. აბრამოვიჩი, რომე-  
ლიც ე. ბოლხოვიტინოვის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ  
ნაშრომში მთელ ღვაწლს მიაწერს ქართველ მღვდელმთავარს<sup>26</sup>. ჩვენ  
ვეტიკრობთ, რომ ბატონიშვილების მონაწილეობაზე ვარაუდი უფროა,  
ვინემ რაიმე საბუთიანობაზე დაფუძნებული მტკიცება რასაც გვა-  
ფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი. ჭერ ერთი, ევგენი ბოლხოვიტი-  
ნოვი ზემოთ მოტანილ წერილში ნიშანდობლივ „ქართველ თავადებზე“  
ლაპარაკობს და არა ბატონიშვილებზე, რომელთა შესახებ, როგორც  
ჩანს, იგი საკმაოდ ყოფილა ინფორმირებული. „აქ ქართველი ბატონი-  
შვილები ჩამოვიდნენ, აცნობებს ე. ბოლხოვიტინოვი მაკედონეცს თა-  
ვის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში, მაგრამ მათი ბედი ჭერ კიდევ გა-  
ურკვეველია, სამეფო კარზე ჭერ არ წამდგარან. ქართველი უფლისწუ-  
ლი ცოტაოდენ ახერხებს რუსულს“<sup>27</sup> და სხვ.

შემდგომ ამისა დაუჭერებელია, რომ მიტროპოლიტს ვერ გაერჩია  
ბატონიშვილები რიგითი თავადებისაგან თუ კი მართლაც ისინი საქ-  
მით დაახლოვებულნი იყვნენ მასთან. „ქართული სიმღერა თავისი ხასი-  
ათით ერთხმიანია მსგავსად სპარსულისა — ვკითხულობთ ე. ბოლხოვი-  
ტინოვის წიგნში. ქართველები სამხმთან სიმღერებზე გადავიდნენ 18  
საუკუნიდან“<sup>28</sup>. მხედველობაში გვაქვს რა იოანე ბატონიშვილის სო-  
ლიდური მომზადება ქართული მუსიკის დარგში, ამ ცნობის წიგნში  
შეტანის ფაქტი სავსებით გამორიცხავს ვარაუდს მის აქტიურ მონაწი-  
ლეობაზე აღნიშნულ საქმეში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ პეტერბურგში მცხოვრებ  
ქართველ ბატონიშვილთა მონაწილეობას „საქართველოს ისტორიული  
სურათის“ ფაქტობრივი მასალის მიწოდებასა და უკვე მომზადებული  
მასალის განსრულება-დახვეწაში, მაგრამ საფიქრებელია, ეს კონტაქტი  
მათთან უნდა დაემყარებინა თვით ვ. ერისთავს და არა უშუალოდ  
ე. ბოლხოვიტინოვს. საამისო საფუძველს გვაძლევს ე. ბოლხოვიტინო-  
ვის ბიოგრაფიის ცნობილი ფაქტი: პეტერბურგის სასულიერო აკადე-

<sup>26</sup> Абрамович Д. И. Памяти митр. Е. Болховитинова. «Историче-  
ский архив», 1919, № 1, СПб., с. 191—193.

<sup>27</sup> იხ. Елгениевский сборник. 1871, СПб., с. 150.

<sup>28</sup> Историческое изображение Грузии, СПб., 1802, с. 86.

შინაა ყოფნის პერიოდში მისი განსაკუთრებული დატვირთულობა და მაკედონეცისადმი 1802 წლის 13 მაისის თარიღით გაგზავნილ წერილში აღნიშნული შემდეგი ხაზგასმა: „ჩვენ, საწყლებს იშვიათად გვიშვებენ უდაბნოშიც კი (იგულისხმება პეტერბურგის ახლოს მდებარე ე. წ. სერგის უდაბნო. ს. ლ.) მხოლოდ ორჯერ ვიყავი იქ. ბინაზე კი როგორც მეუდაბნოე ისე ვცხოვრობ, არსად ფეხს არ ვადგამ, ვატარებ მხოლოდ ზოგჯერ საღამოებს ქართველ უსამღვდელოეს ვარლამთან...“<sup>29</sup>.

ზღუდებივითა, ისმის კითხვა, განა შეეძლო ე. ბოლხოვიტინოვს სასწავლო და სამონასტრო საქმეებში ჩაფლულ პირს, რომელიც მოკლებული იყო საშუალებას გასცლოდა სასულიერო აკადემიის კედლებს, მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი დაემყარებინა პეტერბურგში მყოფ ქართველ საზოგადოებასთან?

თუმც ამჯერად მოკლებული ვართ საშუალებას კატეგორიულად ვამტკიცოთ ვისთან ჰქონდა ვ. ერისთავს საქმიანი კონტაქტი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, მაგრამ გაბრიელ რატიშვილის<sup>30</sup>, ნიკოლოზ ონიკაშვილის<sup>31</sup> და პლატონ იოსელიანის<sup>32</sup> მონაცემების შეჯერებით საშუალება გვეძლევა საკმაოდ ზუსტად გავიაზროთ 1801—1802 წლების პეტერბურგის ქართველთა კოლონიის შემადგენლობა. აი, ისინიც: ბატონიშვილები იოანე, ბაგრატ და მიხეილი, გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი ელიზბარ ფალავანდიშვილი, გიორგი იესეს ძე ერისთავი, ოთარ ქობულაშვილი, აბესალომ ბებუთაშვილი. ზაზა ანდრონიკაშვილი, გაბრიელ რატიშვილი, გიორგი ციციშვილი, იოსებ ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ვახვახიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, ლუარსაბ სუმბათაშვილი, იოანე მადალაშვილი, დავით ზანდუკელი, გიორგი ოქრომკედლიშვილი. მათი მომსახურე პირნი ოსეფა აქიმოშვილი, იოანე, პეტრე აქიმ ოპანეზაშვილი, ზაქარია სიდამონიძე (მღვდელი).

აშკარაა ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ვ. ერისთავის დახმარებით თავმოყრილი ქართული საისტორიო და სალიტერატურო მასალების შეგება-დამუშავებაში ასე თუ ისე მონაწილეობა უნდა მიეღო ორიოდე პირს და არა „ქართველ თავადთა“ თუ „დეპუტატთა“ მთელ ჯგუფს. ეს თვალნათლივ დასტურდება ე. ბოლხოვიტინოვის პირად ფონდში შემონახული ქართულ საილუსტრაციო მასალით (ლექსების ფრაგმენტები, ლიტერატურული ნაწარმოებების სახელწოდებები ისტორიულ

<sup>29</sup> Русский архив, 1870, с. 814—815.

<sup>30</sup> გ. რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, შიორელი რაიმე მოთხრობა როსიისა. „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“, 1967, გვ. 157—301.

<sup>31</sup> ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ონიკაშვილის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე, „საისტორიო მოამბე“, 1971, № 26, გვ. 193.

<sup>32</sup> პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. თბ., 1978, გვ. 286.

პირთა სახელები და პოლიტიკური ტერმინები), რომელთა უმეტესი ნაწილი ვ. ერისთავის ხელითაა დაწერილი, ხოლო მცირედი — ჩვენთვის უცნობი პირის მიერ<sup>33</sup>.

ვ. ერისთავის ხელნაწერის დადგენის საქმეს აადვილებს ე. ბოლხოვიტინოვისადმი მის მიერ გაგზავნილი რუსული, კერძო წერილების შენაწახვის ფაქტი, ვფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს მყარს ხდის შემდეგი დოკუმენტიც:

„თქვენ მწერთ, რომ მე ქართველები გადაჭარბებით შევაქე, — ვკითხულობთ ვ. მაკედონეცისადმი მის მიერ გაგზავნილ 1802 წ. ივლისის თვით დათარიღებულ წერილში, — მაგრამ სინამდვილეში თვითონ მათ ეჩვენებათ მცირედ, მათი ზოგიერთი თავადები მისაყვედურებენ, რატომ უწოდებენ მე მათ ქვეყანას უიღბლო, რატომ დავწერე, რომ ისინი იყვნენ დაჩაგრულები, უფრო ნაკლებ განათლებულნი ვინემ ევროპიელნი, რომ ისინი ჯერ კიდევ 215 წელს წინ იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი“...<sup>34</sup>.

ვიმედოვნებთ, შემდეგი კვლევა-ძიება სამუალებას მოგვცემს გავერკვეთ წამოჭრილ საყურადღებო მოვლენის საბოლოოდ გარკვევის საქმეში.

---

<sup>33</sup> უკრაინის სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ფ. 297 (559), გვ. 73—80.

<sup>34</sup> ი. ბ. ივანოვიჩი, მიტროპოლიტი ევგენი, სპბ., (რუსულ ენაზე), 1872, გვ. 8—10.

ე. ბოლხოვიტინოვის პირადი საარქივო ფონდის  
საპარტეზელოსთან დაკავშირებული წერილობიტი  
დოკუმენტების მნიშვნელოვანობისათვის

ცხადია, ე. ბოლხოვიტინოვის საქართველოსთან დამოკიდებულების უკეთ გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მის პირად ფონდს, განსაკუთრებით საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილის გამოძეულება-შესწავლას.

ამ მიზნით, ჩვენ განვიზრახეთ გავეცაკვია ადგილსამყოფელი აღნიშნული საარქივო ფონდისა, რომელიც დაცული აღმოჩნდა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ქართული სინამდვილის ამსახველი მასალების კრებული სათაურით: „ჩანაწერები საქართველოს ისტორიის შესახებ“ (ფ. 297/559). უხვად შეიცავს 1800—1807 წწ. ფონდშემქმნელის მიერ ჩვენი ხალხის შესახებ შეგროვებულ და დამუშავებულ საყურადღებო მასალას. გარკვეული ინტერესის შემცველია მეორე დოკუმენტი: „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (ფ. 18/727), აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ საბუთთა ასლები<sup>1</sup> და სხვ.

ე. ბოლხოვიტინოვის საარქივო ფონდის ეს ნაწილი პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად:

დოკუმენტები, რომლებიც ე. ბოლხოვიტინოვს საკუთრივ აქვს მოძიებული.

ჩანაწერები, რომლებიც მის ქართველ კორესპონდენტთან ზეპირი კარნახითაა შესრულებული.

---

<sup>1</sup> ფონდის ადგილსამყოფელი დაადგინა და საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილი სქემატურად აღწერა პროფ. ე. შმურლომ (1859—1917) თავის ნაშრომში: „ვეგენი მიტროპოლიტი როგორც მეცნიერი“, სპბ, 1888., (რუსულ ენაზე) გვ. 341—342.

XX ს. 20-იან წლებამდე ფონდი დაცული ყოფილა კიევის სოფიის ტაძრის სიძველეთააკვში, საიდანაც იგი გადატანილ იქნა კიევის ზემოთ დასახლებულ ბიბლიოთეკაში.

ამ მასალებს შორის მეტი ნაწილი მას გამოყენებული აქვს 1802 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნში „საქართველოს ისტორიული სურათი“, ხოლო გარკვეულმა ნაწილმა მასში ვერ ჰპოვა ასახვა იმის გამო, რომ ე. ბოლხოვიტინოვს ისინი მოჰიებული აქვს მოგვიანებით, 1802 წლის შემდეგ. თუმცა გამოუქვეყნებელ მასალათა შორის ბევრი ისეთიცაა, რომელიც მას იმათივე კჰონდა ხელთ, მაგრამ არ ჩაუთვლია საჭიროდ მათი გამოყენება ან შეგნებულად არ უსარგებლათა ნაწილის მოცულობის შეზღუდულობით. მოკლედ, ცალცალკე გავეცნოთ, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს ამ ჩანაწერებიდან.

1. „ათონის ქართველთა მონასტრიდან ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის 1648 წ. მოსკოვში გადმოსვენების შესახებ“. 3 ფურცელი<sup>2</sup>.

დოკუმენტი იწყება 1647 წ. მოსკოვში მყოფ ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარ პახომისათვის რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის დავალებით, რათა ადგილზე დაბრუნებისას მას დაემზადებინა და მოსკოვში ჩამოეტანა პირი „ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა“, შემდგომ აღწერილია ალექსი მიხეილის ძისადმი დანაპირების მირთმევის ცერემონია 1648 წ. 13 ოქტომბერს. უფრო ქვემოთ ვეცნობით 1648 წ. 15 ივნისით დათარიღებული იმ წერილის შინაარსს, რომელიც ხატთან ერთად გამოუგზავნია ქართველ არქიმანდრიტს რუსეთის ხელმწიფის ა. მ. რომანოვისა და პატრიარქ ნიკონის სახელზე. მასში მოთხრობილია, თუ რა საშუალებებით იქნა გადმოღებული პირი ქართული ხატიდან, აქვე აღნიშნულია ალექსი მიხეილის ძის მიერ მადლობის ნიშნად ათონის ივერთა მონასტრისადმი საჩუქრად ოთხმოცი „სობოლის“ ბოძების შესახებ.

რუსთა ხელმწიფის მიერ 1648 წ. 27 დეკემბრის თარიღით დადასტურებული სიგელით ივერთა მონასტრის წინამძღვარ პახომს უფლება ეძლეოდა კვლავ ჩამოსულიყო მოსკოვში.

2. „მეფე ალექსი მიხეილის ძის 1674 წ. 12 თებერვლის თარიღით გაცემული სიგელი ქართული უფლისწულის ნიკოლოზ დავითისძისადმი“. მოცულობა 14 ფურცელი<sup>3</sup>.

როგორც ცნობილია, რუსეთში „ნიკოლაი დავიდოვიჩის“ უწოდებდნენ ერეკლე დავითის ძე ბაგრატიონს (თეიმურაზ I შვილიშვილს). რო-

<sup>2</sup> Гос. библ. АН УССР, 428 (160), с. 45.

<sup>3</sup> Гос. библ. АН УССР, 297 (559), с. 15—19.

მელიც პირველად 1650—60 წლებში, ხოლო მეორედ 1666—1674 წწ. ცხოვრობდა რუსეთის სამეფო კარზე. სიგელი გაცემულია ერეკლეს სახელზე საქართველოში მეორედ გამომგზავრებასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ ერეკლე I საქართველოში დაბრუნებისას — ამოძრავებდა სურვილი — დაეკავებინა ქართლის ტახტი, იცოდა რა, რომ შაჰი ვახტანგ V უკვე ექვის თვალით უყურებდა. ხოლო თავის მხრივ რუსეთის ხელისუფლება მას ამ გამომგზავრებას საკმაოდ უკმაყოფილოდ შესვდა.

სიგელში ვრცლადაა მოთხრობილი იმ ტრადიციებზე, რომელიც არსებობდა რუსეთის და საქართველოს ხელისუფალთა შორის, დაწყებული მეფე იოანესა და კახთა მეფის ლევანის ურთიერთობიდან და მითითებულია, რომ სიგელი გაიცა თეიმურაზ პირველისადმი 1641 წ. ბოქებული ანალოგიური სიგელის გასაახლებლად. აქვე მოხსენიებულია სავანგებო დავალებით 1637 წ. თავად ვოლკონსკისა და ხვოსტოვის ელჩობა საქართველოში და სხვ.

როგორც ცნობილია, ამ სიგელს როგორც პოლიტიკურ დოკუმენტს, ქართველი ხელისუფალნი სათუთად ინახავდნენ და იმოწმებდნენ რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის დასადასტურებლად.

### 3. „ლაზარევის ჩანაწერი საქართველოზე“<sup>4</sup>.

მასალა დაწერილია ფართო ფორმატის ქალაღდზე და შეიცავს 20 ფურცელს. მასალა წარმოადგენს საქართველოს დროებითი მმართველობის თემჯდომარის გენ. ლაზარევის ვრცელ ანგარიშს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მდგომარეობაზე 1800 წლის დამდგიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით.

რუსეთის სამეფო კარისადმი წარდგენილ ამ ანგარიშში განსაკუთრებით აქცენტია აღებული ბატონიშვილთა პოზიციაზე ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე, იმ შინაგან აშლილობაზე, რომელიც მოყვა შედეგად ტახტისათვის ბრძოლას. ამ ოფიციალურ დოკუმენტში არცთუ სიმპათიურად არიან დახასიათებული საქართველოს შაშინდელი გამგებელნი რუსთა მხრივ კრონინგი და კოვალენსკი.

ამ უცნობ დოკუმენტში მოცემული ფაქტიური მასალა მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს წარმოდგენას საანგარიშო პერიოდში საქართველოს ავკარგზე. დაინტერესებული მკვლევარი ბევრ საინტერესო ცნობას მოიპოვებს ს. ლეონიძის, ა. ჭავჭავაძის და სხვათა პოლიტიკურ მრწამსზე.

4. „კოვალენსკის ჩანაწერი საქართველოს შესახებ 1800 წლის მდგომარეობის მიხედვით“<sup>5</sup>.

<sup>4</sup> Гос. библ. АН УССР, 467 (597), с. 344—367.

<sup>5</sup> Там же, 297 (559).

პეტრე ივანეს ძე კოვალენსკი, იმხანად რუსეთის მინისტრი გიორგი XII კარზე. მოცულობა — 28 ფურცელი. განსხვავებით ზემოგანხილულ დოკუმენტისა, ამ მასალაში ვრცლადაა მიმოხილული საქართველოს მეზობელი ქვეყნების, ირანის, თურქეთის, სხვადასხვა სახანოების (შირვანი, შაქი, ჭარი, ყარაბაღი, განჯა, თავრიზი და სხვ.) საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მოცემულია რუსეთის სახელმწიფოსთან ამ ქვეყნების დამოკიდებულების ანალიზი. კოვალენსკი საგანგებოდ ადგილს უთმობს გიორგი XII ცდას განდგომილი ძმების შემოსარიგებლად, ქვრივი დედოფლის მარიამის დაპატიმრებას და სხვ.

მასალას თან.ერთვის შემდგენლის კოვალენსკის მინაწერი „ჩანაწერი შევადგინე გენერ. ლაზარევისა და კრონინგის სახელმძღვანელოდ“ 1800 წ. 28 ოქტომბრით, თბილისი“.

5. „რუსეთის ისტორიის კრებულიდან“, წიგნი IV, სპბ. 1760 წ. 8 ფურცელი. წარმოადგენს რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მიერ 1760 წ. გამოცემული ამ წიგნის ერთ-ერთ თავს: „კახეთი“.

კახეთისადმი მიძღვნილ ამ თავში მოცემულია XVIII საუკუნის ოციანი წლების კახეთის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა. აქვე ვხვდებით ცნობებს სოფლის ეკონომიკაზე, სარწყულობის მდგომარეობაზე, მოსახლეობის მებრძოლ ბუნებაზე, 1723 წ. თურქთაგან თბილისის აღებაზე. აქვე ლაპარაკია ვახტანგ VI მოღვაწეობაზე და სხვ.

6. „ს. ბრონევესკის წერილი ლომონოსოვისადმი“. იქვე თან ახლავს მინაწერი — „ს. ბრონევესკი, ოდესის გრადონაჩალინიკი“. ლომონოსოვი ჩვენთვის უცნობი პირია. 2. ფურცელი<sup>7</sup>.

ს. ბრონევესკის ამ კერძო წერილში ლაკონურადაა აღწერილი 1805 წ. რუსეთ-საფრანგეთის საომარი ოპერაციების რუსეთის სასარგებლოდ დამთავრების საქმეში პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის დიდ წვლილზე. ქართველ მოღვაწეთა საქმიანობით დაინტერესებულ ე. ბოლხოვიტინოვს შეუშინეველი არ დარჩენია პ. ბაგრატიონის დამსახურება რუსეთის წინაშე და ამიტომ თავის არქივში საგანგებოდ შემოუნახავს „რუსეთის არმიის მხსნელის“ გმირობის დამამტკიცებელი ეს დოკუმენტი.

7. „პროექტი ქვრივი დედოფლის დარეჯანის ცხედრის დაკრძალვის წესისა“. 1807 წ. 6 ფურცელი<sup>8</sup>.

მასალა წარმოადგენს იმპერატორ პავლე I მიერ პეტერბურგის ჰოფმაისტერ ტორსუკოვსკისადმი გაცემული განკარგულების ასლს ერეკლე II მეუღლის დარეჯან დადიანის დაკრძალვის ცერემონიალთან დაკავშირებით.

დოკუმენტი შედგება 20 პუნქტისაგან და წარმოადგენს სახელმძღვანელო ინსტრუქციას ქართველი დედოფლის ცხედრის პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასაფლაომდე ოფიციალური გაცილების თაობაზე.

დოკუმენტები, რომლებიც ე. ბოლხოვიტინოვის მიერ  
პირველ კორესპონდენტის ჯაირი აკრანხითაა შესრულებული

1. „ლექსთათვის“, 3 ფურცელი<sup>9</sup>.

პირადი არქივის ამ ნაწილის ბეჭდურ რედაქციასთან შედარებამ ცხადყო, რომ იგი შეიცავს ზოგიერთ მნიშვნელოვან ცნობას, რომელთა შეტანა წიგნში ავტორს ვერ მოუხერხებია ან გადაუფიქრებია რაღაც მოსაზრებებით. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ქართული ლექსთწყობის საილუსტრაციოდ მოცემული ფრაგმენტი სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, რომელთა შორის მოცემულია ერთი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდანაც“ (შესაბამისი რუსული ბჭკარედული თარგმანით):

ვის ხატად ღთისად გიტყვიან ფილასოფოსთა ენანი,  
შენ მიშველე რა ტყვე ქმნილსა, ჭაქენი მაბიან რკინანი,  
ბროლ ბალახისა მძებნელმან, სათნი დავკარგენ მინანი,  
მაშინ ვერ გაჯჷელ სიახლე აწ, სიშორესა ვინანი.

სტროფი ნაწილია პოემის 36-ე თავის: „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრა მეორედ“. გვეცნოთ ამ სტროფის ე. ბოლხოვიტინოვისეულ თარგმანს:

Ты, в ком образ божий, как говорит философский язык,  
Ты помог пленному, цепью скованному железным,  
Хрусталь и лалы я искал, но стекло черное потерял и простое,  
Тогда не терпел я близко быть, а ныне каюсь, что удален.

როგორც ცნობილია, ე. ბოლხოვიტინოვი პირველი არაქართველი ჰქველევარია, რომელმაც ბეჭდურად ახსენა რუსთაველის სახელი და აგრეთვე თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის პირველი სტროფი („რომელმან შექმნა სამყარო“). ამ საარქივო მასალის გამომზეურებით დგინდება, რომ ე. ბოლხოვიტინოვს ეკუთვნის რუსთაველის პოემის კიდევ ერთი სტროფის რუსული თარგმანი.

2. ხელნაწერ კრებულში მოთავსებულ სხვადასხვა ჩანაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სანოტო ჩანაწერი,

<sup>9</sup> Гол. библ. АН УССР 297 (559), с. 27.





რომელიც წარმოადგენს ბესარიონ გაბაშვილის ცნობილი ლექსის „სევდის ბალის“ მუსიკალურ ხორცშესხმას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთხაზოვანი სანოტო ნიშნებით ჩაწერილი ქართული საერო სიმღერებიდან ყველაზე უადრესი 1871 წელსაა გადატანილი ნოტებზე, მაშინ ინტერესმოკლებული არ იქნებოდა 1802 წელს ფიქსირებული ამ მელოდიის ირგვლივ სიტყვის გაგრძელება.

მკითხველის ყურადღება მიიწიდა გავამახვილო ჩანაწერის ბოლოს დართული სიმებიანი საკრავის გამოსახულებაზე, რომელიც ალბათ ის მუსიკალური ინსტრუმენტია, რომელზე დამღერებითაც შესრულდა სიმღერა ნოტებზე გადატანისას.

ხოლო, თუ მელოდია საკრავის გარეშეა ჩაწერილი, ჩანახატი, ცხადია, შესრულებული უნდა იყოს ვ. ერისთავის მიერ ბოლხოვიტინოვისათვის იმ საკრავის გაცნობის მიზნით, რომელზეც იმღერებოდა ჩვეულებრივ „სევდის ბალი“. მელოდია დღეისათვის სავესებით დავიწყებულია და არ არსებობს მისი სხვა სამუსიკო ჩანაწერი. ნოტებ ქვეშ გარკვევით იკითხება შემდეგი ექვსი ტაეპი დასახელებული ლექსიდან:

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,  
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დაერთე,  
ვეუბნებოდი შენ წარმიმართე!  
იწრო გზის პოვნად გზები გაქვს ფართე!  
მეც მომხედა სოფლის მკვლელი ბრკყალეში,  
მისთვის შევიქენ ცრემლითა ფონები<sup>10</sup>.

ვინ არის ავტორი ამ მელოდიისა? სამწუხაროდ ძნელია კატეგორიული პასუხის გაცემა, ვინაიდან ხელნაწერთა კრებულში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ძალაუწებურად ისმის კითხვა — იქნებ ტექსტთან ერთად მელოდიაც ბესიკს ეკუთვნოდეს? რა საფუძველი გვაქვს საამისოდ?

---

<sup>10</sup> შენიშვნა: ექვმოტანელი შეცდომაა ნოტებზე ქვეშ მოცემულ ამ ტექსტში, რომლის მეხუთე ტაეპად მოტანილია „სევდის ბალის“ V სტროფის VII ტაეპი: „მეც მომხედა სოფლის მკვლელის ბრკყალეში“. ტაეპი შინაარსობრივად არ არის შეთანხმებული როგორც მომდევნო, ისე წინა ტაეპებთან. ამიტომ საბოლოო რედაქტირებისას ქართველ კორესპონდენტს შეუძინეველი არ დარჩენია დაშვებული შეცდომა ანუ ტაეპის უადგილობა და „საქართველოს ისტორიული სურათში“ (როგორც ქართულ ისე მის რუსულ მწკარედულ თარგმანში) მე-5 ტაეპად მოცემულია პირველი სტროფის მეხუთე ტაეპი:

ვინ მივხედა მახვილს განაწონები,  
რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული „სევდის ბალის“ სასიმღერო ტექსტის დადგენისას.

Гос. Библи. АН УССР 297 (559), с. 26.

ცნობილია, რომ ბესიკი თანამედროვეთაგან დიდად იყო დაფასებული არამარტო როგორც თვალსაჩინო პოეტი, არამედ როგორც თავისივე ლექსებზე შესანიშნავი სიმღერების მთხვეელი და იშვიათი ჰიმ-ღერალ-დამკვრელი. საკმარისია მოვიგონოთ პოეტ ვახტანგ ორბელიანის სიტყვები: „აქა ისმენენ ბესიკსა მღერას ციურსა“, ან გიორგი ერისთავის სინანული: „ბესიკის ნაცვლად ვინ არისო ვთქვით მომღერალი?

ამასთანავე, ძნელი დასაჯერებელია რომ ოციოდ წელიწადში — ბესიკის მოღვაწეობიდან მელოდიის ფიქსირების დრომდე — იმდენად შესუსტებულიყო მისი პოპულარობა საქართველოში, რომ შექმნილიყო აუცილებლობა „სევდის ბაღზე“ ავტორისეული მუსიკის პარალელურად ახალი ვარიანტის აღმოცენებისათვის.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ე. ბოლხოვიტინოვის კორესპონდენტი, ვარლამ ერისთავი ბესიკის თანამედროვე იყო და, მაშასადამე, მომსწრე იმ მოწონებისა, რომელსაც იმსახურებდნენ პოეტის ლექსები და სიმღერები თანამედროვეთა შორის. ამიტომ, ბუნებრივია. რომ საქართველოთი დაინტერესებულ პიროვნებას იგი პირველ რიგში მიაწოდებდა იმ მელოდიას, რომელიც უშუალოდ „სევდის ბაღის“ ავტორს ეკუთვნოდა და არა რომელიმე წამბაძველის მიერ ბესიკის საყოველთაოდ ცნობილ ლექსზე შექმნილ მუსიკას.

რით უნდა აიხსნას ხუთსტროფიანი „სევდის ბაღის“ ასე შემცირებულიად მოტანა, დასრულებული მუსიკალური მელოდიაა ჩვენს წინაშე, თუ სიმღერის ერთი ნაწილი? ამ საკითხებზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს ბოლხოვიტინოვის „საქართველოს ისტორიული სურათის“ 85-ე გვერდზე მოცემული შემდეგი განმარტება: —ამათ გარდა ქართველებს აქვთ სპარსული პოეზიისაგან ნასესხები ძალიან ბევრი ახალი გვარი ლექსებისა. ამათ რიცხვიდან აი, მაგალითი ერთი ექვსტაეპიანი სიმღერისა“.. აქ ავტორს საილუსტრაციოდ აქვს მოცემული ჩვენთვის საინტერესო ადგილი სევდის ბაღიდან“ (რუსული აღფაბეტი) და მისი რუსული ბჭკარედული თარგმანი, რასაც დაამყნა: „უკანასკნელი ორი ტაეპი მისამღერია, რომელიც მეორდება თითოეული ოთხი ტაეპის შემდეგ“.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ განხილული ფაქტი ვ. ერისთავს ე. ბოლხოვიტინოვისათვის მიუწოდებია „სპარსულის გავლენით“ შექმნილი ექვსტაეპოვანი საერო სიმღერა — ლექსის საილუსტრაციოდ. რის გამოც საკიოხი „სევდის ბაღის“ დედნის ტექსტში სტროფთა თუ ტაეპთა რაოდენობის და წყობის შესახებ მეორე პლანშია გადასული.

გასარკვევია, რომ გამოიწვია „სევდის ბაღის“ ცხრა ტაეპოვანი სტროფებთა სასიმღერო ტექსტში 6-მდე შეპცირება? ამის მიზეზი ჩვენი აზრით მხოლოდ და მხოლოდ მელოდიის კუპლეტურ მუსიკალურ ფორ-

მაში უნდა ვეძებოთ. თუ ერთის მხრივ, ლექსის ლირიკულმა ხასიათმა განსაზღვრა მუსიკის შინაარსი, მისი ჟანრი, ცხადია, მელოდიის ფორმამ, მისმა კუპლეტურმა მუსიკალურმა წყობამ განაპირობა სასიმღერო ტექსტში ტაქტთა რაოდენობის საკითხი.

სხვა შემთხვევაში ცხრატაეპიანი სტროფების ექვსიანად გადაქცევა არ არის მოსალოდნელი არც ვარლამ ერისთავისაგან და არც რომელიმე სხვა კორესპონდენტისაგან, რომლებიც საკმაოდ კარგად იცნობდნენ თანადროულ მშობლიურ ლიტერატურას.

მით უმეტეს, ძნელია ეს მივაწეროთ ე. ბოლხოვიტინოვს, რომელსაც, მისსავე აღიარებით, ყველა ძირითადი ცნობა საქართველოს შესახებ ვ. ერისთავისაგან აქვს შეკრებილი.

მაშასადამე, დამოწმებული ადგილიდან გარკვევით ჩანს „სევდის ბალის“ ტექსტის სასიმღეროდ გამოყენების წესი. თითოეული სამუსიკო კუპლეტი შეიცავს 6 სალექსო ტაქსს, რომელშიც ორი უკანასკნელი

ერ მივხვდი მახვილ განაწონები,  
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები.

(ე. ი. პირველი სტროფის მერვე და მეცხრე ტაქტები) გადაქცეულია ამ სიმღერა-ლექსის რეფრენად ანუ მეორდება თითოეული ოთხი ტაქტის შემდეგ. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ეს ტაქტები რეფრენად მიჩნეული აქვს ქართული ლიტერატურისა და მუსიკის შესანიშნავ მცოდნეს იოანე ბატონიშვილსაც<sup>11</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ზემოთ მოტანილ განმარტებაში აშკარა ხაზგასმია მელოდიის შესრულებისას პოეტური ტექსტის ცვალებადობაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, აქვს თუ არა ადგილი ამავე მოვლენას სამუსიკო ტექსტში, რითაც ნათელი ხდება, რომ წინამდებარე სამუსიკო ჩანაწერის სახით საქმე გვაქვს დასრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებთან და არა სიმღერის რომელიმე ნაწილთან.

მოკლედ, სიმღერის კუპლეტური ფორმის გამო, ე. ბოლხოვიტინოვს სრული საფუძველი ჰქონდა დაკმაყოფილებულიყო ერთი კუპლეტის ჩაწერით, ვინაიდან სიმღერის თავიდან ბოლომდე ფიქსირების შემთხვევაში, ფაქტიურად მხოლოდ პოეტური ტექსტის ცვლილებას ექნებოდა ადგილი.

რა თქმა უნდა, „სევდის ბალის“ დედნის ტექსტის მესამე სტროფის („რა ია გამიწყრა“... და სხვა) სასიმღერო ლექსში პირველ ადგილზე გადმონაცვლება არ გვაძლევს საფუძველს ეჭვი შევიტანოთ ამ

<sup>11</sup> ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, პოეზია ანუ მოლექსეობისათვის. ქართული პოეტიკის კრესტომათია. თბ., 1954, გვ. 32.

უკანასკნელ დებულებაში, ანუ მელოდიის დასრულებულობაში, ვიხიდან, ეს სტროფი ყველაზე მეტად ღალატებს იმაზე, რისადმიც არის ეს ლექსი მიძღვნილი, კერძოდ „იასა“, „ვარდის“ და „ნარკიზისადმი“ ბესიკის ტრფიალებზე. როგორც ცნობილია, მცენარეთა ამ სახელებს ქვეშ ბესიკს ალეგორიულად მიჯნურთა დამახასიათებელი ნიშნები აქვს მოცემული, რომელთადმი მას გარდა „სევდის ბალისა“ კიდევ 10 სხვა ლექსი აქვს მიძღვნილი.

გასული საუკუნის მანძილზე ბესიკის სიმღერების პოპულარობის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ კიდევ სამი კარგად ცნობილი ავტორის ცნობას. ქართული კულტურის დიდი მცოდნე აკად. მ. ბროსე ბესიკ გაბაშვილის შესახებ 1836 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ასე ახასიათებს მისი პოეზიის მუსიკალურ ხასიათს: „მისი რომანსები გამოირჩევიან მგზნებარებით და გესლიანობით, სუნთქავენ სინაზით და გრძნობით“<sup>12</sup> უფრო მოგვიანებით აკაკი წერეთელს ნათქვამი აქვს: „ბესიკისა და მისი პამქრების თხზული ლექსები კიდევაც თვითონ მე მილიღინებია. დრო იყო, რომ „ტანოტატანოს“ და „სევდის ბალს“ ალტაცებაში მოვყავდი ხოლმე“<sup>13</sup>.

80-იანი წლების ქ. გორის კულტურული ცხოვრების დახასიათებისას სოფრომ მგალობლიშვილს, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს შემდეგი: „ვასო დეკანოზიშვილი საუცხოვო დაძვერელი იყო სალააურზე და უფრო მშვენიერი მთქმელი ბესიკის სიმღერებისა“<sup>14</sup>.

უაღრესად პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, რომ ბესიკის ესეოდენ პოპულარული მელოდიებიდან დღემდე არ შემოგვრჩენია არამარტო სანოტო ჩანაწერი. არამედ ზეპირად შემონახული რომელიმე ვარიანტიც კი. აღნიშნულთა გამო ვფიქრობთ ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ე. ბოლხოვიტინოვის მიერ შემონახულ ამ სანოტო ჩანაწერს.

ბუნებრივად ისმის კითხვა, რატომ არ ახსენებს ე. ბოლხოვიტინოვი „სევდის ბალის“ ავტორს ბესიკ გაბაშვილს? ნუთუ იგი ქართველი კორესპონდენტის გულმავიწყობის ან დაუდევრობის შედეგია? ვფიქრობთ, რომ არა. ე. ბოლხოვიტინოვის კორესპონდენტმა ვარლამ ელიათაევა თუ სხვა პირმა კარგად იცის, რომ რაოდენ ტენდენციური იყო ბესიკი თავისი დიპლომატიური მოღვაწეობისას ერეკლე II მიმართ. ბესიკის პიროვნების პოპულარიზაცია მას უხერხულობაში ჩააყენებდა და გადაწყვიტა ლექსიც და მელოდიაც მოეტანა უავტოროდ. იგი დაე-

<sup>12</sup> Журнал Нар. просвещения, 1838, XIX, с. 312.

<sup>13</sup> აკაკი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა „ჩანაწერის“ შესახებ. ეურნ. „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 3—21.

<sup>14</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 76.

მოწმებინა როგორც სპარსულის გავლენით შექმნილი ერთ-ერთი ქართული ლექსის ნიმუში.

საქმის ვითარებას არ ცვლის ვ. ერისთავის თანამედროვე იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილების მიერ ბესიკის პოეტური ნიჭის სათანადოდ დაფასების ფაქტი. სადავო არ უნდა იყოს, რომ ვარლამ ერისთავი, ბატონიშვილებისაგან განსხვავებით, ვალდებული იყო მეტი სიფრთხილით მოჰკიდებოდა ბესიკის პიროვნების პოპულარიზაციას.

თავისი მუსიკალური ხასიათით მელოდია „ქალაქური“ სოლო სიმღერაა, გარკვეული ქართული ეროვნული იერით, რომელიც დამახასიათებელია თბილისის მუსიკალური ფოლკლორის ქართული განშტოებისათვის. სიმღერის პანგი მოკლე და მსუბუქია, რომელიც სრულდება ხოლმე აღმოსავლური ან ქართული სიმებიანი საკრავის თანხლებით. ამის ნათელი დადასტურებაა წარმოდგენილ ჩანაწერს დართული სიმებიანი საკრავის გამოსახულება. ჩვენი აზრით, იგი საზი ან ჩონგურის უნდა იყოს.

3. ჩვენ უკვე გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით ვ. ერისთავის პოეტურ შესაძლებლობებში, რის გაპოც, ვფიქრობთ, საცილობელი არ უნდა იყოს კრებულში შემონახული შემდეგი ორსტროფიანი ლექსის მისადმი კუთვნილება:

უძღვნათ მადლობა მწყემსსა ბრძენთ უბრძენესსა,  
სულსა მზესა, მალათ ფრაზთ გამომეტყველსა,  
გონება ბრძენსა, არ მკვეხსა, მზენავესა,  
ღვთის მეტყველებთა თქმათა ზინზილებრ მსტვენსა,  
ცელსისის ოხრვათ აღმომღერსა,  
კაძლენი შეგლობს ევგენის ძესა,  
მხნესა მონახსა მშვენიერ ქველსა  
გაქდრებ შეგობას გადარებ მზესა<sup>15</sup>.

ლექსი დაწერილია რუსული ასოებით (თარგმანის გარეშე) და ექვემიუტანლად მიძღვნილია ე. ბოლხოვიტინოვისადმი.

4. „ურთიერთობა რუსეთთან“ 14 ფურცელი<sup>16</sup>

წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის მოკლე ისტორიას 1586 წლიდან 1783 წლამდე. შემდგენელს საკმაოდ კვალიფიციურად აქვს მიმოხილული საქართველოს სამეფო-სამთავროთა გამგებლების დიპლომატიური მისიები რუსთა სამეფო კართან პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად, ამის წამომწყებ ისტორიულ პირთა ბიოგრაფიები, ელჩობათა შედეგები, ავტორს. ნაშრომში ჩარ-

<sup>15</sup> Гос. библ. АН УССР, 297 (559), с. 56—80.

<sup>16</sup> იქვე, 297 (559), с. 47—55.

თული აქვს ქართველ ხელისუფალთა რამდენიმე ოფიციალური სიგელის შემოკლებული ტექსტი (თეიმურაზ I, ალექსანდრე II და სხვა).

მიმოხილვაში თითქმის არ არის ისეთი ფაქტი ან მოვლენა, რომელიც ე. ბოლხოვიტინოვს გამოყენებული არ ჰქონდეს თავის ნაშრომში. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ეს მასალა „საქართველოს ისტორიულ სურათში“ შემოკლებით არის წარმოდგენილი, ჩადგანაც მისი უცვლელად გადმოტანა დაარღვევდა ნაშრომში განსახილველი საკითხების პროპორციას. ამ თავისებურებათა გამო, ხელნაწერ ტექსტს წიგნთან შედარებით გააჩნია უპირატესობა და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ეს თავისებური მიმოხილვა შედგენილია იმ საარქივო მასალების მიხედვით, რომელიც დაცული იყო საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის მოსკოვის არქივში. როგორც ცნობილია, ამ არქივს იმხანად განაგებდა ცნობილი ისტორიკოსი ნ. ბანტიშ-კაპენსკი, რომელიც დაუზარებლად აწვდიდა სათანადო მასალას თავის უახლოეს მეგობარს.

#### 5. „О грузинской литературе“ 4 ფურცელი.

ჩანაწერში მიმოხილულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების გარემოებანი, საუბარია ქართული სტამბის დაარსებაზე და მის შესვეურებზე. განსაკუთრებით ვრცლად არის აღნიშნული არჩილ II ღვაწლი „ბიბლიის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში, ვახტანგ VI და მისი შვილის ბაქარის მიერ ამ წამოწყების განხორციელებაზე. მიმოხილვაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ანტონ კათალიკოსის პიროვნებას, მის დიდ მთარგმნელობით საქმიანობას. მასში ჩართულია ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი ანტონის I მოღვაწეობასთან დაკავშირებით: « при переводе, собирании и сочинении вышеуказанных книг грузинских Антонию весьма много способствовал один грузинский протопоп именем Гаврил, разумевший основательно языками Российским и Латинским »<sup>17</sup>.

ვფიქრობთ, ეს ცნობა იმსახურებს ყურადღებას, რათა გათვალისწინებულ იქნეს ანტონ II მოღვაწეობის შემდგომ გაღრმავებული შესწავლის საქმეში. რაც შეეხება თვით გაბრიელს, იგი უთუოდ სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი გაბრიელ მცირე (1745—1802) უნდა ვივარაუდოთ, ვინაიდან ანტონ II თანამედროვე მწიგნობარ, სასულიერო პირთაგან ამ სახელის მატარებელი სხვა მოღვაწე ჩვენ არავინ გვეგულება.

დოკუმენტი საყურადღებოა იმიტომ, რომ იგი შედგენილია ვ. ერის-

<sup>17</sup> Гос. библиотека АН УССР, опись Петрова, ед. хр. 18 (727), с. 132—134.

თავთან ე. ბოლხოვიტინოვის კონტაქტების ყველაზე ადრინდელ პერიოდში. ამას გვაფიქრებინებს არჩილ II მწიგნობრულ და სასტამბო საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტის მარჯვნივ, მინდორზე მოთავსებული შემდეგი მინაწერი: „ვინ იყო ეს არჩილი?“, ბუნებრივია ე. ბოლხოვიტინოვს არჩილ ბაგრატიონზე ასეთი ბუნდოვანი წარმოდგენა შეუძლებელია ჰქონოდა წიგნზე ინტენსიური მუშაობის პერიოდში, რადგანაც ზემოთ განხილულ სხვა მასალებს შორის იგი მოხსენიებული ჰყავს მრავალგზის და მასზე გააჩნია სავსებით დამაკმაყოფილებელი ინფორმაციები.

ჩვენ ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ ეს მიმოხილვა მოთავსებულია არა „Записки по истории Грузии“ შეტანილ მასალებს შორის, არამედ პირადი ფონდის ისეთ კრებულში, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია საქართველოსთან. სწორედ ამ გარემოებათა გამო დარჩა ეს მიმოხილვა შეუძენველი ისეთ კომპეტენტურ მკვლევარს, როგორც იყო პროფ. ე. შმურლო, რომელმაც საგანგებოდ მოიძია და აღწერა ე. ბოლხოვიტინოვის პირადი ფონდი და საქართველოსთან დაკავშირებული მისი ნაწილი.

ჩანაწერი მთავრდება იმ დროისათვის საკმაოდ სწორი და ობიექტური ცნობებით სულხან-საბა ორბელიანზე, მის სამეცნიერო და დიპლომატიურ საქმიანობაზე. ე. ბოლხოვიტინოვს როგორც სასულიერო პირს, ჩანს, პირველ ყოვლისა, დაინტერესება გამოუჩენია ამ დარგის ქართველ წარმომადგენელთა მიმართ. ქართული ლიტერატურის ამ მოკლე მიმოხილვაში მოცემული ცნობები ე. ბოლხოვიტინოვს გამოყენებული აქვს „საქართველოს ისტორიულ სურათში“ შესაბამის საკითხებზე მსჯელობისას.

და ბოლოს, გავეცნოთ დოკუმენტში მოთავსებულ სანოტო ჩანაწერს, რომელიც წარმოდგენს იოანე დამასკელის ე. წ. ღვთისმშობლის საგალობლის კანონთა პირველ ძლისპირს („ირმოსი“). ნოტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული მუსიკის ისტორიისათვის, ვინაიდან დღემდე ცნობილი ხუთხაზოვან სანოტო წესით ჩაწერილ ქართულ სასულიერო მელოდიებს შორის ყველაზე უადრესი თარიღდება 1863 წლით. ნოტებს ქვეშ მოთავსებულია საგალობლის შემდეგი ტექსტი:

აღადე პირი ჩე(ეი) მი და (ი)აღავსე  
იგი მადლითა ა(ია)აღმოსთქვას  
ვულმან ჩეი(იე)ეუმან დიდება დედო(ი)  
ოფლისა და შევამ(უ)კო (იო)ბდეთ  
დღე(იე) სა [სწა]ულსა მისსა [ბრ] წყინვალე [მშმ]ვე  
წიერსა და(ია) გვირგვინოსანსა



Handwritten musical score with six staves and Georgian lyrics. The lyrics are: "A. Ca mi-pu zebut-xa ga n-la-ber. u-ca na-plu-ma il x lnou m xlab. by so xant zeb by xant ga-gc na do xan. o na ca ma mc lnou xan do o by nait. inge e ca y ay ca auc ca xlab na mc. ni e ca ga na xpla so ca ca."

სურ. 2

ტექსტი ნოტებზე მოცემულია რუსული ტრანსკრიპციით. ტექსტი მოგვაქვს ზუსტად ისე, როგორც იგი წარმოდგენილია სანოტო ჩანაწერში.

რამდენიმე სიტყვით თვით „კანონთა“ შესახებ. „კანონი“ წარმოადგენს საგალობელთა ეანრს, ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ყველაზე ვრცელ ნაწილს. მათ თხზავდნენ ისეთი დიდი ჰიმნოგრაფებო, როგორებიც იყვნენ: ანდრია კრიტელი, კოზმა მაიუმელი, იოანე დამასკელი და სხვ. მარტო იოანე დამასკელი (გარდაიცვალა 749)64 ასეთი „კანონს“ ავტორია, რომელსაც აგრეთვე ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ამ „კანონის“ პოეტური ტექსტი.

როგორც ცნობილია, საგალობელთა „კანონები“ ჩვეულებრივ შედგება 9 ან 8 ნაწილისაგან — ე. წ. გალობისაგან, რომელთაგან თითოეულს მისი ლექსთაწყობა აქვს და მოიცავს 3—4 სტროფს ტაქთა გან-

საზღვრული რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ არსებობენ ე. წ. არასრული 2—3, 3—4 გალობიანი კანონები.

ცნობილია, რომ თითოეულ კანონთა სტროფის მეტრული აგებულების, აგრეთვე მელოდიის საფუძველი არის ძლისპირი („ირმოსი“) გალობის წინამძღვარი, რომელიც გალობის დასაწყისში არის მოთავსებული, ანუ წარმოადგენს სათვალავით პირველ სანიმუშო სტროფს. კანონთა აღსრულებისას ჩვეულებრივ მხოლოდ ძლისპირები იმღერება, ხოლო დანარჩენი სტროფები კი იკითხება (ერთადერთი კანონი, რომელიც მთლიანად სიმღერით სრულდება საეკლესიო დღესასწაულებში, ეს არის ე. წ. სააღდგომო კანონები). დღემდე მოაღწიეს საგანგებო კრებულებმა, რომლებშიც თავმოყრილია სხვადასხვა საგალობელთაგან გამოკრეფილი მხოლოდ ძლისპირები, როგორც ორიგინალური ქართული სანოტო ნიშნებით, ისე გვიანდელი, ხუთხაზოვანი სანოტო წესით ჩაწერილები.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო „კანონს“, რომელიც წარმოადგენს შესხმას ე. წ. ღვთისმშობლის მიძინებაზე, იგალობება როგორც ე. წ. საღვთისმშობლო დღესასწაულებში (8 სექტემბერს, 21 ნოემბერს, 25 აგვისტო — ძველი სტილით), ასევე ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დღეს.

ძლისპირი ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ჩაწერილია XVII—XVIII ს. რუსეთში საეკლესიო დარგში გავრცელებული ე. წ. „ხუთხაზოვანი კვადრატული სანოტო ნიშნებით“, რომლებიც არ ითვალისწინებენ არც ნოტების გრძლიობას, არც სამუსიკო ზომას და სრულდებოდა სალექსო ტექსტის რიტმისა და რითმის მიხედვით.

რადგან 1802 წ. შესრულებული ამ ჩანაწერის სახით საქმე გვაქვს ამჟამად ხმარებიდან გამოსულ სამუსიკო ნიშნებთან, მათი თანამედროვე სისტემაზე გადაყვანისას ვისარგებლეთ პროფ. დ. რაზუმოვსკის ცნობილი ნაშრომით ძველი რუსული საგალობლების შესახებ<sup>18</sup>.

როგორც დავინახეთ, როგორც „სევდის ბალს“, ასევე „ალაღე პირის“ სამუსიკო ჩანაწერის ტექსტი მოცემულია რუსული ასოებით. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მისმა ჩამწერმა (ე. ი. ბოლხოვიტინოვმა) ქართული ენა არ იცოდა, ხოლო ქართველმა ინფორმატორმა (ვარლამ ეპისკოპოსმა) სანოტო დამწერლობა, რის გამოც ეს უკანასკნელი ვერ შესძლებდა სამუსიკო ბგერებქვეშ შესაბამისი სალექსო მარცვლების ზუსტ განაწილებას (იხ. სურ. 3.).

ე. ბოლხოვიტინოვის პირადი ფონდის საქართველოსთან დაკავში-

<sup>18</sup> Д. Разумовский, История церковного пения в России, М., 1866—1868, с. 59.



ს.რ. 3

რებული ნაწილის საფუძვლიანად გაცნობის საფუძველზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ „საქართველოს ისტორიული სურათის“ ის ნაწილი, რომელიც შეიცავს უცხო და რუსი ავტორების ცნობებს საქართველოზე, ასევე მასალებს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის (1586—1801) შესახებ, რაც შეადგენს ხელნაწერი მასალის ნახევარზე მეტს, მთლიანად ფონდშემქნელის გარჯის შედეგია. ხოლო ძირითადი ცნობები საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე მიწოდებულია ვ. ერისთავის მიერ. მთელი მასალის სისტემაში მოყვანა და გამოსაცემად მომზადება თვით წიგნის ავტორის შრომის ნაყოფია.

ქართველ ისტორიულ პირთა სახელები. ქართული ლიტერატურის ნაწარმოების სათაურები. კლასიკურ ლექსთა საზომების ტერმინები

ჩაწერილია ვ. ერისთავის მიერ რუსული ანბანით, საკმაოდ არაკალიგრაფიულად. გამონაკლისს შეადგენს ორი ლექსი შესრულებული ჩვენთვის უცნობი პირის ხელით, მაგრამ ნასწორები და შევსებული — კვლავ ვ. ერისთავის მიერ. ცალკეული კომენტარები და ქართულ ლექსთა ტექსტების რუსული თარგმანები ეკუთვნის ე. ბოლხოვიტინოვს. მთლიანად საარქივო მასალა წარმოადგენს პირველად ჩანაწერებს და არა საბოლოო რედაქტირებულ ტექსტს, რომელიც საფუძვლად დაედო „საქართველოს ისტორიულ სურათს“.

ე. ბოლხოვიტინოვი ეყრდნობა რა ვ. ერისთავს, ხოლო ნაწილობრივ ჩვენთვის უცნობ სხვა პირის მოწოდებულ ინფორმაციებს, ისინი დაზღვეული მაინც არ არიან შეცდომებისაგან, რაც განპირობებულია იმით, რომ ქართველი კორესპონდენტები მას ცნობებს აწვდიდნენ ზეპირად, რადგან შეუძლებელია მათ პეტერბურგში ხელთ ჰქონოდათ ყველა საჭირო პირველწყარო ამა თუ იმ წამოჭრილ საკითხზე. ამის ნათელი დასტურია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი სტროფის („ვის ხატად ღვთისად“...) და ბესიკის „სევდის ბალის“ ის ტექსტობრივი უზუსტობანი, რომელიც თან ახლავს მათ საარქივო ჩანაწერებს.

და წაიყვანა ანუ აქაჲს ანუ ვიქტორია  
 იმ ოცობა წაიყვანა პეტერბურგსა და სედაცხეთს.  
 დახვდითი დოკუმანთა პეტერბურგსა და  
 სედაცხეთს

წაიყვანა. წაიყვანა პეტერბურგსა და სედაცხეთს.

მთავრობის მიერ დაწესებული

პეტერბურგის ცენტრის და სედაცხეთის.

ვინაიდან ა. სპეციალური

1808  
 სექტ 23  
 ვინაიდან

ჩანაწერები ამასთანავე აქარწყლებენ მკვლევართა იმ ერთი ნაწილის თვალსაზრისს თითქოს „საქართველოს ისტორიული სურათი“ შედგენილი იქნა სახელდახელოდ, თავის შექცევის მიზნით, როპლის გავრცელებას ხელი შეუწყო თვით ე. ბოლხოვიტინოვის ენაკვიმატურმა დამოკიდებულებამ საკუთარი ნაშრომისადმი.

ე. ბოლხოვიტინოვის მიერ XIX ს. დამდეგს შედგენილი ამ ჩანაწერების გამომზეურობა, აგრეთვე სხვადასხვა სიძველეთსაცავებში გაბნეული მისი დოკუმენტური მასალების გამოვლენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობის ახსახველი ახალი ფაქტებისა და მოვლენების დღის სინათლეზე გაპოტანას.

ე. ბოლხოვიტინოვისა და მისი ქართველი კონსულტანტის ერთობლივი მუშაობის უკეთ გააზრების მიზნით გავეცნოთ რამდენიმე საარქივო დოკუმენტს. პირველყოვლისა, მოვიტანთ ვ. ერისთავის რუსული ხელნაწერის ნიმუშს — ე. ბოლხოვიტინოვისადმი გაგზავნილ პირადი წერილის ბოლო ნაწილს\*.

---

\* ე. ბოლხოვიტინოვის პირადი ფონდის ჩვენთვის საყურადღებო მასალების ფოტოპირები ჩაბარებული გვაქვს გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. დოკ. № 25303.

ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებული საკითხები  
 ე. ბოლხოვიტინოვის სხვადასხვა შრომებსა და პირად  
 წერილებში.

იშვიათი სიტბოთი დაწერილი „საქართველოს ისტორიული სურათის“ გულისხმიერი გაცნობისას, მკითხველის წინაშე კანონიერად იჩენს თავს კითხვა — ნუთუ, მხოლოდ ამ პატარა წიგნით ამოიწურა საქართველოსადმი ე. ბოლხოვიტინოვის ინტერესი, თუ შემდგომშიც ჰქონდა შემთხვევა, მას შეხებოდა ქართულ თემატიკას?

ე. ბოლხოვიტინოვის მრავალრიცხოვანი შრომების ნუსხა ამ მხრივ ხელშესახებებს არაფერს იძლევა, რის გამოც შეიქმნა აუცილებლობა კიდევ უფრო საფუძვლიანად გავცნობოდით მის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურას. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა პროფ. ე. შმურლოს, ჩვენს მიერ არაერთგზის დამოწმებული ნაშრომი: „ეგვენი მიტროპოლიტი როგორც მეცნიერი“. მრავალი შემოქმედებითი და ბიოგრაფიული მაგალითების პარალელურად მასში ავტორს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ე. ბოლხოვიტინოვის მონაწილეობას ა. ჩშეკატოვის ცნობილ „რუსეთის სახელმწიფოს გეოგრაფიულ ლექსიკონში“ (1804—1809 წწ.). კერძოდ, ე. შმურლოს არგუმენტირებული მტკიცებით, ე. ბოლხოვიტინოვს ამ წვიდტომიან ლექსიკონში ხელმძღვანელობდა გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა მოცულობის და ხასიათის 80 სტატია-ტერმინი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, აგრეთვე მოსაზღვრე ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკურ-კულტურული წარსულიდან<sup>1</sup>. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია 1800 წელს გამოცემული მისი ერთობ საყურადღებო ნაშრომი: „ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური აღწერა ევროპის გუბერნიისა“, რომელმაც დაიკავა პირველი ტომის მნიშვნელოვანი ნაწილი (გვ. 1033—1192)<sup>2</sup>.

ა. შჩეკატოვის ამ ლექსიკონის ღირსებათა გასათვალისწინებლად

<sup>1</sup> Шмурло Е. Ф. Евгений Митрополит как ученый. СПб., 1888, с. 350.

<sup>2</sup> Шекатов А., Словарь географический Русского государства. Т. I, 1804.

მოვესმინოთ თანამედროვე საბჭოთა მკვლევარს ლ. მილოვს: „ეს მრავალტომიანი ნაშრომი, რომელიც მისი დროისათვის გიგანტური საინფორმაციო მასალის შექმრებას ახდენს. წარმოადგენს სამაგიდო წიგნს, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის და XIX საუკუნის დამდეგის რუსეთის ისტორიის მკვლევართათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთმა ფაქტმა ჩვენამდე მოაღწია სწორედ ამ ლექსიკონის წყალობით“<sup>3</sup>.

ლექსიკონში ე. ბოლხოვიტინოვის მიერ მოთავსებულ შრომებს შორის ე. შშურლოს დასახელებული აქვს სტატია: „კოლხიდა“, რაც ბუნებრივია უკავშირდება ჩვენი კვლევის საგანს. მოლოდინისამებრ, ა. შჩეკატოვთან მართლაც აღმოჩნდა ასეთი მასალა. აი, ისიც: „კოლხიდა — წარმოადგენს უძველეს სახელწოდებას ქვეყნისა, რომელიც მდებარეობს, შავ და კასპიის ზღვებს შორის, კავკასიის მთებს იქით, სადაც ამჟამად სამეგრელო“<sup>4</sup>.

ე. შშურლოს შენიშვნამ, იმის თაობაზე, რომ „ამ ლექსიკონში გარდა 80 სტატია-ტერმინისა, მას კიდევ შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა წერილებიც“<sup>5</sup>, მოგვცა სტიმული, დეტალურად გავცნობოდით ა. შჩეკატოვის ლექსიკონს და გაგვერკვია გარდა „კოლხიდასა“, მასში ხომ არ იყო მოთავსებული საქართველოსთან დაკავშირებული სხვა ისეთი სტატია, რომელიც ე. ბოლხოვიტინოვს ეკუთვნოდა. შეიდრომეულის სარჩევის გაცნობისთანავე ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა. საკმაოდ მოზრდილმა სტატიამ „თბილისი“ და „საქართველო“<sup>6</sup>. გამოქვეყნებული მასალა მკითხველს, ძირითადად, სწორ და უხე ცნობებს აწვდის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურის მოღვაწეებზე (დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ VI, ერეკლე II, ანტონ I, გაიოზ რექტორი), ქართული სტამბის საქმიანობაზე, სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე და სხვ.

სტატიათა ავტორს სურს აჩვენოს მკითხველს, რომ საქართველო, რომელიც ერთ დროს დიდი და ძლიერი ქვეყანა იყო, პოლიტიკური დაცემულობისა და დაკნინების პერიოდშიც კი არასოდეს შერიგებია დამპყრობელთა ძალმომრეობას და ყოველთვის იღვწოდა კულტურული წინსვლისათვის. აქვე საყურადღებო ცნობებს იძლევა მოსაზღვრე სახელმწიფოებისა და ხალხების შესახებ, ქართველ ხელისუფალთა

<sup>3</sup> Милов Л., К истории создания «Географического словаря» А. Щекатова. Археографический ежегодник. 1968, с. 166—183.

<sup>4</sup> Щекатов А., Словарь географический Русского государства. 1804, т. III, с. 502.


<sup>5</sup> Шмурло Е. Ф. Митрополит Евгений как ученый. СПб., 1888, с. 350.

<sup>6</sup> Щекатов А., Словарь географический Русского государства. т. I, 1804, с. 102.





დიპლომატიურ კავშირზე რუსეთთან, აზიისა და ევროპის სახელმწიფოებთან, აგრეთვე, რომის პაპთან. მათში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს მდგომარეობას XVIII—XIX სს. მიჯნაზე. აღამაჰმად-ხანის შემოსევას და მის შედეგებს, ბატონ-შვილთა აწლილობას, რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენში შემოღებულ ადმინისტრაციულ დაყოფას, სასამართლო სტრუქტურას და სხვ. აქვე ვხვდ-



სურ. 6

ქართულ კლასიკურ ლექსთა სახეობები და მათი განმარტებები. ჩანაწერი წარმოადგენს ვ. ერისთავის და ე. ბოლხოვიტინოვის ერთობლივი მუშაობის ნიმუშს.

ბით ცნობებს მცხეთის შესახებაც, უცხოეთში არსებული ქართული კულტურის სავანეების მოკლე დახასიათებას და ა. შ.

სტატიაში „თბილისი“ კარგად არის დახასიათებული ჩვენი დედაქალაქის სილამაზე. მისი მღებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა.

ჩვენ ლექსიკონის ამ სტატიების ტექსტები და „საქართველოს ისტორიულ სურათში“ ანალოგიური საკითხებზე მოკემული ცნობები შევიწვავლეთ ერთმანეთთან მიმართებით და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ისინი ერთიდაიგივე ავტორს ეკუთვნიან. ამას ადასტურებს დამახასიათებელი არგუმენტები. მაგალითები და. რაც მთავარია, მთელი აბზაცების აბსოლუტური სიზუსტით დამთხვევა. მოვიყვანთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

«...Иверокая или грузинская нация — ვითხოვლობთ სტატიაში „საქართველო“ — просвещена верою в царствование Константина Великого одною пленною женщиной, которую Грузинские летописи именуют Ноюю и др. (ср. «Историческое изображение Грузии», с. 46).

«Наилучшею, — ნათქვამია იმავე წერილში — церковью можно почтить Кафедральную Католикосову огромную церковь в Мухети, местечке на реке Куре, верстах 18 от Тифлиса отстоящем и бывшем некогда славною столицею, где до ныне погребаемы были Карталинские цари» и др.

(შდრ. „Историческое изображение Грузии“, с. 53—54).

«Счастливою эпохою одолжена Грузия, — ვითხოვლობთ სტატიაში „თბილისი“ — царю Ираклию и покойному Преосвященному Католикосу Антонию. Первый был Августом, а последний Меченатом и Поллионом своего века» (შდრ. „Историческое изображение Грузии“, с. 73—74).

«Грузины», აღნიშნულია შემდეგ, всегда имели охоту и способности к наукам, когда только была к тому им свобода и случай. Грузинский царь Давид, именуемый Возобновитель, живший в XII веке и царствовавший с 1089 года по 1130 года, посылал 12 человек грузинских юношей в Афины для обучения наукам» (შდრ. «Историческое изображение Грузии», с. 71).

თუმცე ე. ბოლხოვიტინოვის ამ ორ სტატიაში თავმოყრილი ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი გამეორებაა „საქართველოს ისტორიულ სურათში“ წარმოდგენილი დებულებებისა, მაგრამ მათ შორის ვხვდებით ისეთ მასალებსაც, რომლებიც გამოტოვებულია დასახელებულ ნაშრომში. ასეთებად უნდა ჩაითვალოს მონაცემები ქვეყნის გეოგრაფიულ თავისებურებებზე, მოსახლეობის სტატისტიკურ მდგომარეობაზე, თბილისზე და ა. შ.

ცხადია, გამორიცხული არ არის, რომ „გეოგრაფიული ლექსიკონის“ ჩვენთვის საინტერესო სტატიები რედაქციისათვის მიეწოდებინა არა თვით ე. ბოლხოვიტინოვს, არამედ „საქართველოს ისტორიული სურათის“ რომელიმე კომპილატორს, მაგრამ ა. შჩეკატოვის ლექსიკონში ევგენი მიტროპოლიტის აქტიური მონაწილეობა (იგი ზომ 80 სტატია-ტერმინის ავტორია) ვფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს ბევრად უფრო სანდოს ხდის. „თბილისის“ და „საქართველოს“ ე. ბოლხოვიტინოვისადმი კუთვნილებას განამტკიცებს შემდეგი არაპირდაპირი მნიშვნელობის ფაქტიც. პროფ. ლ. შლეცერი თავის საქმიან რეცენზიაში, რომელიც მიუძღვნა „საქართველოს ისტორიული სურათის“ გამოსვლას, ავტორს სერიოზულ ნაკლად უთვლის იმას, რომ იგი ნაშრომში არაფერს ამბობს საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე და სა-

თანადო ადგილს არ უთმობს მის დედაქალაქ თბილისს<sup>7</sup>. ამიტომ, ე. ბოლხოვიტინოვს, რომელიც გულმოდგინედ აგროვებდა ცნობებს, რათა პასუხი გაეცა შლევცერისათვის<sup>8</sup>, შეუძლებელია მხედველობაში არ მიეღო ეს შენიშვნები და შესაძლებლობის შემთხვევაში არ გამოეწორებინა ეს ხარვეზი.

ჩვენი დაკვირვებით, „თბილისსა“ და „საქართველოში“ შეტანილ ამ ცვლილებებს გარკვეული სინათლე შეაქვთ წამოჭრილი საკითხის გარკვევაში.

ე. ბოლხოვიტინოვის შრომებს შორის, რომლებშიც საქარაველოსთან დაკავშირებულ საკითხებს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი, აღსანიშნავია მისი ფრიად გახმაურებული ორტომიანი ნაშრომი: „რუსული საერო მწერლობის ლექსიკონი“. ლექსიკონში შეტანილი მასალა ავტორს გამოქვეყნებული აქვს ჯერ ჟურნალ „დრუგ პროსვესჩენიეს“ ფურცლებზე 1805—1806 წ., ხოლო შემდგომ 1827 წ. უფრო მოგვიანებით იგი მესამედ დაიბეჭდა 1845 წ. ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

თუმც ამ ლექსიკონში შეტანილ პირთაგან ქართული წრიდან გამოსული მხოლოდ ერთი მოღვაწე — ესტატე ციციშვილი — ციციანოვი აღმოჩნდა, მაგრამ აქ ვხვდებით ისეთ რუსი და უცხო წარმოშობის პირების ბიოგრაფიებს, რომელთა მეცნიერულ, დიპლომატიურ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ასეთები არიან რუსი დიპლომატები: ნ. ტოლოჩანოვი, ა. იველევი და ს. ბურნაშოვი. მოგზაურები ა. სუხანოვი და ი. ჰერბერი. მეცნიერები ი. გიულდენშტედტი და ა. მუსინ-პუშკინი.

მოკლედ წარმოვადგენთ ე. ბოლხოვიტინოვის ლექსიკონში მათ შესახებ მოცემულ ჩვენთვის საყურადღებო დეტალებს.

1. აკადემიკოსი გიულდენშტედტი იოჰან ანტუანი. მის სამეცნიერო საქმიანობიდან და ბიოგრაფიიდან ე. ბოლხოვიტინოვს წინა პლანზე გამოაქვს ამ მეცნიერ-გეოლოგის კავშირი საქართველოსთან. კერძოდ, მიმოხილული აქვს 1771 წლიდან წლინახევრის მანძილზე მის მიერ ჩვენში ჩატარებული საექსპედიციო-მეცნიერული საქმიანობის შედეგები, მისი მჭიდრო კავშირი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გამგებლებთან. აქ ე. ბოლხოვიტინოვს განსაკუთრებით ხაზგასმული აქვს ი. გიულდენშტედტის სიახლოვე ერეკლესთან, რომელსაც იგი ერთხელ ბრძოლაშიც კი წაუყვანია, აგრეთვე ურთიერთობა ქართველ დიდებულთან დავით ერისთავთან. სტატიაში დამატყოფი-

<sup>7</sup> Göttingenische gelehrte Anzeigen, № 42, Stück den 12. März, 1803.

<sup>8</sup> Русский архив, 1870, с. 824, № 37.

ლებლადაა აღნიშნული შისი წვლილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მინერალების აღმოჩენისა და შესწავლის საქმეში<sup>9</sup>.

2. მუსინ-პუშკინი აპოლოს აპოლოსის ძე, ბიოგრაფიის სხვადასხვა მომენტებთან და ფაქტებთან ერთად სტატიის ავტორს მოკლედ მოცემული აქვს 1802—1804 წლებში. ამ რუსი მეცნიერ-მინერალოგის საქმიანობა საქართველოში. ე. ბოლხოვიტინოვი საგანგებოდ აღნიშნავს მის ღვაწლს საქართველოს ბუნების, კლიმატის და რელიეფის შესწავლის საქმეში. უდავოა ა. მუსინ-პუშკინის საქართველოსთან კავშირით ე. ბოლხოვიტინოვი შეიძლება დაინტერესებულიყო მხოლოდ თავისი „საქართველოს ისტორიული სურათის“ გამოცემის შემდეგ<sup>10</sup>.

3. ბურნაშოვი სტეფანე დანიელის ძე, პოლკოვნიკი, მის შესახებ მოცემულ ცნობაში მითითებულია რუსეთის ხელისუფლების ამ წარმომადგენლის 1783—1786 წწ. ერეკლეს კარზე ყოფნისა და ქ. კურსკში მის მიერ 1793 წ. ფრიად საყურადღებო წიგნის: „საქართველოს ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა“<sup>11</sup>.

თუ გავიხსენებთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვს თავის „საქართველოს ისტორიულ სურათში“ არაფერი აქვს ნათქვამი ს. ბურნაშოვის შესახებ. აშკარა გახდება, რომ ამ პიროვნების მოღვაწეობასაც იგი უნდა გასცნობოდა საქართველოს შესახებ თავისი განმაურებული წიგნის შედგენის შემდეგ.

4. ტოლოჩანოვი ნიკიფორე მათეს ძე და იევლევი ალექსანდრე ივანეს ძე. სტატიაში ავტორს მოცემული აქვს 1650 წ. იმერეთის სამეფოში მათი პოლიტიკური მისიით ჩამოსვლა და მეფე ალექსანდრე I-თან დიპლომატიური კავშირის დამყარების ფაქტი. „მათი მოგზაურობის აღწერები, უთითებს ე. ბოლხოვიტინოვი, — დაცულია საპატრიარქო ბიბლიოთეკაში“<sup>12</sup>.

5. ჰერბერი იოჰან გუსტავი (გარდაიცვალა 1734 წ.) საქსონელი სამხედრო პირი და მოგზაური. 1710 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე რუსეთის არტილერიის ოფიცერი. ავტორი კავკასიასა და საქართველოს შესახებ დწერილი ნაშრომისა: „ჩანაწერები კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე... ზალხებისა და ქვეყნებისა“, 1728 წ.<sup>13</sup>.

ნაშრომი რუსულად გამოქვეყნდა 1760 წ. პეტერბურგში. მასში ჯაჯანადო ადგილი აქვს დათმობილი კახეთის სამეფოს მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის საშინაო და საგარეო მდგომარეობის აღწერას. ამ ნაშრომზე ე. ბოლხოვიტინოვს გამახვილებული აქვს ყურად-

9 Словарь русских светских писателей. М., 1845, т. I, с. 120—121.

10 იქვე, ტ. II, გვ. 98.

11 იქვე, ტ. I, გვ. 67.

12 Словарь русских светских писателей. М., 1845, т. II, с. 210.

13 იქვე, ტ. I, გვ. 114.

ღება მის „საქართველოს ისტორიული სურათის“ შესახებ პროფ. შლე-  
ცერის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზიის საფუძველზე.

6. ციციშვილი (ციციანოვი) ესტატე. მოვიტანთ ამ სტატიას მთლი-  
ანად: „ციციანოვი ესტატე, თადარიგის პროპორშიკი წარმოშობით  
ქართველი. შეადგინა საქართველოს ისტორიული და ტოპოგრაფიული  
აღწერა, რომელიც არ დაბეჭდილა ავტორის გარდაცვალების გამო.  
გარდაიცვალა 1767 წ. მოსკოვში“<sup>14</sup>.

ეს პიროვნება ჩვენში დღემდე არ არის შესწავლილი. გაურკვევე-  
ლია მოხსენებული 'ნაშრომის დედნის ადგილსამყოფელი.

7. სუხანოვი არსენ, მოგზაური, სასულიერო პირი მისი ვრცელი  
ბიოგრაფიისა და მოგზაურობის შედეგების განხილვისას მოთხრობი-  
ლია „წმინდა ადგილების“ მონახულების მიზნით 1651 წ. საქართვე-  
ლოში ამ ცნობილი რუსი მოგზაურის ყოფნის ფაქტი<sup>15</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ლექსიკონებში წარმოდგენილი ჩვენთვის  
საინტერესო პირთაგან ა. სუხანოვი ერთადერთია, რომელიც მოხსენე-  
ბულია „საქართველოს ისტორიულ სურათში“. ამ წიგნში ავტორს საკ-  
მაროდ ბევრი დეტალი აქვს მოცემული ათონის მთის ქართულ სავანეში  
რუსი მოგზაურის ყოფნასთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩამოთვლილი  
აქვს აქ დაცული ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი და რელიქვია  
(მაგალითად, თორნიკე ერისთავის აბჯარი და სხვა).

ქართული კულტურისადმი ე. ბოლხოვიტინოვის დამოკიდებულე-  
ბის უფრო სრულად წარმოდგენისათვის გასათვალისწინებელია მისი  
წვლილი ქ. კიევში არსებული ზოგიერთი ქართული სიძველის გა-  
ძებნისა და მათი გამომზეურების საქმეში. აქ. მხედველობაში გვაქვს  
!825 წ. კიევში ანონიმურად გამოცემული ილუსტრირებული დიდტა-  
ნიანი წიგნი: „კიევის სოფიის ტაძრის აღწერილობა“, რომელშიც მრავ-  
ალ საყურადღებო ცნობასთან ერთად მოცემულია დღემდის მიუკე-  
ლეველი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ქართული სიძველის აღწერილო-  
ბა. სახელდობრ, წიგნის იმ ნაწილში. სადაც აღწერილია უკრაინის ამ  
უშესანიშნავესი მატერიალური კულტურის ძეგლის განძისადაც  
იმხანად დაცული უნიკალური სიძველეები. ეკონოლოგთ შემდეგს:  
„საქართველოს მეფის არჩილისა და მისი მეუღლის ქეთევანის ნაქონი  
ომოფორი. იგი წარმოადგენს ნაქარგობას ოქროს ფონზე გამოსახულ  
12 დღესასწაულისას. კერძოდ, პირველ ნახევარზე მოცემულია: 1. ლა-  
ზარეს აღდგინება, 2. იერუსალიმში შესვლა. 3. ჭვარცმა. 4. აღდგომა.  
5. ამადღება. 6. სულიწმინდის გადმოსვლა მოციქულებზე. ამ უკანას-  
კნელის ქვეშ, მეწამულ ნახევარ წრეში, ამოქარგულია სურათი სამე-

<sup>14</sup> Словарь русских светских писателей, М., 1845, т. II, с. 240.

<sup>15</sup> Словарь исторический о бывших в России писателях духовного чина. СПб., 1827, т. II, с. 11.

ფო გვირგვინისა და ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე არჩილისა. რო-  
მელსაც გამლილ ხელებს შორის უპყრია ყვავილწუნულისებური თეთ-  
რი ენქერი. ომოფორის მეორე მხარეს გამოსახულია: 7. ფერისცვალე-  
ბა, 8. მაცხოვრის გარდამოხსნა. 9. ნათლიღება. 10. მიჩქმა. 11. შობა.  
12. ხარება.

თითოეული გამოსახულების ქვეშ ამოქარგულია დღესასწაულთა  
დასახელება სპარსულ და ბერძნულ ენებზე. ომოფორის ორსავე ბო-  
ლოში მეწამულ ფერში ამოქარგულია ქართული მთავრული ანბანით  
დაწერილი ორი ტექსტი<sup>16</sup>.

ამის შემდეგ ავტორს მოცემული აქვს ორივე ქართული ტექსტის  
რუსული თარგმანი. იქვე ავტორი გამოთქვამს ვარაუდს: „ომოფორი  
ნაჩუქარი უნდა იყოს რუსეთის პატრიარქის მიერ კიევის მიტროპო-  
ლიტ გედეონისათვის“, ძეგლი ავტორს დათარიღებული აქვს 1611  
წლით.

როგორც გამოვარკვეით, მოგვიანებით „კიევის სოფისი ტაძრის აღ-  
წერილობაში“ მოცემული ამ ცნობით საგანგებოდ დაინტერესებულა  
კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი დ. ალადაშვილი, რომელსაც  
1881 წელს დაუწერია გამოკვლევა „ქართული სიძველენი კიევში“.  
თავის ნაშრომში. რომელიც გამოქვეყნდა „თბილისის V არქეოლოგი-  
ური ყრილობის შრომებში“ (1887 წ. მოსკოვი), დ. ალადაშვილს მოცე-  
მული აქვს როგორც სურათი ამ ომოფორისა, აგრეთვე მასზე მოცე-  
მული ორივე ტექსტი. აი, ისინიც:

1. „ბრწყინვალენო: და ყოვლად სანატრელნო: უფალნო წმინდა-  
ნო მოსკოვისა: და: ყოვლისა ჩრდილოეთის: პატრიარქნო მოგვისხენ-  
ნიეთ: ჩვენ: ცოდვილნი: რომელთა: შემოვსწირეთ: წმინდის ღვთისმშობ-  
ლის: ტაძარსა ომოფორი: ესე. ქვის ტოთ:“.

როგორც ვხედავთ, ომოფორის დამზადების თარიღი მოცემულია  
ქართული ქორონიკონით „ტოთ“ ე. ი. 379 წ. რაც ახ. წ. ნიშნავს 1691  
წელს.

II. ღვთისმშობელო: ქალწულო მარიამ არა თუ: მოსკოვისა:  
ჩრდილოეთისა: ქუეყნის მფარველო: არამედ ყოვლისა სოფლის მფარ-  
ველო ყოვლის ძის შენის ღუთად თაყუანის: მცემელთა: შესავედრებე-  
ლო: ნუ გვარცხვენ დღესა მას განკითხვისასა მონასა შენთა მეფეს-  
არჩილის და დედოფალს ქეთევანს და ძეთა ჩუენთა<sup>17</sup>.

როგორც მოსალოდნელი იყო, პუბლიკაციაში ორივე ტექსტში მო-  
ცემულია ქარაგმებით. მათი შინაარსის გაცნობის გასაადვილებლად  
ტექსტებს მოვიტანთ ქარაგმების გახსნით.

მოკლედ ომოფორის თარიღთან დაკავშირებით, როგორც ცნობი-

16 Описание Киево-Софийского собора. Киев, 1827, с. 51.

17 Труды V археологического съезда в Тифлисе в 1881 г. М., 1887.

ლია, არჩილი დიპლომატიური მისიით რუსეთში პირველად ჩავიდა და ცხოვრობდა 1682—1688 წწ. ხოლო მეორედ და საბოლოოდ 1699 წ. მაშასადამე ომოფორი საქართველოში უნდა იყოს დამზადებული და იგი უნდა ჩაეტანათ მოსკოვში დანიშნულებისამებრ 1691—1699 წლებს შორის.

ჩვენ დროში, დაინტერესებულ პირთაგან, ომოფორი უკანასკნელად უნახავს კონსტანტინე გამსახურდიას, რომელსაც იგი მიუკვლევია უკრაინის სსრ ქსოვილების მუზეუმში (იგი მდებარეობს კიევ-პეჩორის ლავრის ტერიტორიაზე) 1931 წ. აი, რას წერს ამ საკითხზე ლეწლმოსილი მწერალი: „... აქვე ინახება არჩილ მეფის მინაძღვენი ქართული ოქრომკერდი. მართლაც იშვიათი ხელით შესრულებული...“<sup>18</sup>.

ნიეთის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია, უცნობია ისიც, გადაურჩა თუ არა იგი ომის ქარცეცხლს.

წინამდებარე ნაშრომში, სათანადო ადგილას (გვ. 74—76) ჩვენ გაკვირით შევხებით უჯრნ. „დრუგ პროსვესჩენიას“ ფურცლებზე (1805 წელი) მოზრდილი, საყურადღებო სტატიის „წერილი თბილისიდან“ გამოქვეყნების ფაქტს. ნათქვამს დაუმატებთ, რომ წერილი დაიბეჭდა ე. ბოლხოვიტინოვის რედაქციით.

მასალის გამოსაქვეყნებლად მომზადებაში არსებითი მონაწილეობის გამო, ე. ბოლხოვიტინოვს სამართლიანად თვლიან სტატიის თანავტორად<sup>19</sup>. „წერილი თბილისიდან“ წარმოადგენს XIX საუკუნის დაწყების ქართლ-კახეთის მიმოხილვას, ზოგად ხაზებში მოცემულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი სიმდიდრის და ხალხის ზნე-ჩვეულებების დახასიათება და სხვ. მასში ჩართულია თავის დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა. „ჩვენი კლასიკური წიგნები უკვე ითარგმნება ქართულ ენაზე, სამაგიეროდ მალე ვიხილავთ რუსულ ენაზე ქართველ ოსიანს — რუსთაველს და მათ სახელგანთქმულ რომანისტს სარგის თმოგველს“<sup>20</sup>. აქ საქმე გვაქვს შ. რუსთაველის რუსულ ენაზე ბეჭდურად მოხსენების მეორე შემთხვევასთან.

არანაკლებ საყურადღებოა ე. ბოლხოვიტინოვის და ეპისკ. ამბროსის ერთობლივი 7 ტომიანი ნაშრომი: „რუსეთის იერარქიის ისტორია“ (1804—1807 წწ), რომელშიც უხვადაა გაბნეული ცნობები XVIII ს-ის რუსეთში მოღვაწე ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლების არჩილ II, მისი მეუღლის ქეთევანის, ცნობილი მთარ-

18 კ. გამსახურდია, უკრაინის თემილა. თბულებანი, ტ. VII, 23-140. 1965.

19 Ватейшвили Д. Л. Русская общественная мысль и печать на Кавказе, Тбилиси, 1973, с. 11.

20 უჯრნ. „დრუგ პროსვესჩენია“, 1805, სპბ., № 1, გვ. 20.

გმნელის და გამომცემლის გაიოზ ბარათაშვილის შესახებ და სხვ.<sup>21</sup> და ბოლოს, გვინდა შევეხოთ ერთ საგულისხმო ფაქტს, ე. წ. „რუმინანცევის სამეცნიერო წრის“ მოღვაწეობიდან, იმ წრისას, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აქტიური წევრიც ე. ბოლხოვიტინოვი იყო. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს მის წევრთა გულმოდგინე მეცადინეობის წყალობით ქართული სიძველეების საკმაოდ უნიკალური კოლექციის ჩამოყალიბება. როგორც ცნობილია, ეს კოლექცია გარდა სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილ ე. წ. „რუმინანცევისეული „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხისა“ შეიცავდა შემდეგ წერილობით წყაროებს: „დავითნი“ (ფრაგმენტი XI—XII სს.), „სახარება“ (ფრაგმენტი, XV ს.), იოანე ოქროპირის უამისწირვა (XVI ს.), XV—XVI საუკუნეების „სულთა მატიანეს“ რამდენიმე ნუსხა, სულ 20-მდე ერთეული და სხვ.<sup>22</sup> როგორც ცნობილია, კოლექცია რევეაკუაციის წესით 1923 წ. დაუბრუნდა საქართველოს და ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

როგორ და რა გზით მოიყარა თავი ამ უნიკალურმა ფონდებმა ამ წრის განკარგულებაში?

ამეამად ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, ვინაიდან გარდა თეიმურაზ ბატონიშვილისა, რომელმაც პირადად მიუძღვნა ნ. რუმინანცევს დასახელებული „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხა, ჭერჭერობით ვერ დავასახელებთ ამ წრესთან დაკავშირებულ სხვა ქართველ კორესპონდენტს ან მრჩეველს. მაგრამ არსებობს საკმაო საფუძველი ერთგვარი ვარაუდისათვის: ვინაიდან აღნიშნული სახელგანთქმული სამეცნიერო ჯგუფის 55 წევრიდან ერთადერთი მხოლოდ ე. ბოლხოვიტინოვი იყო, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ქართულ კულტურას, კოლექციის ჩამოყალიბება მისი მეტ-ნაკლები მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

სანიმუშოდ დავიმოწმებთ ე. ბოლხოვიტინოვისადმი ნ. რუმინანცევის მიერ გაგზავნილ ერთი პირადი წერილის ფრაგმენტს: „გიგზავნით დასკვნისათვის, წერს იგი თავის უპირველეს მრჩეველს ე. ბოლხოვიტინოვს. საყურადღებო ამონაწერებს ქართულ და სომხურ წყაროებიდან, რისთვისაც დიდად ვარ დავალებული სენ-მარტენისაგან, ესენი მგონი გამოგვადგებიან ჩვენი ძველი ისტორიის შევსებისა და განმარტებისათვის“ (1831 წ.)<sup>23</sup>.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება

<sup>21</sup> Амвросий. История Российской империи, ч. I, с. 108, ч. II, с. 365, ч. VI, с. 886.

<sup>22</sup> Хаханов А. С. Грузинские рукописи Румянцевского музея. М., 1897, с. 10—13.

<sup>23</sup> Переписка Митр. Евгения с Н. Румянцевым. 1870, вып. III, с. 95.



უთუოდ წარმოაჩენს ე. ბოლხოვიტინოვის ღვაწლს ამ უაღრესად საპატიო საქმეში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ე. ბოლხოვიტინოვის კორესპოდენტებს შორის ასზე მეტი ავტორი დაითვლება. ადრესატის ასეთი პოპულარობა, მისი მეცნიერული ავტორიტეტისა და მისი პიროვნული თვისებებით უნდა იყოს ახსნილი.

გვეცნოთ ევგენიოსის უმდიდრეს ეპისტოლიარული შემკვიდრების საქართველოსთან დაკავშირებულ ნაწილს. ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ მის წერილებს უახლოეს მეგობრებთან ვ. მაკედონეტთან, ა. ანასტასევიჩთან და ნ. რუმინანკეტთან. ვორონეელ პედაგოგ ვასილ მაკედონეტს იგი ათი წლის მანძილზე აცნობებს ყოველ წერილმანს თავისი ცხოვრებისა, ვის ხვდება, რაზე აქვს საუბარი მათთან, რას აპირებს მომავალში და სხვ.

ამ წერილების დიდი ნაწილი 1870 წელს გამოცემული აქვს ნ. სევერნის<sup>24</sup>, ხოლო დედნების ადგილსამყოფელი ბოლო დრომდე გაურკვეველი იყო. ჩვენ საქმეა შოგვეცა მიგვეცვლია მათთვის. იგი აღმოჩნდა სსრკ სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის (მოსკოვი) წერილობითი წყაროების განყოფილების ფონდებში<sup>25</sup>. აქ სულ დაცულია 89 წერილი, შედგენილი 1800—1809 წლებში. მათ შორის 4 წერილში საუბარია „საქართველოს ისტორიულ სურათზე“ მუშაობის გარემოებებზე. ისინი შეტანილი აქვს ნ. სევერნის თავის პუბლიკაციაში. აქვეა ჩვენთვის საყურადღებო 3 გამოუქვეყნებელი წერილი, რომლებიც რატომღაც გამომცემელს არ გამოუყენებია.

გვეცნოთ თითოეული წერილის იმ ადგილებს, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნებიან ჩვენი ინტერესების სფეროს. „ვარლამი სულაც არ ელოდა ისე ჩავარდა ბედში, ვკითხულობთ 1801 წ. 31 მარტის თარიღით გაგზავნილ წერილში, მეუფემ (იგულისხმება პეტერბურგის მიტროპოლიტი ამბროსი, ს. ლ.) ითხოვა, რომ იგი მისთვის მიემაგრებინათ. ხოლო მონარქმა (ე. ი. ალექსანდრე I, ს. ლ.) საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო მისცა მას სინოდის წევრის ტიტული“<sup>26</sup>.

იმავე წლის 20 მარტს იგივე ადრესატს ე. ბოლხოვიტინოვი წერდა: „ჩვენ ქართველ არქიერს თქვენ კარგად იცნობთ. რადგან იგი ესწრებოდა ინოკენტის დაკრძალვას, იგი ჩვენთან ნეველის ლავრაში ვადმოსახლდა... მე მასთან ხშირად ვფუქსიტყვავობ“<sup>27</sup>...

სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია გამტკიცებულია აზრი, იმის თაობაზე, რომ ე. ბოლხოვიტინოვსა და ვ. ერისთავს შორის კონ-

<sup>24</sup> ერნ. Русский архив, 1870, 790—814.

<sup>25</sup> ГИМ. ფ. 445 № 203.

<sup>26</sup> «Русский архив», 1870, с. 790.

ГИМ. ფ. 445 № 203, გვ. 42—43.

ტაქტს საფუძველს: ჩაეყარა 1801 წლიდან, როდესაც ამ უკანასკნელს საცხოვრებლად მიუჩინეს ალექსანდრე ნეველის ლავრა. მაგრამ არ არის გათვალისწინებული ამ გამოუქვეყნებელ წერილებში მოცემული ხაზგასმა იმის თაობაზე, რომ ვარლამი დასწრებია ინოკენტის დაკრძალვას. აქ ლაპარაკია მღვდელმთავარ ეპისკოპოს ინოკენტი პოლიანსკიზე, რომელიც 1788 წლიდან განაგებდა ვორონეჟის ეპარქიას. იგი გარდაიცვალა 1794 წ. და სათანადო პატივით დაიკრძალა ამავე ქალაქში. ჩანს ე. ბოლხოვიტინოვთან ერთად დაკრძალვის ცერემონიალს დასწრებია როგორც ვ. მაკედონეცი, ასევე ვ. ერისთავი. მაშასადამე, ე. ბოლხოვიტინოვსა და შემდგომში მის მთავარ კონსულტანტს ვ. ერისთავს შორის ნაცნობობა დამყარებული არა 1801 წელს, არამედ 9 წლით ადრე: ვიდრე პირველი მათგანი ჯერ კიდევ მშობლიურ ქალაქში მსახურობდა სასულიერო სემინარიაში პედაგოგად.

„აქ ქართველი ბატონიშვილები ჩამოვიდნენ, — ხათქვაშია 1801 წ. 14 მაისის თარიღით პეტერბურგიდან გაგზავნილ პირად ბარათში, — შაგრამ მათი ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია, სამეფო კარზე არ წამდგარან. ქართველი უფლისწული ცოტაოდენს ახერხებს რუსულს“<sup>28</sup>, ცხადია, „ქართველ ბატონიშვილებში“ ე. ბოლხოვიტინოვი გულისხმობს საქართველოდან იძულებით გასახლებულ იოანე, მიხეილ და ბაგრატ ბატონიშვილებს, ხოლო „უფლისწულს“ იგი უწოდებს პირველ მათგანს.

ცოტა მოგვიანებით ე. ბოლხოვიტინოვი შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის ვორონეჟელ მეგობარს: „9 ივნისს ჩვენ გვქონდა საღვთისმეტყველო დისპუტი, ხოლო ათ რიცხვში ფილოსოფიური, ესწრებოდნენ მიტროპოლიტი (ე. ი. ამბროსი პოდოპედოვი, ს. ლ.) და ქართველი არქიელი. ორივე დისპუტი შედგა ჩემთან“<sup>29</sup>.

როგორც ავლნიშნეთ, მათი ეს შეხვედრები უკავშირდება საკუთრივ საქართველოს და მისი კულტურის საკითხებს, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმავე ადრესატისადმი 1802 წ. 13 მაისს გაგზავნილ ჩვენს მიერ ერთხელ უკვე დამოწმებული წერილიდან.

„...ზოგჯერ ვატარებ საღამოებს ქართველ უსამღვდელოეს ვარლამთან და იცით ამ საღამოებზე მასთან თავშექცევით რა გამოვიდა? ის მიყვებოდა და მიყვებოდა საქართველოზე, ხოლო მე ვუსმენდი და გონებაში ვიბეჭდავდი. შემდგომ შევუდექი წერას, ვხედავ, დამიგროვდა მთელი ჩანაწერების წიგნი საქართველოზე. წაუკითხე უფალ ვარლამს, ის კი განცვიფრებული შეუდგა შევსებას და გადამუშავებას. ესაუბრა და ეთათბირა აქ მყოფ ქართველ თავადებს. ვთხოვე დახმარება ბანტიშ-

28 Лекишвили С. С., Е. Болховитинов и вопросы древнегрузинской культуры и истории. «Памятники культуры». Л., 1985, с. 33—34.

29 Русский архив, 1870, с. 799.

კამენსკისაჲ. მან ყველაფერი მნიშვნელოვანი თავის კერიდან მაცნობა და, აი, წიგნი; ვაჩვენე მიტროპოლიტს, უკვე მოწონებული და ნებადართულია დასაბეჭდად. ორი თაბახი უკვე დაბეჭდილია. მე და ვარლამი ვხითხითებთ. იმაზე თუ ხუმრობიდან როგორ წარმოიშვა წიგნი...

მასში თქვენ ნახავთ „მამაო ჩვენოს“ ქართულ ენაზე და რაზღენიმე ლექსს და ყველაფერი ეს დაწერა კაცმა, რომელმაც არც ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული და არასოდეს საქართველო არ უნახავს“<sup>30</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვანია 15 ივლისს შედგენილი შემდეგი ბარათი: „გიგზავნით ეგზემპლარს ჩემი წიგნისას საქართველოზე. მიძღვნილი წარწერიდან თქვენ დაინახავთ, რომ ავტორს არ სურდა წამოეჩინა თავი. ჩემი საქმეა ვიშრომო საყოველთაო სიკეთისათვის და არ მოველოდე საზღაურს, რომელიც მე არასოდეს არ მიმიღია.

ამასთან ერთად გიგზავნი ქართულ გრამატიკას შედგენილს უსამღვდელოეს ვარლამის მიერ... ვინძლო თქვენც შეისწავლოთ ქართული, ხოლო თუ არ შეისწავლით, მაშინ გადაეცით სემინარიის ბიბლიოთეკას მუდმივად შესანახად. იგი დაბეჭდილია ორას ცალად. ავტორის ხარჯით და გაყიდვაში არ არის“<sup>31</sup>.

ამ წერილით უფრო კონკრეტდება „საქართველოს ისტორიული სურათის“ გამოცემის თარიღი. წინა წერილიდან ვიცით, რომ მისის დამდევს დაბეჭდილი იყო მხოლოდ ორი ფორმა, ხოლო 15 ივლისს ნაშრომში დასრულებული სახით ავტორის განკარგულებაშია.

ქვემოთ მოტანილ უთარილო წერილში ე. ბოლხოვიტინოვი კვლავ უბრუნდება საკუთარ ნაშრომთან დაკავშირებულ მოვლენებს. „თქვენ მწერთ, აცნობებს იგი ვ. მაკედონეცს, რომ მე ქართველები გადაჭარბებით შევაქე, — მაგრამ სინამდვილეში თვითონ მათ ეჩვენებათ მკიარედ. მათი ზოგიერთი თავადები მსაყვედურობენ. რატომ ეუწოდე მათ ქვეყნას უიღბლო, რატომ დავწერე, რომ ისინი იყვნენ დაჩაგრულები, უფრო ნაკლებ განათლებულნი, ვინემ ევროპელნი, რომ ისინი ჯერ კიდევ 215 წლის წინ იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი“<sup>32</sup>.

თუმცე წერილს არ ახლავს თარიღი, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იგი ადრესანტს შედგენილი აქვს „საქართველოს ისტორიული სურათის“ გამოცემიდან მოკლე დროში.

როგორც ვნახეთ, ე. ბოლხოვიტინოვი არც შემდგომ ლალატობს ტრადიციას და მომდევნო წერილებშიც კვლავ უბრუნდება თავის წიგნთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთ წერილებს განეკუთვნება 1803 წ. 11 ივნისს პეტერბურგიდან ვორონეჟში გაგზავნილი პირადი წერილიც:

30 Журн. «Русский архив», 1870, с. 814.

31 იქვე, გვ. 801.

32 И в а н о в с к и й А. Д. Митрополит Евгений. СПб., 1872, с. 6.

„გეტინგენის საპეციერო უწყებაში დაიბეჭდა ფრიად სასიამოვნო რეცენზია ჩემ საქართველოს ისტორიაზე. ეს შრომა იტვირთა სახელგანთქმულმა ისტორიკოსმა პროფ. შლეცერმა, რომელმაც ერთი ეკზემპლარი ნაშრომისა გამოაგზავნა ჩვენს აკადემიაში.

მე ვეზადები პასუხი გავცე შლეცერს. ამბობენ, რომ ჩემი წიგნი უკვე ითარგმნა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე“<sup>33</sup>.

უახლოეს მეგობართაგან ე. ბოლხოვიტინოვს შემდგომ წლებში აგრეთვე საქმიანი კავშირი ჰქონდა ვასილ გრიგოლის ძე ანასტასევიჩთან (1775—1845 წწ.) ისინი ჯერ კიდევ პეტერბურგში დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ეს სიახლოვე სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს. მისადმი გაგზავნილ 150-მდე წერილში ე. ბოლხოვიტინოვს დახასიათებული ჰყავს თანამედროვე მწერლები, მეცნიერები, მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იპრობინდელი რუსეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, აგრეთვე საგანგებო ყურადღებას უთმობს საქართველოსთან დაკავშირებულ მოვლენებს<sup>34</sup>.

„საქართველო რომ სასწავლებლად თავისიანებს გვიგზავნის, ეს საკირო საქმეა, ვკითხულობთ 1817 წ. 27 აპრილის თარიღით გაგზავნილ წერილში. მაგრამ რა მასწავლებელია ის, ვისიც მოსწავლეს არ ესმის? ჩვენი უნივერსიტეტები საესეა ასეთი უნიათო მასწავლებლებით, რომელთა წყალობით მოსწავლეებმა არ იციან ვისგან რა ისწავლონ. მაგრამ უფრო უარესი გადაწყვეტილება მიუღიათ—საქართველოში გააგზავნონ რუსი სასულიერო მმართველები. ისინი უფრო ააღელვებენ. ვიდრე დაამშვიდებენ ერს. ყოველ ხალხს თავისი ლოგიკა და ხასიათი აქვს და ბუნებით არაკეთილგანწყობილია ყოველივე არამშობლიურისადმი, ნამეტნავად თუ მათ იძულებით ახვევენ თავს“<sup>35</sup>.

ხოლო, 1819 წ. 18 ივლისს შედგენილ წერილში შემდეგი მნიშვნელოვანი ცნობაა მოცემული:

„საქართველოს ისტორიული სურათი“ მე შემოძლია გამოგიგზავნოთ, ისინი მე ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული მაქვს. თუ რომელიმე წიგნის გამყიდველი აიღებს, მზად ვარ გაუცვალო სხვა წიგნებში. ჩემი წიგნის ბოლოში დართული ჩანაწერი კავკასიელ მომთაბარე ხალხებზე მომწოდდა აწ განსვენებულმა ბანტიშ-კამენსკიმ, ხოლო თვითონ მან საიდან აიღო არ ვიცი, ალბათ გიულდენშტედტიდან“<sup>36</sup>.

ამ წერილით აშკარად ირკვევა, რომ „საქართველოს ისტორიული სურათი“ ავტორს დაბეჭდილი აქვს საკუთარი ხარჯით, ამიტომ ტირა-

33 «Русский архив», 1870, с. 824.

34 Письма Евгения к В. Анастасевичу, Русский архив, 1889, № 4—5, с. 284.

35 იქვე, გვ. 290.

36 იქვე, გვ. 316.

ეს მნიშვნელოვანი ნაწილი მის განკარგულებაშია გამოცემიდან 17 წლის შემდეგაც.

მაშასადამე ე. ბოლხოვიტინოვი წიგნის მთელ ტირაჟს ისე ეპყრობა, როგორც საკუთარი შრომითა და ხარჯით გამოცემულ ნაშრომს. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად ცხადჰყოფს ჩვენს მიერ სათანადო ადგილას აღნიშნულ პროფ. გ. მიქაძის მტკიცების უსაფუძვლობას, ე. ბოლხოვიტინოვის მიერ საქართველოზე დაწერილი ნაშრომის უიტიჟოს „მეფის ხელისუფლების აპარატის დაკვეთით შედგენაზე“: ანდა საერთოდ, რატომ უნდა დაეკისრებინა ხელისუფლებას ასეთი მისია იმხანად შედარებით ნაკლებ ცნობილი ავტორის ე. ბოლხოვიტინოვისათვის, როდესაც სამეცნიერო ასპარეზზე უკვე კარგა ხანია მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი ისტორიკოსები როგორებიც იყვნენ: ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკი, ნ. კარამზინი და სხვები.

და ბოლოს, გავეცნოთ ერთ საყურადღებო მინაწერს, რომელიც დართული აქვს 1820 წ. ე. ანასტასევიჩისადმი გაგზავნილ პირად ბარათს: „მე უკვე მაქვს სამი რუკისაგან შემდგარი საქართველოს ატლასი გამოცემული 1819 წელს“<sup>37</sup>.

ჩანს, ე. ბოლხოვიტინოვის საქართველოთი დაინტერესებებს ფაქტი კარგად იცოდნენ მისმა სხვა მეგობრებმაც. რის გამოც ისინი პერიოდულად ამარაგებდნენ მას სათანადო ლიტერატურით. ამ მხრივ ნიშანდობლივია მიმოწერა ნ. რუმინცევიტან, რასაც ადგილი ჰქონდა 1804.—1825 წლებში.

მათ შორის დამკვიდრებული ტრადიციით, ისინი ხშირად ერთმანეთს უგზავნიან არა მარტო კერძო წერილებს, რომელთა რაოდენობა ორ ასეულს აჭარბებს, არამედ საყურადღებო საარქივო მასალებსა და ახლად გამოსულ ლიტერატურას, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხებიან საქართველოს: „ნება მიბოძეთ თქვენს ბიბლიოთეკას სამუდამოდ შეეძინო ბრონევესკის ბრწყინვალე თხზულება კავკასიაზე. გომელი. 18 სექ. 1823 წ.“<sup>38</sup>.

ჩანს, ს. ბრონევესკის ოავისი დროისათვის ცნობილ ნაშრომს ე. ბოლხოვიტინოვის დიდი ინტერესი გამოუწვევია, რაც დასტურდება ნ. რუმინცევიტისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილის შენდეგი ფრაგმენტით: „უმდაბლესად მადლობელი ვარ ბრონევესკის წიგნისათვის კავკასიაზე. ჩვენ დღემდე არ გავვაჩნდა ასეთი გამოწვევითი აღწერა კავკასიის ქვეყნებისა“<sup>39</sup>.

უფრო მოგვიანებით კი, ნ. რუმინცევი დამატებით კიდევ ერთ

37 Письма Евгения к В. Анастасевичу. Русский архив, 1889, № 4—5, с. 385.

38 Переписка Митрополита Евгения с Н. Румяшчевым. 1870, вып. III, с. 94.

39 იქვე, გვ. 101.

მასალას სიუჟენის ძველ მეგობარს: „კუგზაენი თქვენს მაღალ სამღვდელოებას კავკასიისა და საქართველოს რუკას, რომელიც თან ერთვის ბრონეცკის თხზულებას. გომელი. 8 იანვარი 1824 წ.“<sup>40</sup>.

თუ შევაჯამებთ V—VI თავებისა და ნაშრომის წინამდებარე ნაწილის მონაცემებს, აშკარად დავინახავთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვისათვის საქართველო არ ყოფილა ერთდროული დაინტერესების საგანი და, რომ იგი „საქართველოს ისტორიულ სურათის“ გამოცემის შემდგომაც ნაყოფიერად უყრიდა თავს ხელმისაწვდომ მასალას ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის საკითხებზე.

## დასკვნა

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა საუკუნეებში იღებს სათავეს. ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქართველებს იწვევდნენ კიევში ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. ამასვე მოწმობს დინასტიური ნათესაური კავშირების დამყარება XII—XIII საუკუნეების საქართველოსა და რუსეთის მმართველ წრეებს შორის.

XV საუკუნის დამლევებიდან, მონღოლთა შემოსევების შედეგად ურთიერთობის ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ, რუსეთსა და საქართველოს შორის კვლავ მყარდება დიპლომატიური და კულტურული კავშირი, ხოლო XVI საუკუნიდან სულ უფრო ხშირია ოფიციალური ელჩების მიმოსვლა.

მოსკოვსა და პეტერბურგში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ თეიმურაზ I (1658 წ.), არჩილ II (1682—88, 1691—1713), ვახტანგ VI (1725—1733) და თეიმურაზ II (1762), რომელთაგან სამმა უკანასკნელმა რუსეთში დაასრულეს სიციცხლე და აქვე პოვეს განსასვენებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი იყვნენ არა მარტო გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწენი, არამედ ცნობილი არიან, როგორც შესანიშნავი პოეტები, მთარგმნელები და მწიგნობრები,

ირანელი და თურქი დამპყრობლების შემოსევებით სისხლისაგან დაცლილი და ფეოდალური ქიშპობით დაუძლურებული საქართველო ეძებს გამოსავალს თავისი ტრაგიკული მდგომარეობიდან. ასეთი გამოსავალი ვახდა 1783 წ. ქ. გეორგიევსკში დადებული მფარველობითი ხელშეკრულება, რომლის უშუალო შედეგი იყო 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ამ ისტორიული მოვლენის შედეგად ქართველი ხალხი არა მარტო გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, არამედ შეძლო რუსეთთან ერ-

<sup>40</sup> Переписка Митрополита Евгения с Н. Румянцевым. 1870, вып. III, 105.

თად წასულიყო წინ. პროგრესისაკენ. მდიდარი ქართული კულტურა ეზიარა ნოწნავე რუსულ კულტურას, ახლო გაეცნო მის მიღწევებს, შემოქმედებით გადმოიტანა იგი ეროვნულ ნიადაგზე, ხოლო საქართველოს ისტორიული წარსული, მისი ხალხის თავისუფლების მოყვარე სული, ბუნების განუმეორებელი სილამაზე, მრავალი რუსი მწერლის და მეცნიერებისათვის იქცა შთაგონების წყაროდ.

ამ ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკვიდრა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ევგენი ალექსის ძე ბოლხოვიტინოვმა (ერობაში ექვთიმე), რომელმაც პირველმა აქცია საქართველო სავანებო შესწავლის ობიექტად რუსეთში.

1. ე. ბოლხოვიტინოვმა, თავისი დროის თვალსაჩინო მეცნიერმა, რუსეთის ისტორიული და კულტურული წარსულის დაუღალავმა მკვლევარმა, შთამომავლობას დაუტოვა პირველ წყაროზე დაფუძნებული მრავალი საყურადღებო ნაშრომი, რომელთაგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საგულისხმოა, რომ მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ახლად შეერთებული ქვეყნის საქართველოს კულტურულ-ისტორიული წარსული და 1802 წ. რუს მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა საკუთარი ხარკით გამოცემული წიგნი: „საქართველოს ისტორიული სურათი, პოლიტიკურ, საკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“. თუ ადრინდელი თითოთოროლა ბეკდური ცნობებით რუსთათვის საქართველოს ისტორიის და კულტურის მხოლოდ ცალკეული მხარე იყო ცნობილი, ამ წიგნის მეშვეობით დაინტერესებულ პირს შეეძლო ხელთ ჰქონოდა დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია საქართველოს შესახებ უძველესი დროიდან 1801 წლამდე.

2. თავის ნაშრომში რუსი ავტორი ქართველ ხალხს ახასიათებს, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ, მამაც ხალხს. რომელმაც მიუხედავად მრავალი ძნელბედობისა, შექმნა თვითმოყოფადი ლიტერატურა და კულტურა. ე. ბოლხოვიტინოვს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს სახელები ქართული კულტურის შესანიშნავი წარმომადგენლების: შ. რუსთაველის, ჩახრუხაძის, ი. პეტრიწის, სარგის თმოგველის, მოსე ხონელის, სულხან-საბა ორბელიანისა და მათი ნაწარმოებების სახელწოდებებისა და ა. შ.

„საქართველოს ისტორიული სურათი“ ის წიგნია, რომელშიც არამარტო პირველადაა ნახსენები არა ქართულ ენაზე რუსთაველის სახელი, არამედ მისი პოემა აღიარებულია დიდმნიშვნელოვან ნაწარმოებად. ე. ბოლხოვიტინოვის სახელს უკავშირდება პირველი რუსთაველოლოგიური ლიტერატურის გამოჩენა რუსულ ენაზე, აგრეთვე ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტის თარგმნისა.

პოემის პირველი სტროფის ე. ბოლხოვიტინოვისეული თარგმანი დაედო საფუძვლად ამავე სტროფის გერმანულ (1804) თარგმანს.

ე. ბოლხოვიტინოვს ეკუთვნის აზრი სარგის თმოგველზე, როგორც „ვისრამიანის“ მთარგმნელზე, ცნობა 1737 წ. პეტერბურგში ქართულ-რუსული ანბანის გამოცემის თაობაზე, რაც დიდი ხანი არ არის დადასტურდა და სხვ.

„საქართველოს ისტორიული სურათი“ პირველი ნაბეჭდი წიგნია, რომელშიც თავისი დროისათვის საფუძვლიანად არის კვალიფიცირებული ქართული ლექსის რაობა. ე. ბოლხოვიტინოვს ეკუთვნის პრიორიტეტი „ვეფხისტყაოსანში“ ცეზურის დადგენის საქმეში.

„საქართველოს ისტორიულ სურათში“ მოცემულია ცდა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის მიმოხილვისა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. ნაშრომში გამოქვეყნებულია რამდენიმე ნიმუში საქართველოს მმართველი წრეების დიპლომატიური წერილებისა, რომლებიც ასახავენ მათ დიდ სურვილს დაახლოებოდნენ რუსეთს.

3. არც ე. ბოლხოვიტინოვს და არც მის კორესპონდენტებს (ვ. ერისთავი ნ. ბანტიშ-კამენსკი) წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რაოდენ კვალს დაამჩნევდა ეს პატარა წიგნი რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ქართული კულტურითა და ისტორიით დაინტერესებებს. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეს. გასული საუკუნის მანძილზე რუსულ ენაზე გამოცემული მრავალი სტატია, წიგნი დაეალებულია „საქართველოს ისტორიული სურათით“. კერძოდ, ნ. კარამზინს, პ. ბუტკოვს, ალ. შიშკოვს და სხვებს იგი დამოწმებული აქვთ არაერთგზის.

იშვიათი სიტბოთი დაწერილმა „საქართველოს ისტორიულმა სურათმა“ მოკლე დროში მიიქცია ყურადღება ევროპის ქვეყნების ავტორებისა, რომელთა შორის არიან ფ. შმიდტი, მალტ-ბრენი. ლ. შლეცერი, ვ. სენ-მარტენი, კ. რტუდლოვსკი და სხვ. აკად. მ. ბროსესათვის ფ. შმიდტისეული გერმანული თარგმანით შექმნილი შთაბეჭდილებები განხდარა მიზეზი შეესწავლა ქართული ენა, კულტურა და ისტორია. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს იცნობდნენ და სათანადოდ იყენებდნენ კიდევ XIX ს. თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები: ს. დოდაშვილი. პ. იოსელიანი, დავით და ნიკო ჩუბინაშვილები, ა. ხახანაშვილი. ხოლო ჩვენ საუკუნეში დ. კარიჭაშვილი, ბ. ესაძე და სხვ.

4. ცხადია, XIX საუკუნის გარიჟრაჟზე გამოცემულ წიგნში ბევრი რამ უარსაყოფი და მიუღებელია მასში არსებული ფაქტობრივი და შინაარსობრივი შეცდომების გამო (პირველ ყოვლისა აზრი ქართველი ხალხისა და ენის, აგრეთვე ანბანის წარმოშობის თაობაზე), რაც მაშინდელი ისტორიული აზროვნების დონით არის განპირობებული მიუხედავად ამისა, ჩვენ მოკრძალებითა და პატივისცემით უნდა მოვე-



კიდოთ ე. ბოლხოვიტინოვის ღვაწლს, რადგანაც არ არსებობს ცოტა თუ ბევრად ხელშესახები ფაქტი, რომელიც საფუძველს იძლეოდეს ეკვი შეეიტანოთ მის გულწრფელობაში.

5. „საქართველოს ისტორიულ სურათში“ წარმოდგენილ ქართული წყაროებიდან ამოღებული ცნობების უაღრესად საინტერესო ხასიათმა კანონიერად დააყენა დღის წესრიგში დაუმსახურებლად მივიწყებული ე. ბოლხოვიტინოვის მთავარი კონსულტანტ-ს ვარლამ დავითის ძე ერისთავის (1762—1830) ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის აუცილებლობა. სათანადო წყაროების შესწავლის საფუძველზე იგი წარმოგვიდგება, როგორც თავისი დროის ფრიალ განათლებული, ქართული კულტურისა და ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე. XIX ს. პირველი მეოთხედის რუსულ-ქართულ კულტურული ურთიერთობის თვალსაჩინო მოღვაწე.

6. ე. ბოლხოვიტინოვის პირად საარქივო ფონდს გარდა ისტორიული მნიშვნელობისა გარკვეული მეცნიერული ღირებულებაც გააჩნია, რადგანაც მისი წყალობით შემოგვრჩა ცალკეული მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ თავის ინტერესს. ასეთებად უნდა ჩაითვალოს ორი სანოტო ჩანაწერი ქართული მელოდიებისა, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე ადრინდელ ფაქტებს ქართული მუსიკის ჩაწერისა თანამედროვე ხუთხაზოვანი სისტემით. აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის („ვის ხატად ღვთისად გიტყვიან...“) თარგმანი რუსულ ენაზე.

ამავე ფონდში დაცული მასალებით ისიც ვლინდება, რომ ე. ბოლხოვიტინოვს „საქართველოს ისტორიული სურათის“ გამოცემის შემდეგაც არ შეუწყვეტია წერილობითი წყაროების შეგროვება მისთვის. საინტერესო ქვეყნის შესახებ. ახალი მასალების თავმოყრისას, ჩანს, იგი ხელშეწყობდა იმ შენიშვნებით, რომლებიც გამოთქმული იყო მის წიგნზე. აგრეთვე სურვილით უფრო ღრმად გასცნობოდა ახლად შეერთებული ქვეყნის კულტურასა და ისტორიას.

იგივე საარქივო ფონდი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ როგორია ხვედრითი წილი თვით ე. ბოლხოვიტინოვისა სათანადო მასალების შეგროვების საქმეში. სახელდობრ. მოძიება რუს და ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებისა, აგრეთვე მიმოხილვა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობისა (1586—1801), რაც შეადგენს ჩატარებული შრომის ნახევარს, მთლიანად ე. ბოლხოვიტინოვის გარჯის შედეგია. ხოლო ძირითადი ცნობები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურაზე. აგრეთვე პოეტიკაზე მიწოდებულია ვ. ერისთავის მიერ. მთელი მასალის სისტემაში მოყვანა და შერჩევა ბეჭდური გამოცემებისათვის აგრეთვე ავტორისაა.

7. ნიშანდობლივია ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც კარგა ხანია იჩენენ ქართველი საბჭოთა მეცნიერები ე. ბოლხოვიტინოვისადმი. კერძოდ 1937 წლიდან დღემდე გამოცემულია რიგი ნაშრომებისა, რომელთა ავტორები (ა. გაწერელია, ვ. დონდუა, ვ. შადური, გ. იმედაშვილი, გ. მიქაძე, ი. მეგრელიძე, ლ. მენაბდე, გ. შარაძე, ლ. ანდლულაძე და სხვა) სხვადასხვა მიდგომითა და შეხებით განიხილავენ „საქართველოს ისტორიული სურათის“ ღირსება-ნაკლოვანებებს, იპოწმებენ როგორც ავტორიტეტულ ნაშრომებს „ვეფხისტყაოსნის“, ქართული პოეტიკის, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული საკითხების განხილვისას.

## РЕЗЮМЕ

1. Присоединение Грузии к России (12 сентября 1801 г.) еще больше укрепило многовековую связь между русско-грузинскими культурными силами.

Историк Евгений Алексеевич Болховитинов (1767—1837 гг.) — первый русский исследователь, превративший Грузию в объект основательного изучения. Изданная им в 1802 г. на русском языке книга «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» и теперь удивляет читателей точными сведениями и знанием материала. Эта книга долго служила одним из основных источников изучения Грузии как в России, так и в Европе.

2. Труд Болховитинова о Грузии знали и пользовались им известные русские, европейские и грузинские ученые: академик Мари Броссе, Сен-Мартен, Н. Карамзин, С. Додашвили, Д. Чубинашвили, А. Цагарели, А. Хаханашвили и др.

3. Приводится много интересных фактов, отображающих русско-грузинские культурные связи, подтверждающиеся неизданными материалами из личного фонда Е. Болховитинова, хранящимися в Государственной библиотеке АН УССР. Эти документы красноречиво говорят о тесном культурном сотрудничестве их автора с представителями грузинской общественности Петербурга начала XIX века. Другие документы, также хранящиеся в этом же архиве, подтверждают и то обстоятельство, что Е. Болховитинов и после опубликования своей книги о Грузии в 1802 году не прекращал собирания сведений об интересующей его стране, руководствуясь при этом, как видно, замечаниями, высказанными в рецензиях о его книге, а также информацией читателей из Грузии.

4. В указанном архивном фонде имеются документы (в виде стихотворных и музыкальных записей), которые представляют определенный интерес в связи с изучением отдельных вопросов истории грузинской культуры и литературы.

5. Ознакомление с указанным выше личным архивом Е. Болховитинова, а также с частными его письмами дает нам возможность установить, что именно принадлежит автору (в записях о Грузии или в его печатном издании) и что его информаторам из Грузии.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თ ა ე ი პ ი რ ე ლ ი — ევგენი (ექვთიმე) ალექსის ძე ბოლხოვიტინოვი (1767—1837 წწ.)	13
ცხოვრების გზა	13
ე. ბოლხოვიტინოვი — ქველი რუსული წერილობითი ძეგლების შემკრები და გამომცემელი	19
ე. ბოლხოვიტინოვი — ბიბლიოგრაფი	22
ე. ბოლხოვიტინოვი — პიროვნება	28
თ ა ე ი მ ე ო რ ე — „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკ- ლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“	41
ქართველი ხალხის სიძველეებისა და მათ ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვან ნი ამბების შესახებ	42
ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და ქართული ეკლესიის მდგომარეობა მღვდელთმსახურება, საეკლესიო წიგნები და სტამბები საქართველოში	46
ქართული ენისა და მწიგნობრობის შესახებ	47
სწავლა-განათლების მდგომარეობა საქართველოში, მათი ტკოლები და კლასიკური წიგნები	48
ქართული მატიაეებისა და ხალხში გავრცელებული სხვა წიგნების შესახებ	49
ქართული მწერლობისა და მუსიკის შესახებ	50
თ ა ე ი მ ე ს ა მ ე — საქართველო ქველ რუსულ ბეჭდურ წყაროებში (XVII—XVIII სს.)	59
თ ა ე ი მ ე ო თ ხ ე — „საქართველოს ისტორიული სურათი“ — საქართველოს შესწავლის თვალსაზრისით წყარო XIX ს. რუსეთსა და ევროპაში	69
თ ა ე ი მ ე ხ უ თ ე — „საქართველოს ისტორიული სურათი“ და ქართველი მკვლევრები	80
თ ა ი მ ე ე ქ ე ს ე — როგორ მომზადდა „საქართველოს ისტორიული სურათი“ და ვინ იყვნენ ე. ბოლხოვიტინოვის კორესპონდენტები?	88
თ ა ე ი მ ე შ ე ი დ ე — ე. ბოლხოვიტინოვის პირადი საარქივო ფონდის საქარ- ველოსთან დაკავშირებული წერილობითი დოკუმენტების მნიშვნელო- ბისათვის	104
დოკუმენტები, რომლებიც ე. ბოლხოვიტინოვს საკუთრივ აქვს მოძიებული დოკუმენტები, რომლებიც ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ქართველ კორესპონდენტის ზეპირი კარნახითაა შესრულებული	105
თ ა ე ი მ ე რ ე ე — ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებული საკითხები	108
ე. ბოლხოვიტინოვის სხვადასხვა შრომებისა და პირად წერილებში	122
დასკვნა	138
Резюме	143

**Лекишвили Соломон Спиридонович**  
**ВОПРОСЫ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ КУЛЬТУРЫ**  
**В ТРУДАХ Е. А. БОЛХОВИТИНОВА**

(на грузинском языке)

**ТБИЛИСИ**  
**«МЕЦНИЕРЕБА»**  
1987

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3563

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნედაქტორი ნ. ბოკერიძე  
ფორექტორი გ. გრძელიშვილი  
გამომწვევები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 7. VII.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.11.87;  
ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub> ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;  
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 9.0;  
სააღრთვო-საგამომცემლო თაბახი 7.8;  
პირ. საღ-გატ. 9.3;  
უე 01085; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2382;  
ფასი 1 მან 50 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19